

1898

7-9

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ



# უმჯამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მესამე

№ VII-VIII-17

თბილისი, 1898

ტფილისი

საბჭოთაო რევოლუციური მუზეუმი, თბილისი, 1898



საქართველოს რევოლუციის  
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ

# მ ლ ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეხუთე

55075

№ VII

თბილისი, 1898



ტფილისი

საქართველოს რევოლუციის მუზეუმის გამომცემი

1898

ს ბ ვ გ მ ნ


საქართველოს

საქართველოს

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 августа 1898 г.

საქართველოს

საქართველოს



შ ი ნ ა ა რ ს ი

I—ანთონიოს და კლემოკატრა. — ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია უილიამ შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა (დასასრული) . . . . .	83- 1
II—ჩემი პირველი ღრამა. — ჭერმან ზუდერმანისა, თარგმანი ივ. ზუკრაბიაშვილისა . . . . .	77
III—ნამდვილი სამსახური. — ი. ზოტაზენკოსი, თარგმანი ეფრესანე კლდიაშვილისა . . . . .	87
IV—მძულხარ-მიძვარხარ. — ლექსი ვაჟა-ფშაველასი . . . . .	125
V—გლახი-კაცის ისტორია. — ერკმან-შატრანისა, ნაწილი მესამე, თარგმანი ი. მაჭავარიანისა . . . . .	126
VI—ორი კვირა მთაში. — მეზაერის შენიშვნები, ი. კახელისა (დასასრული) . . . . .	1
VII—სასოფლო მშენებლობის წარმატება მხრობაში. — გიორგი გოგელასი . . . . .	24
VIII—აფხაზები. — ეტნოგრაფიული მასალა, ნიკო ჯანაშასი . . . . .	43

# ანტონიუს და კლემასტრა

ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია

უილიამ შექსპირისა

მისამე მოქმედება

## სურათი I

ვაკე ადგილი სირიაში.

(შემოდის ვენტიდიოს ტრიუმფით, სილიოს და სხვა რომაელები;  
ოფიცრები და ჯარის-კაცნა. წინ პაკოროსის გვამი მოაქვთ).

**ვენტ.** მოშვილდისარე პართიავ, აწ ხომ დაგამარცხეთ,  
ბედმა მარგუნა მარკოს კრასის სისხლის აღება.—  
მათ მეფის შვილის გვამი ჩვენს ჯარს წინ წაუმიძღვარეთ.—  
ოროდეს, შენმა პაკოროსმა გადაგვიხადა  
მარკოს კრასოსის სამაგიერო.

**სილიოს.** კეთილშობილო,  
მხნე ვენტიდიოს! ვიდრე თბილი პართიელთ სისხლი  
სცხია შენს ხმალსა, სდიე უკან გამარჯვებულებს,  
მიჰყევ მიდიას, გადასთელე მესოპოტამი,  
მიაგენ, სადაც შეუძლიანთ თავის შეფარვა  
და მაშინ დიდი ანტონიოს, ჩვენი სარდალი  
ტრიუმფის ეტლზე დაგსვამს, თავზე გვირგვინს დაგადგამს.

**ვენტ.** ჩემო სილიოს, რაც ვქმენ, ისიც საკმარისია;  
ხელქვეითს მეტი არ შეჭფერის; ჩემგან იცოდე,

უსაქმურობა სჯობს საქმობით სახელის განთქმას, როცა უფროსი თან არა გვყავს; ხელქვეითთაგან თვით ანტონიოსს და კეისარს სახელ-დიდება უფრო მეტი აქვთ შეძენილი, ვიდრე მათ ღვაწლით; და ჩემმა წინა-მოადგილემ აქ, სოსიოსმა ანტონიოსი მხოლოდ მისთვის შემოიწყრომა, რომ უეცარი სისწრაფითა მეტად ამაღლდა. თუ ომში სჯობნი მხნეობითა შენსავე სარდალსა, სარდალთ-სარდალად გარდიქცევი და ურჩევნია ამაყ ჯარის-კაცს, წაგებული დაუხვდეს საქმე, ვიდრე მოგებით მიაყენოს მის სახელს ჩრდილი. ანტონიოსის სამსახური მეტი შემეძლო, მაგრამ, ვიცი, ეს ეწყინება და მისი წყენა ჩემს ამაგს სრულად გააქარწყლებს.

**სად.** შენ, ვენტიდიოს, გგონია იგი, ურომლოდაც თავის ხმლის ქარქაშს ჰგავს ჯარის-კაცი. მისწერ რასმე ანტონიოსსა?

**გენტ.** ეაუწყებ დიდის მორჩილებით, თუ მის სახელით, ამ გრძნეულ სიტყვით ლაშქრობის დროს რა მოვიქმედეთ. თუ მის დროშებმა, გამართულმა ყოელისფრით ჯარმა პართიელთ რაშნი უძლეველნი ვით დაირეკა.

**სად.** სად არის იგი ამ ჟამადა?

**გენტ.** ის აპირობდა ათინას წასვლას და ჩვენც უნდა იქ გამოვცხადდეთ ისე საჩქაროდ, როგორც ამას შეგვაძლებინებს ნადავლის ტვირთი.—გაიარეთ, ნულარ უყურებთ.  
(გაღიან).

## ს უ რ ა თ ი II

რომი. წინა-ოთახი კეისრის საბლში.

(**აგრამა** და **ენობარბოს** ერთმანეთს შეხვდებიან).

**აგრ.** მითხარ, ხომ ძმურად გაიყარნენ?

**ენობ.**

პომპეოსს საქმე

სულ გაუთავეს, გაისტუმრეს. სამნი კი სხედან,  
 პირობას ბეჭდვენ. ოქტავია რომიდან წასვლას  
 ზარობს და სტირის, კეისარიც მწუხარედ არის  
 და ლეპიდოსს კი პომპეოსის ნადიმის შემდეგ  
 ქალთ სწეულება შეხვედრია, მენასმა მითხრა.

აგვ. ლეპიდოსს კარგი კაცი არის.

ენა. ოჰ, ჩინებული

და როგორ უყვარს კეისარი!

აგვ. ანტონიოსიც

არ უყვარს ნაკლებ.

ენა. იუპიტერს აღარებს ხოლმე

იგი კეისარს.

აგვ. ანტონიოსს ღმერთთა ღმერთად სთვლის.

ენა. ახსენებ თუ არ კეისარსა, შეუდარებელს  
 უწოდებს იგი.

აგვ. ანტონიოსს—არაბეთის ჩიტს.

ენა. კეისრის ქება თუ გსურს, კმარა მის სახელის თქმა.

აგვ. მართლაც, ორივეს ამკობს იგი მეტის ქებითა.

ენა. კეისარი კი უფრო უყვარს; ანტონიოსიც  
 არ ეჯავრება. ან რას ვამბობ! ვერც გული, ენა,  
 ვერცა სურათი, მწერალთ ნიჭი, სიმღერა, ლექსი,  
 ვერ ასწონს აზრით, ვერცა სიტყვით, მოხაზულობით,  
 წერით, სიმღერით, ან ლექსთ-წყობით ანტონიოსის  
 მისგან ტრფიალსა, კეისარს კი თუ გაახსენებ,  
 მუხლის თაეებზედ დაეცი თო, წამოიძახებს,  
 და განცვიფრებად გარდიქეცით.

აგვ. ორივე უყვარს.

ენა. ის მუცელია, ორნივე კი ფრთები არიან.—  
 (საყვირის ხმა).

სსუ! საყვირის ხმა; ნიშანია ცხენზედ შესხდომის.

ჩემო აგრიზა, გამარჯვებით იყავი მუდამ.

აგვ. შენც გაგიმარჯოს, ღირსეულო, მხნე მეომარო.

(შემოდინ კეისარი, ანტონიოსს, ლეპიდოსს და ოქტავიას).

ანტ. ნუღარ სწუხდები.

კეის. თან მიგაქვს შენ საუკეთესო

ნაქერი ჩემი, მოუარე, ვით მე მივლიდე.—

არ გამიმტყუნო, დაო, სიტყვა და გაუწიე  
 ცოლობა ისე, როგორც გაქებ, მუღამ მიქიხარ.—  
 ჩვენ ამ კავშირმა, ანტონიოს, სიყვარულისამ  
 მტკიცე გაგვხადოს, შეგვეკრას, როგორც მაგარი ციხე,  
 ნუ გადიქცევა მის გამპობელ, დამრღვეველ სოლად.  
 თუ სიტყბოებით არ ვიქნებოდით ერთმანეთთანა,  
 სჯობდა სრულიად ამ კავშირზედ არც კი გვეფიქრა.

ანტ. რად შეურაცხმყოფ მაგგვარ ექვით?

ქეის.

რა ვქნა, რაც ვთქვი, ვთქვი.

ანტ. ძალიანაც რომ შეეცადო, მაინც ვერ ჰპოვებ

მცირედსაც არის მიზეზს შენის ექვებისათვის.

ღმერთნი გფარვიდნენ და რომაელთ გულნი ნურა დროს  
 ნუ განდრკებიან შენთა დიდთა განზრახვათაგან.

აქ გავიყარეთ.

ქეის.

აწ მშვიდობით, დაო ძვირფასო!

ცის სტიქიონნი მფარველ გექმნან და მაგ მშვიდ სულსა  
 ნუ აღგიშფოთებს ნურა ვნება. იყავ მშვიდობით.

ექტ. ძვირფასო ძმაო!

ანტ.

თვალთ მოადგა ცრემლი, ვით ნამი,  
 მომასწავები ჰაეროვან გაზაფხულისა.—  
 დარდს ნუ ეძლევი.

ექტ.

ჩემს ოჯახზედ მოწყალედ იყავ  
 და გთხოვ კიდევა...

ქეის.

რას მთხოვ, დაო?

ექტ.

ჩემად მსურს გითხრა.  
 (ყურში ეუბნება).

ანტ. ენა არ ერჩის მის გულს, გულსაც ღონე არა აქვს  
 თავის ნაგრძნობი ენითა სთქვას. ეგრედ ბუმბული  
 ზღვის ტალღის ქედზედ მოქცეული, აღგიღოს ვერ ცვლი-  
 ენაბ. (ჩემად აგრიბას) ტირილს აპირობს კეისარი? [ლობს.

აგრ.

(ენობარბოსს) დიად, როგორღაც  
 მოღრუბლულია.

ენაბ.

(აგრიბას) თვალზედ ლობრი, ცხენიც რომ იყოს,



არ იქნებოდა მოსაწონი და კაცს ხომ უფრო  
 არ ჰფერობს იგი.

აგბ. (ენობარბოსს) რა ვქნათ მერე, ანტონიოსმა,  
 იულიოს რომ მკედარი ნახა, ღრიალი მორთო  
 და ფილიპისთან ბრუტოსის გვამს თავს დასტიროდა.

ენობ. (აგრიბას) იმ წელს მას სურდო აწუხებდა და მაშინაც კი  
 ცრემლებს აფრქვევდა, როს ნანატრი უსრულდებოდა.  
 აი თუ მასთან მეც ავტირდე, ცრემლის გჯეროდეს.

კეის. ოჰ, დამერწმუნე, ოქტავია, გაცნობებ ხოლმე  
 მუდამ ჩემს ამბავს; დრო ვერ უსწრობს ჩემგან შენზე ფიქრს.

ანტ. გაყრის დრო არის. ძმაო, ვგონებ, შემოგეჯიბრო,  
 ვის უფრო უყვარს ეგ ჩვენ ორში. ღმერთი ვიძლოდნენ!  
 მშვიდობით, ჩემო საყვარელო!

კეის. იყავ მშვიდობით.

ლეზ. ცის ვარსკვლავთ ყველამ ერთად შენი გზა გაგინათონ.

კეის. მშვიდობით, დაო, მშვიდობითა.

ანტ. (ჰკოცნის ოქტავიას).  
 მშვიდობით იყავ.

ანტ. (საყვირის ხმა. გადიან).

### ს უ რ ა თ ა III

ალექსანდრია. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდიან კლეოპატრა, ქაჩმაჩანა, იანას და ალექსას).

კლეოპ. სად არის ეხლა ის შიკრიკი?

ალექს. შიშით კანკალებს,

ვერ ჰბედავს მოსვლას.

კლეოპ. რას მიჰქარავს, აქ დამიძახეთ.—  
 (შემოდის შიკრიკი).

აქეთ მობრძანდი.

ალექს. დედოფალო, თვითონ იროდი,  
 ებრაელთ მეფე, ვერ გაჰბედავს შენს შემოხედვას,

როცა მრისხანედ იყურები.

კლეოზ. სწორედ იროდის  
 თავი მომართვან! მაგრამ სიტყვას ვინ შემისრულებს,  
 როს ანტონიოს აღარა მყავს!—აქ ახლო მოდი.

შაკრ. ბრძანე, მოწყალე დედოფალო.

კლეოზ. შენ ოქტავია  
 თითონა ნახე?

შაკრ. დიად, თითონ, ჩემო ხელმწიფევ.

კლეოზ. სად ნახე?

შაკრ. რომში. შევცქეროდი სახეზედ სწორედ,  
 ანტონიოსის და ძმის შორის რომ გაატარეს.

კლეოზ. ჩემ სიმაღლეა?

შაკრ. დაბალია უფრო, ხელმწიფევ.

კლეოზ. ყური ვერ მოჰკარ, წვრილი ხმა აქვს, თუ მოუმაღლებს?

შაკრ. უფრო მაღალი, ლაბარაკი მომესმა მისი.

კლეოზ. ეგ ხმა არ ვარგა, დიდი ხნით მას არ ეყვარება.

ქარმ. ეყვარებაო! არა, არა, იზიდას ვფიცავ.

კლეოზ. მეც აგრე ვფიქრობ, ქარმიანა. ბოხი-ხმიანი  
 და რაღაც ჯუჯა.—სიარული დიდებული აქვს,  
 მითხარ, თუ, ბრიყვო, გესმის რამე დიდებულების.

შაკრ. იგი მისცურავს, ძლივს გაარჩევ, მიდისო, თუ დვას;  
 სხეული არის უსაცოცხლო, ქანდაკის სახე  
 სულ-ჩაუდგმელი.

კლეოზ. სწორეს ამბობ?

შაკრ. როგორც კი გასჭრა  
 ჩემმა ჰკუამ, მას მოგახსენებ.

ქარმ. მთელს ეგვიპტეში  
 სამს ვერ იპოვნი მაგისტანა დამკვირვებელსა.

კლეოზ. მცოდნე ყოფილა, კარგადა ვხედავ.—რაღა ჰქონია  
 მაშ იმ დედაკაცს!—კარგადა სჯის სწორედ ეს კაცი.

ქარმ. ჩინებულადა.

კლეოზ. ვერ იტყვი, რა ხნის უნდა იყოს?

შაკრ. ის ქვრივი გახლდა...

კლეოზ. ქარმიანა, ქვრივიო, გესმის?

შაკრ. და ოც და ათის წლისა იქნება.

კლეოპ. ვერ გაიხსენებ

იმის სახესაც, პირგრძელია, თუ უფრო რგვალი?

შაკრ. არ გაიძება, რომ შეჭხედო, ისე რგვალია.

კლეოპ. ჭკვა-ნაკლებობის ნიშანია პირის სიმრგვალე.—  
 თმა რა ფერი აქვს?

შაკრ. შავი; შუბლი ისე დაბალი,  
 თითქო შენს სურვილს პასუხს აძლევს.

კლეოპ. აჰა, ეს ოქრო.

ნუ გაიხსენებ ჩემს წელანდელს გულმოსულობას  
 მალე უკანვე გაგისტუმრებ. კარგად გცოდნია  
 შენ სამსახური, წერილები მზადა გაქვს კიდევ,  
 წადი, აბა, შენც მოემზადე. (შაკრავი გადის).

ქარმ. მარჯვე კაცია.

კლეოპ. დიალაც მარჯვე; ვწუხვარ ისე ცუდად მოვეპყარ.  
 თუ მართალს ამბობს, ის ვერაფერს ვერას გახდება.

ქარმ. რა ბრძანებაა, რას გააწყობს!

კლეოპ. უნდა ენახოს,  
 ესმოდეს მაგ კაცს დიდებულის ყოფა-ქცევისა.

ქარმ. უნდა ენახოს?! ღმერთო ჩემო, შენი მსახური  
 არ არის განა!

კლეოპ. ერთი დამრჩა კიდევ საკითხი.  
 არა უჭირს-რა, ჩემს ოთახში საწერი რამ მაქვს  
 და იქ მომგვარე, ქარმიანა. დატრიალდება  
 კვლავ კარგად საქმე, იმედია.

ქარმ. თუნდ თავლებს მოგცემ.  
 (გადიან).

#### ს უ რ ა თ ი IV

ათინა. ოთახი ანტონიოსის სახლში.

(შემოდინან ანტონიოს და ოქტავია)

ანტ. არ შემიძლიან, ოქტავია, მე ეგ არა გზით.

არამც თუ ერთმა, ათასს მაგვარს საქციელს კიდევ

მივუტევებდი, მაგრამ ომი აუტეხნია  
 ჰომეოსისთვის; კიდეც ახლა თავის ანდერძი  
 შეუდგენია, წაუკითხავს ხალხის წინაშე,  
 უხსენებია უკადრისად და როცა უნდა  
 მის უნებურად შეხებოდა ჩემს ღვაწლს, ღირსებას,  
 ცდილა გულ-ცივად წარმოეთქვა, რომ ჩაეთარცა.  
 სრულად არაფრად ჩაუგდია, ამცილებია  
 მე მისგან ქება სხვისგან ძალად გახსენებულიც.

**აქტ.** ნუ გჯერა ყველა, გვედრები, ან კი რაც გვჯერა,  
 გაზვიადებას ნუ ეცდები. თუ მოვიხდებით  
 ერთმანერთ შორის შფოთი, მაშინ არვინ იქნება  
 შენს ცოლზედ უფრო უბედური: ორივე მხარეს  
 უნდა ვუნატრო გამარჯვება; თვითონ ღმერთნიც კი  
 სასაცილოდა ამიგდებენ, როცა შევედრებ:  
 „შეეწიენით ჩემს მეუღლეს, ჩემსა უფალსა!“  
 და დაფუტებ ამ ვედრების გასაუქმებლად:  
 „შეეწიენით ჩემს ძმას!“ ორნიც ვით შეგავედროთ,  
 როცა მეორეს ერთის შვება ვნებას მოუტანს.  
 ამ ორ კიდურთა შორის გზას მე ვერასა ვხედავ.

**ანტ.** ჩემო ძვირფასო ოქტავია, მიდი იქ; სადაც  
 უფრო სათუთად მოუვლიან მაგ შენს სიყვარულს.  
 თუ კი დავკარგავ პატივს, მაშინ დავკარგავ თავსაც  
 და ის გერჩიენა, არ შემყროდი ცოლად არას დროს  
 პატივ-აყრილის ქმრის ყოლასა. რა კი აგრე გსურს,  
 გახდი ჩვენ შორის უუამავლად, მაგრამ მე მაინც  
 ომის სამზადისს შევუდგები, რომ შევაჩერო  
 თავგასულობა შენის ძმისა. მაშ, დააჩქარე,  
 მოიქეც ისე, როგორც გსურდეს, როგორც გენებოს.

**აქტ.** გამადლობ, ბატონო. ყოვლად ძლიერს იუპიტერს ვთხოვ,  
 შემადლებინოს მე, სუსტს, თქვენი დამეგობრება.  
 ომი თქვენ შორის ეგვანება ქვეყნის განპობას  
 და მის ნაპრაღი კაცთა მძოვრით უნდა აავსოთ.

**ანტ.** თუ აგრე არის, ვინც ამშლელი იყოს შფოთისა,

აიღე ხელი შენც იმაზედ. ხომ ვერ იქნება  
ორივეს ბრალი თანასწორი იმ ზომამდე, რომ  
აწონ-დაწონვა ვერ შეიძლო შენის გრძობისა.  
წადი, სამგზავროდ მოემზადე, ხალხიც და ხარჯიც  
ვინც ან რამდენიც გასურს, უბრძანე, უკან გაახლონ.  
(გადიან)

## ს უ რ ა თ ი V

იგივე ქალაქი. მეორე ოთახი იმავე სახლში.

(ენობაბბოს და ერას ერთმანეთს შეხედებიან)

ენაბ. რას იტყვი, ჩემო მეგობარო ეროს?

ერას. უცნაური ამბები მოდის.

ენაბ. რა ამბები?

ერ. კეისარს და ლებილოსს კიდევ უომნიათ პომპეოსთან.

ენაბ. ეგ ხომ ძველი ამბავია, მასუკან რა მომხდარა?

ერ. კეისარს ლებილოსი პომპეოსთან ომში ჯერ კი მიუშვე-  
ლია, მაგრამ მერე პანდური ამოუტკრავს და უთქვამს, გა-  
მარჯვებაში წილს ვერ ჩაგიდებ და არც ჩემს ამხანაგად  
მიმაჩნებარო. ეს კიდევ არაფერი, წინაღ ლებილოსს რაღაც  
მიწერ-მოწერა ჰქონია პომპეოსთან, ეს ბრალად აუკრე-  
ფია კეისარს, თითონვე გაუსამართლებია და საპრობილე-  
ში უკრავს თავი. ეხლა საცოდავი ტრიუმფირი ჩამწყვედუ-  
ლია თურმე და ელის, სიკვდილმა მაინც განმათავისუფ-  
ლოსო.

ენაბ. მარტო ორი ყბა დარჩენია მაშ მთელ ქვეყანას  
და სულ რომ იმათ ჩააყაროს, რაც კი საზრდო აქვს,  
არ მოიშლიან მაინც ღრენას ერთმანეთისას.  
სად არის ეხლა ანტონიოს?

ერ. ბალში სეირნობს  
გაცხარებული, ფეხით ისვრის წინ ხის ხმელ შტოებს,

ლებიდოსს ლანძღავს, „სულელიო“ და პომპეოსის  
მკვლელს ოფიცერსა ემუქრება სიკვდილით დასჯას.

ენაბ. ჩვენი გემები მზად არიან?

ერ. ჰო, წასასვლელად  
იტალიაში, რომ კეისარს ბრძოლა დაუწყონ. —  
ის დამავიწყდა მეთქვა შენთვის, სარდალი გიხმობს.  
მერეც შეგეძლო ამბების თქმა.

ენაბ. შესანიშნავს მე  
არაფერს ველი, მაგრამ დეე მოხდეს, რაც ბედს სურს. —  
ანტონიოსთან წამიყვანე.

ერ. აი, წამოდი. (გაღიან).

## ს უ რ ა თ ი VI

რომი. ოთახი კეისრის სასახლეში.

(შეპოდიან კეისარი, აგრაზა და მეტრანს).

კეის. კიდევ ბევრი სხვაც, ამას გარდა მოუქმედნია  
ალექსანდრიას, ჩაუგდია არაფრად რომი, —  
აქ არის ყველა ნაამბობი დაწვრილებითა:  
მოედნის შუა ვერცხლის ტახტზედ დაადგმინეს  
თურმე იმან და კლეოპატრამ ოქროს სელები,  
რაშიაც ჩასხდნენ ხელმწიფეებრ მთელის ხალხის წინ;  
ფეხით დაისვეს კესარიონ, რომელს იგინი  
მამი-ჩემის შვილს უწოდებენ და ნაბუშარნი,  
მათ გარყენილების შტო-ნაყოფად გამოდებულნი.  
ეგვიპტე თურმე დაულოცა, როგორც დედოფალს  
და თან აკურთხა მეფედ მთელის ქვემო-სირიის,  
კვიპროსისა და ლიდიისა.

მეტ. ეგ სულ სახალხოდ?

კეის. იქვე სწორედ იმ მოედანზე, სად ჯარსა სწვრთნიან.  
თავის შვილები მეფედ-მეფედ დასვა მან თურმე:

დიდი მიდია, პართია და სომხეთი მისცა  
ალექსანდრესა, პტოლომეოსს კი კილიკია,  
ფინიკიით და სირიითურთ. თვით კლეოპატრა  
ლმერთის იზიდას სამოსლითა გამოსულიყო,  
რაც არა ერთხელ, როგორც ისმის, უწინაც ექმნა.

შეკ. უნდა ეგ ყველა რომს ეცნობოს.

ჯგზ. უიმისოდაც  
გაბეზრებული არის იგი იმის ურცხვობით  
და ეხლა აპყრის სრულად გულსა.

ქეის. ხალხმა ეს იცის,  
მიღებული აქვს თვით იმისგან საჩივარიცა.

ჯგზ. ეიზედა სჩივის?

ქეის. კეისარზედ. სიცილიაში  
სექსტ პომპეოს რომ დავამარცხე, რატომ კუნძულში  
წილი არ მივეცე; ვითომ გემნი არ დაეუბრუნე,  
მისგან საომრად ნათხოვარნი; ბოლოს იმას სწუხს,  
ლეპიდოს სამთა კავშირით რად გადავაყენე,  
ანუ მარტო მე მის ქონებას რისთვისა ვუფლობ.

ჯგზ. პასუხი უნდა მაგას ყველას.

ქეის. მიცემულია  
პასუხი კიდევ და შიკრიკიც გაგზავნილია.  
ეწერ, რომ შეიქმნა ლეპიდოსი მეტად უწყალო,  
რომ თავის დიადს უფლებასა ავად ხმარობდა  
და ღირსი იყო ადგილიდან გარდაყენების;  
ჩემს შენაძენში მე ეთანხმდები, წილი ჩავუდო  
იმ პირობით კი, რომ მაუფლოს მეც თანაბრად  
სომხეთში და სხვა მისგან ჰყრობილ სამეფოებში.

შეკ. მაგაზედ ის არ დასთანხმდება.

ქეის. მაშინ აღარც მე  
დავეთანხმები.  
(შემოდის აქტავია თავის ამაღლით)

აქტ. კეისარო, ძვირფასო ძმაო,  
ბატონო ჩემო, გაძლევ სალამს.

ქეის. ოჰ, ოქტავია,

არ მეგონა, რომ შენ როდისმე გაგდებულს გნახავ!  
**ექტ.** როგორ გაგდებულს, ეგ საიდან წარმოიდგინე!  
**კეის.** რად მოგვეპარე მაშ ჩუმადა? განა შეჭფერის  
 ანტონიოსის მეუღლეს ეგ და კეისრის დას!  
 უნდა გყოლოდა ლაშკართ რაზმი წინამორბედად  
 და ბენთა კიხინს ემცნო შენი მოახლოვება  
 ბევრით წინადვე; გზაზედ ხეებს კაცი მოესხათ  
 და მოლოდინსა მოთმინება გადასწყდომოდა;  
 უნდა ზეცამდე ასულიყო ხალხთ ფეხის მტვერი  
 და სიყვარული ჯეროვანად გამოგვეჩინა,  
 რადგან, რაც არ სჩანს, არ ყოფილად ჰხადიან ხშირად-  
 უნდა ზღვაზედაც და ხმელეთზედაც მოგგებებოდით,  
 ყოველ ნაბიჯზედ ფიანდაზად წინ გაგვეფინა  
 ახალ-ახალი აღტაცება.

**ექტ.** ბატონო ჩემო,  
 ჩემის ნებით და არა ვისმე ძალდატანებით  
 მოვსულვარ შენთან ამ სახითა. ატონიოსმა,  
 ჩემმა მეუღლემ, სცნო რა შენი ბრძოლად მზადება,  
 ეს სამწუხარო ამბავი მეც შემატყობინა  
 და მე თვით ვთხოვე ნება შენთან გამოიმგზავრების.

**კეის.** მალე დაგრთავდა მაგ ნებასა, რალა თქმა უნდა,  
 რომ მოეშორა ბორკილი მის გარყვნილ ბუნებას.

**ექტ.** ნუ იტყვი მაგას, ნუ, ნუ, ძმაო!

**კეის.** თვალი მიჭირავს  
 ყოველთვის მასზედ და ქარს მოაქვს მისი ამბავი.  
 ეხლა სად არის?

**ექტ.** ათინაში.

**კეის.** სცდები, ძვირფასო,  
 მოტყუებულო უწყალოდა. ის კლეოპატრამ  
 თითის დაქნევით მიითრია და უნამუსოს  
 დაუსაკუთრა მან თვის მთელი საბრძანებელი.  
 ეხლა ომს თურმე აპირობენ; მომხრეებად ჰყავთ  
 ლიბიის მეფე, ბოქოს; მეფე კაპადოკიის



არქელაოსი; ფილადელფოს პარფლაგონელი,  
 თრაკიის მეფე ადალასი; მალქ—არაბეთის;  
 პონტის ხელმწიფე; ებრაელთა მეფე იროდი;  
 მიტრიდატ, მეფე კომაგენის; მიდიელთ მეფე  
 პოლემონიკა და ამინტას ლიკაონელი;  
 კიდევ მრავალი მოკავშირე გვირგვინოსანნი.

**ექტ.** ვაიმე ბედკრულს! ეს გული ორს ძვირფას ქმნილებას,  
 მოპირისპირედ გადაქცეულთ, როგორ გავუყო!

**კეის.** მიხარიათ, რომ აქა გხედავ. მე შენს წერილებს  
 დავუჯერე და ბრძოლად მისთვის არ გამოვედი,  
 მაგრამ ეხლა კი ვხედავ, ურცხვად ვით შეურაცხ-გყვეს  
 და ან რა შიში მოჰყვება მეტს დაგვიანებას.  
 ნურას იწუხებ დრო-ჟამის ცვლას ნუ შეუდრკები,  
 ნუ შეუდრკები განსაცდელსა შენდა მოვლენილს,  
 დეე თვის გზაზედ გაიაროს ბედის-წერამა.  
 უძვირფასესო დაო ჩემო, კეთილი იყოს  
 შენი რომს მოსვლა. შეურაცხ-გყვეს თუმცა უზომოდ,  
 მაღალნი ღმერთნი განგიჩენენ წესს და სამართალს;  
 აღმასრულებლად დაგვნიშვნენ ჩვენ ზ სხვა შენთ ერთგულთ.  
 ნუგეშით იყავ; კვალად ტკბილად მოგესალმებით.

**აგტ.** ნება მიბოძე, თაყვანი გცე.

**მეტ.** კეთილი იყოს  
 შენი აქ მოსვლა. შენ უყვარხარ ყოველ რომაელს  
 და ენანები. მხოლოდ გარყვნილს, ურცხვ ანტონიოსს  
 შეეძლო შენი უარ-ყოფა და გადაცემა  
 თავის ძლიერის უფლებების იმ როსკიპისადმი,  
 რომ ჩვენდა ვნებად, ჩვენდა ბრძოლად აღქურვილიყო.

**ექტ.** ნუ თუ ეგ ყველა მართალია?

**კეის.** სწორედ მართალი.

იყავ მოთმენით, გვედრები უტკბესო დაო.

(გაღიან)

## ს უ რ ა თ ა VII

ანტონიოსის ბანაკი. აქციუმის კონცხის ახლო.

(შემოდინ კლეოპატრა და ენობარბოს)

კლეოპ. მოიცადე და გადაგიხდი.

ენობ. რაო, რასა, რას?

კლეოპ. რასა და იმას, რომ გამიხდი წინააღმდეგი:

არ გეკადრება, მარწმუნებდი, ომში ყოფნაო.

ენობ. მერე კარგია, რომ აქა ხარ?

კლეოპ. ვითომ რა მიწლის,

თუ არ მოწყვებით მითქმა-მოთქმას!

ენობ. (თავისთვის) მაშ მიზეზს გეტყვი:

ულაყები და ჭაკები რომ ერთად მოგვესხა,

მაშინ ყველანი მოსცდებოდნენ, რადგან ჭაკ ცხენებს

უნდა მხედარიც ეზიდნათ და თითო ულაყიც.

კლეოპ. რაებს ბურტყუნებ?

ენობ. ანტონიოსს შენი გვერდს ყოფნა

ხომ დაუხატრავს გზასა და კვალს, დროსაც წაართმევს,

გულს და გონებას დაუსუსტებს ფრიალ საჭიროს

ეხლა იმისთვის. სიმსუბუქეს მისას ჰკიცხავენ

უამისოდაც, აერცვლებენ თურმე რომში ხმას,

რომ ამ ომს ვითომ საქურისი შენი ფოტინოს

და მოახლენი განაგებენ.

კლეოპ. ჩაიქცეს რომი

და დაუდუმდეს ენა, ვინც ჩემს ცუდს ლაპარაკობს.

მე აქ საქმე მაქვს, ჩემის ქვეყნის პატრონი მე ვარ

და მამაკაცის ნაცვლად უნდა ვიმყოფებოდე.

ნულარ გაჰბედავ წინააღმდეგს, ფეხს არ მოვიცვლი.

ენობ. როგორც გენებოს; მე რაც ვთქვი, ვთქვი. აგერ სარდალი

თვით მობრძანდება.

(შემოდინ ანტონიოს და კანდიოს)

**ანტ.** კანიდიოს, ვით დავიჯერო, რომ ასე ჩქარა ტარენტითა და ბრუნდუზიდან იონიის ზღვა გამოველოს და ტორინს მოსულს აელოს იგი.—ეს ამბავი გაიგე, სატრფოვ?

**კლეოპ.** სხვების სისწრაფე უკვირს მხოლოდ თვით უზრუნველსა.

**ანტ.** ეგ საყვედური მარჯვედ მომხვდა! უკეთ გაკიცხვას ვერ შეიძლებდა ვაჟკაციც კი საუკეთესო.— ზღვაზედ ვეომოთ, კანიდიოს?

**კლეოპ.** დილაღს ზღვაზედ.

**კანიდიოს.** ზღვაზედ რისთვისა?

**ანტ.** იმისთვის, რომ ის ასე გვიწვევს.

**ენობ.** ხელ-მარტო ბრძოლად შენც ხომ ერთხელ გამოიწვიე.

**კან.** დიად, ეგ მოხდა ფარსალასთან, სად შეიტაკენ კეისარი და პომპეოსი, მაგრამ უარი მითხრა აკი, რომ არ უჯობდა. შენც ასე ჰქმენი.

**ენობ.** ნაყარ-ნუყარი ხალხი არის შენს ხომალდებზედ, ძალით საზღვაო საქმისათვის მოგროვებულნი, ხელად ნაშოენი გუთნის-დედა, ზოგი მეჯორე; მის გემებზედ კი სხედან თურმე იმისთანანი, რომელთაც ხშირად უომნიათ თვით პომპეოსთან. შენი გემები მძიმე არის, იმისნი მარჯვე და რაკი ხმელზედ საბრძოლველად მომზადებულხარ, ზღვაზედ შეხვედრის უარის-თქმას რად უკადრისობ?

**ანტ.** ზღვაზედ მსურს ომი, ზღვაზედ-მეთქი.

**ენობ.** ბატონო ჩემო, მაგ ვაჟკაცობას ხმელზედ განთქმულს რისთვის აუქმებ, ან რისთვის აცდენ შენს ჯარს ომში გამოწროთობილსა? ფუჟად ატარებ სახელოვანს გამოცდილებას, ანებებ თავსა გზას უეჭველ გამარჯვებისას და სათუო ბეწვს ანდობ აგრე შენს ბედ-იღბალსა.

**ანტ.** ზღვაზედ ვიომებ.

**კლეოპ.** მე სამოცი ისეთი გემი მაქვს, რომ კეისარს უმჯობესი არსად ექნება.

**ანტ.** რაც მეტი არის, დაფწვავ და სხვა გემებს შევავსებ იმათი ხალხით. აქციუმის კონცხთან დავდგებით და იქ შევებრძვით კეისრის გემთ, ჩვენსკენ მომავალთ. თუ ვერას გავხდით, მაშინ ისევ გავალთ ნაპირზედ.—  
(შემოდის შაკრაკა).

რაო, რას იტყვი?

**შაკრა.** რაც მოგხსენდა, მართალი გახლდა, ტორინ კეისარს აულია.

**ანტ.** ვითომ თითონვე იქ ყოფილიყოს! არა, ეგ რა დასაჯერია, უცნაური რამ ძალა უნდა ჰქონდეს მაგისტვის.—  
შენ, კანიდიოს, მბრძანებლობდე ცხრამეტ ლეგიონს და თორმეტ ათასს მხედარს ხმელზედ, მე გემზედ წავალ. ტკბილო თეტიდავ, გავემზავროთ.—  
(შემოდის ერთი ჯანას-კანა).

შენ რალას იტყვი,

ჩემო მამაკო?

**ჯანას-კანა.** უდიდესო სარდალთ-სარდალო, ზღვაზედ ნუ იბრძვი, ნუ ენდობი დამპალ ფიცრებსა. განა ეჭვი გაქვს ამ ხმლის, ანუ ამ კრილობების? დეე ეგვიპტელთ, ფინიკიელთ იჭყუმპალაონ, ჩვენ გამარჯვებას შეჩვეულნი ვართ ფეხ-და-ფეხა დედა-მიწაზედ მკვიდრად მდგარნი.

**ანტ.** კმარა, წავიდეთ.

(გაღიან ანტონიას, კლექოპატრა და ენობარბას)

**ჯანას-კ.** ჰერკულესის მადლს ეფიცავ, მართალს ვეუბნებოდი.

**კანად.** ოღონდაც მართალს, მაგრამ ჰხედავ, ანტონიოსი სხვების რჩევასა აპყოლია, სხვის ჭკვაზედ დადის და ჩვენც ჩვენს სარდალად დედაკაცი უნდა ვიგულოთ.

**ჯანა-კ.** ლეგიონები და მხედრობა მთლად ერთიანად უნდა ხმელზედ შენს მბრძანებლობის ქვეშ იყვნენ, განა?

**კანად.** ზღვის საქმე მარკოს ოქტავიოსს, მარკ იუსტეოსს, პუბლიკელოსა და ცელიოსს აქვს მინდობილი,

ხმელზედ კი მარტო მე განვაგებ. კიდევ არ მჯერა  
კეისრის მოსვლა ამ სისწრაფით.

ჯარ.-კ. მერე ვიდრემდე  
რომში მჯდარიყო, იმის ჯარი თავს წამოგვადგა,  
ნავალი ისეთ მრუდე გზითა, რომ ჩვენს მზევრავებს  
ვერა ეგრძნოთ-რა მის ასავალ-დასავალისა.

კანად. ვინ ჰყავს, თუ იცი, თანაშემწედ?

ჯარ.-კ. ვილაც ტავროსი.

კანად. ვიცნობ მას კარვად.

(შემოდის შიკრაკია)

შიკრ. კანიდიოსს უხმობს სარდალი.

კანად. დრო ახალ ამბებს ყოველს წუთში ახალ-ახალს შობს.  
(გადიან)

ს ს ს ს ს ს ს ს ს ს

ს უ რ ა თ ა VIII

ს ს შ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
ე რ ო ვ ე უ ლ ი  
ბ ი ბ ლ ი ო თ ე ა

ვაკე ადგილი აქციუმის ახლა.

(შემოდინან კეისარა, ტავროს, ოფიცრები და სხვანი)

კეისარა. ტავროს!

ტავროს. ბატონო?

კეის. ჯერ ხმელეთზედ ომს ნუ გაჰმართავ.  
ფეხ-მოუცვლელად იდეგ, ბრძოლის მიზეზს ნუ მისცემ,  
ვიდრე ზღვაზედ არ გავათაყებთ. რაც აქ სწერია,  
მას ნუ გადახვალ, ჩვენი სვე ამ საქმეს ჰკილია. (გადიან)

ს უ რ ა თ ა IX

სხვა მხარე ამავე ვაკე ადგილას.

(შემოდინან ანტონიას და ენობარბოს)



ანტ. ჩვენი მხედრობა დაეაყენოთ აი იმ სერზედ



კეისრის ჯარის პირდაპირა. იქიდან ვნახავთ  
მათ ხომალდთა რიცხვს და მოვიქცეთ ჩვენც შესაფერად-  
(გადიან)

### ს უ რ ა თ ა X

კიდევ სხვა მხარე იმავე ვაკე ადგილისა.

(**ქანიდიას** თავის ხმელეთის **ჯანით** გაივლის. მეორე გზით  
გაივლის **ტაგრას**, კეისრის თანაშემწე თავის **ჯანით**. ისმის ზღვა-  
ზედ—ბრძოლის ხმაურობა. **ენობანბოს** შემოვარდება).

**ენობ.** ოჰ, ჩემს მოსწრებას, ვაი, ვაი, ველარ აეიტან!  
ანტონიადამ, ეგვიპტელთა მთავარმა გემმა  
ზურგი უბრუნა და მას გაჰყვა სამოცი ერთად.  
თვალთ მიბნელებდა ამის მნახავს.

(შემოდის **სკარას**).

**სკარას.**

ოჰ, ზეცის ძალნო,

შემოკრებილნო ერთად ღმერთნო!

**ენობ.**

შენ რაღას ვაებ?

**სკარ.**

დაიღუბა მთლად ნახევარი ცის-ქვეშეთისა  
ადამიანის უჭკუობით. ქალის კოცნაში  
გავცვალეთ ვრცელნი თემ-მაზრანი, სახელმწიფოანი.

**ენობ.**

რა ამბავს იტყვი ბრძოლისასა?

**სკარ.**

რაღა რა ამბავს!

სიკვდილი გვმუსრავს, თითქო იყოს მძვინვარე ქირი;  
შუა ბრძოლაში, როს გვწყალობდა ბედი ჩვენ უფრო,  
ვიდრე იმათა, უნამუსო ეგვიპტის ბოშამ,—  
კეთრმა შესჰამოს, დაჰხრას იგი—იმ ბაიყუშმა  
ააშვებინა იალქნები, ფიცხლად მოჰკურცხლა,  
ვით ბუზ-ნაკბენმა ძროხამ ცხელის თიბათვის დღეში.

**ენობ.**

ეგ მეცა ენახე, ველარ შევძელ მეტი ყურება,  
თვალთ დამიბნელდა და მოვშორდი.

**სკარ.**

ის რომ გაიქცა,

ანტონიოსმა, დიდებულმა ნანგრევმა, მსხვერპლმა  
მის თილისმისამ, იალქნების ფრთა ფრთას შემოჰკრა,  
თავი ანება ცხარე ბრძოლას და ვით მამალი  
ახურებული იხვი, უკან გამოეკიდა;  
არ მოვსწრებივარ ესეთ სირცხვილს: გამოცდილებას,  
პატიოსნებას, ვაჟკაცობას ჯერედ არას დროს  
თავიანთთვისვე ასე არსად უღალატნიათ.

ენობ. ვაი, ჩვენს იღბალს!

(შემოდის კანიდიას).

კანიად. ზღვაზედ ბელმა მწარედ გვიმტყუნა  
და მის უფსკრულში ვიღუბებით. ოჰ, ჩვენს სარდალს რომ  
არ დაეკარგნა თვისი სახე, კიდევ შევძლებდით  
მოტრიალებას ბედ-იღბლისას, მაგრამ გაიქცა  
და თავის სახიზლ მაგალითით ჩვენც გავვიტაცა.

ენობ. შენც მაგას ამბობ? მაშ საშველი აღარსად არის.

კანიად. პელოპონეზის მხარესაკენ გარდახვეწილან.

სკატ. იქ ადვილია მისვლა, წაეღო და ველოდები,  
თუ რას მოიტანს დრო და ჟამი.

კანიად. მე კი კეისარს  
დავეუმორჩილებ ჩემთ ლეგიონთ და მხედრობასა;  
ამის გზა ერთად გამიკვლია ექვსმა ხელმწიფემ.

ენობ. ანტონიოსის მიმქრალ ვარსკვლას ვერ ვუღალატებ  
ჯერედ მე კიდევ, თუმც გონება სულ სხვას ჩამჩხავის.

(გაღიან)

## ს უ რ ა თ ი XI

ალექსანდრია. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდის ანტონიოს და მსჯელებანი)

ანტ. გესმისთ თუ არა, დედამიწა მიწლის მასზედ სეღას,  
რცხვენთან, მზიდოს.—მეგობრებო, მოდით აქ ჩემთან;

ამ ქვეყნად ყოფნა მეტის-მეტად მომიგვიანდა  
 და აკი სრულად დამეზნა გზა.—გემი მაქვს ერთი,  
 ოქროთი არის დატვირთული, გქონდეთ იგი თქვენ,  
 განაწილეთ ერთმანეთში და გაიქეცით.  
 კეისრისაგან მოელოდეთ ეხლა სიკეთეს.

ქველანი. ბატონო, ფეხსაც არ მოვიცვლით.  
 ანტ.

თვით გამოვიქეც,

თვით მე ვასწავლე ლაჩართ მტრისკენ ზურგის ჩვენება.  
 წა, წადით-მეთქი, მეგობრებო, მე ავირჩიე  
 ისეთი გზა, რომ თქვენ საჭირო არ მეყოლებით.  
 წადით, წადით ის საუნჯე ნავთსაყუდლიდან.  
 ოჰ, გავყევ იმას, ვისაც, მრცხვენის, კიდევ შევხედო!  
 თმა ამებურძენა, ერთმანერთზედ ბეწვნი ჩივიან,  
 ქალარები შავთ აჩქარებას საყვედურობენ,  
 შავნი ქალარებს—სიმბდალესა და სიმსუნაგეს.  
 წადით, გაგატანთ თან წერილებს ჩემს მეგობრებთან,  
 რომ კეისართან გზა გაჩვენონ და დაგებმარონ.  
 აგრე მწუხარედ რაღა დგახართ? გთხოვთ, გამიგონოთ,  
 ისმინეთ იგი, რასაც გირჩევთ განწირულებით  
 და ვინც ხელს იღებს თავის თავზედ, თქვენც მიანებეთ.  
 ზღვის პირისაკენ წადით ეხლავ და ჩაიბარეთ  
 ის გემიცა და ის საუნჯეც. გთხოვთ, პატარა ხანს  
 მარტო დამტოვოთ, დიად, გთხოვთ, გთხოვთ რადგან უფლევ-  
 მე ბრძანებისა აღარა მაქვს. მეც ეხლავ მოვალ. [ბა

(ჩამოჯდება.—ქარმიანასა და ირასს კლემატრა მოჰყავთ,  
 ერას უკან მოსდევს).

ერას. მიდი და რითმე ანუგეშე, გთხოვ, დედოფალო.

ირას. მიდი, ძვირფასო ქალბატონო.

ქარმ. რაღას უყურებ?

კლემა. ჯერ დამსვით. ოჰ, ოჰ, იუნონა!

ანტ. ოჰ, არა, არა,

არა და არა!

ერ. ერთხელ მაინც მოავლე თვალი.



ანტ. ოჰ, ფუი, ფუი!

ქარმ. დედოფალო!

ირას. ბატონო ჩემო!

კრ. ჩემო ხელმწიფე!

ანტ. ხელმწიფეო! დიაღაც ვიყავ.

მას თავის ხმალი ფილიპისთან ისე ეჭირა,  
როგორც მოცეკვარ მასხარასა. მე და მხოლოდ მე  
მოვეუღე ბოლო ხმელ კასიოსს სახე-დაქმუქვნილს  
და ბრუტოსს თავზედ ხეო-აღებულს. მაგას ბრძოლისა,  
სიმამაცისა რა ესმოდა! ხელქვეითებზედ  
იყო სრულიად დანდობილი. ეხლა სხვაა, ეჰ!  
რაც მოხდა, მოხდა.

კლეოპ. ოჰ, მიშველეთ!

კრ. დედოფალი,

ბატონო ჩემო, დედოფალი.

ირას. მიდი, უთხარ რამ,  
ლამის სირცხვილმა გადიტანოს.

კლეოპ. კარგი, მივალ. ოჰ,  
ხელი, მიშველეთ!

კრ. ადექ ზეზე, ჩემო ხელმწიფე;  
თვით დედოფალი მობრძანდება; მიწუხარედ არის  
სიკვდილის პირზედ მიწურული; გამობრუნება  
მხოლოდ შენს ნუგეშს შეუძლიან.

ანტ. გამოვიქეცი

უსირცხვილოდა, საუკუნოდ ლაფი გადვისხი.

კრ. დედოფალი სდგას შენს წინაშე.

ანტ. ეს რა მიყავი

შენ, ეგვიპტელო, სირცხვილით თვალთ ველარ გიშტერებ  
და უკანაც რომ ვიყურები, იმასვე ვხედავ,  
განადგურებულს ჩემს ღირსებას!

კლეოპ. ბატონო ჩემო,

შეუნდე ჩემს მხალ იალქნებსა. ასე მეგონა, რომ  
გამოჰყვებოდი შენც მათ უკან.

ანტ. მაშ, ეგვიპტელო,

არ იცოდი, რომ სიმთ გრეხილით მიბმული იყო  
 ეს გული შენის გემის ბოლოს და რა წახვედი,  
 თან წამითრევდი მცე უთუოდ. იცი ეს კარგად,  
 ჩემს სულს მთლად უფლობ და თვით ძლიერ ღმერთთა ბრძა-  
 არად ჩავაგდებ, თუ კი ოდნავ სხვა გზას მანიშნებ. [ნებას

კლეოპ. ოჰ, მაპატივე.

ანტ.

ეხლა უნდა მე იმ ლაწირაკს  
 ქედ-მოდრეკილმა ნოწიწებით ზავი მოვთხოვო,  
 ფეხ-ქვეშ მორჩილად გავეფინო, მე, ვინც სამყაროს  
 მთელს ნახევარსა ჩემს ნებაზედ ვატრიალებდი,  
 ზოგს ვაშენებდი, ზოგს ვლუპავდი, კარგად იცოდი,  
 შენი ტყვე ვიყავ, რომ ეს ხმალი, ღონემიხდილი  
 შენის ტრფიალით, გამორჩილებდა ყველგან, ყოველ-ქამს.

კლეოპ. შებრალებას გთხოვ.

ანტ.

ცრემლს ნუ აბნევ, თითო მათგანი  
 იყიდ-გაპყიდის გამარჯვებას, თუ დამარცხებას.  
 მაკოცე ერთი, მთელს დანაკარგს ეგ დამიბრუნებს.  
 მასწავლებელი კეისართან გავგზავნეთ ჩვენი,  
 ჯერ არ დაბრუნდა? — საყვარელო, გულს ლოდი მაწევს. —  
 აბა, ღვინო და საქმელები! — იცოდეს ბელმა,  
 რაც მეტად გეჩაგრავს, მით უფრო მას არაფრად ვაგდებთ.  
 (გადიან)

## ს უ რ ა თ ი XII

კეისრის ბანაკი ეგვიპტეში.

(შემოდინ კეისარი, დოღაბუჯა, თირქუას და სხვანი)

კეის. ანტონიოსის მოგზავნილი აქ გამოცხადდეს.

არავინ იცნობთ, რომელია?

დოღაბუჯა.

მასწავლებელი

გახლავს, ხელმწიფევე, მის შვილებს. ეტყობა მეტად

გაპენტილია, თუ კი თავის ღონიერ ფრთებში  
მაგ ბურტყლის მეტი ვერ იბოვნა; ამას წინად კი  
თვითონ მეფენი შიკრიკებად მას მსახურებდნენ.

(შემოდის ეგფრანოას)

კეის. აქ ახლო მოდი, სთქვი, რა გინდა.

ეგფრ. თუმცა ვარ მცირე,

ანტონიოსის შენს წინაშე მოგზავნილი ვარ.

ჯერედ არ არის დიდი ხანი მას აქეთ, როცა

ისე არაფრად ვჩანდი იმის ფიქრს და წადილთან,

როგორც დიდ ზღვასთან დილის ცვარი დაფნის ფოთოლზე.

კეის. ეგ, ვთქვათ, აგრეა, ახლა, რა გსურს, შემატყობინე.

ეგფრ. იგი თავს იხრის შენს წინაშე ვით მეუფესთან

და ეგვიპტეში გთხოვს ამყოფო; თუ არ ისურვებ,

ისიც ფრთებს აკვეცს თავის სურვილს და ამის ნებას

ითხოვს მხოლოდ, რომ დედანიწის და ზეცის შუა

შეექლოს სუნთქვა, ათინაში იცხოვროს ისე,

როგორც სრულიად კერძო კაცმა. მარტო ეს არის

ანტონიოსის სათხოვარი. რაც შეეხება

კლემენტასა, შენს დიდებულ ზვედრის წინაშე

თაყვანის-ცემით წარმოსდგება და ამას გვედრის,

იმის მემკვიდრეთ დაუმტკიცო პტოლომეოსთა

საბრძანებელი, რაც გაკუთვნა ბრწყინვალე ბედმა.

კეის. ანტონიოსის სათხოვარს მე ყურს არ ვათხოვებ,

დედოფალს სურვილს შევეუსრულებ, თვით ვინახულებ,

თუ ეგვიპტიდან გაპდენის თვის ბედშავ მეგობარს,

ან თუ სიცოცხლეს მოუსწრაფებს. ჩემი პირობა

აი ეს არის; შეასრულებს და მეც შეევუსმენ.

ორივეს სწორედ ასე უთხარ.

ეგფრ. ყველგან ყოველთვის

ბედი გწყალობდეს.

კეის. გაატარეთ ჯარის რაზმთ შორის.—

(ეგფრანოას გადის).

(თირეოსს) ეხლა დაუდგა გამოცდის დრო მქვერმეტყველებას

შენსას, თირეოს. დაფაცურდი და კლეობატრა  
 სცადე გაჰყარო ანტონიოსს. ჩვენის სახელით  
 აღუთქვი ყველა, რასაც ითხოვს და წაუშატე,  
 რაც მოგაგონდეს, დანახო, რაიც საჭიროდ.  
 კარგ ბედში მყოფნი დედაკაცნიც სუსტნი არიან  
 და უბედობას ვერ გაუძლებს ხომ თვით უმწიკვლო  
 ვესტას მხევალი. მოიხმარე ყოველი ღონე  
 და ჯილდოდ თვითვე შეიდგინე საჩუქართ სია;  
 ჩვენ დავამტკიცებთ, როგორც კანონს.

**თარეოს.** მე მზა გახლავარ.

**კეის.** ნახე, ვით იტანს ანტონიოს თვის მოწარე ბედს,  
 ყოფა-ქცევაზედ შეატყე, თუ აწ რას აპირობს.

**თარ.** ბატონო ჩემო, გიახლები აღსასრულებლად.

(გაღიან).

### ს უ რ ა თ ი XIII

ალექსანდრია. ოთახი კლეობატრას სასახლეში.

(შემოდინან **კლეობატრა, ენობარბოს, ქარძიანა და ირას**).

**კლეობ.** რა ვქნათ, ენობარბ?

**ენობ.** სიკვდილისთვის უნდა ვიზრუნოთ.

**კლეობ.** ჩემი ბრალია ეს, თუ უფრო ანტონიოსის?

**ენობ.** რაღა თქმა უნდა, რომ იმისი: ჭკუა-გონება  
 დაუმორჩილა ვნებათ-ღელვას. ესთქვათ, შენ ვერ გასძელ,  
 ვეღარ დაუდექ პირის-პირად იმ ძლიერს ომსა,  
 როცა ვაჟაკნიც ერთმანეთის შიშითა თრთოდნენ,  
 მას რაღა მიაბენინებდა? რად გაიტაცა  
 იმის განთქმული სიმამაცე ტრფობის ხურუშმა?  
 და მერე როდის, როს ქვეყანა გაიყო ორად  
 და საცილობელ ბრძოლის საგნად ის თითონ იყო.  
 დანაკარგს კიდევ გავუძლებდით, მაგრამ სირცხვილი

უარესია, სირცხვილი რომ გაქცეულ გემებს  
 გაჰყვა ის შენსას თავის შემკრთალ ხომალდთ წინაშე.

კლეოპ. კარგი, გეყოფა.

(შემოდინან ანტონიას და კეფონიას)

ანტ. მაშეგ არის იმის პასუხი?

კეფონ. დიად, ბატონო.

ანტ. აღუსრულებს ყველას დედოფალს,  
 თუ კი მე გამცემს?

კეფონ. აგრე ამბობს.

ანტ. თვით მას აცნობე,  
 ძღვნად გაუგზავნე იმ ლაწირაკს აი ეს თავი  
 ძალზედ ქალარა შერეული და სამაგიეროდ  
 სამეფოებით აავსებს შენს სურვილთ ფიალას.

კლეოპ. რაო, რას ამბობ, შენი თავი?

ანტ. მასთანვე წადი,

უთხარ ჯერ ვარდი სიკაბუჯის ზედ დაგყავის-თქო  
 და შენგან ელის ეს ქვეყანა განსაკუთრებულს  
 საოცარს რასმე. ეს გემები, ჯარი, საუნჯე  
 მხდალს ეკუთვნოდნენ, შესაძლოა; ეგ ხელქვეითნი  
 ქვეყნის გამგენი ბავშვისთვისაც ისე იზრუნვენ,  
 როგორც ზრუნავენ აწ კეისრის დიდებისთვის-თქო.  
 მე ვითხოვ ყველა, რაც მეტი აქვს, გვერდზედ გადასდოს  
 და შემებრძოლოს წლოვანებით თავქვე დაშვებულს  
 მარტოდ ხმალ და ხმალ. ასე მივწერ სწორედ, წამომყე.

(ანტონიას და კეფონიას გადიან)

ენკ. (თავისთვის) ჰო, როგორ არა, ბედის ჩარხის წვეროზედ მყოფი  
 კეისარი აწ გვერდს მიაგდებს თვის ბედნიერს სვეს  
 და უბრალო ბრბოს ვასართობად გაგიმკლავდება!  
 ადამიანის ქკუაც თურმე იღბალს კუდად სდევს,  
 უბედურება რამ გარეშე გონებას უხშობს  
 და სატანჯველსა იერიში ორივე მხრით მიაქვს.  
 რამ მოაფიქრა, ან თუნდ სიზმრად ვით მოეჩვენა,  
 რომ კეისარი, ყოველისფრით უხვად აღსავეს,

შემოსთვის რასმე გამოფუყულ ანტონიოსთან.

სჩანს, კეისარო, დაგიპყრია ამის გონებაც.

(მხლებელი შემოდის)

**მხლებელი.** შიკრიკი გახლავს კეისარისგან.

**კლეოპ.**

ალარც კი დასდევთ

დაწესებულს რიგს?—ნახეთ ერთი, მხეველნო ჩემნო, დამქნარ ვარდის წინ ცხვირს იცობენ თითონ იგინი, რომელნიც კოკორს გულ-მოდგინედ მუხლებს უდრეკდენ. წარმომიდგინეთ ის შიკრიკი.

(მხლებელი გადის)

**ენაბ.** (თავისთვის)

პატრონებას

ჩემსას აწ ვებრძვი მე თითონვე. ვინც უერთგულებს ქვე-გამოლღეულს, დაამტკიცებს თვის სისულელეს, მაგრამ ვინც პატრონს ქვე-დამზობილს არ უღალატებს, მით თვის პატრონის დამმარცხებელს ამარცხებს თითქო და მოიპოვებს უკვდავს სახელს ისტორიაში.

(შემოდის თარქვას).

**კლეოპ.** რა სურს კეისარს?

**თარ.**

ცალკე სადმე გთხოვ, მოისმინო.

**კლეოპ.** მხოლოდ მეგობართ ჰხედავ შენ აქ, სთქვი თამამადა.

**თარ.** ანტონიოსსაც მეგობრებად რომ მოხედებოდნენ?

**ენაბ.** რაც კეისარს ჰყავს მეგობრები, ანტონიოსსაც

იმდენი უნდა ჰყავდეს, თორემ ჩვენ რას გავხდებით.

თუ კეისარს სურს, გაუხდება იგი მეგობრად

და ჩვენც ყველანი ვუერთგულებთ; ვისიც ის არის,

ჩვენც მთლად იმისნი უნდა ვიყოთ.

**თარ.**

ეგ მეყურება,

მაგრამა აი, დედოფალო სახელოვანო,

რას ითხოვს შენგან კეისარი: დაივიწყეო,

რა ყოფაშიაც ამ ჟამად ხარ და მე მომმართე,

როგორც კეისარს.

**კლეოპ.**

მეფის სიტყვას უდრის ეგ სიტყვა.

მერე, განაგრძე.

**თარ.**

იცის კარგად, რომ ანტონიოსს

შიშით ეტრფოდი, არა ნამდვილ სიყვარულითა.

კლეოპ. ოჰ!

თარ. და შემწიკვლულს შენს სახელს ის გულით იცოდებს,  
ვით ჩირქ-მოცხებულს სხვების ძალა-დატანებითა.

კლეოპ. იკი ღმერთია და ღმერთივით სჭრის სამართალსა:  
დამიმორჩილეს მართლაც ძალით და არა ნებით.

ენაბ (თავისთვის) ანტონიოსს თუ არა ვკითხე ეს, არ იქნება.  
ბატონო ჩემო, შენს გემს ევანავს ყოველის მხრიდან,  
უნდა გაგწიროთ დასაღუპად, შეტი რა გზავ;  
აღარ დაგინდო, აგერ, ჰხედავ, თვით გულის სატრფომ.  
(ვადის).

თარ. რა მოვახსენო კეისარსა? ოღონდა ბრძანე,  
რასაც ინატრებ, დამერწმუნე, არას დაგიჭერს;  
იამება, რომ დაემყარო იმის ბედ-იღბალს,  
როგორც ყავარჯენს, მაგრამ უფრო იამებოდა,  
ეს მომეხსენა, ანტონიოსს ანებე თავი  
და მიენდე მას, ცის ქვეშეთის ერთად-ერთს უფალს.

კლეოპ. შენი სახელი მსურს შევიტყო.

თარ. თირეოს მქვიან.

კლეოპ. ეს მოახსენე შენ, თირეოს, დიდ კეისარსა,  
რომ შორიდანვე იმის ხელსა ვეამბორები,  
ამ გვირგვინს იმის ფეხითთ დავდებ, წინ დავუჩოქებ  
და ეგვიპტის ბედს მოვისმენ მის დიდებულ ბავით.

თარ. ეგ ქცევა სწორედ დიდებულთა საკადრისია.  
როცა გონება იღბალს ებრძვის, თვის ძალას იჩენს,  
ვეღარა საფრთხე ვერას უზამს, ნება მიბოძე,  
რომ მოწიწებით ხელს გემთხვიო.

კლეოპ. თქვენის კეისრის  
მამასაც ხშირად, როს ჰფიქრობდა ქვეყნის დაპყრობას,  
დაუკონია თვის ტუჩები ამ უღირსს ხელზედ.  
და კოცნა კოცნას მოჰყოლია.

(შემოდიან ანტონიოს და ენობაბოს)

ანტ. ამას რას ვხედავ!

ვალერსება ვილაც მონას. ოჰ, ზეცის ძალნო!  
 მითხარ, ვინა ხარ, საზაზლარო.

**თარ.** აღმსრულებელი  
 უძლიერესის უფლის ნების, რომლის სიტყვასაც  
 ყველა მოისმენს მოწიწებით.

**ენაბ.** (თავისთვის) გეტყობა, ზურგი  
 აგქავებია.

**ანტ.** ეი, მოდით.—ოჰ, შე ქილ-ყვაო.—  
 დასწყევლოთ ღმერთმა და ეშმაკმა! ჩემი უფლება  
 სრულიად გადნა: უწინ, როცა მსახურთ ვუხმობდი,  
 მეფენი ფრცხლად ბავშვებივით მოიჭრებოდნენ  
 და ჰკითხულობდნენ, თუ რა მსურდა.—არ გეყურებათ!  
 ანტონიოს ვარ ჯერედ, ვგონებ.—

(შემოდინან მხლებელნი)

აი ეს წუწკი

გაიყვანეთ და ჯოხით სცემეთ.

**ენაბ.** (თავისთვის) ისა სჯობია,  
 ლეკვს ეთამაშო, ვიდრე ბებერს, სულთ-მობრძავ ლომსა-

**ანტ.** მზეო და მთვარევ!—სცემეთ-მეთქი.—აბა გაჰბედონ  
 თუნდ ოცმა ერთად უძლიერესთ ხარჯის-მიმცემთა  
 კეისრისადმი და შეეხონ მის ხელს... რა ჰქვიან...  
 კლეოპატრას რომ უწოდებდნენ!—იმდენი სცემეთ,  
 ვიდრე ბავშვივით პირისახე არ დაემანჭოს,  
 არ მოითხოვოს შეწყალება მაღალი ხმითა.  
 გა, გაიყვანეთ.

**თარ.** ანტონიოს....

**ანტ.** ჯერ გაათრიეთ,  
 კარგად მისტყიპეთ და ნაცემი მომგვარეთ უკან;  
 თვის მასხარამვე დიდ კეისარს, დეე, მიართვას  
 ჩვენი წერილი.—

(მხლებელთ თიბკოს გაჰყავთ)

რომ გაგიცან, მიმჰკნარი იყავ;  
 ოჰ, განა მისთვის სარეცელი დაეტოვე რომში  
 ხელ-შეუხები, განვეშორე უძვირფასეს ქალს,



შვილიერება უარ-ვეყავი კანონიერი,  
 რომ ამ მსუნავს და მატყუარას კიდევ შევეყოლი!

კლეოპ. ბატონო ჩემო!

ანტ. შენ გარყვნილი იყავი მუდამ,  
 მაგრამ როდესაც ბიწს ვეძლევი თავით ფეხამდე,—  
 ჰოი ვაებავ! ზეცის ძალნი თვალთ გვიზნელებენ,  
 ნათელ გონებას ქუჩყში ვიღრჩობთ, ვნებათ ვაღმერთებთ  
 და თან ვიცინით, თან დალუბვად მივისწრაფებით.

კლეოპ. ოჰ, ესეც მესმის?!

ანტ. მიცვალებულ კეისრის თეფშზედ  
 მონარჩუნებულს შეგხვდი პირველ. ან ეს კიდევ რა!  
 პომპეოსიც ხომ დაგიტკბია ვნებათა ღელვით.  
 ვინ მოსთვლის სხვებსა, სხვა საათებს გარყვნილებაში  
 გატარებულთა და გამქრალთა ხალხის ხსოვნიდან.  
 ზომიერება თუ რას ჰქვიან, იქნება იცი,  
 მაგრამ გამოცდით შენს ღღეში არ გამოგვიცდია.

კლეოპ. რად ლაპარაკობ მავაებსა?

ანტ. ვილაცა ბრიყვი,  
 მოწყალეებისთვის მოწიწებით ხელის გამწოდი  
 როგორ მიუშვი შენ მაგ ხელთან, მაგ ჩემ ნუგეშთან,  
 რაიც ხელმწიფურს, დიად ზრახვებს გულს მიღვიძებდა.  
 ბაზანის მთებზედ უნდა ვიდგე, ჩემის ბლავილით  
 ძროხების ჯოგი ჩავაჩუმო, მიზეზიცა მაქვს,  
 თორემ სიტყვით თუ მოვყევ ჩივილს, მას ეგვანება,  
 განმზადებული სასიკვდილოდ ჯალათს მადლიდეს,  
 რომ თოკი მარჯვედ წაუჭირა.—

(მსჯეულთ თიროსს შემოჰყავთ).

კარგად დაზილეთ?

1 მსჯე. დიად, ბატონო.

ანტ. არ ჰყვიროდა, შემობრალეთო?

1 მსჯე. დიად, ითხოვდა შეწყალებას.

ანტ. თუ მამა-შენი

ცოცხალი არის, შეანანე, ქალად არ შეგქმნა;

ან გამარჯვებულს კეისარს რად ასდევნებიხარ,  
 თუ ამ დევნისთვის ცემა გელის. დღეის იქითა  
 ქალის ფაფუკ ხელს როცა ნახავ, აცახცახდები,  
 გაგაჟრჟოლებს, ვით ციებიანს. წადი, იახელ  
 ისევ კეისარს, ჯერ უამბე, როგორ მიგიღე  
 და მერე უთხარ, გულმოსული რისთვის ვარ მასზედ:  
 იგი ამაცობს, გულ-ზვაფობს და ის ახსოვს მხოლოდ,  
 რაცა ვარ ეხლა, რაც ვიყავი, გადაავიწყდა.  
 მაჯავრებს-მეთქი, იცის ეხლა ეს ადვილია,  
 როცა ვარსკვლავმა წინამძღოლმა ჩემის ბედისამ  
 ჩვეულებრივს გზას უღალატა და აწ მიიღტვის,  
 რომ ჯოჯოხეთის მწყვდიადითა შუქი გაიქროს.  
 თუ დამიწუნა ლაბარაკი, ან ის, რაცა ვქმენ,  
 უთხარ, მას ახლავს ჰიპარქოს, ტყვედ ჩემთან ნამყოფი,  
 გალახოს იგი, თუნდ აწამოს, თუნდა დაახრჩოს  
 და გამიქვითოს საქციელი; შენც ესევ სთხოვე.  
 გა, დაიკარგე, გაითრიე ეგ ჭრელი ზურგი!

(თარგმანს გადის)

კლეოპ. ვერ მორჩი კიდე?

ანტ. ჩაჰქრა ჩემი ბედის ვარსკვლავი  
 და ეს უქადის ქვე დამზობას ანტონიოსსაც.

კლეოპ. მოვიცდი, ვიდრე დამშვიდდები.

ანტ. ოლონდ კეისარს  
 აამო რითმე, მზა ხარ თვალი თვალს გაუყარო  
 მის ფეხ-საცმელთა თასმის შემკვრელს.

კლეოპ. ჯერ მე არ მიცნობ.

ანტ. მე კი გულ-ცივად მეკიდები.

კლეოპ. ჩემო ძვირფასო,  
 თუ მართალია, რასაც ამბობ, ეს ცივი გული  
 დაშხამულ სეტყვად გარდაიქცეს, პირველს მე მომხვდეს,  
 სიკვდილის ჟამი მომისწრაფოს, მერე მომაკლოს  
 კესარიონი, სათითაოდ ამომიწყვიტოს  
 შეილნიც და ყველა ეგვიპტელნიც; და რომ გადილებს

ღვთის-რისხვა ავდარს უსაფლოოდ ეყარნენ გვამნი,  
 ვიდრე ნილოსის კოლო-ბუზნი მთლად არ დაღრღნიან.

ანტ. ჩემთვის ეგ კმარა. კეისარი ალექსანდრიის

კედლებთანა დგას ბანაკადა და იქ შევებობვი.  
 ხმელეთის ჯარი ჩვენი მტკიცედ დაუდგა მტერსა,  
 მიმობნეული ხომალდებიც ერთად შეყრილან  
 და შუა არიან სამამაცო საქმეებისთვის.

რა დაგემართა, გულო ჩემო!—არ გესმის, ქალო,  
 თუ კი დავბრუნდი ერთხელ კიდევ საომარ ველად  
 და დაგეკონე მაგ ტუჩებზედ, სისხლში ვიქნები  
 მთლად ამოსერილი. იმედია, მე და ეს ხმალი  
 გავითქვამთ სახელს საუკუნოს.

კლეოპ. აწ ისევ შენ ხარ,  
 ჩემო მამაცო.

ანტ. ერთი სამად გადვიქცევ სიმზნეს  
 და მტერს შევეუტევ გულ-მოსული სამკეცი რისხვით.  
 როს ბედნიერი, მხიარული ვიყავ, სიცოცხლეს  
 ერთ ხუმრობაში ვაჩუქებდი დამარცხებულ მტერს,  
 ეხლა კი ჩემის კბილით დავგლეჯ და ცოცხლივ ჩავეფლავ,  
 ვინც წინააღმდეგს გამიბედავს.—წამოდი სატრფოვ,  
 მხიარულებით გავატაროთ კვლავ ერთი დამე.—  
 უხმეთ მწუხარედ ჩემ ხელ-ქვეით, მოიტათ ღვინო,  
 გავერთოთ სმითა, თუნდ მოგვისწროს შუალამემაც.

კლეოპ. დაბადების დღე არის ჩემი დღეს და ვფიქრობდი,  
 რომ სიჩუმითა გამეტარა, მაგრამ რადგანაც  
 ანტონიოსობს ანტონიოს კვლავინდებურად,  
 მეც კლეოპატრა მინდა ვიყო.

ანტ. დატრიალდება  
 ყველა კეთილად.

კლეოპ. უხმეთ ჩქარა ჩემს მეუფესთან  
 მის სახელოვან ხელ-ქვეითთა.

ანტ. ჰო, აგრე ჰქმენით.  
 სიტყვით მივმართავ და ამაღამ იმდენს ვასმევ, რომ

მათ ქრილობებში გამოქეანოს წვეთ-წვეთად ღვინომ.  
 აბა, წავიდეთ. დედოფალო, ჯერ მაგრადა ვარ,  
 ვიბრძოლებ ისე, ჩემზედ თვალი თვით სიკვდილს დარჩეს,  
 რაკი დაგესლილს მის ცელს არც კი შევეპოები.

(ქობაზრობისას გარდა ყველანი გადიან).

ქნაბ. მეხთა ისრების ძალას ტყვილად შებრძოლებია.

ეგ გაცოფება უფრო შიშის ნაყოფი არის  
 და მაგ სახით ხომ არწივს მტრედიც კამათს გაუწევს.  
 არა, მე ვხედავ, მოსტყმია თუმც სარდალს გული,  
 მაგრამ მის ნაცვლად გონება კი გამოლევია.  
 სიმამაცე თუ ღრღნის ჭკუასა და მით საზრდოობს,  
 ხმალსაც იგივე ბოლო ელის. არა, დრო არის,  
 მოვიმიზნებო რამ, წავიდე, შორს გავეცალო. (გადის).

## მეოთხე მოქმედება

### ს უ რ ა თ ი I

კეისრის ბანაკი ალექსანდრიას ახლო.

(შემოდის კეისარი წერილის კითხვით; აგრეთვე აგრძობა, მეტონას და სხვანი).

კეის. მე ბავშვს მიწოდებს, ილანძღება, თითქო შეეძლოს  
 ჩემი განდევნა ეგვიპტიდან. ჩემი შიკრიკი  
 გაულახნია, მეც პირისპირ ბრძოლად მიმიწევს,  
 ანტონიოსი კეისარსა! შეატყობინონ  
 იმ ბებერ ქოფაკს, რომ ბევრი გზა მაქვს სიკვდილისთვის,  
 როს მოვისურვებ; ამ ჟამად კი მისგან გაწვევა  
 სასაცილოდაც არა მყოფნის.

მეტ.

ეს კარგად იცი

შენ, კეისარო, რომ როდესაც ძლიერი პირი  
 ფიცხობს და ჯავრობს, საქმე უჭირს მეტის-მეტადა  
 და ბოლოც მაღე მოედება. ნუ შეასვენებ  
 და შეუტეე, ვიდრე აგრე აღეწილია:  
 სიბრაზე პატრონს სამსახურსა როდი გაუწევს.

კეის. წადით, აცნობეთ ჩვენთ უკეთესთ მხედართ-მთავართა,  
 რომ იმ მრავალის ბრძოლის მნახველს ხვალ ერთხელ კიდევ  
 უკანასკნელად მსურს ვიბრძოლო. ბევრნი არიან  
 ანტონიოსის ნამსახურნი ჩვენს ლაშკარშია  
 ამ ცოტას ხანში ვადმოსულნი; ისინიც კმარან  
 მის დასაღუბად. აბა, ჩქარა, გაუმასპინძლდით  
 ჯარს ჯეროვანად; სურსათი ხომ საკმარისი გვაქვს  
 და ამდენის ხნის უჭმელ-უსმელთ მართლაც ეკუთვნის  
 კარგად დახვედრა. საბრალო მარკ-ანტონიოსი!

(გაღიან)

## ს უ რ ა თ ი II

ალექსანდრია. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდინან ანტონიოსი, კლეოპატრა, ენობაზბოს, ქარმიანა,  
 ირასი, ალექსას და სხვანი).

ანტ. დომიციოს, მას ჩემთან ბრძოლა არა სწადიან?

ენობ. არა.

ანტ. რატომა?

ენობ. მასზედ უკეთ ზედისა ვარო  
 ერთი ოცადა და ოცი ერთს ვით ვებრძოლოო.

ანტ. მაშ ხვალ, მამაცო, ვიბრძვი ზღვაზედ, ვიბრძვი ხმელზედაც,  
 ან გადავრჩები, ან მომაკვდავს სახელს განვიბან  
 სისხლის რუებში, რომ სპეტაკად კვლავ აღდგეს იგი.  
 იბრძვი შენც ჩემთან?

ენობ. რატომ, დავკრავ და მტერს შევძახებ,

ჩაცეცხლე ყველა!

ანტ. დიად, კარგი! — აქ დამიძახეთ  
 ჩემთა შინა-ყმათ, ვინადიმოთ ამალამ ტკბილად.  
 (მსასუქნა შემოდინ)

მომეც ეგ ხელი, პატროსნად მმსახურებდი შენ. —  
 ოჰ, შენცა, შენცა... შენცა... შენცა... ჩემნო ერთგულნო ყმანო;  
 ხშირად მეფენი გყავდნენ შემწოდ.

კლეოზ. (ენობარბოს ცალკე) ეს რასა ნიშნავს?

ენობ. (კლეოპატრას ცალკე) მწუხარებაში კაცის ჭკუა, მოხდება ხოლ-  
 უცნაურს რასმე გამოატყვრენს. [მე.]

ანტ. პატროსანი  
 ხარ შენც აგრედვე. ნეტა მაგდენ კაცად მაქცია,  
 რამდენიცა ხართ; თქვენ ყველანი ანტროსიოსად,  
 რომ სამაგიერო გადგიხადოთ სამსახურისთვის.

მსასუქნა. ღმერთმა მაგისგან დაგვიფაროს.

ანტ. ამალამ კიდევ  
 გთხოვთ თქვენებურად მემსახუროთ. ჩემი ფილა  
 არ დამიტოვოთ ცარიელი; წარმოიდგინეთ,  
 ვითომ მმორჩილებს ისევ ჩემი საბრძანებელი,  
 როგორც მორჩილნი ხართ თქვენ ჩემნი.

კლეოზ. (ენობარბოს ცალკე) რაო, რას ფიქრობს?

ენობ. (კლეოპატრას ცალკე) უნდა ატიროს თვის მხლებელნი.

ანტ. ამალამ კიდევ,

მარტო ამალამ და იქნება ეს სამსახური  
 უკანასკნელი იყოს ჩემთვის. იქნება ბედმა  
 აღარ მაღირსოს თქვენი ნახვა და ნაშთი ნახოთ  
 სისხლში შესვრილი ჩემი მხოლოდ. ანუ იქნება  
 ხვალ სხვა პატრონსა მსახურებდეთ. გამოსალმება  
 ამისთვის მინდა ეხლა თქვენთან. მე როდი გითხოვთ,  
 ჩემნო ერთგულნო მეგობარნო, არა, ეს გული  
 მოჯაჭვულია სიკვდილამდე თქვენს კეთილ გულთან.  
 ორი საათი მემსახურეთ, მეტს აღარ მოგთხოვთ  
 და ღმერთნი ნაცვალს გადგიხდიან.

ენობ. ბატონო ჩემო,

რისთვისა სტანჯავ ამ ხალხს ასე? ჰხედავ, სტირიან.  
მეც, ამოდენა ვირს, ცრემლები მომადგა, თითქო  
თვალეები ხახვით დაეხილოთ. სირცხვილი არის,  
ნუ გადგვაქციე ამოწირპლოულ დედაკაცებად.

ანტ. კმარა, რას სჩადით! ფიქრად ვეგე არა მქონია,  
ქეშმარიტებას გეფიცებით, თუმც თქვენი ცრემლი,  
სადაც კი მიწას დაეცემა, სიკეთესა შობს.  
ჩემი სიტყვები სამწუხაროდ რად მიიჩნიეთ,  
მე გამხნევება მწადლა თქვენი ამაღამისთვის,  
რომ ბნელი ღამე მაშხალებით დღედ გადგექციათ.  
ხვალისა დიდი იმედი მაქვს, ჩემნო ერთგულნო,  
მსურს წინ წაგიძღვეთ, შევიმოსო გამარჯვებითა  
და შორს გავფანტო სამარცხვინო სიკვდილზედ ფიქრი.  
მოდიო, ვივანშმოთ და სასმელში ჩავაღრჩოთ სევდა.  
(გადიან).

### ს უ რ ა თ ი III

იგივე ქალაქი. კლეოპატრას სასახლის კარმიდამო.

(შემოდის ორი ჭარბის-კაცი დარაჯად დასადგომად).

ერთი ჭ.-კ. ღამე მშვიდობის, ძმაო; ხვალ ჩვენ ცხარე დღე გველის.

მეორე ჭ.-კ. დიად, ერთბაშად გადაწყდება. მშვიდობით იყავ.

უცნაურს ამბავს ხომ არ მოჰკარ ქუჩებში ყური?

1 ჭ.-კ. რაო, რა ამბავს? არაფერი გამიგონია.

2 ჭ.-კ. იქნება ქორად ხმა დაჰყარეს; ღამე მშვიდობის.

1 ჭ.-კ. შენც კარგად იყავ.

(შემოდის ორი სხვა ჭარბის-კაცი).

2 ჭ.-კ. აბა, ფრთხილად ყოფნა გმართებთ

3 ჭ.-კ. აგრეთვე თქვენცა. გამარჯვება, ღამე მშვიდობის. [თქვენ.

(1 და 2 ჭარბის-კაცი თავ-თავის ადგილას დგებიან).

4 ჭ.-ჭ. აქ უნდა ვიდგეთ. —

(3 და 4 ჭარის-კატინ თაე-თავის ადგილას დგებიან).

ოჰ, ნეტავი ჩვენი გემები  
ხვალ მარჯვედ იყვნენ, ხმელეთზე ხომ თავს ვისახელებთ,  
ეს ნამდვილია.

3 ჭ.-ჭ. მხნე ჯარი გყავს, რალა თქმა უნდა.

(მიწის ქვეშიდან ისმის სალამურის ხმა).

4 ჭ.-ჭ. ეს რა ხმა არის? ჩუმად იყავ.

1 ჭ.-ჭ. სსუ!

2 ჭ.-ჭ. ჩუმად, ჩუმად.

1 ჭ.-ჭ. ჰერში რალაც საკრავის ხმა.

3 ჭ.-ჭ. არა, მიწის ქვეშ.

1 ჭ.-ჭ. ეს, ვგონებ, კარგი ნიშანია.

3 ჭ.-ჭ. არა მგონია.

1 ჭ.-ჭ. ჩუმად იყავით! რასა ნიშნავს, ნეტა ვიცოდეთ!

2 ჭ.-ჭ. ღმერთს ჰერკულესსა, ვისაც დიდად თაყვანსა სცემდა  
ანტონიოსი, აუყრია იმაზედ გული.

1 ჭ.-ჭ. სხვა დარაჯთ ვკითხოთ, გაიგონეს იმათაც ესა?

(მიუახლოვდებიან სხვა ადგილას მდგარ დარაჯებს).

2 ჭ.-ჭ. გაიგეთ რამე?

ჭ.-კატინა. (ერთად ლაპარაკობენ) გაიგონეთ, მაშ თქვენც მოგესმათ?

1 ჭ.-ჭ. უცნაური რამ მოვლენაა.

3 ჭ.-ჭ. სსუ, აი კიდევ.

1 ჭ.-ჭ. მივყვით მაგ ხმასა, ჩვენ ბინას კი არ გავცდეთ; ვნახოთ,  
თუ სად შეწყდება.

ჭარის-კატინა. (ერთად) მივყვით, მართლაც უცნაურია.

(აღიარებენ ჭარის-კატინის ხმას)

(გაღიან).



ს უ რ ა თ ი IV

იგივე ქალაქი. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდინ ანტონიოს, კლეოპატრა, ქარმინა, ირას და სხვა მსახულებნი).

ანტ. ეროს, მომეცი საქურველი.

კლეოპ. ჯერ დაიძინე

პატარა ხანსა.

ანტ. არა, გვრიტო, დრო აღარ არის.—

აქ მოდი, ეროს, საქურველი ამასხი ტანზედ.—

(შემოდის ეროს საქურველით ხელში).

ოჰ, საყვარელო, თუ გვიმუხთლებს დღეს კიდევ ბედი, ეგ იმისთვის, რომ მას სრულიად არ ვეპოებით.— ნუღარ უყურებ.

კლეოპ. მეც ვუშველი. ეს რისთვის არის?

ანტ. დაეხსენ, შენგან აღჭურვილი მაქვს მე ეს გული.

აი, აკი ვთქვი, ეგ სხვა ადგილს გასაყრელია.

კლეოპ. უნდა ვუშველო, არ იქნება. ასე კარგია?

ანტ. კარგია, კარგი. გავიმარჯვებთ ეხლა კი სწორედ.—

წადი, შეისხი იარაღი შენც, მეგობარო.

ეროს. ეხლავ, ბატონო.

კლეოპ. ეს ხომ კარგად არის შეკრული?

ანტ. ჩინებულადა, ჩინებულად. ვინც კი გაჰბედავს

მაგის გახსნასა, ვიდრე თითონ არ მოგისურვებ

დასასვენებლად განმზადებას, იგი მოისმენს

თქმადაც საზარო ჭეჭა-ჭუხილს.— არ ვარგებულხარ

შენ, ჩემო ეროს, დედოფალმა გაჯობა სწორედ.

აბა, აჩქარდი.— საყვარელო, ნეტა შეგეძლოს

დღევანდელ ომის ხილვა, მაშინ საგმირო საქმეს

შენის თვალთვე განიცდიდი და მეც მნახავდი

ვაჟკაცებრ მებრძოლს.—

(შემოდის შეჭურვილი ჯარის-უფროსი).

ოჰ, მოხვედი? დილა მშვიდობის.

გეტყობა, ომის თავდარიგი შენ კარგად გესმის:  
 დილა აღრიან მაშინ ვდგებით, როს სასურველი  
 მიგვიწვევს საქმე.

**ჯარის უფროსი.** თუმც ჯერ მარტო განთიადია,  
 ათასზედ მეტ კაცს ზედ ასხმული აქვთ იარაღი  
 და ნავთსადგურთან შენ გელიან.

(გარედან მოისმის კიენა და საყვირის ხმა.— შემოდინ სხვა ჯარის-უფროსნი და ჯარის-კაცნი).

**მეორე ჯარის-უფრ.** დღეს მშვენიერი  
 დილა გათენდა.— ბედნიერს დღეს ვინატრი შენთვის.

**ეგელანი.** სარდალო, დილა მშვიდობისა.

**ანტ.**

ვიშ ამ კიენას!

აღრე გათენდა დღეს. ეს დილა ჰგავს ჰაბუკის სულს,  
 რომელიც თავის გამოჩენას ქვეყნად ისწრაფის.—  
 ჰო, აგრე, აგრე; ეგ აქ მომეც; ძალიან კარგი.—  
 მშვიდობით, ჩემო სასურველო, მშვიდობით იყავ  
 და მე ჩემს ბედსა არ ვინაღვლი. აი ეს კოცნა  
 მოკლე კოცნაა ჯარის-კაცის. მეტი აღერსი  
 როდი შემფერის, სირცხვილია; ჰხედავ ეს გული  
 ფოლადებში მაქვს ჩაჭედილი.— ვინც ბრძოლას ნატრობთ,  
 მომყევით და მე თითონ შეგყრიოთ თქვენ სანატრელთან.  
 მოდით.— მშვიდობით.

(ანტონიოს, ერას, ჯარის-უფროსნი და ჯარის-კაცნი გადიან).

**ქარმ.** გთხოვ, მობრძანდე ისევ შენს საწოლს.

**ელეაზ.** თვით წამიყვანე.— რა მამაცად უჭირავს თავი!  
 ნეტა ეს ომი ანტონიოსს და კეისარსა  
 ხელ-მარტო ომით გადწყვიტათ, მაშინ სხვა იყო.  
 მაგრამ ეხლა კი... ეჰ, ვინ იცის... აბა, წავიდეთ.

(გადიან)

ს უ რ ა თ ი V

ანტონიოსის ბანაკი ალექსანდრიას ახლო.

(გარედან საყვირის ხმა მოისმის. შემოდიან ანტონიოს და კრას.  
წინ ერთი ჯარის-კაცი შეხვდებათ..)

ჟ.-კატა. ეს დღე, სარდალო, ბედნიერად დაგლამებოდეს!  
ანტ. ნეტავი მაშინ შენთვის, შენის კრილობებისთვის

დამეჯგრა და მტერს ხმელეთზედ შევბრძოლებოდი.

ჟ.-კატა. აგრე რომ გექმნა, ის მეფენი, ის ჯარის-კაცი,  
რომელთ დღეს დილით გილალატეს და მიგატოვეს,  
შენს მფარველობას აროდეს არ მოშორდებოდნენ.

ანტ. ვინ მიმატოვა დღეს დილითა?

ჟ.-კატა. ვინა და იმან,  
ვინც შენს გვერდითა გყავდა მუდამ. ენობარბოსის  
სცადე შენ, აბა, მოწოდება, ან ხმას არ გაგცემს,  
ანუ კეისრის ბანაკიდან მოგასმენინებს:  
„შენი აღარ ვარ“.

ანტ. რაო, რაო?

ჟ.-კატა. იგი კეისრის  
ჯარშია ეხლა.

კრას. რაც საუნჯე გააჩნდა, ყველა  
აქ დარჩენია.

ანტ. მაშ წავიდა?

ჟ.-კატა. დიად, ნამდვილად.

ანტ. წადი, ეროს, და გაუგზავნე, რაც მას ეკუთვნის,  
იოტის ტოლად არ დააკლო ამას გიბრძანებ.  
გამოესალმე ტკბილ წერილით, მე ხელს მოვაწერ.  
უნატრე, ნულარ მოგცემოდეს კვლავ მიზეზი-თქო  
პატრონის ცვლისა.—ჩემმა ბედმა პატიოსნებით  
კი გარყვნა სრულად!—აბა, ჩქარა!—ოჰ, ენობარბოს!

(გადიან)

## ს უ რ ა თ ი VI

კეისრის ბანაკი ალექსანდრიას გვერდით.

(საყვირის ხმა. შემოდინ კეისარი, აგრიზა, ენობაზოს და სხვანი.)

**კეის.** წადი, აგრიზა, და უბრძანე, ბრძოლა დაიწონ;  
 აცნობე ისიც, ანტონიოს ცოცხლად შეიპყრან, —  
 სურვილია-თქო ეს კეისრის.

**აგრ.** ეხლავ, ბატონო.  
 (გაღის).

**კეის.** მოახლოვდა დრო სამივ ქვეყნის დამშვიდებისა;  
 თუ ბედმა დღესაც გაგვიღიმა, ზეთის ხილის შტო  
 აიმართება თავისუფლად მთელ ცის-ქვეშეთში.

(შემოდის შიგრიკა).

**შიგრ.** თვით ანტონიოს გამოსულა საომარ ველზედ.

**კეის.** აგრიზას უთხარ, ანტონიოსს ვინც უღალატა,  
 ისინი სულ წინ დააყენოს. მათ დანახვაზედ,  
 დეე, პირს ცეცხლი წაიკიდოს და თავის რისხვის  
 მსხვერპლად შეიქმნეს.

(ენობაზოსის გარდა ყველანი გადიან).

**ენობ.** ალექსასიც გადასდგომია:

ანტონიოსმა ის გაჰზავნა ურიასტანში  
 თავის საქმეზედ. მას კი იროდ, ურიათ მეფე,  
 დაურწმუნია, ანტონიოსს გადაუდგო  
 და მიეკედლე კეისარსა. ამ ღვაწლისათვის  
 ჩამოუღრჩვია ის კეისარს. კანიდიოსს და  
 სხვა მოღალატეთ პურს აქმევენ, მართალი არის,  
 მაგრამ არავინ არ ენდობა, პატივს არავინ სცემს.  
 ცუდად მოვიქვეც. ისე მტანჯავს, რაც მოვიქმედე,  
 რომ ვეღარა დროს სიხარულს მე ვერ ვეღირებე.

(გაღის)

(შემოდის კეისრის ჯარის-კაცი).

**ჯან.-კ.** შენი საუნჯე ანტონიოსს ყველა შენთვისვე მოუგზავნია, ენობარბოს; დაუმატნია თავისიც ზედა. მისმა კაცმა გამოიარა, სადაც მე ვიდექ დარაჯადა და შენს კარავთან ხსნის ეხლა ტვირთსა თავის ჯორებს.

**ენობ.** ეგ ყველა შენთვის მიჩუქებია.

**ჯან.-კ.** რად კადრულობ, აბა, დაციწვას! მე მართალი ვთქვი. სჯობს წახვიდე და მოგზავნილი უვნებლად ჯარში გაატარო. გავაცილებდი მე თითონ, მაგრამ სადარაჯოდ უნდა დავბრუნდე. იუპიტერს ჰგავს მაინც კიდევ შენი სარდალი.

(გაღის).

**ენობ.** ჩემზედ საზიზღი არ დალოღავს დედამიწაზედ. ოჰ, ანტონიოს, თუმც სიკეთის მადანი ხარ შენ, ვით გადმიხდიდი კარგ სამსახურს, რაკი ოქროთი მავსებ ესეთის მუხანათურ საქციელისთვის. გასკდა ეს გული! თუ კი ელდა მთლად არ მომიდნობს, სხვა გამოჩნდება ღონე თვითონ ელდაზედ სწრაფი. მაგრამ არა, ვგრძნობ ჩემს აღსასრულს. შენ შეგებრძოლო! სჯობს მყრალი სორო მოგნახო რამ და შიგ ჩავძაღლდე. რაც უარესი იქნება, მით უფრო შემფერის.

(გაღის).

## სურათი VII

საომარი ველი ორ ბანაკს შორის.

(მოისმის ომის ხმაურობა. დაფდაფისა და საყვირის ხმა. შემოდინ აგრძობა და სსხვანა).

**აგ.** უკან დაბრუნდით! მეტის მეტად წინ წავიწიეთ; თვით კეისარი უნდა ბრძოლად გამოსულიყო,

არ მოველოდით ასე შედგრად მტრის გამავრებას.

(გაღიან.—კიდევ ომის ხმაურობაა. შემოდინან ანტონიოს და სკაროს უკანასკნელი დაქრილია).

სკარ. აი, რას ჰქვიან ბრძოლა, ჩვენო გმირო სარდალო.

პირველვე ასე რომ დაგვეწყო, თაე-შეხვეულებს დავირეკავდით მათ სახლამდე.

ანტ. შენ სისხლი დაგდის.

სკარ. ჰო, აქ ჭრილობა მქონდა ქერის მარცვლის ოდენი და აწ პირი ჰქნა.

ანტ. გაბრუნება იკადრეს კია!

სკარ. ხერელ-სოროებში შევაძვრენ მათ, ღვთის-წყალობა მაქვს, ხუთი, თუ ექვსი დამეტევა კიდევ ჭრილობა.

(შემოდის კრას).

კრას. მტერი გაიქცა, გამარჯვება სრულად ჩვენია.

სკარ. ზურგზე ნიშნები დავასვათ და ისე შევიპყრათ, როგორც ვნადირობთ კურდღლებს ხოლმე. ოჰ, რა კარგია, უტყაპუნებდე მხდლებს კისერში.

ანტ. დაგაჯილდოვებ

ჯერ მხიარული ზნისთვის, მერე სიმამაცისთვის, კვლავ ერთი ათად. მოდი.

სკარ. აჰა, ჩლახუნით მოგდევ.

(გაღიან)

## ს უ რ ა თ ა VIII

ალექსანდრიას კედლების გვერდზე.

(ომის ხმაურობაა. შემოდინან ანტონიოს, სკაროს და დარა-ზმული კვარია).

ანტ. კისერში ცემით მივაცილებთ თვის ბანაკამდე,

აბა, ერთ-ერთი წინ წავიდეს, ჩვენნი საქმენი

ამცნოს დედოფალს ხვალ დილაზე მზის ამოსვლამდე

რაც დღეს ძარღვებში სისხლი დარჩათ, მთლად გამოვადნეთ. გმადლობთ ყოველთა მაგ სიმზნისთვის: ისე იბრძოდით, თითქო თქვენივე საქმე იყოს და არა ჩემი.

ჰექტორის მზგავსნი ხართ ყველანი. შედით ქალაქში, გადაეხვიეთ ცოლთ, მეგობართ; უამბეთ თქვენნი სიმამაცენი და ისინი მხიარულ ცრემლით განბანენ სისხლსა შედედებულს მაგ თქვენს წყლულებზე და გმირთა საფერ ქრილობებს მთლად გარდგიკოცნიან.

(შემოდის კლეოპატრა. მხლებელნი უკან მოსდევენ)

(სკაროსს) მომეცი აქა შენი ხელი, მსურს ეგ სიგმირე გავუმჟღაერო ამ ძლიერს გრძნეულს და მის მადლობა გეყოფა ლოცვა-კურთხევად. (კლეოპატრას) ოჰ, ქვეყნის მზეო, ყელზე მომექდე, გადმიფხრიწე ფოლადის ჯაჭვი, მიაგენ ჩემ გულს სიხარულით აძგერებულსა და ხმა შეუწყე.

**კლეოპ.** ოჰ, უსწორო სარდალთ სარდალო,

კიდევ გხედავ შენ მხიარულად შემობრუნებულს, დაგებულს მახეს შეუპყრობლად გადარჩენილსა.

**ანტ.** ჩემო ბუღბუღლო, მტერს ბუნაგი მოვანახვინეთ.

გესმის, რას ვამბობ! თუმცა ჭაღარა გამომერია, მაგრამ ძარღვებში კვლავ ვგრძნობ ღონეს, და სიჭაბუკეს არ შეეუღრკები, ამოვიღებ მიზანში მარდაღ.

ჰხედავ ამ კაცსა? ღირსი არის შენს დალოცვილს ხელს ემთხვიოს იგი.—ჩემო გმირო, აკოცე ხელზედ.—

ეგ რომ მებრძოლი გენახა დღეს, ამას იტყოდნი განრისხებული ღმერთთაო კაცთ ნათესავზედ და მუსრს აღენსო აღამიანთ.

**კლეოპ.** მე, მეგობარო,

მოგცემ საჭურველს მთლად ოქროსას, ერთ მეფის ნაქონს.

**ანტ.** და ღირსიც არის მაგ საჩუქრის, თუნდ იყოს იგი

თვალ-მარგალიტით შექედილი ისე, ვით ერლი წმინდა ფეხოსის.—მომეც ხელი, უნდა ქალაქში განვვლოთ ლხინითა და ზემით; წინ წავიმძღვაროთ

ფარნი მტრისაგან ხმალ-ნაკრავნი პატრონებივით.  
ნეტა მთელ ამ ჯარს დაიტევდეს დიდი სასახლე,  
რომ ყველას ერთად გვევახშმა და ჩამოგვერიგა  
ქიქა ხვალინდელ საშიშარ დღის საბედნიეროდ.—  
აბა, ჩაბერეთ, მებუკენო, გამოუქვდეთ  
ქვეყანას ყური, დაფდაფებო, თქვენც ხმა მიეცით.  
დე, აიშალნენ ზემოთ ზეცა, ძირს დედამიწა  
და სიხარულის კიჟინითა დაგვიხვდენ გამირთა.

(გადიან).

## ს უ რ ა თ ი IX

კეისრის ბანაკი.

(დასაჯნი თავთავის ალაგასა დგანან.)

**ზარგ. ჯ.-ჭ.** თუ არ დაგვცვალეს ამ ერთ საათს, უნდა ჩვენ თითონ  
დავბრუნდეთ ჩვენსავ სადარაჯოს. ღამე ნათელი  
არის და ბრძოლა პირველ საათს დაიწყებოა.

**მეორე ჯ.-ჭ.** გუშინდელმა დღემ ჩვენ სიკეთე არ დაგვაყარა.  
(შემოდის ენობარბოს)

**ენობ.** ღამევე, მიმოწმე.. .

**მეს. ჯ.-ჭ.** ეს ვინ მოდის?

**2 ჯ.-ჭ.** სსუ, ყური ვუგდოთ.

**ენობ.** შენც, კურთხეულო მთვარევე, მოწმად გამომადგები,  
როცა მუხანათთ სახელს წყევლით მოიხსენებენ,  
რომ ენობარბოს მწარედ ნანობს თავის საქციელს,

**1 ჯ.-ჭ.** ენობარბოსო!

**3 ჯ.-ჭ.** სსუ, ჩუმიდა, ყური დაუგდოთ.

**ენობ.** მნათობო, ნამდვილ მწუხარების მშობელ-პატრონო,  
ღამის მოწამლულ ომხივარში მთლად გამახვიე  
და მომაშორე ჩემის ნების ურჩი სიცოცხლე.  
გული ჩემს ცოდვას მიმიწყვიტე კლდესავით მაგარს,



რომ იგი ჯავრით ჩამომხმარი მტვრად დამეფეშენიტოს  
და თან დამეშროს სევდათა ზღვა ბარემ ერთბაშად.  
ეს ბოროტება საკიცხავი არ არის ისე,  
როგორც შენა ხარ, ანტონიოს, ყოვლისფრით სრული.  
შენ მაბატიე, მარტო შენა და თუნდ საქვეყნოდ  
მოღალატედა და ორგულად გამომაცხადონ.  
ოჰ, ანტონიოს, ანტონიოს!

(კვლევა)

3 ჟ.-ქ.

არა უთხრათ-რა?

1 ჟ.-ქ. ჯერ ყური ვუგდოთ, კეისარზედ ხომ არას ამბობს.

3 ჟ.-ქ. კარგი, აგრე ვქნათ; მაგრამ ჰხედავ, დაუძინია.

1 ჟ.-ქ. გულ-შემოყრილი უნდა იყოს, მაგის ვედრება  
საძილო ლოცვას არა ჰგავდა.

2 ჟ.-ქ.

აბა, მივიდეთ.

3 ჟ.-ქ. გამოიღვიძე, გვითხარ რამე.

2 ჟ.-ქ.

არ გეყურება!

1 ჟ.-ქ. ამას ხიცოცხლე არ ეტყობა... ჰხედავთ, მკედარია.

(შორიდან დაფდაფის ხმა მოისმის.)

სსუ, დაფდაფის ხმა! აღვიძებენ მძინარე ჯარსა.

წავილოთ ესეც სადარაჯოს, უბრალო კაცი

არ იყო იგი. აქ დგომის დრო გადაგვივიდა.

3 ჟ.-ქ. აბა, წავილოთ, იქნება რომ ისევე მოცოცხლდეს.

(გაღიან და ენობარბოსის გვამი გააქვთ)

## ს უ რ ა თ ი X

ადგილი ორ ბანაკს შორის

(შემოდიან ანტონიოს, სკაროს და დარაზმული ჯარსი.)

ანტ. დღეს ბრძოლას ზღვაზედ გვიპირობენ, ხმელზედ დაშინდნენ.

სკარ. იქაც და აქაც შეგვებრძვიან, ბატონო ჩემო.

ანტ. დეე, გვებრძოლონ თუნდა ცეცხლში, თუნდა ჰაერში,

არ შევუდრკებით. ყური მიგდევ: ქვეითი ჯარი  
ქალაქს რომ მთები აკრავს, უნდა იმ მთებზედ იდგეს  
ჩემს ბრძანების ქვეშ. გემათაც ყველა ნაბძანები აქვთ,  
გავიდენ კიდევ ნავთ-საყუდლით. აბა, წავიდეთ  
იქ, სადით უფრო უკეთ ვნახავთ იმათ მზადებას.  
თვალი ვადევნოთ და შევატყობთ, რას აპირობენ.  
(გაღიან).

## ს უ რ ა თ ა XI

საომარ ველის სხვა მხარე.

(კეისარი დარაზმულ ჯარებს მიუძღვის.)

**კეის.** ფებს ნუ მოვიცვლით ხმელზე, მტერი თუ არ დაგვესხა  
და ამას, ვგონებ, ვერ გაჰბედავს, რადგანაც ჯარი  
საუკეთესო ხომალდებზედ გაუგზავნია.  
მაშ ხეობებში ვიდგეთ, მარჯვე ბინას ნუ მოვშლით.  
(გაღიან)

## ს უ რ ა თ ა XII

სხვა მხარე იგივე საომარ ველისა.

(შემოდიან ანტონიოს და სკაროს)

**ანტ.** ჯერ შეტაკება არ მომხდარა. ის ფიქვი რომ სდგას,  
იქიდან ყველა კარგადა სჩანს და რასაც ვნახავ,  
ებლავ გაცნობებ.  
(გაღის)

**სკარ.** კლეოპატრას აფრებში თურმე  
მერცხლებმა ბუდე გაიკეთეს. ეს რასა ნიშნავს,  
ვერ გაუგიათ მკითხავენსა, ან თქმას ვერ ბედვენ,

და მოწყენილი სახე კი სძევთ. ანტონიოსიც ხან გულს არ იტეხს, ხან კი დარდობს. ცვალებადობა ბედისა თითქო შიშით ავსებს, თითქო იმედით და ელის ბოლოს მთლად შემკრთალი.

(შორიდან ზღვაზე ბრძოლის ხმაურობა მოისმის. ანტონიოს დაბრუნდება).

ანტ.

სულ დავიღუპე!

კიდევ მიმუხთლა იმ წყეულმა ეგვიპტის ბოშამ, გემთა კრებული მტერს დანებდა. აგერა, ჰხედავ: მალლა ისვრიან ქუდებს და სმენ, თითქო დიდხნის გაყრილ მეგობრებს კვლავ შეჰხვდენო. —ოჰ, უნამუსო, როსკიობაში გაცვეთილო, როგორ გამცვალე მაგ გამოვარდნილ ღლაპზე, აბა, ეხლა მე საქმე მარტო შენთან მაქვს. დე, გაიქცენ სხვანი ყველანი, როცა ამ ჯაღას გადავუხდი, გათავებული მექნება საქმე; სულ ყველანი გაიქცენ-მეთქი, წადი და უთხარ.

(სკანდალს გადის)

შენს ამოსვლას, მზევ, ველარ ვნახე.

ანტონიოსი და მისი ბედი აი, აწ სწორედ

ესალმებიან ერთმანეთსა საუკუნოდა.

ეს იყო ბოლო? ვინც კი უწინ კუდისს ქიცინით

უკან დამდევდნენ, ვუსრულებდი ვისაც ნანატრსა,

ეხლა ბედნიერს კეისარსა გუნდრუკს უკმევენ

და მე კი ვდგავარ ვით ძლიერი ხე შემოფცქენილი,

რომლის ქვეშ ყველა სიამითა მოიჩრდილებდა.

მე მილალატა! ოჰ, ცბიერო ეგვიპტის თესლო,

მომაჯადოვე შენ სრულიად: ოლიანდ გენიშნა,

ჩემს ჯარს თუნდ ბრძოლად გაიყვანდი, თუნდ ბრძოლის

დააბრუნებდი თვის ბინაზე. შენ იყავ ჩემი [ველით

გვირგვინ-დიდება, საგონებელ-საფიქრებელი

და მაინც კიდევ არ დამინდე, არ გამიკითხე,

როგორც ნამდვილმა წუწკმა ბოშამ და პირში მიმეც

განადგურებას უსასოოს!—ჰე, ეროს, ეროს!

(შემოდის კლეოპატრა)

ოჰ, კუდიანო, შორს აქედან!

**კლეოპ.**

ჩემი მეუფე თვის სატრფოზე?

რისთვისა ჯავრობს

**ანტ.**

თორემ მიიღებ ღირს სასჯელსა და მით წაუხდენ  
 კეისარს ტრიუმფს! მაგრამ არა, დე, წაგიყვანოს,  
 აღრიალბეულის ხალხს მიგაგდოს, როგორც ნადავლი.  
 მისდიე მის ეტლს. მარცხვენელო შენის სქესისავე,  
 ურჩხულის მზგავსო, რომლის ნახვის ნებას მისცემენ  
 თვით ქუჩის ბრბოსა წვრილის ფულის გაღების შემდეგ.  
 დეე, ეგ სახე ოქტავიამ მრავალ-მომთმენომ

თავის ფრჩხილებით დაგეკაწროს. (კლეოპატრა გადის).

ოჰო, წახვედი!

კარგად ჰქმენ, თუ ჯერ სიცოცხლე არ მოგძულდება,  
 მაგრამ გერჩივნა შექმნილიყავ ამ რისხვის მსხვერპლი,  
 ერთის სიკვდილით დაიხსნიდი თავს მრავლისაგან.—

ჰე, ეროს, ეროს!—მე ნესოსის ჯაჭვი მაცვია

და ამათა გთხოვ, წინაპარო ჩემო აღკიდეს,

ეგ შენი რისხვა ჩამაწვეთო, მომმადლო ძალა

შენებრ ლიქასის შეგდებისა თვით მთვარის რქებზედ;

შემადლებინე უუმიმეს კეტის ხმარება

ამ ხელებითა, რომ მათიოვე შევწყვიტო ძაფი

ჩემის სიცოცხლის. უნდა მოკედეს ის კუდიანი.

მიმყიდა იმ ბალდ რომაელსა, მით მიგლო მახეს,

ამისთვის უნდა მოკედეს-მეთქი.—ეროს, არ გესმის?

### ს უ რ ა თ ი XIII

ალექსანდრია. ოთახი კლეოპატრას სასახლეში.

(შემოდის კლეოპატრა, ქარმიანა, იდას და მარდიან).

**კლეოპ.** მხევალნო ჩემნო, მიშველეთ რამ. თვით ტელამონი,  
 როცა იბრძოდა თვის ფარისთვის, არ იყო აგრე

გამწარებული. თესალიის ტახსაც კი სჭარბობს  
 სიბრაზე-სიცოფით.

**ქარმ.** ჩაიკეტე აკალდამაში  
 და ვითომ თავი თვით მოიკალ, აცნობებინე.  
 სულის და ხორცის გაყრა ისე ძნელი არ არის,  
 როგორც დაკარგვა ძლიერების და დიდებისა.

**კლეოპ.** აგრე ვქნათ, აგრე. წადი უთხარ იმას, მარდიან,  
 რომ მოიკლა-თქო თვითონ თავი; უკანასკნელად  
 ეს სთქვა-თქო მხოლოდ: „ანტონიოს!“ იმას ეცადე,  
 შეწუხებული სახე გქონდეს. აბა, ისწრაფე,  
 შემატყობინე მალე, ჩემის სიკვდილის ამბავს  
 როგორ მიიღებს.—ჩქარა, ჩქარა, აკალდამისკენ.  
 (გაღიან).

### ს უ რ ა თ ა XIV

იგივე ქალაქი. სხვა ოთახი იმავე სასახლეში.

**ანტ.** როგორ გგონია, ანტონიოს ვარ კიდევ, ეროს?

**ეროს.** მაშ რა ბრძანდებით?

**ანტ.** გველვეშაპს ჰგავს ხშირად ღრუბელი,  
 ორთქლი დათვის, ან ლომის სახეს მიიღებს ხოლმე,  
 ხან ემზგავსება ცხის კოშკებს, წამოწვდენილ კლდეს,  
 ან მთების გრებილს, მოციმციმეს ლაქვარდად ზღვის პირს,  
 სად მწვანე ხენი თვალს იტაცვენ, მიიტყუებენ.  
 ალბად, გინახავს ეს მოვლენა, ეს მოჩვენება  
 ჩვეულებრივი დღე და ღამის გაყრილობის ქაშს.

**ეროს.** დიად, მინახავს.

**ანტ.** სანახავი ცხენის მზგავსი რამ  
 უცებ წვრილ-წვრილად ნაწილდება, უჩინრად ჰქრება,  
 ვით წყალი წყალში არეული.

**ეროს.** მოხდება ხოლმე.

**ანტ.** და აი, ჩემო ეროს, ეხლა შენი სარდალი  
 სწორედ მაგგვარი სხეულია; ანტონიოს ვარ,

თუმცა აღარა მეტყობა-რა ანტონიოსის,  
 იმდენი ომი ეგვიპტისთვის გადავიხადე,  
 იმის დედოფალს დავემონე მთლად ჩემი გული  
 და მასთან ერთად გული, გრძობა ბევრჯელ ათასთა  
 დაკავშირებულთ ჩემთან, მაგრამ აწ კი დაკარგულთ.  
 მეგონა, ისიც ჩემი იყო და აი, ჰხედავ,  
 გაეთამაშა კეისარსა, უმუხთლა ჩემ სვეს  
 და მიმცა მსხვერპლად მის დიდებას, ნუ სტირი, ეროს!  
 ჯერ ხომ ნება გვაქვს ჩვენვე ბოლო მოვუღოთ ჩვენს თავს.  
 (შემოდის მარდიან.)

შენმა წყეულმა ქალბატონმა რისთვის ჩამომხსნა  
 გვერდიდან ხმალი!

**მარდ.** ანტონიოს, სცდები, მერწმუნე,  
 იმას უყვარდი, შეუერთა შენს ბედს თვის ბედი.

**ანტ.** ჩუმადა, ბრიყვო საქურისო, გა, გაეთრიე!  
 მან მილალატა და მოკვდება ამ ლალატისთვის.

**მარდ.** კაცს მხოლოდ ერთხელ უწერია ხვედრად სიკვდილი  
 და გადიხადა კლეოპატრამ ეს ხვედრი კიდევ.  
 უშენოდ ჰქმნა ის, რაიც შენ გსურს, უკანასკნელი  
 მის სიტყვა იყო: „ანტონიოს, ოჰ, გმირთა გმირო!“  
 და როცა იგი აპირობდა კვლავ ამისვე თქმას,  
 ამოხდა სული, კენესა ჩარჩა მკერდს და ტუჩით შორის  
 და ჩაიბარხა იმის გულში შენი სახელი.

**ანტ.** მაშ მოკვდა იგი?

**მარდ.** დიად, მოკვდა.

**ანტ.** ამხსენი, ეროს,  
 ეს საქურველი. დასრულდა დღე, ძილის დრო არის.  
 (მარდიანს) ეგ მიითვალე შრომის ფასად, რომ ცოცხალს გტო-  
 ვადი აქედან? [ვებ.

(მარდიანს ვადის).

ჩქარა, ჩქარა, ამხსენი-მეთქი!

ამ გულის ძგერას აიაქსის შვიდკეცი ფარიც  
 ვერ შეიმაგრებს; დამეშალე, სუსტო სხეულო;

გულო, შენც ერთხელ შენს ბუდეზედ მძლავრი გამოდგე,  
გააბე იგი!—ოჰ, აჩქარდი, აჩქარდი, ეროს!—  
მე შეომარი აღარა ვარ. შორს, ნამსხვრევებო,  
კეთილშობილად ნამსახურნო.—წადი, მცირე ხანს!—

(ეროსს გადის)

მეც მალე მოვალ, კლეოპატრა, შენთან და ცრემლით  
მოტყევებასა შემოგვედრებ. აქ რაღად დავდგე,  
მეტი სიცოცხლე სატანჯველად გადამექცევა:  
გაჰჭრა სანთელი, დროა, დავწვე, ბნელში რას დავძრწი;  
აწ ყველა საქმე ფუჭი არის, ყოველი ძალა  
მიმართულია ეხლა თავის დასათრგუნადვე;  
უნდა ბეჭედი დაესვას და მორჩეს ყოველი.—  
ეროს!—მოვდივარ, დედოფალო.—ეროს!—ცოტა ხანს,  
გთხოვ, მომიცადო. მერე სადაც განისვენებენ  
ყვავილით ფენილ წიადს სულნი, ხელი-ხელ გაყრით  
ჩვენც ვისეირნებთ, განვაცვიფრებთ მკვდრების აჩრდილთა,  
რა დაგვინახვენ მხიარულად მოსიარულეთ.  
ენეასს, დიდოს განშორდება ხალხი სრულიად  
და ჩვენ აგვეყვება ამაღადა.—ჰე, ეროს, ეროს!

(ეროსს შემობრუნდება).

ეროს. რას მიბრძანებდი?

ანტ.

კლეოპატრა რაკი მომკვდარა,  
სიცოცხლის მრცხვენის. თვითონ ღმერთნი ამ ჩემ სიწუწუკეს  
მალლიდან ზიზღით დაჰყურებენ. მე, რომელიცა  
ნაკუწ-ნაკუწად მთელ ქვეყანას ვანაწილებდი,  
გემების ქალაქს ვაშენებდი ნებტუნის მწვანე  
სამფლობელოზე, მე აღარ მაქვს იმდენი ძალა,  
რაიც დედაკაცს; მჯობნის იგი, ვინც თვის სიკვდილით  
თითქო კეისარს ეუბნება: „მევე ვარ მხოლოდ  
დამმარცხებელი ჩემის თავის!“ დაპირებული  
ხარ, ჩემთან, ეროს, რომ საქირო როცა იქნება,—  
და აი ამის ჟამი დადგა—როს შევეყრები  
აუცილებელს ვარამსა და უბედურებას,

რაკი განიშნებ, უნდა მომკლა. მაშ აგერ მომკალ,  
 სწორედ დრო არის: ეს იცოდე, მე კი არა მკლავ,  
 ამარცხებ თითონ კეისარსა. რა დაგემართა,  
 რისთვის გაფითრდი?

ერა. დამიფარონ ღმერთთა მაგისგან!  
 როგორ, მე უნდა მოვიქმედო ის, რაც პართიელთ  
 მათის ისრებით ვერ შეიძლეს მტრად მოსეულთა!

ანტ. გსურს, მაშ, დიდ რომში იჯდე სარკმელს და უყურებდე  
 გულ-ხელ დაკრეფილს შენს ბატონსა, განადგურებულს,  
 თაყჩაკიდებით მიმავალსა სირცხვილის ტვირთ ქვეშ?  
 რომ წინ სვიანის მიუძლოდეს კეისრის ეტლი  
 და აცხადებდეს მით ხმა-მალლა ჩემს გაწბილებას?!

ერა. რა სასურველი არის ეგა!

ანტ. მაშ, ნუ უყურებ,  
 თუ კი მომარჩენ ერთის დაკვრით. ამოიღე ეგ  
 პატოსანი ხმალი ბუდით, რაიც ყოველთვის  
 გიტარებია შენის ქვეყნის სასარგებლოდა.

ერა. მიხსენ, ბატონო.

ანტ. როს მოგეცი თავასუფლება,  
 ხომ შემომფიცე, თუ მიბრძანებ, ავასრულებო.  
 აჰა, ჰქმენ, თორემ, რაც კი წინად გიმსახურნია,  
 მთლად გააქარწყლებ; ამოიღე ხმალი და მოდი.

ერა. მაშ მიიბრუნე იქითკენ ეგ ბრწყინვალე სახე,  
 რომლის წინაშეც ემხოზოდა მთელი სამყარო.

ანტ. (მიბრუნდება) აი, მიებრუნდი.

ერა. ამოვიღე აგერა ხმალიც.

ანტ. ნულარ უყურებ, ბარემა ჰქმენ, რასაც აპირობ.

ერა. ჩემო ძვირფასო ხელმწიფეო, ჩემო მეუფევე!  
 ვიღრე ამ საქმეს ვიქმ მძვინვარეს, ნება მიბოძე,  
 უკანასკნელად მოგესალმო.

ანტ. მშვიდობით, ეროს!

ერა. მშვიდობით, დიდო, მხნე სარდალო! აბა, დრო არის?

ანტ. დროა, დრო, ეროს.



**ეროს.** იყოს აგრე! (აეგება თავის ხმალზე) ანტონიო-  
სიკვდილის ნახვის ტანჯვას ამ გზით მინც აეიცდენ. [სის  
(კვდება)].

**ანტ. ოპ.** ერთი-სამად ჩემზედ უფრო კეთილშობილო,  
მამაცო ეროს! შენ მასწავლი, რაც მე უნდა ვქმნა,  
რაც შენ ვერ შესძელ. კვლავ შთაძებერეს მაღალი სული  
შენმა და ჩემის დედოფლის თავ-განწირულებამ.  
ეხლა სიკვდილთან თითონ მევე დავეკორწინდები  
და მივაშურებ მის სარეცელს, ვით სატრფოს საწოლს.  
რალას ვუყურებ! ეროს, ჰხედავ, შენი ბატონი  
შენს მოწაფედა კვდება აგერ. ეს შენგანა მაქვს  
მე ნასწავლები! (აეგება თავის ხმალზედ) ჰა, არ მოვკვდი, ჯერ  
ჰეი, დარაჯნო! [ცოცხალი ვარ?—  
(შემოდინან დერეტას და დარაჯნი)].

გვეედრებით, რომ მომაკვდინოთ.

**1 დარაჯნი.** რა ამბავია?

**ანტ.** მეგობრებო, ვერ შევძელ საქმის  
კარგად დაწყება, დაწყებული თქვენ დაასრულეთ.

**2 დარაჯნი.** ზეცის ვარსკვლავი ჩაკვქრობია.

**1 დარ.** ბოლო მოელო  
ჩვენს სიცოცხლესაც.

**ვეკლანია.** ვაი, ვაი!

**ანტ.** დამკრას და მომკლას,  
ვისაც აქვს ჩემი სიყვარული.

**1 დარ.** მე ვერ ვიკისრებ.

**2 დარ.** ვერც მე.

**3 დარ.** და ვერც სხვა.

(დარაჯნი გადიან).

**დერტ.** გაურბიან შენს მწარე ხედრსა,  
შენს სიკვდილს შენნი მომღევარნი. რაკი მივუტან  
ამ ხმალს და ამბავს კეისარსა, კარგ ბედს ვეწევი.  
(შემოდის დიომედესი).

**დიომ.** ანტონიოსი სადა ბძანდება?

**დერტ.** აგერ, ვერ ჰხედავ?

დიამ. ცოცხალი არის, რად არ მამღვე რიგიან პასუხს?  
 (დერტეტას ვადის).

ანტ. შენ ხარ, დიომედ? ამოიღე ქარქაშით ხმალი,  
 მეც, ვადრე სულს არ განვუტყვებ.

დიამ. დიდო სარდალო,  
 მე გამომგზავნა შენს წინაშე კლეოპატრამა.

ანტ. გამომგზავნაო! როდის ევა?

დიამ. ეს არის ეხლა.

ანტ. სად არის იგი?

დიამ. ჩაკეტილი აკალდამაში,  
 სად თითქო იგრძნო ეს საზარო უბედურება.  
 რა ნახა, რომ შენ გულში მაზედ ეჭვი აღიძარ,  
 ვითომ ჰქონოდეს კეისართან მითქმა და მოთქმა,  
 რასაც იოტის ოდენიცა არ აქვს სიმათლე —  
 და რაკი სხვაფრიე მრისხანებას ვერ დაგიცხრობდა,  
 მოაგდო სიტყვა შენთან ვითომ თავი მოეკლას;  
 მაგრამ შეშინდა, არ მოჰყვესო ცუდი შედეგი  
 და ნამდვილ ამბის შემტყობელად მე გამომგზავნა,  
 თუმცა ვაი თუ გვიან იყოს აწ ყველაფერი.

ანტ. გვიანდა არის ეხლა, ჩემო კარგო დიომედ. —  
 გთხოვ, რომ ჩემ დარაჯთ მოუწოდო.

დიამ. ჰეი, დარაჯნო!  
 სარდალი გიხმობთ, მოდით ჩქარა, არ გეყურებათ?  
 (რამდენიმე დარაჯი შემოდის).

ანტ. კლეოპატრასთან მიმიტანეთ, გთხოვთ, მეგობრებო.  
 ეს არის და ეს, კვლავ არ ვაგრჯით აღარაფერზედ.

1 დარ. ვაი ჩვენს თავსა! ჩვენ ყოველთა შენთა ერთგულთა  
 დანარხვა უნდა გვღირსებოდა შენის ხელითა.

ეველანა, ვაი ამ შავ-ბნელ დღისა მომსწრეთ.

ანტ. ნუ, მეგობარნო,  
 ნუ გაახარებთ მწარე ბედს მაგ თქვენის წუხილით;  
 მხნედ მივეგებოთ სატანჯველსა და თვით დავსჯით მას,  
 რაკი მსუბუქად ვზიდავთ, არას შევეპოებით.

გთხოვთ, წამიყვანოთ, მეც რამდენჯერ წინ წაგძლოლივართ,  
 თქვენი ჯერია. ყველაფრისთვის მადლობას გიძღვნი.  
 (გადიან და ანტონიოსს გააქვთ).

ს უ რ ა თ ი X V

იგივე ქალაქი. აკალდამა.

(ზემო ოთახში შემოდის კლეოპატრა, ქარმიანა და ირას).

**კლეოპ.** აქედან გასვლას, ქარმიანა, ვერ ვეღირსები  
 მე ველარა დროს.

**ქარმ.** ქალბატონო ჩემო ძვირფასო,  
 ნუგეშს ნუ იღვე.

**კლეოპ.** არა, ნუგეშს არ ვსაჭიროებ,  
 პირზედ ღიმილით მივეგები ყოველ უცნაურს  
 საზარელ ამბავს, ნუგეში კი, ფუ, მეზიზღება!  
 უნდა ყოველი მწუხარება უდრიდეს მიზეზს  
 და ძლიერებაც ეტყობოდეს მისი საფერი.—  
 (დაბლა შემოდის დიომეტრეს).

რა ამბავია, მკვდარი არის?

**დიომ.** ჯერ არა, მაგრამ  
 სიკვდილი თავზედ დასტრიალებს. შეჭხედე აგერ  
 მეორე მხარეს: დარაჯთ იგი აქეთკენ მოაქვთ.

(დაბლა დასაჯებს ანტონიოსს შემოაქვთ).

**კლეოპ.** ცეცხლით დაბუგე, მზეო, სფერა, სადაც შენ იძვრი  
 და მთლად წყვდიადი მოეფინოს ტურფა ქვეყანას!  
 ოჰ, ანტონიოს, ანტონიოს! ქარმიან, ირას,  
 მიშველეთ, აბა, მეგობრებო, მიშველეთ, ჩქარა,  
 ამოვიყვანოთ იგი ზევით.

**ანტ.** რისთვისა შფოთავ?

ანტონიოსი კეისარს არ დაუმარცხნია,  
 თვით დაამარცხა თვისი თავი.

**კლეოპ.**

რაღა თქმა უნდა,

ანტონიოსი თუ დასძლევედა ანტონიოსსა!  
ვაი, რომ სწორედ ეგ მომხდარა.

**ანტ.**

ოჰ, ვკვდები, სატრფოვ,

და თუ სიკვდილის აცილებას მცირე ხნით ვცდილობ,  
მხოლოდ იმისთვის, ერთი კიდევ იმ მრავალ კოცნას.  
მივემეტო და დაგეკონო უკანასკნელად.

**კლეოპ.**

ოჰ, მომიტევე, ვერ გავბედავ, ჩემო ძვირფასო!

მეშინიან, რომ შემიპყრან, არ დაიმშვენოს  
ჩემით ზემი კეისარმა სვე-ბედნიერმა.

თუ დანას პირი, გველს ნეშტარი, საწამლავს ძალა  
უჭრის, მაშინ მე არ მენაღვლის, არ ვაპარპაშებ  
ჩვენზე შენს ცოლსა, ოქტავიას, კდემით მოარულს,  
მის სასაცილო არ გავხდები.—მაგრამ ეხლავე  
ზე ამოგიყვანთ, მომეხმარეთ, აბა, მხეველნო;  
მიეშველეთ-მეთქი.

**ანტ.**

ჩქარა, ჩქარა, თორემ გავთავდი.

**კლეოპ.**

უჰ, გაგვიკირდა, მეტად მძიმე ყოფილხარ, სატრფოვ,  
ან მწუხარებამ ხელში ღონე გამოგვილია.

ნეტავი ძალა მქონდეს ეხლა იუნონასი,

მყის ოტარიდი წაგიღებდა თვის მაგარ ფრთებზე

და იუპიტრის გვერდს დაგსვამდა.—სულ ცოტა კიდევ!—  
სისულელეა ნატვრა მხოლოდ.—აბა, ვეცადოთ.

(ანტონიოსს ზეით აიტანენ).

მოძიახლოვდი, საყვარელო, და იქვე მოკვდი,

სადაც ცოცხლობდი. სულის ჩადგმა რომ შემძლებოდა,

ამ ტუჩებს რომ ეგ ძალა ჰქონდეთ, კოცნით დავცვეთიდი.

**ფელანა.** საზარელი რამ ამბავია!

**ანტ.**

ოჰ, ეგვიპტელო,

ვკვდები..... შემასვი ცოტა ღვინო, მათქმევინე რამ...

**კლეოპ.**

არა, სათქმელი მე მაქვს ჯერედ: წყნული ბედი  
უნდა მოვთხარო ლანძღვით ისე, რომ თავის ჩარხი  
ნაკუწ-ნაკუწად დაამსხერიოს გაბრაზებულმა.

ანტ. ჩემო ძვირფასო, შეეფარე კეისრის სვეტსა  
და მით დაიცავ სიცოცხლესაც და სახელსაც.—ოჰ!

კლეოპ. ვით მოთავსდება ორივე ერთად!

ანტ. იცოდე ჩემგან,  
კეისრის ხალხში პროკულეოსს მიენდე მხოლოდ.

კლეოპ. მე მივენდობი ჩემთ მკლავთ, ჩემსა გაბედულობას  
და სხვა არავის.

ანტ. ნუ დასტირი, ნუ გლოვობ ჩემ სვეს,  
ასე ბედშეაედ ბოლოს შეცვლილს. სჯობს, გაიხსენო,  
თუ რა ბრწყინვალედ ვცხოვრობდი მე ვით დიდებულო,  
სწორ-უპოვარი მთელ ხმელეთზე. ისიამოვნე  
ამ მოგონებით. ეხლაც კია ეს მუზარადი  
როდი დავაშხე ვით ლაჩარმა დედამიწაზე,  
ვუძღვენ იგი მე რომაელმა დამარცხებულმა  
პატიოსანის ბრძოლის შემდეგ ჩემივე ქვეყნის შვილს.  
სული ამომდის, აღარ ძალმიძს ამაზე მეტი.

კლეოპ. კაცთა შვენებავ, შენ კვდები და მე აქ ვით დავრჩე,  
ამ აშშორებულ მიწაზედა, რაიც უშენოდ  
საღორესა ჰგავს.—ოჰ, შეხედეთ, შეხედეთ ერთი!

(ანტონიოს კვდება).

ქვეყნის დიდება სდნება, ჰქრება... ჩემო ძვირფასო...

დაჰქნდა გვირგვინი მეომართა მაშვენებელი,

პირქვე დაემხო მაგალითი ვაჟკაცობისა.

ეხლა პატარა ბავშენი დიდებს უდრიან სრულად,

ეხლა გარჩევა აღარ არის, რალას დანათებს

ან მზე, ან მთვარე, ვილას ნახვენ აქ მათ შუქის ღირსს!

(გულს შემოეყრება).

ქანძ. ცოტა დამშვიდდი, დედოფალო.

იანას. ვგონებ, ამანაც  
სული დალია.

ქანძ. დედოფალო!

იანას. ბატონო ჩემო!

ქანძ. ვაი ჩემს თავსა! დედოფალო!

ირას. ოჰ, დედოფალო,  
 სრულის ეგვიპტის მბრძანებელი.  
 ქარმ. სსუ, ჩუმად, ირას!  
 კლეოპ. დედაკაცი-ლა ვარ უბრალო, სხვა არაფერი,  
 რომელსაც ტანჯვა ისე სტანჯავს, ვით ძროხის მწველელს,  
 ანუ სხვა წვრილმან საოჯახო საქმის მკეთებელს.  
 უნდა ეს სკიპტრა შურიან ღმერთთ ვახალო თავში  
 და შეევძახო: მათ სამყოფი არ სჯობდა ჩვენსას,  
 ვიდრე ეს განძი არ წარგვტაცეს. აწ გაჰქრა ყველა.  
 სისულელეა მოთმენა და მოუთმენლობაც  
 მხოლოდ ცოფიან ძალს შეჰფერის. მაშ რა ცოდვია,  
 იღუმალებით მოცულს სახლში შევექრათ სიკვდილს  
 თუნდ მიუწვეველად. როგორა ხართ, მხევალნო ჩემნო?  
 აბა, გამხნევდით, ეგ რა მოგდით! ჩემო ძვირფასო,  
 კარგო ქარმიან; საყვარელნო, ჩემნო ერთგულნო.—  
 ოჰ, ოჰ, შეხედეთ; გაჰქრა ქვეყნის მანათობელი!  
 ნუ ხართ შემკრთალნი, ყმაწვილებო, დავმარხოთ იგი,  
 მერე შევეუდგეთ ჩვენც ჩვენს საქმეს რომაელთ წესით  
 და სიამაყით კარს გაგვიღებს სიკვდილი სტუმართ.  
 აბა, წავიდეთ!—ჰხედავთ, ბუდე ძლიერის სულის  
 გაცივებულა.—ოჰ, მხევალნო! რაღას მივენდოთ,  
 თუ არ მოლოდინს სიკვდილისას და ჩვენს სიმტკიცეს.  
 (გაღიან და ანტონიოსის გვამი გააქვთ).

## მესუთე მოქმედება

### სურათი I

კეისრის ბანაკი ალექსანდრიას გვერდით.

(შემოდინ კეისარი, აგრება, დოლაბელა, მეტენას, გალოს,  
 პრაკულეოს და სსქანია).

კეის. წადი და უთხარ, დოლაბელა, დამნებდეს იგი,  
 თორემ უარი უკიდურესს იმის ყოფაში

ბედის მასხარად აგდებას ჰგავს.

დოლაბელა.

ეხლავე, ხელმწიფევე.

(გადის.— შემოდის დერკეტას; ხელში ანტონიოსის სისხლიანი ხმალი უჭირავს).

კეის. რა იყო?— ვინ ხარ, რომ მაგ სახით ჰხედავ აქ მოსვლას?

დერკ. დერკეტას მქვიან სახელადა. მე ვმსახურებდი მარკ ანტონიოსს, ღირსეულის სამსახურის ღირსს. ვიდრე შეეძლო ფეხზე დგომა და ლაპარაკი, ბატონი იყო იგი ჩემი და მეც მზად ვიყავ, თავგანწირულად იმის მტერთა შევბრძოლებოდი. თუ შენ მიმიღებ, ის ვიქნები კეისრისთვისაც, რაც ვიყავ მისთვის; და თუ არა, ჰქმენ იგი, რაც გსურს, ჩემი სიცოცხლე შენ ხელთ არის.

კეის.

ვერ გამოვიცა,

რის თქმა გინდა შენ?

დერკ.

კეისარს, ანტონიოსის

სიკვდილის ამბავს გატყობინებ.

კეის.

ეგეთ დიდ ამბავს

ქექით და გრგვინვით ეკუთვნოდა გამომჟღავნება;

უნდა ეს რგვალი დედამიწა შერყეულიყო,

ლომთა დაეწყოთ ჩუქა-ქუჩა ძრწოლა, სირბილი,

კაცნი კი იმათ ბუნაგებში შემალულიყვნენ.

ეგ ერთის სიკვდილს როდი ნიშნავს, ანტონიოსის

სახელი მთელის ცის-ქვეშეთის ნახევარია.

დერკ.

ის არც შესყიდულ ავაზაკის დანით მომკვდარა,

არც სამართლისგან დანიშნულის ჯალათის ხელით;

გული გაუბო მას იმ მკლავმა, რომლით საქმენი

სასახელონი მატიანეს ჩაწერილი აქვს

და თვით იმ გულსვე დაესესხა გაბედულობას.

აი მის ხმალი, ჭრილობიდან მე ამოვადქვრ;

ჰხედავ, ჯერ კიდევ დიდებული სისხლი ჩამოსწვეთს.

კეის.

შეწუხდით განა, მეგობრებო? მოწმად მყავს ღმერთნი,

თვით ვგრძნობ, რომ ესეთ ამბის მსმენელთ ხელმწიფეთაც კი

უნდა აფესოთ თვალნი ცრემლით.

აგრ.

უცნაურია:

ვტირით მას, რისაც ასრულებას ჩვენვე ვნატრობდით.

მერ. ღირსებაც, ნაკლიც თანასწორად ბუღობდნენ მასში.

აგრ. კაცთა მოთავედ უმაღლესი პირი არ მდგარა, მაგრამ ზოგ ნაკლსა გვძენენ ღმერთნი, რომ აღამიანს ახსოვდეს მუდამ თვის ბუნება. — მეტად შეშფოთდა თვით კეისარიც.

მერ.

დიდი სარკე წინ აეყულა

და უნებლიედ მასში ჰხედავს თავის სახესაც.

კეის. ოჰ, ანტონიოს, ამ დღემდე შენ მე მიგიყვანე, მაგრამ სენს ხშირად მხოლოდ დანა არჩენს ჩვენს ტანში. ესეთი ბედი ან მე უნდა შემეყროდა, ან შენ, ამ დედამიწის ზურგზე ორნივე ვერ ვთავსდებოდით. მაგრამ ეხლა კი სისხლის ცრემლით, მერწმუნე, ვტირი, რომ შენ ჩემი ძმა, ამხანაგი ქვეყნის მართვაში, ჩემს განზრახვებში ჩახედული, ჩემებრ მოთავე ბრძოლისა ჟამსა, ნაწილი თვით ჩემის სხეულის, გული ამ გულთან გრძნობიერის სიმებით ბმული, — სხვა ვარსკვლავს გაჰყევ და ტოლები გაეყარნით. — გესმით, რას გეტყვით, მეგობრებო... (შემოდის შიკრიკი)

მაგრამ კვლავ იყოს

უფრო მარჯვე დროს. ამ შიკრიკს სურს, როგორც ეტყობა, გვაუწყოს დიდი რამ ამბავი. — ვინ ხარ, ან სიდან?

შიკრ. ერთი ღარიბი ეგვიპტელი. ჩემს დედოფალს სურს, შეიტყოს შენგან, რას უპირობ, რომ შესაფერი განკარგულება მოახდინოს. აკალდამაში შეკეტილია იგი ეხლა, ვით უკანასკნელს მისაყუდებელს.

კეის.

მოახსენე, მხნედ იყოს იგი

და მალე ერთ-ერთ ჩვენის კაცის პირით ვაცნობებთ, თუ როგორ ტკბილად და პატივით მოვეპყრობით მას: კეისრის წესი როდი არის უზრდელი ქცევა.

შიკრ. ღმერთნი გფარვიდნენ.

(გადის).



კეის.

პროკულეოს, აქეთკენ მოდი.

უნდა წახვიდე, დაამშვიდო შენ დედოფალი,  
რომ არავითარს სირცხვილს ჩვენ მას არ მივაყენებთ,  
მიეც ნუგეში, რაც შეჭფერის მის მწუხარებას,  
რომ სიამაყით თავს არა-რა აუტეხოს-რა,  
არ გაგვიცრუოს მით განზრახვა; მაგისი რომში  
ყოფნა ხომ უკვდავს სახელს შეგვცდნს. წადი და მალე  
შეგვატყობინე, ან რას გეტყვის, ანუ რას ჰფიქრობს.

შროკულეოს. ეხლავ, ბატონო, გაიხლები.

(გადის).

კეის.

გალოს, შენც წაჰყევ.

(გალოსიც გადის).

პროკულეოსს რომ დაეხმაროს დოლაბელაცა,  
კარგი იქნება. ის სადღაა?

აგრ., მეტ. და სხვანა. ჰე, დოლაბელა!

კეის. მაგრამ მე თითონ სხვა საქმეზედ გავგზავნე იგი,  
აწ გამახსენდა, მალე მოვა. ეხლა წამოდით  
ჩემთან კარავში და გაჩვენებთ, ვით ძალის-ძალად  
ჩამაბეს ომში; რომ წერილებს ტკბილს, მშვიდობიანს  
ვწერდი მუდამ მტერს; დიად, ამას ყოველიფერსა  
თქვენის თვალითვე ნახავთ იქა და დარწმუნდებით.

(გადიან).

## ს უ რ ა თ ი II

ალექსანდრია. ოთახი აკალდამაში.

(შემოდინ კლეოპატრა, ქარმიანა და ირას).

კლეოპ. განწირულება ჩემი თითქო ნელ-ნელა ცხრება.  
სიგლახაკეა მართლაც ყოფნა თუნდ კეისრადაც,  
რაკი ბედის ჩარხს თვის სურვილზედ ვერ ატრიალებს  
და მას მსახურებს მონად, ნების აღმსრულებელად.

მხოლოდ იმ საქმეს სიღიადე ეთქმის ნამდვილი, რაც თავისით სპობს ადამიანთ ყველა სხვა საქმეს, ყოველ მომავალ ფათერაკსა, ყოველ ცვლილებას, რაიც გვაძინებს საუკუნოდ და გვიზობს სურვილს, ჩვენს მსაზრდოებელს ძუძუს ეწოდეთ ამ დედა-მიწას, ძიძას ერთგვარად კეისრისა და მთხოვრის აღმზრდელს.

(აკალდამის კარებთან მოდიან პროკულები, გაღოს და ვა-რის-კაცნი).

**პროკ.** სალამს გიგზავნის კეისარი ეგვიპტის მფლობელს და გთხოვს, სურვილი განაცხადო, თუ რა გწადიან, რომ აღასრულოს მყისვე იგი.

**კლეოპ.**

შენი სახელი?

**პროკ.** მე პროკულებს მეწოდება.

**კლეოპ.**

ანტონიოსმა

მითხრა, ვინცა ხარ და მიჩნია, რომ მოგენდო შენ, მაგრამ რაღა მაქვს მოსანდობი, რას მოვერიდო! თუ კი შენს ბატონს დედოფალი სურს, მთხოვრად ჰყავდეს, ისიც აუწყე, მართებული არ იქნება-თქო, ერთი სამეფო მოწყალებად არ ვთხოვო მაინც. მაშ თუ დაპყრობილს ეგვიპტეს ის ჩემს შვალს უბოძებს, მით მომცემს ჩემსას და მადლობას მდაბლად გადაუხდის მუხლ-მოდრეკილი.

**პროკ.**

დედოფალო, ნუ შესწუხდები, შენ დიდებულის კაცის ხელში ხარ ჩავარდნილი და მას მიენდე მთლად და სრულად, ნუ გეშინიან. გაჭირვებული ყველა მისგან ხსნას გამოელის და ნება დამრთე, მოვახსენო, რომ მას აბარებ შენს ბედ-იღბალსაც; მაშინ იგი მოწყალების წილ მოგფენს სიკეთეს აურიცხველს მადლიან ხელით.

**კლეოპ.**

გთხოვ, აუწყო, რომ ვარ მის ბედის მორჩილი მონა და მის შენაძენს თან ვაახლებ ჩემს დიდებასაც. თავმდაბლობაში წვრთნას მოვახმარ ყოველ საათსა და თუ მის ხილვის ნებას მომცემს, მაამებს დიდად.

**პროკ.** ყველაფერს აგრე მოვახსენებ, ნუგეშით იყავ:  
თვითვე სწუხს, ვინც ეგ გაჭირება შენ მოგაყენა.  
**კლეოპ.** ხომ ჰხედავ, როგორ აღვილია მაგის შეპყრობა.

(პროკულოსს და ორი დარაჯი ავლენ აკლდამაში ფანჯარასთან მიდგმულ კიბით. შიგ ჩანტებიან და კლეოპატრას უკან მოუდგებიან. ზოგნი ჟარის-კაცნი კარების ურდულს ვასწევენ და გააღებენ).

(პროკულოსს და დარაჯთ) ვიდრემდე მოვა კეისარი უფრთხილ-  
[დით მაგას.]

**იანას.** ოჰ, დედოფალო! (გადის.)

**ჭარბ.** დედოფალო, ტყვედ დაგიჭირეს!

**კლეოპ.** მარჯვედ, ხელებო!  
(ზანჯალს ამოიღებს).

**პროკ.** რას ჩადიხარ, ბატონო ჩემო!  
შენი შეველა გეწადს, არა წყენა, თავს რისთვის იკლავ.

**კლეოპ.** როგორ! სიკვდილსაც კი მიკრძალევენ, რის ნება ძალთაც  
აქვთ, რომ ტანჯვისგან თავი იხსნან.

**პროკ.** გთხოვ, კლეოპატრა,  
თავს ნუ გასწირავ და ჩემს ბატონს ნუ გაუქარწყლებ  
სიკეთისადმი მისწრაფებას. მთელმა ქვეყანამ,  
დეე, იცნოს მის სულ-გრძელება, რასაც სიკვდილით  
შენით შემთხვევა მოესპობა თავ-გამოჩენის.

**კლეოპ.** სად ხარ, სიკვდილო, მოდი, მოდი, დამეპატრონე.  
ვგონებ, დედოფალს უფრო მეტი ფასი სძევს, ვიდრე  
ბიჭ-ბუჭების და გლახაკთ გროვას.

**პროკ.** გვედრებ, დამშვიდდე.

**კლეოპ.** არც ვჭამ, არცა ვსვამ და თუ კიდევ ცუდად მაყბედებთ,  
ამასაც გეტყვით, ამ თვალებს ძილს არ მივაკარებ,  
სიკვდილის ქამსა მოვისწრაფებ ამა თუ იმ გზით.  
დეე, რაც სურს, ჰქმნას კეისარმა. მე იმის კარზე  
ვერ გამომჭიმვენ ხელ-შეკრულსა, ვერ მომაყენებს  
თქვენი ჯავლაგი ოქტავია იმითი სასჯელს,  
რომ მიბინდებულ თვალებითა მიწყოს ყურება.

ჰაი თუ გინდათ, მიმართით რომში და მის ბრბო  
 ჩემის ყურებით შეაქციოთ, ააყროყინოთ!  
 მაგას ის მიჯობს, აქ, ეგვიპტეს, საფლავად მქონდეს  
 მყრალი რამ სორო, ან შიშველი ვეგლო ნილოსის  
 ტლაპოში სადმე, ჩემს წყლულებში ბუზნი თესლს სდებდნენ,  
 მასახიჩრებდნენ, მაყენებდნენ უწყალო ტანჯვას;  
 ან კიდევ თოკი წაძიქირონ ბორკილით შეკრულს  
 და ჩამომკიდონ ჩემის ქვეყნის მაღალ პირამიდს.

**შრატ.** რისთვის ეძლევი, დედოფალო, საზარელ ფიქრებს,  
 რაიც კეისარს გულში არც კი გასტარებია!

(შემოდის დოლაბეჯა).

**დოლაბ.** შენმა ბატონმა, კეისარმა, იცის, რაც აქ ჰქმენ  
 და ეხლა ჩემის პირით თვისთან გიბარებს იგი.  
 დედოფალზე კი მე ვიზრუნებ.

**შრატ.** ძალიან კარგი.

კმაყოფილი ვარ მე მაგ ამბით. გთხოვ, დედოფალთან  
 ზრდილობით იყო. — (კლეოპატრას) თუ ინებებ ჩემდა მონდო-  
 ყოველს შენს სურვილს მოვახსენებ დიდ კეისარსა. [ბას,  
**კლეოპ.** მე სიკვდილი მსურს, ასეც უთხარ.

(შრატუჯეოს და ჟარის-კატანა გადიან).

**დოლაბ.**

დიდო ხელმწიფევე,

გაგიგონია, ვინცა ვარ მე?

**კლეოპ.**

არა, არ მახსოვს.

**დოლაბ.** უნდა მიცნობდე.

**კლეოპ.**

გინდ გიცნობდე და გინდა არა;  
 შენ ეს მითხარი, დედაკაცი, ანუ ბავშვები,  
 როცა თვის სიზმრებს გიამბობენ, დასცინით ხოლმე?

**დოლაბ.** მაგას რად მკითხავ?

**კლეოპ.**

იმისთვის, რომ ძილში მეზმანა  
 ქვეყნის მეუფე წოდებული ანტონიოსად.  
 ნეტა კვლავ ენახო ის სიზმარი, ან იმისთანა  
 ქმნილება სადმე.

**დოლაბ.**

თუ ისურვებ...

**კლეოპ.**

იმისი სახე

ჰგავდა ზეციურ კამარასა; მზე და მთოვარე  
დანავარდობდნენ მის ნაკვთებში და შუქსა ჰფენდნენ  
ამ პაწაწკინა დედამიწას.

**დოღაბ.** ოჰ, ქეშმარიტად  
იგი დიადი კაცი იყო...

**კლეოპ.** ოკეანეზედ  
მიაბიჯებდა ის თამამად; მკლავს რომ ასწევდა,  
გეგონებოდა, მთების ქელი აიმართაო.  
როს ტკბილად იყო, მის ხმა ჰგავდა სფერათ მუსიკას  
შეფერებულად შეწყობილსა, მაგრამ რისხვის დროს  
ჰგლეჯდა ქვეყანას, ვით საზარო ჭექა-ქუხილი;  
მოწყალე გული ზამთარს კი არ მოგაგონებდა,  
არამედ მსუქან შემოდგომას, სიმწიფით უფრო  
გაძლიერებულს; ატარებდა დროსაც სიამით,  
როგორც დელფინი თვის სტიქიონს შორს მოქცეული,  
ზურგ-მიშვერილი მზის სხივისკენ. მეფე-მთავარნი  
გვირგვინოსანნი ფუსფუსებდნენ იმის კარებზე;  
სახელმწიფოანი და კუნძულნი, ვით წვრილი ფული  
სცვიოდა ჯიბით.

**დოღაბ.** კლეოპატრა!

**კლეოპ.** როგორ გგონია,  
ჩემგან ნახული კაცისთანა ყოფილა სადმე,  
ანუ გაჩნდება როდისმე კვლავ?

**დოღაბ.** არა, ბატონო.

**კლეოპ.** რისთვისა სტყუი? სტყუი თითონ ღმერთთა წინაშე.  
იყო მაგგვარი, უკეთესი თვით ნაზმანევზე:  
თუმცა ბუნება უცნაურთა ფორმათა შექმნით  
ვერ შეედრება ოცნებასა, მაგრამ რაკი მან  
ანტონიოსი მოგვივლინა, მით დაამარცხა  
თვითონ ოცნება, გააცრუა აჩრდილთ სამეფო.

**დოღაბ.** შენებრ დიდია დანაკარგი შენი, ხელმწიფევე,  
და შესაფერად იტან ტანჯვას. ნუ მღირსებოდეს  
სანატრელისა შესრულება თუ არა ვგრძნობდე  
მეც ღრმად ჩემს გულში მწუხარებას. მაგ სევდის გამო.

კლეოპა. მადლობელი ვარ. არ იცი შენ, თუ კეისარი  
 შე რას მიპირობს?

დალაბ. მეძნელება გამოძეღავენება,  
 მაგრამ კი მინდა, რომ შეიტყო.

კლეოპა. მაინც, მითხარ...

დალაბ. თუმც სულდიდია იგი ფრიად...

კლეოპა. ტრიუმფისათვის  
 წამიყვანს რომსა.

დალაბ. დიად, სწორედ აგრე იქნება.  
 (გარედან საყვირის ხმა).

ხმა გაჭედან. გზა კეისარსა!

(შემოდინ კეისარი, გალუს, პრუკუეოს, მეტენას, სე-  
 ლეკოს და მსლებელნი).

კეის. დედოფალი რომელი არის  
 აქ ეგვიპტისა?

დალაბ. დედოფალო, იმპერატორი!  
 (კლეოპატრა დაიჩოქებს)

კეის. ადექ, ეგვიპტის დედოფალო, როდი შეგფერის  
 შენ დაიჩოქება.

კლეოპა. მაღალ ღმერთთა ასე განაგეს;  
 მორჩილი უნდა ვიყო ჩემის მბრძანებელისა.

კეის. მანებელ ფიქრებს ნუ აპყვები; თუმცა რაც აგი  
 მე მომაყენე, გულის ფიცარს მტკიცედ ჩამეჭდო,  
 მაგრამ უცაბედს შემთხვევასა უფრო ვაბრალებ  
 ამას ყველაფერს.

კლეოპა. ერთად-ერთო ქვეყნის უფალო!  
 არ შემძლიან ჩემის თავის დამცველად დაედგე,  
 წარმოგიდგინო ვითარება საქმისა ცხადად;  
 მხოლოდ ეს უნდა აღვიარო, რომ მეც საფე ვარ  
 იმავ სისუსტით, რაიც მთელ ჩემს სქესს ჭირადა სჭირს.

კეის. იცოდე ჩემგან, კლეოპატრა, სხვის დანაშაულს  
 არ ვაზვიადებ მე არას დროს, უფრო ვამცირებ.  
 თუ მოენდობი მას, რაც გულში განზრახული მაქვს,—  
 მერწმუნე, შენთვის სასარგებლო—მაშინ სიკეთეს

ეწევი ესეთ ცვლილებითა, და თუ მიჰყვები  
ანტონიოსის მაგალითსა, უწყალოების  
ბრალს დამდებ,—მაშინ შეინანებ, მომისპობ წადილს  
კეთილის ქმნისას, ყელებს დასჭრი შენთა შევილთაცა,  
რომელთ ბედნიერს სვეს ვაწვევდი, რომ მომნდობოდი.  
ეხლა მშვიდობით.

**კლეოპ.** მიხვალ, მთელი ქვეყნიერება  
შენ ფერხთ ქვეშაა, შენი არის; ჩვენ ყველანი კი,  
ვით მორთულობა შენის ძლევა-მოსილობისა,  
იქ უნდა ვიყვნეთ მიკრულნი, სად მოიწადინებ.  
მაგრამ გთხოვ, ცოტა მომისმინო.

**კეის.** მზა ვარ, ყოველი,  
რასაც კი მირჩევ, შეგისრულო.

**კლეოპ.** აი ეს სია  
ჩემგან ნაქონის ფულის, ქურჭლის, განძეულობის,  
ყოველივეა აღნუსხული, იოტის ტოლიც  
არ დამიკლია.—ჰე, სელევკოს!

**სელევკოს.** ბატონო ჩემო?

**კლეოპ.** ეს კაცი ჩემი მოლარეა, თავის პირითვე  
გაუწყოს, თუ რამ დავიტოვე ჩემთვის, ხელმწიფევ.—  
წმინდა სიმართლე სთქვი, სელევკოს, თუ სიცოცხლე გწადს.

**სელევკ.** ენა სასაზღედ რომ მიმეკრას, ის მირჩევნიან  
ჩემდა დაღუპვად ტყუილის თქმას.

**კლეოპ.** რაო, რას ამბობ,  
დავიტოვე რამ?

**სელევკ.** იმდენი, რომ იმის ფასითა  
აწ გაცემულის შეგიძლიან გამობრუნება.

**კეის.** რისთვის სწითლდები, კლეოპატრა? მე მომწონს შენი  
ბრძნული სიფრთხილე.

**კლეოპ.** კეისარო, როგორ ყოველივე  
გამარჯვებულსა უკანა სდევს. რაც მეკუთვნოდა,  
აწ შენ გეკუთვნის და შენსაზე მე ვიუფლებდი,  
ერთმანეთისთვის ჩვენი ბედი რომ დაგვეცვალა.

უმადურება ამ წუწკისა სწორედ ცოფსა მგვრის.—  
 ოჰ, მონავ, ნაყიდ სატრფოსავით არ მისანდობო!  
 უკანაც იწეე, მართლაც გიჯობს, მაგრამ მოვავნებ  
 დასაბნელებელ მაგ თვალებსა, თუნდ ფრთა შეისხან  
 და ამოგაძრობ! ოჰ, შე ძაღლო, უმზავგსო, პილწო,  
 ერთ უთქმელო საზიზღრობავ!

**კეის.** გთხოვ, დედოფალო,  
 ცოტა დამშვიდდე.

**კლეოპ.** გადმიტანოს ლამის სირცხვილმა.  
 ოჰ, კეისარო, როდესაც შენ ღირსი გამხადე  
 შენის ხილვისა აქ ჩემს სამყოფს მე უმდაბლესი,  
 ჩემივე მონა ჩემს მწარე ბედს უფრო ამწვავებს  
 თვის ბოროტებით. ვთქვათ, აგრეა, სწორედ დავმალე  
 უბრალო რამე სამკაული დედაკაცისა,  
 წვრილმანი ნიეთი, მეგობართა მისართმეველი,  
 ან თუნდ განძი რამ ლივიას, ან ოქტავიასთვის,  
 რომ შუამიელად ვიყოლიო,—განა ეს უნდა  
 გაეთქვა მონას, ჩემგან აღზრდილს? ოჰ, ღმერთო, ღმერ-  
 ეს კიდევ უფრო ბოლოს მიღებს, მიწას მასწორებს. [თნო,  
 (სელევკოსს)

გადი, გაეთერ, თორემ ჩემის რისხვისს მუგუზხალს  
 წაყრილ ფერფლიდან ამოგაძრობ და გაგათავებ.  
 კაცი რომ იყო, დამინდობდი, გამიკითხავდი.

**კეის.** გადი, სელევკოს.

(სელევკოსს ვადის).

**კლეოპ.** ამ ქვეყნიურ ძლიერთ ჭირად გვჭირს,  
 რომ სხვის აე საქმეს ჩვენ გვაწერენ და რა ვემხოებით,  
 უნდა პასუხიც ვაგოთ სხვების სიავკაცეში.

**კეის.** არცა შენახულოს შენგან და არც აქ ნაჩვენებსა  
 განძეულობას ჩვენ ვერ ჩავთვლით ნაალაფევად.  
 შენი იქნება იგი ყველა და მოიხმარე  
 სურვილისამებრ. კლეოპატრა, შენ კეისარი  
 ნუ მიგაჩნია ვაჭრად, იგი ჩინჩს არ დაგიწყებს.



დარდს ნუ შეუშვებ გულში-მეთქი და საპყრობილეს  
ნუ აიშენებ შენის მწარე ფიქრ-ვარამისას;  
ნუ, ნუ, ძვირფასო დედოფალო, რადგან ჩვენა გვსურს,  
ისე მოგვეყრათ, როგორც კი თვით მოიწადინებ.  
შექექეც ტკილად საქმელ-სასმელს, ტკილად იძინე;  
ჩვენი შენდამი მზრუნველობა და სიბრალული  
მეგობრულია, არა მტრული, აწ კი მშვიდობით.

**კლეოპ.** მშვიდობით ჩემო მეუფეო, ჩემო ხელმწიფე.

**კეის.** მშვიდობით იყავ, მაგრამ აგრე ნულარ მიწოდებ.

(საყვირის ხმა. კეისარი და მისი ამაღს გადიან).

**კლეოპ.** სიტყვებით მართობს, სიამაყე სურს რომ დამიცხრას,  
გესმით, მხევალნო? მაგრამ მაინც აქ მო, ქარმიან.

(ქარმიანას ეჩურჩულება).

**ინას.** გათავდა ყველა, დედოფალო, მზე ჩავეივიდა  
და ბნელაში ვართ მომწყვდეულნი.

**კლეოპ.** მალე დაბრუნდი.

მე ნათქვამი მაქვს, მზად იქნება აწ ყველაფერი.

**ქანძ.** ეხლავე, ბატონო.

(დაღაბება დაბრუნდება).

**დაღაბ.** დედოფალი სადა ბრძანდება?

**ქანძ.** აი, ვერ ჰხედავ?

(გადის).

**კლეოპ.** დოლაბელო!

**დაღაბ.** ბატონო ჩემო,

ფიცი მოგართვი და ვასრულებ დაპირებულსა,  
რადგან შენდამი მორჩილება, პატივისცემა  
მე მიმაჩნია ჩემს უწმინდეს მოვალეობად.

სირიაზედ სურს გამგზავრება კეისარს და შენ  
წინდაწინ გგზავნის შეილებითურთ ამ ორ-სამ დღეში.  
ისე მოიქეც, ვით გიჯობდეს, მე შევეასრულე  
შენი სურვილი.

**კლეოპ.** საუკუნო ვალი დამდე შენ.

**დაღაბ.** მზა ვარ, ყოველთვის გამსახურო. ეხლა კი უნდა

ვიახლო ისევ კეისარსა. ბატონო ჩემო,  
 მშვიდობით იყავ.

კლეოპ. დიდად გმადლობ; მშვიდობით შენცა.—  
 (დოლაბელა გადის).

რას იტყვი, ირას! წაგეიყვანენ მე და შენ რომსა,  
 გვათამაშებენ ტიკინივით. მონათა გროვა  
 მოიყრის თავსა, ქონიანი წინ-საფარებით  
 სახაზ-ჩაქუჩით მოკმაზული, ხელს ჩაგვაფლებენ  
 და დაგვიწყებენ ღრეჭით სინჯვას; მოვლენ გამძღარნი  
 ნაყარ-ნუყარის საქმლით და ჩვენც თავიანთ ორთქლში  
 გაგვხვევენ, გულ-გვამს აგვივსებენ მყრალის ოშხივრით.

ირას. ოჰ, გვიხსნან ღმერთთა!

კლეოპ. სწორედ, სწორედ ასე იქნება:  
 ურცხენი ლიქტორნი ხელს გვტაცებენ, როგორც როსკი-  
 მესტირეები დაგვცინებენ უმზავსო ლექსით, [პებს,  
 წარმოგვადგენენ მსახიობნი ქუჩის სცენაზედ  
 აღექსანდრიას დიდებულად მონადიმეთა.  
 ანტონიოსის სახით მთვრალი გამოვა ვინმე  
 და წიწლიკანა ბავშვა ქალად ჩაცმულმა უნდა  
 ფეხ-ქვეშ გასთელოს კლეოპატრას დიდებულება  
 და ქვეყნის პირში უნამუსოდ გამოიყვანოს.

ირას. ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

კლეოპ. სწორედ ასე იქნება-მეთქი.

ირას. მაგას ჩემს ღღეში არა ვნახავ: აი ეს ფრჩხილნი  
 ამ თვალებს ღონით აჯობებენ.

კლეოპ. ჰო, ეგ ნამდვილი  
 გზაა, თუ გინდა წაუხდინო მათ სამზადისი  
 და ჩაუფუშო საზიზღარი განზრახულება.  
 (ქარმიანა შემობრუნდება)

ქარმიან, მოხველ?—აბა, მომრთეთ, მხევალნო ჩემნო,  
 როგორც შეჭფერის დედოფალსა. საუკეთესო  
 მომართვით მე აქ სამოსელი. მივალ ციღნოსზედ  
 ანტონიოსის დასახვედრად.—ისწრაფე, ირას.—

ნულარ უყურებ, ქარმიანა, ცოტა ხანს კიდევ  
 გაისარჯე და მერე მოგცემ თავისუფლებას,  
 რომ თუნდ მეროდ მოსელამდისაც ტკბილად შეექცე.—  
 მომართვით ყველა, გვირგვინიც და სხვა სამკაულიც.

(გარედან ხმაურობა მოისმის)

ეს ვინ ხმაურობს?

(იჩას გადის და ერთი დაჩაჯა შემოდის).

დაჩაჯა.

კლეოპ. გლეხი გახლავს სოფლელი ერთი,  
 ლეღვი მოგართვა, უსათუოდ უნდა ვნახოვო.

კლეოპ. კარგი, მოვიდეს.

(დაჩაჯა გადის)

უბრალო რამ მკირე ქმნილებას

რა დიდი საქმე შეუძლიან: იგი მანიჭებს  
 თავისუფლებას. გადაეწყვიტე: დედაკაცისა  
 აღარაფერი არის ჩემში, თავით ფეხამდე  
 მტკიცე ვარ, როგორც მარმარილო; აწ ჩემს პლანეტად  
 ცვალებადს მთვარეს აღარ ჩავთვლი.

(დაჩაჯა დაბრუნდება და თან მოჰყავს კლეოპა კალათით ხელში)

დაჩ.

აი ის კაცი.

კლეოპ. ეგ აქ დასტოვე და შენ წადი.

(დაჩაჯა გადის)

მანდა გყავს შენ ის

ბაწია გველი, რომ ჰკლავს კაცსა უტანჯველად?

კლეოპ. მყავს, მაგრამ ღმერთთა დამითარონ, გირჩიო, აკბენინე-  
 მეთქი. მაგის კბენა სიკვდილის უებარი წამალია და ვინც  
 იმით მოკვდება, თავის დღეში ფეხზე ველარ წამოდგება,  
 ან თუ წამოდგება, ძალიან ძვირად.

კლეოპ. მომკვდარა ვინმე მაგისგან ნაკბენი?

კლ. მრავალი, კაცი თუ ქალი. აი გუშინაც მოკვდა ერთი  
 პატიოსანი დედაკაცი. მართალია, ცოტა სიცრუე უყვარდა,  
 მაგრამ დედაკაცს ეს მიეტყვება, თუ კი თავის პატიოსნად  
 გამოჩენა უნდა და იმისთვისა სცრუობს. მერე რა ლამა-  
 ზად გვიამბო, თუ როგორ უკბინა გველმა, რა სიმწარე

გამოიარა, მაგრამ კაცმა რომ იმით ყველაფერი დაუჯეროს, საიქიოს ნახევარიც არ გაჰყვება. ეს კი ნამდვილია და ნამდვილი, რომ თითონ გველი მეტის-მეტად ავია.

კლეოპ. კარგი, შენ წადი.

გლ. ვისურვებ, რომ ამ გველმა კარგად გასიამოგნოს.

(კალათას დასდგამს).

კლეოპ. მშვიდობით.

გლ. ის კი ნუ დაგავიწყდება, გველი გველის ბუნებას თავს არ დაანებებს.

კლეოპ. კარგი, კარიგი, მშვიდობით.

გლ. ესეც იცოდე, რომ ეს მარტო ჭკვიანს ხალხს მიეცემა ხელში, თორემ გველს აბა რა ჭკუა მოეთხოვება.

კლეოპ. ნუ გეფიქრება, გაფთხილდებით.

გლ. ძალიან კარგი. ამასაცა გთხოვ, არა აქმეინო-რა, ეგ საქმლის ღირსი არ არის.

კლეოპ. არც მე შემქამს?

გლ. აგრე სულელი კი ნუ გგონივარ, რომ მაგაებს მეკითხები; განა არ ეიცო, რომ დედაკაცს ეშმაკიც კი არა სქამს. დედაკაცი ღმერთების საზრდოა, თუ ეშმაკმა თავისებურად არ შეაზავა და ხშირად ის ოხერი ეშმაკები ღმერთებს საქმეს უზდენენ ხოლმე. ღმერთები რომ ათ დედაკაცს თავთავიანთვის მოიშაადებენ, ეშმაკებმა ათში ხუთი მაინც უნდა გაუფუჭონ.

კლეოპ. კარგია, წადი, მშვიდობით.

გლ. მშვიდობით. ნუ დაგილიონ ღმერთებმა ამ გველისაგან სიამოვნება.

(გადის.—აჩას დაბრუნდება; თან მოაქვს ტანისამოსი, გვირგვინი და სხვ.)

კლეოპ. მომეცით ჩემი შესამოსი, გვირგვინით მომრთეთ;

უკვდავებისკენ მივისწრაფი, კვლავ ველარა დროს ამ ტუჩთ ეგვიპტის ყურძნის წვენი ველარ დაალობს.

აჩქარდი, ირას! ჩქარა, ჩქარა.—ანტონიოსი

მეძახის თითქო, აგერ დგება ჩემ თვალთ წინაშე

და მიქებს დიადს განზრახვასა. აი დასცინის

კეისრის ბედსა, რასაც ღმერთნი შხირად აძლევენ  
კაცთ მხოლოდ მისთვის, რომ შემდეგში მეტად დასაჯონ.  
მოვალ, მოვდივარ, მეუღლეო! ჩემი სიმტკიცე  
მამლევს ნებას, რომ ეს გიწოდო. ეხლა ჰაერი  
და ცეცხლი-ლა ვარ, დამითმია სხვა სტიქიონნი  
ამ უქამურის სიკოცხლისთვის.—ხომ გაათავეთ?  
უქანასკნელი ამ ტუჩით სითბო თქვენ გერგოს წილად.  
მშვიდობით, კარგო ქარმიანა, მშვიდობით, ირას!—

(ჰოცნის მათ. ირას დაეცემა და კვდება).

რაო, ასპიტე ხომ არ ბუღობს ჩემს ტუჩ-კბილებთან!  
დაეცი მიწას? თუ შორდები აგრე ადვილად  
სიკოცხლის ტვირთსა, ჰგვანებია სიკვდილი სწორედ  
არშიყის ჩქმეტას, თუმცა მწვავსა, მაგრამ საამოს.  
აღარა დგები? მაგ სიკვდილით გსურს დაგვიმტკიცო,  
რომ ეს სიკოცხლე აღარც კი ღირს გამოსალმებად?!

ქარბ. წვიმად გარდიქვც, გაიფანტე, შავო ღრუბელო,  
ენახო, თვით ღმერთნი მდუღარებას როგორ აფრქვევენ.

კლეოპ. ირას მარცხვენს მე. თუ პირველი ეგ შეეყარა  
ჩემს ხუჭუჭ-თმიანს ანტონიოსს, დაუწყებს იგი  
გამოკითხვასა და პირველად მას უძღვნის კოცნას,  
ჩემთვის ძვირფასსა, სანეტაროს სამოთხესავით.—

(ასპიტს, რომელსაც გულზედ მიიდებს).

მოდი, სიკვდილის იარაღო, მაგ მკვეთრი კბილით  
ერთბაშად გასჭერ დახვეული სიკოცხლის ძაფი!  
სადა გაქვს გესლი, უგუნურო, რაღას უყურებ,  
გაბრაზებული მეცი მკერდში, ისწრაფე, ჩქარა.  
ოჰ, ნეტა ენა გქონდეს, მაშინ დიდ კეისარსა  
ვირს უწოდებდი გაუწვრთნელსა.

ქარბ. აღმოსავლეთის

ვარსკვლავი ხარ შენ!

კლეოპ. ჩემად, ჩემად! ვერა ჰხედავ, რომ  
ჩემი პატარა გულთან მიზის, მწოვს, თან მაშინებს.

ქარბ. ოჰ, ვასკდი, გულო!

კლეოზ.

ტკბილი არის, როგორც ბალზამი,  
მომფონებელი ჰაერივით. ოჰ, ანტონიოს!—  
ბარემ შენც მოდი...

(მეორე გველს მკლავზედ დაისვამს).

რალად დაერჩე...

(კვდება).

ქარბ.

ამ წუწკ ქვეყანას!—

ეხლა მშვიდობით. — ოჰ, სიკვდილო, ამაყად იყავ,  
მშვენიერებას სწორ-უპოვარს აწ შენ მფლობელობ.—  
თვალნო, ხავერდით მოქარგულნო, დაიხუჭენით,  
თქვენებრ მეფურად კვლავ ოქროთი ბრწყინვალე ფეხოსს  
ვერა სულგრძელი ვერ შეჰხედავს.— გვირგვინი გვერდზედ  
გაქვს მოქცეული, გაგისწორებ და ჩემს გზას წავალ.

(დაჩაჯნა შემოცვივან).

1 დაწ. სადა ბრძანდება დედოფალი?

ქარბ.

ჩუმად იყავი,

არ გააღვიძო.

1 დაწ.

შიკრიკია კეისრისაგან...

ქარბ. ნაგვიანევი.—

(ასპიტს გულთან მიისვამს).

ჩქარა, მარჯვედ! აგერა, ვიგრძენ.

1 დაწ.

ჰეი, აქ მოდით! ვერაფერი ამბავი არის;

ულალატნიათ კეისრისთვის.

2 დაწ.

დოლაბელაა

მანდ კეისრისგან მოგზავნილი, აქ დაუძახეთ.

1 დაწ.

რა ამბავია? ქარმიანა, ეს კარგი არის?

ქარბ.

ღიად, კარგი და შესაფერი იმდენ დიდებულ  
ხელმწიფის შტოსთვის. ოჰ, მხედარო...

(კვდება.— დოლაბელა შემოდის).

დოლაბ.

რა ამბავია?

2 დაწ.

აგერ, ყველანი დახოცილან.

დოლაბ.

რასაც ფიქრობდი,

იგი ასრულდა, კეისარო. რომ მოხვალ, ნახავ  
საზარელს სურათს, რაიც გსურდა, აგცილებოდა.  
ხმა გაჩუქდა. გზა, გზა კეისარს!

(კეისარი და ამაღლა შემოვიდა).

დოლაბ.

კეისარო, წინასწარ მგრძობი

ყოფილხარ სწორედ: ის ასრულდა, რის შიშიც გქონდა.

კეის. აი, რას ჰქვიან სიმამაცე: იგი მიგვიხვდა

ჩვენს საწადელსა და ისეთი გზა აირჩია,

რაიც ხელმწიფეთ ეკადრება.—მაგრამ რამ მოჰკლა?

აქ სისხლს ვერ ვხედავ.

დოლაბ.

ბოლოს მასთან რომელი იყო?

1 დაწ. სოფლელი გლეხი იყო ერთი, ლედვი მოართვა,

აი იმისი კალათიცა.

კეის.

მაშ მოწამლულა.

1 დაწ. დილა ხელმწიფევ, ქარმიანა ცოცხალი გახლდა

ეს არის ეხლა; აქ იდგა და ლაპარაკობდა,

თვის მკვდარ ქალბატონს უსწორებდა თავზე გვირგვინსა,

უცებ კანკალმა აიტანა და ძირს დაეცა.

კეის. დიდებულია ეგ სისუსტე.—რომ მოეწამლათ

თავი, სიმსივნეს შევამჩნევდით და კლეოპატრა

ისე წევს, თითქო რომელსამე სხვა ანტონიოსს

თვის ალერსთ ბადეს უპირებდეს მაგრად გახვევას.

დოლაბ. აქ მკერდზედ სისხლის წვეთი უჩანს და გარეშემო

დასიებია თითქო კიდევ; აგერ მკლავზედაც.

1 დაწ. ეგე ასპიტის ნაკბენსა ჰგავს, ლედვის ფოთოლსაც

წრბოლი ატყვია იმისთანა, რასაც ეგ გველნი

სტოვებენ ხოლმე ნილოსის პირს გამოქვაბულში.

კეის. აგრე იქნება უეჭველად. იმის მკურნალმა

მითხრა, რომ ხშირად კითხულობსო, თუ რომელი გზით

უფრო ადვილად მოესპობა კაცს სიცოცხლეო.—

დედოფლის გვამი წაასვენეთ და მის მხეველნიც

აკალდამიდან გაიტანეთ. თვის ანტონიოსს

გვერდს დაუმარხეთ. მაგათთანა სახელოვანი

წყვილი არა სძევს არც ერთ კუბოს. ესეთის ამბის  
 ზარდამცემი ხმა ამბის მიხეზთ მწარედ აშფოთებს  
 და როცა ქებით გამარჯვებულთ მოიხსენებენ,  
 მათ მსხვერპლთაც თავნე სინანულსა და ცრემლს უძღენიან.  
 მთლად ჩვენი ჯარი მოწიწებით უნდა დაესწროს  
 დასაფლავებას და მასუკან რომს გავემგზავროთ.—  
 მე შენა გნიშნავ, დოლაბელა, ჭირის-უფლადა  
 და შენ მოგანდობ დიდებულად წესის გადახდას.  
 (გაღიან).

ივ. მაჩაბელი



## ჩემი პირველი დრამა

### ქეკელან ზუდექმანასა

ჩემი პირველი დრამა.

მას არასოდეს არ დაუნახავს სცენის სინათლე, თუმცა მისი ბედი და თავგადასავალი მეტად რთულია. მისი ისტორია იწყება იმ დროიდან, როდესაც ჯერ კიდევ მესამე კლასის მოწაფე ვიყავი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მაშინ, როდესაც ლიტვის უდაბურ ტყეებიდან ჩამოველ ქალაქ ელბინგს ჩემს უძვირფასეს მამიდასთან საცხოვრებლად და დიდის მოწიწებითა და კრძალვით გავბედე თეატრში შესვლა.

საუბედუროდ, გალლერეის ადგილები სამ ზილბერგროშად ღირდა, და ის ერთი ტალერი. რომელსაც ყოველს თვეს ჯიბის ფულად მიძღვედნენ, მთლად ჩვეულებზე, კალმებზე და სახატავ მოწყობილობაზე დამეხარჯა; რაც ამას გადაარჩა, ის კიდევ დალაქს მივეცი თმის გაკრეჭაში. ყოველივე ფინანსიური ჩემი ცდა უნაყოფოდ დარჩა, რადგან მამიდა-ჩემი ამისთანებში მეტად სასტიკი იყო.

მაგრამ დაიჭირა სიცივეები და ამ გარემოებამ მიხსნა გასაჭირისაგან. უძვირფასეს მამიდას ეზარებოდა დილდილობით თავისს თბილ ლოგინიდან ადგომა ჩემთვის ყავის მოსამზადებლად. ამ ყავისთან ჩვეულებრივად ორი პატარა თეთრი პური მერგებოდა. ამათთაგან ერთს დილასვე ვჭამდი ხოლმე და მეორე უნდა შემენახა ათ საათამდე.

— ამ პურების ფასი რომ ჩემ ხელთ იყოს, — ვამბობდი მე, — მაშინ მომავალში მთელი თანხა მექნება.

ამისათვის საჭირო იყო სადილობამდის არაფერი არ მექა-  
 მა. და აი დაეუწყე რჩევა ჩემს უძვირფასესს მამიდას, იწექ შენს  
 თბილს ლოგინში, მე კი გამოუთქმელის სიამოვნებით ვივლი სა-  
 სწავლებელში კუჭ-ცარიელი, ოღონდ ის ვიცოდე, რომ შენს  
 მოსვენებას არაფერი არ არღვევს-მეთქი.

ჩემმა ბავშურმა სიყვარულმა იმოქმედა მამიდაზე და პირ-  
 მოთნეობა გამივიდა: დამავალეს მე თვითონ წველო ფურ-  
 ნეში პურის საყიდლად. მე კი ვმალავდი იმ ფულებს, რომელ-  
 საც პურის საყიდლად მაძლევდნენ და შშიერი ვიყავი.

— ოჰ, რა შიმშილსა ვგრძნობდი! რა რიგ ვიტანჯებოდი,  
 როდესაც ჩემი ამხანაგები ამოიღებდნენ თავიანთ ჯიბეებიდან  
 კარგ-კარგს დასანაყრებელს, მე კი იძულებული ვიყავ ცხვირი  
 წიგნში ჩამერგო, რომ ამ რიგად დამემალა ჩემი კუჭ-ცარიე-  
 ლობა.

ყველაზედ უფრო ოთხშაბათისა და შაბათის მეშინოდა;  
 ამ დღეებში სწავლა პირველ საათზე თავდებოდა. თორმეტი-  
 დან პირველამდის გალობა გვქონდა ხოლმე. არასოდეს, ვგო-  
 ნებ, არ უგალობნიათ სადიდებელი და სავედრებელი ლოც-  
 ვები უფრო ცარიელის კუჭის მექონეთ, ვიდრე მე მქონდა მაშინ.  
 დასახელებულ დღეებში ჩემი ნათესაეები გაკვირვებას იცვენენ  
 ჩემის მადისაგან. მახსოვს ერთხელ, ზედიზედ ორმოცი კარტო-  
 ფილი შევჭამე.

მაგრამ ყოველი ხუთი დღე ამისთანა შიმშილისა შეადგენ-  
 და ერთს ბილეთს გალღერეისას. აი ამ რიგად მე მოვისმინე  
 „ლოენგრინი“, „სამი წყვილი ფესხაცმელი“ „მარიამ სტიჟარ-  
 ტი“, „ხუთასი ათასი ეშმაკი“ და „მშვენიერი ელენე“.

და აი, დადგა ის შესანიშნავი დღე, როდესაც ჩვენს სა-  
 ხელოვან ქალაქს ელბინგს ესტუმრა ჰერმინა კლაარ-დელია  
 რამოდენიმე წარმოდგენის გასამართად და დამანახვა, რომ ჩემს  
 მკერდშიაც სცემს გული.

იმედია, პატივცემულის ფრანქფურტელ ინტენდანტის მე-  
 ულღე უპატიოსნებად არ ჩამომართმევს ამ დაგვიანებულის სი-  
 ყვარულის განცხადებას, მე კი არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ

სწორედ მან განმიღვიძა ცამეტის წლის ბავშვს ჩემის მომავალის მოწოდების წინაგრძობა.

ეს პრიმალონა ვალენტინას როლში ვნახე და მას შემდეგ გადავწყვიტე, რომ მანამდი არ ჰოვისვენებ, სანამ ისეთ რასმე დიდებულს არ შევექმნი, რაც ღირსი იქმნება მისის ნიჭის და დიდებისა.

მამიდას სახლის გვერდით შეშის საწყობი იყო. მეორე დილას მე თითქო გაგიჟებული ვიყავი, შეეფოფნდი დაწყობილ შეშაზე და აქ, ალტაცებისაგან თვალ-ცრემლ-მორეულმა, შეფიციე ჩემს თავს დრამატურგი გავმხდარიყავ.

მაგრამ განვიდნენ წელიწადნი, მანამ ჩემის აღთქმის სისრულეში მოყვანას ვიფიქრებდი.

გავათავე სკოლაში სწავლა, შემდეგ აფთიაქში ვიმსახურე, მერე ისევ სასწავლებელში შევედი, მივალწიე ბავშვურ პატივ-მოყვარეობის უმაღლეს წერტილამდე, ესე იგი გავხდი სტუდენტი და თვრამეტის წლის ყმაწვილს მეგონა, ჩემის ძალღონით მოვიზოვებ უკვდავებასა-მეთქი.

რა ბედნიერი ღამეები იყო, როდესაც ვთხზავდი! თავ-გახურებული მოდიხარ შინ სარდაფიდან, მხნედ ჰკიდებ საქმეს ხელს და სწერ, სწერ გათენებამდის...

ბევრს მივღ-მოვდებოდნენ დრამის ტენიკის სიძნელეზე, — ჩემთვის კი ეს სიძნელე არ არსებობდა. ყველაფერი როგორღაც თითონ კეთდებოდა. ზმნათა გოტიკურ ბრუნვის მაგალითების დაზეპირება, ჩემის აზრით, ბევრად უფრო ძნელი იყო და ამას გარდა ამ ზეპირობას არც გვირგინები ელოდა.

ჩემის დრამის სათაური „ბედნიერების ასული“ იყო.

ამ დრამის უმთავრესა პირი, აზნაურშვილის მეტიჩარა და ამაყი ქალი, ძველის მაგრამ გაკოტრებულის გვარის შთამომავალი იყო. ამ გვარის გაკოტრების მიზეზი ერთი გაიძვერა იყო.

კეთილშობილი დემოკრატი (ის უბრალო კაცის შვილი იყო და თავისის ძალ-ღონით მიალწია სწავლულის ხარისხამდე) აპირობს ამ გაკოტრებულების ხსნას; მაგრამ აღარ შეუძლიან იხსნას ეს ოჯახი დაღუპვისაგან; ამის მაგიერ ხდება დარდისაგან

დავრდომილის ქალის საქმროდ. მეხუთე მოქმედებაში ახალგაზდა ქალი და კაცი შეხვდებიან ერთმანეთს სასაფლაოზე, აქ ემუსაიფებიან ერთმანეთს ჩამავალის მზის შუქით წითლად შეღებილ არემარეში—ამ სინათლის ეფექტის დიდი იმედი მქონდა,—ღ კაცი იმდენს ელაპარაკება, რომ ისევ შეაყვარებს ქალს სიცოცხლეს.

განსაკუთრებულის ხასიათების არჩევა მაინც და მაინც არ მაფერხებდა. მაგალითად, მახსოვს, რომ არსებობისთვის ბრძოლის სისასტიკის დასახსიათებლად ასე ვალაპარაკებ კეთილშობილ დემოკრატს თავის თავზე:

„და როცა მშობდა, მე ვქურდობდი!“

არ არის ძნელი მისახვედრი, საიდან წარმოსდგებოდნენ ყველა ეს ტიპები; არც ის არის ძნელი გასაგები, რომ ამ ხუთის წლის განმავლობაში ვალენტინას გავლენა ისევ მოქმედობდა ჩემზედ.

გავათავე თუ არა დრამა, ჩემის სისხლით შეიღება.

ის წრე, რომელშიაც მე ვითვლებოდი ჩემის სტუდენტობის პირველ წლის დასაწყისში, წარმოადგენდა ცოტათი გაუთლელ საზოგადოებას. დრამების მწერალი ახალი სტუდენტი საოხუნჯო მასალის დაუშრეტელი წყარო იყო ყოველ უფროს სტუდენტისათვის, რომელიც კი მოინდომებდა სასაცილოდ აეგდო იგი. ბოლოს მომბეზრდა მათი მუდმივი დაცინვა და ოხუნჯობა: მოვიძვრე წითელ-ყვითელ-თეთრი ფერი და აქლემსავით განმარტოვებულად დავიწყე ცხოვრება. ერთხელ ერთს სარდაფში შევხვდი ჩემს ძველს მეგობარს, უწინდელს ჩემის ფერის საზოგადოების წევრს. უწინ ეს ამხანაგი ძლიერ კარგად მეპყრობოდა და როდესაც ამანაც აიგდო სასაცილოდ ჩემი დრამა, მომივიდა გული, დავივიწყე ბრუდერშაეტი და ხმალში გამოვიწვიე. ჩვენ შევამცირეთ ჩვენი დუელი და რაპირებით ვიჩხუბეთ. ორივენი დაუშვებელნი დავრჩით, მაგრამ სისხლი კი ბერი დავღვარე,—და მე ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, რომ სწორედ ამ დუელმა დაანახვა ყველას—მტერსაც და მეგობარსაც,—რომ ჩემი წმინდა მოწოდება ნამდვილი იყო.

ხელმეორედ გადავათვალიერე ჩემი დრამა, და ისე გენიალური აღარ მეჩვენა. „ავაზაკნი“, რასაკვირველია, უფრო გენიალური იყო; იმისთანა ადგილები, მაგალითად, როგორც კარლის დიადი ფიცი ან ფრანცის აზრები ადამიანის გაჩენის შესახებ, — ამისთანა ადგილები „ბედნიერების ასულ“-ში არ მოიპოვებოდა. და მე დიდის გულმოდგინებით შევეუდექი ჩემის დრამის დიალოგების ხელოვნურად გადაკეთებას, სანამ ყოველი მარტივი წინადადება სიტყვების რახა-რუხით არ შევცვალე.

მეგობრებს, რომელთაც განვუზიარე ჩემის ახალის ქმნილების საიდუმლო, მეტად მოსწონდათ მისი სტილი და ჩემს სიამაყეს აღარა ჰქონდა სამზღვარი, როდესაც ერთმა მათგანმა მიამსგავსა ერთხელ „ბედნიერების ასულის“ სტილი „ავაზაკების“ სტილს. თუმცა სრულებით კი არ იცოდა, რომ მეც ამას ვცდილობდი.

გარეგნობის უინაარსთან შესათანხმებლად მესამეჯერ გადავწერე ჩემი დრამა სუფთად, საუცხოვო ლამაზის ხელით და საუკეთესო სქელ თეთრ ქაღალდზე. ნაწერი ნახევარ გვერდზე იყო, მეორე ნახევარი კი თეთრად დავტოვე, მაგრამ შესასწორებლად კი არა, — შექსპირი თავის დღეში არ ასწორებდა თავის თხზულებებს, — არამედ მისთვის, რომ ამ ხელთნაწერისათვის სიდინჯის ხასიათი მიმეცა.

ყველა ამეების შეზღვევ მის წარმოდგენაზედ დავიწყე ფიქრი.

რომ უმთავრესი როლი უნდა აესრულებინა კლაარ-დელიას, რომ ამ დრამას მას ვუძღვნიდი, — ეს გადაწყვეტილი იყო. ცოტაც რომ გადამეხვია ამ გადაწყვეტილებისათვის, ეს ჩემის უწმინდესის ფიცის შებლაღვა იქნებოდა.

და აი, ჩემს ბედზედ, ზეცამაც მოიღო ჩემზედ თავისი მადლი და ჩემი ღმერთი-ქალი გათხოვდა და მის ქმრის — „ბერლინის ქალაქის თეატრის“ დირექტორის ხელთ იყო ის ადგილი, სადაც უნდა განხორციელებულიყო ჩემი იდეები მომავალში.

სიხარულისაგან ფეხზე ძლივს ვიდექ, როდესაც შემთხვევით გავიგე ამ ქორწინების ამბავი. მაშინ ეხლა ისღა დამრჩენოდა,

რომ გამეგზავნა ქმრისათვის ჩემი ხელთ-ნაწერი, ხელუხლებელის ამ ხუთის წლის განმავლობაში, ზედ-წარწერით: „მოწიწებით ვუძღვნი ქ-ნ ჰერმინა კლაარ-დელიას“ — და ქმარი, რასაკვირველია, დააჩქარებდა იმ ღრამის წარმოდგენას, რომელიც თავის ზედ-წარწერის გამო თითქო მისის ოჯახის კუთვნილებად ხდებოდა.

სიხარულით გატაცებულმა გავგზავნე ჩემი ხელ-ნაწერი თავის მშვენიერის, სანახევროდ მშვენიერისა და დაუწერელის თაბახებით „ბერლინის ქალაქის თეატრში“ და თითონაც ვემზადებოდი რამოდენიმე კვირის შემდეგ მისვლას, რადგან დიდი ხნის გაგონილი მქონდა, რომ ავტორი უსათუოდ უნდა დაესწროს პირველ რეპეტიციასაო.

ბედზედ, აღდგომაც ახლოვდებოდა და კენიგსბერგში ბერლინში სწავლის განგრძობის მოწმობაც მივიღე, იმ ბერლინში, რომელსაც ასე ველტვადი.

28 აპრილს 1887 წ. მივედი ძველ აღმოსავლეთის სადგურზე და დავიჭირე ადგილი ომნიბუსის სახურავზე, რომელიც ბერლინს მიდიოდა.

უწინდებურად ისევ იმ გრძნობით ვიყავი აღსავსე, რომელიც ამხნევებდა ალბად პლასსანის მეომართ, როდესაც პარიზის ასაღებად მიდიოდნენ.

გვერდით მეორე ასეთივე მეომარი მომიჯდა, ერთის ტილ-ზიტელ წიგნის მალაზიის ნოქარი, ოტტო ნეიმანი, დედით გოფერი. რალაც შემოძველებული მიხაკის ფერი მოსასხამი ეხურა, ქულ-ქვეიდან ჩამოშვებოდა გძელი თმა. ნეიმანს ეხლა ხან ჩაეზარებინი უკანასკნელი ეგზამენები, რომლისთვისაც თურმე ჩუმიდ ემზადებოდა. ამ აღმოსავლეთის სადგურზე შევხვდით ერთმანერთს და მიუხედავად იმისა, რომ პირველ შეხვედრაზედვე არ მოვეწონეთ ერთი-მეორეს, გადავწყვიტეთ ერთად გვეცხოვნა, რომ ამ რიგად თვეში ოთხი ტალერი შეგვენახა. მაგრამ სწორედ ამის გამო სამუდამოდ დავმეგობრდით.

როდესაც სადგურიდან შევეუხვიეთ ერთ-ერთ ქუჩაში, გული ერთბაშად ამიფანცქალდა: ერთ ალაყაფის კარებზე ცისარტყე-

ლასავით მომრგვალო წარწერა დავინახე: „ბერლინის ქალაქის თეატრი“.

მაშ აი ეს არის ჩემის მომავალის ტრიუმფების ადგილი, ეფექტობდი გახარებული და თანაც ვბჭობდი, მეთქვა თუ არა ჩემის თანამგზავრისათვის, რა მნიშვნელობაც ჰქონდა ჩემთვის ამ შენობას.

მაგრამ არა ვსთქვი-რა... მეტად ბევრი დაცინვა გადამხდა.

მეორე დილას საჩქაროდ შევირბინე კონდიტერთან, მოვი-თხოვე ტკბილეულობა და Berliner Tageblatt's კითხვა დავიწყე. იმედი მქონდა შიგ რამე შენიშვნას ვნახავდი; მაგალითად, შემდეგ: ახლო მომავალში წარმოდგენილი იქნება დრამა ჯერ კიდევ უცნობის, მაგრამ დიდად ნიჭიერის ავტორისა პ. ზ. „ბედ-ნიერების ასული“.

მაგრამ უცნაურია,—ამგვარი შენიშვნა არ იყო.

და აი, ამ დღიდან მოკიდებული ყოველ დილას მოვდიო-დი კონდიტერთან, ვკითხულობდი რამდენსამე ბერლინულ გაზეთებში თეატრის მატთანეს და ამასობაში აუარებელ ტკბი-ლეულობას ვჭამდი.

ექვსიოდე კვირის შემდეგ ჩემმა ამხანაგმა-თანამცხოვრებმა, რომელსაც გავუზიარე კიდევ ჩემი დარდი, მირჩია თითონ მე მივსულიყავი ღირეკტორთან ამბის გასაგებად. მეც დავიჯერე მისი რჩევა, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, აქ რამე შეცდო-მა უნდა იყვეს-მეთქი. მე მქონდა სოფლელ თერძის შეკერილი შავი სერთუკი. შესანიშნავი მაში ის იყო, რომ წელიდან მო-კიდებული მუხლებამდის დიდ სამკუთხედ იხსნებოდა. ჩაეცვი ეს შესანიშნავი საცმელი და გავემგზავრე ბლუმენშტრასსზე.

— ბ-ნი ღირეკტორი ეხლა არ ბრძანდება თეატრში,—მი-თხრეს,—მაგრამ შეიძლება მისი მდივანი...

— არა, არ შეიძლება!—ამაყად ვუპასუხე მე.

მაშინ მასწავლეს მისი სახლი, რომელიც იქვე იყო, თეატრს ახლო.

— ძლიერ კარგი.

მივედი იმ სახლთან, რომელზედაც მიმითითეს. მიმიღეს.

— ბ-ნი დირექტორი ეს-ეს არის გავიდა სახლიდან, — მი-  
ოხრა მოსამსახურემ.

გაკვირვებითა და ცოტა შიშითაც ვათვალიერებდი მე ოთახს  
ისე საუცხოოდ და მდიდრულად მოართულს, რომ ის ეგრედ-  
წოდებული სალონები, რომელნიც მე ღარიბ სტუდენტს უწინ  
ძლივს წარმომედგინა, ახლოც ვერ მიუდგებოდა.

საჩქაროდ ხელი უბეში ჩავიდე, რომ ცოტათი დამეახლო-  
ვებინა ერთმანერთს დაშორებული კალთები და იმისთვისაც,  
რომ საზოგადოების კაცის შეხედულება მომცემოდა.

ამ დროს ოთახში შემოვიდა ჯერ კიდევ ახალგაზდა მო-  
წითალო თმიანი კაცი. სასიამოვნო ღიმილით დამეკითხა, რა  
გნებაესო.

ხელმეორედ ვუთხარი ჩემი გვარი, რადგან მეგონა, მო-  
სამსახურეს კარგად ვერ უთქვამს-მეთქი. მაგრამ ამან არაფერი  
შთაბეჭდილება არ მოახდინა: დირექტორის სახეზე არ გამოი-  
ხატა ის სიხარული, რომელსაც მე მოველოდი.

ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა წავილულლულე:

— აგერ სამი თვე არის თითქმის, რაც ფოსტიტ ქალაქის  
თეატრს გამოვუგზავნე სცენაზედ წარმოსადგენად ჩემი დრამა  
„ბედნიერობის ასული“ და აქამდის არაფერი პასუხი არა მაქვს.

რაც შეეხება იმას, ვის ვუძღვნიდი, ამის შესახებ რამესი თქმა  
ამ შემთხვევაში არ მიმაჩნდა შესაძლებელად.

— ოჰ, დიდად ვწუხვარ, — თავაზიანის ღიმილით მიპასუხა  
დირექტორმა, — და ვეცდები, რაც შეიძლება მალე, გავასწორო  
ჩემი შეცდომა; დაუყოვნებლივ მოგართმევთ თქვენს ხელნა-  
წერს.

ყველაფერი ცხადი იყო. არ მიუღიათ! არ მიუღიათ და  
არც წაუკითხავთ!

— დიად, გთხოვთ გამომიგზავნოთ, — ვუთხარი და ამაყად  
გამოვედი ოთახიდან.

გაიარა მეორე დღემაც და ხელთნაწერი კი არა სჩანდა.  
მაშინ მოვისაზრე, შეიძლება დირექტორმა ჩემი ადრესი არ იცო-  
დეს-მეთქი, და გავგზავნე ჩემი სადარბაზო ბარათი, რომელსაც სა-



ჭირო ცნობა დავაწერე მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ, ისე, როგორც უნდა დაეწერა შეურაცხყოფილს ავტორს.

მაგრამ არც შემდეგ გამომიგზავნეს ხელთნაწერი.

გაიარა კიდევ რამოდენიმე კვირამ ამ მოლოდინში. გულში ისევ დამებადა იმედები.

ვიფიქრე, ალბად მინამ დრამის გამოგზავნას დააპირებდა, დირექტორმა გადაშალა იგი და მისმა შინაარსმა გააკვირვა და აღტაცებაში მოიყვანა, და აი თავის შეცდომის გასწორება უნდა, ესე იგი ამზადებს მას წარმოდგენისათვის.

ისევ დავიწყე სიარული კონდიტერთან და ისევ ვიყვლიფებოდი ტკბილეულობისათვის.

როდესაც კიდევ გაიარა ორმა თვემ და სანატრელი ამბავი არ მომდიოდა, გავბედე დირექტორთან სადარბაზოდ წასვლა. ისევ მიმიღეს და ხალიჩებით მორთულს სალონის სიმშვენიერემ ისევ განცვიფრებაში მომიყვანა.

როდესაც კარი ერთბაშად გაიღო და მხიარული და მოღიმარე დირექტორი აჩქარებით შემოვიდა ოთახში, უნდა გამოვტყდე, სიხარულის კანკალმა ამიტანა; აი ეს არის ჩემი ნაწარმოებით აღტაცებული გადამეხვევა-მეთქი.

— რითი შემიძლია გემსახუროთ? — მკითხა დირექტორმა.

— მე ჰერმან ზუდერმანი გახლავარ.

— დიდად მოხარული ვარ... რითი შემიძლია გემსახუროთ.

— მე მეგონა, რომ მიცნობდით, ბ-ნო დირექტორო.

— ჰო, დიალ, დიალ... დიალ, ეხლა გამახსენდა... მომითმინეთ, როდის იყო — ჰმ...?

— მე წარმოგიდგინეთ დრამა განსახილველად.

— დიალ, დიალ.

— „ბედნიერების ასული“.

— დიალ.

— და თქვენ მაშინვე დამპირთით დაუყოვნებლივ დაგიბრუნებთ თქვენს ხელთნაწერსო.

— ჰო, დიალ... თქვენ კი არ მიგიღიათ?

— არა, ბ-ნო დირექტორო, არ მიმიღია.

— ჰო, ეხლა მახსენდება... როგორ არა, როგორ არა, მე ვუთხარი ჩემს მდივანს... დიად... მოითმინეთ, თქვენი ბინა, თუ არა ვსცდები...

— შპანდაუსთანაა, № 9.

— ეგრე... გმადლობთ. ყველანი ხელთნაწერებს ვსინჯავთ და რაც კი გამოსაყენებელია, ვიტოვებთ. მაგრამ... თქვენი ალბად ლავივიწყნია როგორმე. იმედია, მოგვიტყვებთ ამას, ბ-ნო ზილბერმან.

და დირექტორმა ისე ტკბილად გაიღიმა და გამომიშვირა ხელი, რომ სრულებით ვერა მოვახერხე-რა, თუმცა მეტად გულმოსული ვიყავი.

მოლაპარაკება ამით გათავდა.

მეორე დილას მომივიდა პაკეტი, რომელსაც „ქალაქის თეატრის დირექციის“ ბეჭედი ესვა.

გავხსენი თუ არა პაკეტი, მაშინვე ვიცანი ჩემი ხელი, მაგრამ უცნაურია, ჩემი ხელთნაწერი თითქო დაბატარავებულაიყო, როგორღაც შეკუმშულიყო.

დირექტორი მართალი იყო. რაც კი გამოსაყენებელი იყო დაიტოვეს,—მშვენიერი თეთრი დაუწერავი თაბახების ნახევრები,—დანარჩენი გამომიგზავნეს.

ივ. ზურაბიაშვილი



# ნადვილი სამსახური

(ი. ზოტაბენკოსი)

## I

ერთს რკინის გზის სადგურის დარბაზში დიდ ძალი ხალხი ირეოდა და ამ აუარებელ ხალხში შესამჩნევად ირჩეოდა ორი ადამიანი. ესენი ორივე ეკუთვნოდნენ სასულიერო წოდებას და მათ ეცვათ გრძელი ანაფორები. მხოლოდ ამ ტანისამოსში იყო მათი მგზავსება, ისე კი, როგორც შეხედავდით, მაშინვე მიხვდებოდით, რომ ისინი სულ სხვა-და-სხვა მდგომარეობისანი იყვნენ. ერთს მათგანს, რომელიც იდგა განცხადებების სვეტის წინ და კითხულობდა გულდასმით აღმოსავლეთ-დასავლეთის რკინის-გზების შესახებ განკარგულებას, ყოველის ფრით ეტყობოდა, რომ ის ეკუთვნოდა გუბერნიის ქალაქის სასულიერო წოდების არისტოკრატის. იმის ეცვა მუქი მწვანე ატლასის ანაფორა; გულს უმშვენებდა ძეწკვით ჩამოკიდებული დიდი ჯვარი და რაღაც კიდევ ნიშანი ღია ფერის ლენტით შემბმული. გაღაჟლავებული იმის ლოყები გასპეტაკებულ დავარცხნილ ქალარა წვერებში გამოიყურებოდა. ხელებზედ ეცვა შავი ხელთათმანები და თავზედ ეხურა ნაცრის ფერი რბილი ღინღლის ქუდი. ის ხანგამოშვებით უბიდან იღებდა ოქროს საათს და, როგორც ეტყობოდა, არ იყო კმაყოფილი, რომ ღრო ისე მალე არ გადიოდა, როგორც მას სურად.

მეორე იჯდა გრძელს სკამზედ კუთხეში და მიკრუნჩხულიყო დიდს ფუთასთან, რომელიც ეკუთვნოდა იქვე, მის გვერდით

მჯდომს სქელ-სქელ მოქალაქეს. ყველაზედ უწინ მოგხვდებოდათ თვალში ამ მთავარ დიაკვნის სრულიად გაქალაჩავეხული გრძელი წვერები. მუხლებზე ეწყო ხელები გრძელი, უწნო თითებით და ძალზე ამოზურკული ლურჯი ძარღვებით-გახუნებული ანაფორის კალთები გაწეული ჰქონდა აქეთ-იქით და მათ შუა მოჩანდა დიდი სქელის იუხტის წაღები. მოხუცი იყო წვრილი, მაღალი და მოხრილი. იმის გაყვითლებული პარისახე უფრო მკვდარს მოგაგონებდათ, მით უფრო რომ თვალეზი ეხუჭებოდა და სთვლემდა. ხანდახან ბაქანიდან ხალხის ხმა-ურობა გამოაღვიძებდა მას; განცვიფრებით გადაავლებდა თვალს უთვალავს ხალხსა; წარმოიდგენდა საქმე რაში იყო, და ისევ დაიწყებდა თვლემას. სჩანდა, არ იყო მიჩვეული ამგვარს ხმაურობას.

მწვანე ანაფორიანსაც მოსწყინდა რკინის გზის მისვლამოსვლის განცხადების კითხვა და გასწია მთავარდიაკონთან, რომელმაც სწორედ ამ დროს გააჟიჯა თვალეზი; ეს უკანასკნელი სიჩქარით წამოხტა და, როგორც შეეძლო, წელში გაიმართა.

— გიცქერი, გიცქერი, რაღაც ნაცნობი სახე გაქვს და ვერ მიმხვდარვარ სად მინახავხარ! — სთქვა ატლასის ანაფორიანმა სასიამოვნო გაბტყელებულის ხმით.

— მე კი იმავე წამში გიცანით თქვენ, მამაო რექტორო!... მე, თუ ინებებთ, მოგაგონებთ, — დიაკონი გახლავარ სოფელ უსტიმოვკისა, ეგნატე ობნოვლენსკი.

— ობნოვლენსკი... ობნოვლენსკი... თქვენი შვილია... დიად, დიად, დიად! მაშ თქვენ მამა ხართ კირილე ობნოვლენსკისა?! ძალიან სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნო!... კარგი მოსწავლე იყო, სამაგალითო! იცით, ჩვენ მადლობაც მივიღეთ იმის გამო აკადემიიდან. დიად, დიად! ძალიან სასიამოვნოა! ახლა სად არის? გაათავა?

დიაკონი ესტატე ობნოვლენსკი, ეტყობოდა, დიდად მოხარული იყო შვილის ქებით, იმისთანა დიდი კაცისაგან, როგორიც იყო სემენარის რექტორი. ის მზად იყო ეტირნა, როდენ-

საც მისი უმცროსი შვილის კირილეს ასეთ ქებას გაიგონებდა ხოლმე.

— ოჰ, თქვენო მაღალ-ღირსებავ, იმან გაათავა პირველ მაგისტრად. გაათავა... დიად, პირველ მაგისტრად...

— მერე ხომ დასტოვეს აკადემიაში? პირველს ყოველთვის სტოვებენ ხოლმე.

— არა, არ დაუტოვებიათ.

ამ დროს დიაკონს ხმა აუკანკალდა და ბუტბუტობდა დიდად შეწუხებული. — დიად, პირველს ყოველთვის დასტოვებენ ხოლმე და კირილე კი არ დასტოვეს? რატომ არ დასტოვეს ნეტავი? აბა რა იყო რომ მოიწერა: „ძვირფასო ჩემო ბებრებო, მოვისწრაფვი თქვენთან და მეტად აღარ მოვშორდებით...“

— ჰმ... ეს ძალიან გასაკვირველია! — სთქვა მამა რექტორმა — მართალი გითხრათ, სწორედ არ მესმის.

დიაკონს თავბრუ ესხმოდა და გული ეხუთებოდა ერთი მხრით რაღაც გაუგებარის უბედურობის წინაგარძონობითა და მეორე მხრით მამა რექტორის წინაშე სირცხვილითა, რომ მისი შვილი, რომლის გამოც სემინარიაში მადლობაც მიუღიათ, არ ამართლებდა სავსებით ყველა იმედებს.

— მე თითონ არ მესმის! — თითქმის ბარბაცით წარმოასთქვა მოხუცმა. რაღაც ახრჩობდა და უშლიდა ლაპარაკს.

— აი მე ეხლა ჩემს ძმისწულს მოველი. იმანაც აკადემია გაათავა, ის და შენი შვილი კირილე ერთად წავიდნენ. აი დღეს მოველი, ის აქ სემინარიაში არის დანიშნული, — სთქვა რექტორმა, თითქო უნდოდა გადაეფუტეებინა შთაბეჭდილება უსიამოვნო ლაპარაკისა, მაგრამ დიაკონი აღარც კი უგდებდა ყურს, რადგან ამ დროს ბაქანიდან მოისმა მატარებლის კვილი და რეკა ზარისა. ის დაფაცურდა, გაეშურა დარბაზის კარებისაკენ, სადაც ამდენი ხალხი მისწრაფოდა მატარებლის შესახვედრად, რადგან ისინი მოუთმენლად ელოდნენ თავთავიანთ მგზავრებსა. დიაკონი ერთს წუთში გაჩნდა ბაქანზე და გულის ძგერით შესცქეროდა მატარებელს. აი როდის დაინახავ ჩემი საყვარელი შვილის თავს რომელიმე

მატარებელის ფანჯარაშიო, მაგრამ მატარებელი ისე შეკრიალდა და სადგურის გადახურულში, რომ მან ვერაფერი დაინახა. საბრალო დიაკონი გაქვავდა ერთს ადგილას და გონება-დაბნეული უყურებდა ფაცა-ფუცით გამომავალს ხალხს ყველა ვაგონიდან. თვალები სულ აერ-დაერია და ველარას იგებდა. ასე ეგონა, ყველანი დაინახა გამოსული ბაქანზე ჩამადნებით და ბოხჩებით; ესმოდა ლაპარაკი, შეხვედრა ერთმანეთისა, მისალმება და იმავე დროს ყოველივე ეს სიზმარი ეგონა; აი ეს ხომ მამა რექტორია, რომ ეხვევა ყმაწვილ კაცს, რომელსაც ჰკიდიო სამგზავრო ჩანთა; აი კიდევ ართმევს ხელს მეორე ყმაწვილს, მაღალს, ფერმკრთალს, გრძელ-თმიანს და პატარა წვერ-ულვაშიანს. აი ისინიც მოდიან. მაღალი ტანის ყმაწვილი თითქმის მორბის და დიაკონს კი გული აგერ გაუსკდება, თავი უბრუნის და მუხლები ეკეცება, ის ეხვევა, მაგრად უჭერს ხელს, არ უნდა გაუშვას, თავზე კოცნას დასასრული არა აქვს. ერთის სიტყვით, ეს მიგებებას კი არა, გამოთხოვებას ჰგავდა; კირილემ ძალით მოიშორა მოხუცი მამა.

— აბა, კარგი, კარგი, კიდევ მოვესწრებით ერთმანერთის კოცნას! — უთხრა შვილმა მაგარის ბოხის ხმით. — იქ ბარგი მაქვს ცოტა, უნდა მივიღო.

მოხუცი მორჩილებით გაჰყვა თან, ის დარბოდა, ხან ჩამორჩებოდა, ხან ერთს კარს მიადგებოდა, ხან მეორეს. ხან ვის ჩამადანს წამოავლებდა ხელს, ხან ვისას და ხმას არავის სცემდა; მხოლოდ ხარბად უყურებდა მაღალი ტანის შვილსა. ბარგი მიიღეს და ჩასხდნენ ეტლში. კირილემ ველარ მოითმინა და ჰკითხა:

- მარო როგორ მშვიდობით არის?
- მარიამ გაბრიელოვნა? მადლობა ღმერთს, გელის შენ!
- მერე რატომ არ შემომეგება.
- სურდა ძალიან გულით, მაგრამ ანნა ნიკოლაევნამ არ მისცა ნება, გასათხოვარი ქალის წესი არ არისო.
- დედა-ჩემი და ყველა ჩენები მშვიდობით არიან?

— მშვიდობით არიან, ნაზარმა მღვდლად კურთხევა ითხო-  
ვა და უარი უთხრეს—ჯერ კიდევ იმსახურეო.

მოხუცმა გაიფიქრა, ჯერ მარო რომ იკითხა და მერე დე-  
და „ეს რიგი არ არის“.

— საით წავიდე, მიბრძანეთ?—ჰკითხა მეეტლემ.

— სობოროსაკენ, სობოროსაკენ. —საჩქაროდ უთხრა დია-  
კონმა და მიუბრუნდა შვილს:—პირდაპირ მამა გაბრიელთან  
უნდა მივიდეთ, ცხენებიც იქ გვიცდიან... იქ შევექმით რასმე და  
გავსწიოთ უსტიმოვკაში, სალამოს სახლში ვიქნებით.

— არა, არა... ამალამ აქ უნდა დავრჩეთ, საქმე მაქვს!...  
მღვდელმთავარი უნდა ვნახო.

მოხუცებულს უნდოდა ეკითხა რაზე, მაგრამ შეჩერდა, იმის  
თავში ათასი უსიამოვნო ფიქრები ირეოდა; პირველ მაგისტრად  
გაათავა, მღვდელმთავართან რა საქმე უნდა ჰქონდეს?!—ფი-  
ქრობდა ისა.—მღვდელმთავართან დადიან ჩემი ყაიდის კაცები,  
მღვდლად საკურთხი დიაკვნები სათხოვნელად, არა თუ მაგის-  
ტრანტი, პირველი მაგისტრი... რა უნდა, ნეტავი ვიცოდე? მაგ-  
რამ, გატაცებული სიამოვნებით, რომ საყვარელი შვილი მოუ-  
ვიდა და აგერ გვერდით უზის ეტლში, მოხუცი გაჩუმებუ-  
ლი იყო და კითხვები გადასდო სხვა დროსთვის. შვილი  
კი არ იყო მიმხვდარი მამის ფიქრებსა და იყურებოდა აქეთ-  
იქით, უკვირდა ამ ორი წლის განმავლობაში ასეთი ცვლი-  
ლება გუბერნიის ქალაქისა. აშენებენ ახალს ეკლესიას, დაუ-  
ფენიათ ქვა ვაგზალის ქუჩაზედ და ცოტა სახლები არ აუ-  
გიათ.—იზრდება ჩვენი გუბერნიის ქალაქი! შენიშნა კირი-  
ლემ ხმა მაღლა; სობოროს სახლიც ხელახლა შეუდგებიათ.  
ორ სართულიანი სახლი, რომელსაც ესენი მიადგნენ მუ-  
ქის წაბლის ფრად იყო შედგებილი, იქავე ახლოს დიდს მოე-  
დანზედ აღიმართებოდა დიდი შენობა სობოროსი, მაგრამ უშ-  
ნო და ულაზათო. ისინი გაუსწორდნენ მეეტლეს, შევიდნენ  
ქიშკარში და ავიდნენ ზევით სართულში. მამა გაბრიელ ფორ-  
ტიფიკანოვს ეჭირა საეკლესიო შენობაში საკმაო შესაფერი  
სადგური. ქალაქის სამღვდლოებაში მას ეჭირა მესამე ადგი-

ლი. გუბერნიის ქალაქის მცხოვრებნი დიდს პატივსა სცემდნენ თავის მოვალეობის პატიოსნად აღსრულებისათვის და ამისთვის შემოსავალიც კარგი ჰქონდა. სტუმრები ავიდნენ ვიწრო ხის კბეზე, რომელზედაც იყო გაგებული პარუსინა, გაიარეს დიდი გრძელი ღერეფანი და მიადგნენ მამა გაბრიელის ოთახს.

ღერეფანშივე შენიშნავედა კაცი, რომ დარბაზში რაღაც მოძრაობა შეიქნა; იქავე კარებში შეხვდა თვითონ მამა გაბრიელი, პირველად ჯვარი გადასახა და მოიკითხა ლოცვა-კურთხევით, მერე მოეხვია და სამჯერ გადაკოცნა. იმავე საათში სასტუმროდან გამოვიდა დარბაისლურად მღვდლის ცოლი, ანნა ნიკოლაევნა ღია მტრედის ფერი დიდის კაბით და თავზე ნაკოლკით, იმანაც დაკოცნა კირილემ; ამ ოჯახში ყველა შინაურულად ექცეოდნენ კირილეს, როგორც საკუთარს შვილს. მეორე სამღვთის-მეტყველო კლასიდანვე ის ითვლებოდა მარიამ გაბრიელოვნას საქმროდ. რასაკვირველია, ამისთანა ნდობა საწყალი სოფლის დიაკვნის შვილისა აიხსნებოდა იმითი, რომ განსაკუთრებულად იყო საგნებში გამარჯვებული და კიდევც იცოდნენ, რომ უსათუოდ აკადემიას გაათავებდა.

დასხდნენ, დაიწყეს ლაპარაკი შორს მგზავრობაზე და ზოგიერთს ამბებზე. ბოლოს მიიწვიეს საუზმეზედ.

— მარო სადღა არის! — იკითხა კირილემ და იმავე დროს გაასწორა. — მარიამ გაბრიელოვნა? მოაგონდა, რომ ის დედამამსთან ასე თავისუფლად არ ახსენებდა ხოლმე იმის სახელს.

— ის ირთვება, — სთქვა დეკანოზის ცოლმა, მაგრამ მარო დიდი ხანია მორთული იყო, მხოლოდ დედა არ აძლევდა ნებას და ეუბნებოდა, რიგი არ არის გასათხოვარი ქალი გავარდეს ყმაწვილი კაცის შესაგებებლად. მართალია, ამის საქმროდ ითვლება, — ამბობდა დედა, — მაგრამ ორი წლის განმავლობაში ვინ იცის რა ცვლილება მოხდა ყმაწვილ კაცშია!

— როდის დაუწყებს გამოგვიკითხვას მამა გაბრიელ კირილეს საქმის შესახებ? — გულის ძგერით ფიქრობდა დიაკონი. თვითონ კი ვერ ჰბედავდა ჩამოეგდო რამ ლაპარაკი. ის გრძობდა თავის თავს უბრალო დიაკვნად მაგისტრანტის წინაშე.



სასადილო ოთახში შემოვიდა მარიამ გაბრიელოვანა და მიესალმა კირილეს მეგობრულად, მაგრამ ძალიან თავ-დაჯერით. კირილემ ბევრი ცვლილება ნახა მაროში—მოწიფულიყო და გამსხვილებულიყო. მას ჰქონდა მრგვალი სახე, თეთრი ყირმიზი ლოყები, ცოცხალი წაბლის ფერი თვალები და სქელი შავი თმა, გულ-მოდგინედ დავარცხნილი. გრძელი ნაწნაები გადაგდებული ჰქონდა ბეჭებზე და წელამდინ უწევდა. ყოველივე ამისი ქცევა იყო წინდაწინვე მოფიქრებული; წამოწიპლებული იყო და აღელვებისაგან ველარას ლაპარაკობდა. იმას სულით და გულით უნდოდა მოხვეოდა იმ კაცსა, რომელიც უყვარდა და რომელსაც მოუთმენლად მოელოდა. და მეტადრე ეხლა ეჩვენა საუკეთესოდ.

— ასე, ასე, კირილე ეგნატოვიჩ. ეხლა შენ პირველი მაგისტრი ხარ სასულიერო აკადემიისა ოქროს მენდლით? პატივი და სახელი!—წარმოსთქვა მამა გაბრიელმა ცოტა აღტაცებულის, მაგრამ თავ-დაჯერით და ხუმრობის კილოთი.

ღიაკონს გულმა დაუწყა ცემა. „აი ეს არის აიხსნება,“—ფიქრობდა ის და აღელვებისაგან მადიანად დაუწყა საქმელს ქამა. მარო თვალ მოუშორებლად შესცქეროდა კირილეს და ფიქრობდა. „ახლა ეს დიდი ნასწავლი იქნება?“

— დიად, დიდი ყვავი, —ხუმრობით მიუგო კირილემ მამა გაბრიელს.

— დიდაც დიდი! დიდი წარმატება მოგელის, ძალიან წინ წახვალ!..

— „აი, აი, დაიწყება,“—ფიქრობდა ღიაკონი.

კირილე გაჩუმდა. მაგრამ მამა გაბრიელმა ისევ განაგრძო ლაპარაკი.

— აბა როგორ მოხდა, რომ შენ დანიშნული არსადა ხარ? იქნება სახეში სხვა რამე გაქვს განსხვავებული.

— არაფერი არ მაქვს-რა, მამაო გაბრიელ! აი მე მთლად თქვენს წინაშე ვარ!

— „აცა, აცა, სწორეთ ასეა!“—ფიქრობდა თავის გულში ღიაკვანი და კიდევაც ეშინოდა, შეიღოს არ წაეკითხა იმის სახეზე ეს ფიქრი და პირდაპირ ჯამში იცქირებოდა.

— ეს გასაკვირველი საქმეა! პირველად მესმის ოქროს მენდლით და ასე... თითქმის არც არაფერი შემოგაძლიეს... გასაოცებელია.

— როგორ არა? მთხოვდნენ, რომ აკადემიაში დავრჩენილიყავი, მაგრამ მე თვითონა ვთქვი უარი.

ამ სიტყვების შემდეგ ყველამ—მამა გაბრიელმა, მისმა მეუღლემ, მარომ, და თითქმის დიაკონმაც, დანა-ჩანგლები დააწყვეს სტოლზე.

— მაშ, აი რა!—ბუტბუტებდა დიაკონი, და იმავე დროს ეშინოდა, შეიძლება არ იყოს რიგი, რომ ვთქვა რამეო? შეიძლება კირილეს არ იამოს და შეურაცხყოფად მიიღოსო?

— სასულიერო აკადემიაში... და შენ უარი სთქვი?... დიალ... შენ სწორედ ვადარეულხარ!—დაამტკიცა მღვდლის მეუღლემ. მარო არაფერს არ ამბობდა. გული ეხუთებოდა სინანულით.

— „აქ ხომ აღარ ვიცხოვრებდით?“—გაუეღვა თავში ფიქრმა მაროს. დიდ ქალაქში ცხოვრება ჰქონდა წარმოდგენილი.

— რა უნდა ვქნა, თუ კი რომ თქვენ მიყვარხართ ყველანი, მიყვარს ჩემი თბილი მხარე, ჩემი მახლობელი, სოფელი, სადაც დავიბადე და გლეხის ქალი, რომელმაც გამზარდა!—მტკიცედ და დაფიქრებით წარმოსთქვა კირილემ,—აი მე მოვედი თქვენთან. გიყვარდეთ, თუ საყვარელი ვარ თქვენი—დაუმატა მან.

ყველამ ერთმანეთს შეხედეს და მამა გაბრიელმა სთქვა: —ეს საქმეა, სიყვარული ნათესავებისა და სამშობლოსი—ეს ძალიან სასიამოვნოა! მაგრამ რად უნდა ვთქვათ უარი იმაზე, რაც მოგვიპოვებია შრომით და ნიჭით. შენ შეგეძლო მოსულიყავი, გენახეთ შენი ნათესავები და უკანვე წასულიყავ, სოფელიც გენახა და სხვა. მაგრამ პროფესიონალიზმზედ უარის თქმა და მერე სად! სასულიერო აკადემიაში? ეს პირდაპირი შეცოდებაა.

— შეცოდება;—გაიმეორა მღვდლის ცოლმა დიდის სახის პრანკვით.—სწორეთ შეცოდებაა.

— აქ სოფელი რა უშაშია?—განაგრძო მამა გაბრიელმა.—მანც ხომ სულ ერთია, შენ ხომ სოფელში არ იცხოვრებ?

— მე სოფელში უნდა ვიცხოვრო!—მტკიცედ და გამარჯვებით სთქვა კირილემ.—მე მსურს სოფლის მღვდლობა.

ამ სიტყვებმა ყველა გააცვიფრა, ყველას საყვირის ხმად ეჩვენა ეს გამოცხადება. პირველად ყველას ხუმრობა ეგონა და შეაშტერდნენ კირილეს... კირილე იჯდა ღინჯად, გონება-დაბნეული და გაყვითლებული. ყველანი ხედავდნენ, რომ ეს ხუმრობა აღარ იყო.

მამა გაბრიელი გაწითლდა, ხმაურობით გასწია სტოლთან მიღვემული სკამი და თითქმის გამწყრალის ხმით წამოიძახა: ჩვენს სასაცილოდ ასაგდებად ჩამოხვედი?

— მე? თქვენ სასაცილოდ ასაგდებად?—ღრმად და მოწიწების ხმით მიუგო კირილემ.

მღვდლის ცოლმა ყველა ეს შეურაცხებად მიიღო, საჩქაროდ წამოდგა და ამაყად წარმოსთქვა:

— ჩემი ქალი სასოფლოდ არ გავგიზღვია!—მერე მიუბრუნდა ქალიშვილს და ბრძანების კილოთი უთხრა:—მარო, გადი შენს ოთახში.

კირილემ ადგა, მივიდა ფანჯარასთან და იქიდან დაუწყო დაღვრემილის და მოშლილის შეხედულობით ყურება თავის საცოლოს: ელოდა, რომ თავს გამოიდებდა და იტყოდა რასმე, მაგრამ მარო დედას დაემორჩილა; ის გრძნობდა დიდს შეწუხებას; დასაძრახავად მიაჩნდა, თორემ ტირილსაც აპირობდა; საჩქაროდ მიბრუნდა კარებისაკენ უსწორ-მასწორო ნაბიჯით და გავიდა. დედაც იმას გაჰყვა თან. მამა გაბრიელი იჯდა აწითლებულის სახით და მოღუშულის წარბებით. ეტყობოდა, კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამის მაგივრად იმან მოიწმინდა ხელსახოცით უღვაშები, ადგა, გადიწერა პირჯვარი და თითქმის არც კი შეუხედავს მათთვის, ისე გავიდა იქიდან. დიაკვანი უძრავად იჯდა, თავ-ჩამოქინდრული და ხელებ-ჩამოკიდებული. იმას კარგად ვერ გაესაჯა, რა მოხდა ამის თვალ წინ. იმის თავში მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები ირეოდა. მამა გაბრიელი როგორ გააჯავრეს!.. დეკანოზის ცოლი! ოქროს მედალი! სოფლის მღვდელი... ღმერთო, ჩემო გა-

მჩენო!... ამასთან თავის აღებასაც კი ვერ ჰბედავდა, შვილმა არ შემომხედოს ცუდი თვალითაო.

კირილე რამდენსამე წამს იდგა ფანჯარასთან; მერე თავგამოდებით დაიწყო ოთახში წინ და უკან სიარული; ამ სიარულში ხან ერთს სკამს წააწყდებოდა, ხან მეორეს თავის გრძელი ფეხებით. აქეთ-იქით სიარულით თითქო დარწმუნდა, რომ ეს ბოლთის ცემა არაფერს დასამშვიდებელს არ წარმოადგენდა, მივიდა მამასთან და აკანკალებულის ხმით უთხრა:

— მამა ჩემო, ავიღოთ წვენი ბარგი-ბარხანა და გავსწიოთ? ღიაკონი შეკრთა:—როგორ? სად?

— მერე? არ გებრალობა... არ გეცოდება ის, შვილო? გაუბედავის და ღმობიერის ხმით ჰკითხა ღიაკვანმა.

— როგორ არ გეცოდება! ვწუხვარ, გული აგერ გამისკდება... მაგრამ პირდაპირ უარი გვითხრეს.

— უარი სთქვეს?—ჩურჩულით გაიმეორა მოხუცმა.

რამდენი ჩაფუშული იმედები გამოიხატა ამ დროს მოხუცის თავში. იმას სიცოცხლეში ორი თავ-მოსაწონებელი იმედი ჰქონდა, პირველი იმისი ვაჟიშვილი, რომელიც სწავლაში ასე წინ წასული იყო და მერე სასულიერო აკადემიაშიც ასე გაიმარჯვა, ოქროს მედალი მიიღო; მეორე თავ-მოსაწონებელი იყო.—დამოყვრება მამა გაბრიელ ფორტიფიკანოვის ოჯახთან. განა შეეძლო გაებედნა, სოფლის ღიაკონს, საწყალს, სიბნელეში მყოფს ამისთანა ნათესაობაზე ფიქრიც კი? და ეხლა კი ეს ფიქრი უნდოდა კიდევ გაეხორციელებინა, საელიდა კიდევ თავის თავს სობოროს მღვდლის ოჯახის კაცად!—უცებ კი? ის უცებ წამოდგა, შეიკრა ღილი თავის გახუნებული ანაფორისა, და უნებურის დამორჩილებულის ხმით უთხრა:

— წავიდეთ, შვილო!

ისინი გავიდნენ დერეფანში. კირილე მიდიოდა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა, გული უცემდა სხენაირად, მაგრამ რა ექნა, სხვაფრივ მოქცევა არ შეიძლებოდა. ღიაკონი ჩუ-

მად ბარბაცით მისდევდა უკან. ყველა ოთახის კარები დაკე-  
ტილი იყო და ჩამი-ჩუმიც არა ისმოდა-რა. გასცდნენ დერე-  
ფანს თუ არა, დიაკონი გონს მოვიდა და ჰკითხა კირილეს:

— როგორ შეიძლება ასე გამოუმშვიდობებლოდ წასვ-  
ლა? ჰა?

— თუ არა სურთ!— ყრულ მიუგო კირილემ და ჩაეშვა  
კიბეზე. დიაკვანი შეჩერდა, იმან ნელა შეაღო სამზარეულოს  
კარები, ანიშნა გოგოს თითით და უთხრა:— ანიკო, თუ ჩვენ  
გვიკითხონ... ჩვენ ვიქნებით მოსკოვის ღამის გასათევ სახლში.  
ანიკომ გაკვირვებით დაუწყა ყურება, როდესაც კიბეზე  
მიდიოდნენ, და მიხურა კარები.

ხმა-გაკმენდილმა დიაკონმა შეაბა ცხენები თავის ჩასაჯდომ-  
ში, მოაგროვა, რაც ეზოში თივა იყო გაბნეული, ჩასხდნენ ჩუ-  
მად ეტლში და გავიდნენ ქუჩაში.

მოსკოვის ღამის გასათევი სახლი იყო ქალაქის განაპირას.  
იქ შესვლისათნავე კირილეს მოაგონდა იქაურობა; ათი-თხუთ-  
მეტი წლის წინედ ისინი აქა დგებოდნენ, როდესაც დათხოვ-  
ნილ შვილს ჩამოიყვანდა ხოლმე სემინარიაში მისი მამა. ამ  
ვრცელს ეზოში იდგა იმათი ჩასაჯდომი, რომელიც ბავაც იყო  
ცხენისათვის და მათთვის ჩასაჯდომიც. სასტუმრო ოთახი ისევ  
იმ მდგომარეობაში იყო, როგორც ამ თხუთმეტი წლის წინად.  
კირილეს არ უნდოდა წარსულის მოგონებაში გართობილი-  
ყო. შევიდა თუ არა ოთახში, ჩამადანი მიაგდო კუთხეში და  
თითონ დაიწყო წინ და უკან სიარული, თითქო არავის ხმის  
გაცემა არ უნდაო. დიაკონმაც შეატყო, რომ ქეიფზე არ იყო  
მისი შვილი და გამოვიდა გარედ ძველი ნაცნობების სანახა-  
ვად.

წინ შეხვდა ეზოს პატრონი. ამ ეზოს პატრონთან დაიწყო  
ამოყაჭვა ყველა ჯაერისა, რომელიც მას არჩობდა.

— იცით რა, მამაო დიაკონო,— უთხრა ეზოს პატრონმა  
დარბაისლური ზრდილობით,— თქვენ საწყენად ხომ არ მიიღებთ,  
რასაც გეტყვით? თქვენს შვილს, შესაძლებელია, ტვინი თავის  
რიგზე არა ჰქონდეს,— დამიჯერეთ ასე უნდა იყოს. დიაკონმა

ეს თქმა შეურაცხყოფად მიიღო და უპასუხა:—მაშ უკაცრავად ნუ ვიქნები და ჩემს შვილს ისეთი ტვინი აქვს, ღმერთმა ქნას, შენ შვილსაც ასეთი ტვინი ჰქონდეს.—უთხრა შხამიანად დიაკონმა.

— ჩემს შვილს ჩემისთანა ადგილი უნდა ექიროს და რად უნდა მაგისთანა ტვინი? შენსას კი გადუქარბებია!... იცით, იმას ჭკუა უცებ შესვლია თავში. არა, გთხოვთ საწყენად ნუ მიიღებთ, მამა დიაკონო. მე თქენი სიბრალულისათვის ვამბობ.

— ხვალ მღვდელ-მთავარს ხომ არა ნახავ?—დაეკითხა მამა შვილს. კირილე ჩამოჯდა გატეხილს სკამზე, მეგობრულად შეხედა მამას და უთხრა.—დაჯექი, ჩემო მამავ, და მოვილაპარაკოთ. ჩვენ ხომ ჯერ საქმეზე არა გვილაპარაკნია-რა.

დიაკონი უცებ ჩამოჯდა შვილის გვერდით.

— რაღა მინდა ეხლა მღვდელმთავართან?—წარმოსთქვა კირილემ:—მღვდლად კურთხევა რომ ვსთხოვო, ჯერ ცოლი უნდა შევირთო. მე ქალიშვილებს ვერავის ვიცნობ, გარდა მარია გაბრიელოვნასი. იმასთან თითქმის დამეგობრებული ვარ და მიჩვეული ვიყავით ერთმანეთს. ეხლა ჩემი ფიქრები აირდაირია.

— აირ-დაირია, მართლა, რომ აირია!..—ყრუდ გაიმეორა დიაკონმა.

კირილემ გაიღიმა.

— არა, არც ეგრეა საქმე, როგორც თქვენ ფიქრობთ. თქვენ შეშლილად მთვლით, ვიცი.

— არც კი მიფიქრია... ღმერთმა გაშოროს,—საჩქაროდ გაიმართლა თავი დიაკონმა,—თავის დღეში მაგას არ ვიფიქრებ!

— და მე კი მინდა მხოლოდ ამიხსნა აზრი ჩემი ცხოვრებისა, მე მინდა მხოლოდ ჩემს სიცოცხლეს ჰქონდეს რამე მნიშვნელობა. თქვენ, მამა-ჩემო, უგუნური კაცი არ მყევხართ, მხოლოდ სიღარიბითა ხართ დაჩაგრული. დეე, ვისაც როგორ უნდა გაიგოს, ოღონდ თქვენ უნდა გამიგონოთ. პატარობით-

ვე მე ვცხოვრობდი სოფელში; ჩვენი სოფელი უსტიმოვკა ღარიბია და მინახავს მე გლეხი-კაცის წვა-დაგვით ცხოვრება და ტანჯვა. სიბნელე იმის სიღარიბით არის, სიღარიბე კი სიბნელით. ერთს მეორისთვის ხელი წაუვლია. სიღარიბისთვის შევიყვარე მე ის. სიყრმეში ეს სიყვარული უჩინარი იყო — ეძინა, იმისთვის რომ ვცხოვრობდი უდარდელად, მზამზარეულზე, არა მშობილა და ჩემი არაფერი მქონდა. მაგრამ ვსწავლობდი გულმოდგინედ, ვკითხულობდი სამეცნიერო წიგნებს, გავიცანი ნასწავლი ხალხი და მათთან ბაასით ვავიგე ყველაფერი; ჩემი ჭკუაც განვითარდა და მივხვდი, რომ ასე დაუფიქრებლად ცხოვრება არ ეთანხმებოდა კაცის ჭკუა-გონებას. ამისთანა დასკვნამდე მივდი: როდესაც შენ განათლდები ჭკუით, მაშინ უსათუოდ შენც უნდა გაანათლო შენი მახლობელი და შენს ცხოვრებას დააჩნდება კვალი კეთილი-მეთქი. აბა მე ვინ უნდა გავანათლო თუ არ სიბნელით მოკუთლი სოფლის გლეხი-კაცი? მინათება უნდა, სადაც სიბნელეა, მამა-ჩემო. როგორი სიბნელეა სოფელში, ეს თქვენ თვითონ კარგად იცით. აი ამისთვის, ჩემო კეთილო მამავ, უარ-წყავ ყოველი ჩემი წარმატება და გადავწყვიტე, უსათუოდ უნდა ვეკურთხო სოფლის მღვდლად-მეთქი. ახლა მითხარი, მამა-ჩემო, შეშლილი ვარ თუ არა?

ღიაკონი იჯდა ჩუმად და დაფიქრებით, ძლივს ეღიროსა შეილისაგან ახსნას და ყოველი სიტყვა ამ ცოტაოდენი ლაპარაკისა ჩაებეჭდა იმას გულში. სრულიად გარკვევით კი ვერ მიხვდა, რაც შეილმა ილაპარაკა, მაგრამ გრძობდა კი, რომ იმის სიტყვებში რაღაც კარგი რამ უნდა ყოფილიყო და სამართლიანი. ფიქრობდა, ჩემთვის სასიამოვნო უნდა იყოს, თუ ჩემი შვილი სამართლიანი კაცი იქნება და ნანობდა კიდევ, რად ვუყურებდი ეჭვითაო. ყველა ამებმა გული აუზმდვრია და ჩაფიქრებული იყო. კირილე ადგა და მივიდა მამასთან ახლოს.

— აბა, მამა-ჩემო, მამხნევებ თუ არა?

ღიაკონი განწირულებით მოეხვია ორივე ხელებით, მიიკრა გულზე და აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა:

— შენ სამართლიანი კაცი ხარ... სამართლიანი, სახარების მზგავსი... სახარებისა.—კირილემ აკოცა მამას გათეთრებულ თავზე და სახე მისი ბრწყინაედა სიხარულის ღიმილით.

— აი ეგ კარგია, მამა ჩემო, რომ თქვენ მე მიცანით: უფრო ვიადვილდება კაცს ცხოვრება, როდესაც ხელდავ თანამგრძნობთ. მე მაწუხებს ის, რომ დედა და სხვები ჩემიანები ყბად ამიღებენ და თქვენზე კი ყოველთვის იმედი მქონდა და მექნება, ჩემო მამაე.

— კარგი, კარგი! მაგრამ შენი მარო? როგორც შენ ამბობ, შენ ის გიყვარს, შეჩვეული ხარ, ეს კი სამწუხაროა.

კირილე ხმას არ იღებდა, მხოლოდ დადიოდა წინ და უკან. დიაკონი ადგა და უეცრად გარედ გავიდა, რომ კირილესთვის არ დაეშალა მოფიქრება. ის ჯერ იდგა გარედ, მერე გაუელვა რალაც ფიქრმა, შემობრუნდა, ქუდი აიღო და გამოვიდა გარედ. სახეზე ეტყობოდა რალაც გადაწყვეტილება და გავიდა ეზოდან. იქ მოუმატა ნაბიჯს და თითქმის სირბილით შევიდა სობოროს სასახლეში.

## II

აქ დიაკონი შეესწრო საოჯახო საუბარს, რომლითაც სწყვეტდნენ ქალიშვილის ბედ-იღბალს დედ-მამა.

როდესაც მარო გამოვიდა სასადილო ოთახიდან, შევიდა თავის ოთახში და მოელოდა გულის ძგერით რითი გათავდებოდა საქმე... როდესაც დედა შევიდა და გამოუცხადა, კირილესი და მამა-მისის წასვლა და გადაწყვეტილი უარის თქმა ქალის მიცემაზე, ქალმა ტირილი დაიწყო და გამოუცხადა, რომ სხვაზე არას გზით არ გაეთხოვდებო.

— სისულელეა! სოფელში ხომ ვერ იცხოვრებ?—უბასუხა დედამ.

— რატომ ვერ ვიცხოვრებ! მე მიყვარს ის და, სადაც ის იქნება, ჩემთვის სულ ერთია. თქვენ ტყუილად იწუხებთ თავს... მე გავიქცევი, მივალ იმასთან და უფრო სირცხვილი იქნება.



მარიამ გაბრიელოვნა საზოგადოდ წყნარი და ლმობიერი ქალი იყო, მაგრამ ხანდახან კი ზოგიერთს შემთხვევაში გამოიჩინდა რომელსამე დედის ხასიათს (რომელიც იმას რასაკვირველია შთამომავლობით გადაეცა).

მამა გაბრიელი ამისთანა შემთხვევაში შევიდოდა თავის ოთახში, შეიკეტდა კარებს, ყურს მოიყრუებდა, თუნდა თავში ქვაც ეხლათ. ეხლაც ეს საქმე უბრალო რამ რომ ყოფილიყო, ყურსაც არ გაიბერტყდა, მაგრამ ეს სულ განსხვავებული საქმე იყო. ცოლმაც ამ საქმეს სხვა ნაირად შეხედა, დაიმშვიდა ხასიათი, მიანდო ქმარს, რომ იმას გადაეწყვიტა ამისთანა მძიმე საქმე და ორივემ დაიწყეს მოქმედება ქალზე ტკილილი სიტყვებით.

— იცი შენ, თუ არა რა არის სოფელი და იქ ცხოვრება? — ეუბნებოდა მამა ქალს, — სიყრუე საშინელი. შეგნებული კაცი არ მოიძებნება. მხოლოდ ერთი გლეხ-კაცობაა; სიკვდილის მსგავსი მოწყენილობა; ხალხი გაუნათლებელი, დიდ-გულლი, ქუჭყიანი, შენ კი იმათში უნდა იცხოვრო და მეგობრობა გაუწო! ზამთარში ქარიშხალი თოვლით აგავსებს და ზაფხულში პაპანაქება სიცხე დაგწვავს.

— ჩემთვის სულ ერთია, მე მიყვარს ის! — მტკიცედ მიუგო მარამ.

მამა გაბრიელი დარწმუნდა, რომ უქმია მისი ქადაგება, გაჩუმდა და დაიწყო მოფიქრება უფრო ნამდვილის საბუთისა.

— თავი და თავი აი რა უნდა იფიქრო შენ, — წარმოსთქვა დედამ: — შენ ამბობ ის მიყვარსო და იმას კი აღარა ფიქრობ — შენ იმას უყვარხარ თუ არა? ჩემი აზრით, არ უყვარხარ, თორემ თუ კაცს ქალი უყვარს ყველაფერს საცოლოს სასიამოვნოს მოიქმედებს. მართალს არ ვამბობ, მამა გაბრიელ?

— რასაკვირველია, აგრეა! — დაეთანხმა მამა გაბრიელი, მოაგონდა ამასაც, რომ თვითონაც ყოველთვის ცდილობდა თავის ცოლის სურვილი აესრულებინა ხოლმე.

— იმას ხომ ხედავ, რას ჩადის! გამოუვსია რაღაც სულელური აზრებით თავი და მზად არის საფლავი გაგიტხაროს, არ უყვარხარ და გათავდა.



— ოჰ, არა ღმერთმანი, უყვარს, უყვარს! — დაქეშმარიტებით წარმოსთქვა მეოთხე ხმამ; მიიხედეს ყველამ კარებისკენ და დაინახეს დიაკონი, რომელიც მოჩვენებასავით ისე შემოსულიყო, რომ ვერავის შეემჩნია. ის ამ დროს არა ჰგავდა არც გონებადაზნეულს და არც გაუბედავს კაცს! ყოველ იმის მოძრაობაში სჩანდა გადაწყვეტილი აზრი. დიაკონმა მიიღო მარჯვენა ხელი გულზე და დაბეჯითებით წარმოსთქვა:

— მამაო გაბრიელ და დედავ! გამიგონეთ, ღვთის გულისათვის. მე ჩემმა შვილმა მითხრა: — ეჰ, ახლა რაღა მინდა მღვდელმთავართანა, უარი მითხრესო! სულ იმას იძახის, ცოლის შერთვა არ შემიძლიან იმისთვის, რომ ქვეყანაზე მე ქალიშვილს ვერ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე მაროს გარდა სხვას; სწუხს — გზა-კვალი ამერიაო. მამა გაბრიელ! ქალბატონო! — და დიაკონმა ტირილი დაიწყო. მაროსაც მოაგონდა თუ არა დიაკვნის სამართლიანი სიტყვები, ტირილი დაიწყო. ამ დროს მამა გაბრიელი და მისი ცოლი ჩუმად იყვნენ.

— რითი გვიმტკიცებს ამის სიყვარულსა! — შემდეგ სიჩუმისა ჰკითხა დეკანოზის ცოლმა.

— იმას სურს მოიქცეს ისე, როგორც სახარებაში სწერია.

მღვდლის ცოლის სახეზე გამოიხატა მეტის-მეტი განცვიფრება:

— მამაო გაბრიელ, სახარებაში მართლა სწერია, რომ მღვდელმა უთუოთ სოფელში იცხოვროსო? — მამა გაბრიელმა ამ მოუხერხებელ ცოლის კითხვაზე არა უპასუხა-რა და სთქვა:

— ჩემი აზრი ასეთია: ჩვენი ქალი მარიამ წლოვანია. ამას ნათქვამი აქვს, რა მოელის. თუ რომ მაგის მისდამი სიყვარული ისეთი ძლიერია, რომ იმის წაყოლაზე თანხმდება, მივცეთ სრული თავისუფლება... და მაგისი საქმეც მერე ქმრის გონზე მოყვანაა. აი მე ასე მგონია, რომ ის მერე გონებაზე მოვა და ქალაქში გადმოყვანა ყოველთვის შეიძლება. მაგრამ შენ როგორც გინდა, ისე მოიქეცი! — მიუბრუნდა ცოლსა.

დიაკონი მივიდა დეკანოზთან ხელზე ემთხვია და შუბლზე აკოცა, მერე მიუბრუნდა მღვდლის ცოლს და უთხრა:

— ქალბატონო, ნება მომეცით, რომ თქვენც...

— მხოლოდ მე არ მინდა დამნაშავე ვიყო!—და გაუშვირა ხელი მოხუცს, რომელიც დიდის გრძობით ეამბორა, მაროც მივარდა დედას, მოეხვია და შეიქნა საზოგადო ხვევნა-კოცნა.

ღიაკვანი გაიქცა და შეატყობინა შვილს, და ნახევარ საათის განმავლობაში მოიყვანა კირილე ფორტიფიკანოვის ოჯახში.

კირილემ ისურვა საქმის ნამდვილად გადაწყვეტამდინ ნახევარ საათით მამა გაბრიელთან საუბარი, და მერე სსიდედროსთან, რომ დანამდვილებით აეხსნა ეს ყოვლად კეთილი მისი მიმართულება, და დარწმუნებული იყო ეს სიმართლის აღეიარება გონებაზედ მოიყვანდა მათ. კირილე ლაპარაკის დროს გულწრფელს მდგომარეობაში იყო; დაინახა შესაძლებელად აღეთქვა, რომ თუ გამოცდილება დაანახებებს უკეთეს რასმე, მაშინ ისიც გონიერებით მოიქცევა. დასასრულ მისცეს ნება მაროსთან მარტო დარჩენილიყო.

— მარო, — უთხრა მან, — მე მინდა აგიხსნა შენ...

— ნურაფერს ნუ ამიხსნი, კირილე, მე არაფრის გაგონება არ მინდა... მე მიყვარხარ შენ და მეტი არაფერი...—და მიეკრა გულზე ისეთის დნობით, რომ კირილეს მეორედ აღარ უცდია აეხსნა რამე. საღამოზე ეს ორნი ერთად დასეირნობდნენ. კირილე უამბობდა იმას დიდი ქალაქის მშვენიერს შენობებზე, მუზეუმებზე და თეატრზე.

— ოჰ, რა კარგი იქნება იქ ცხოვრება!—გაუბედავად წარმოსთქვი მარომ, ეშინოდა ეს სიტყვები საწყენად არ მიეღო კირილეს.

— კარგია, მაგრამ იქ ხომ სიცოცხლე არ არის. იქ კი არ ცხოვრებენ, მხოლოდ დროს ატარებენ. სიცოცხლე იქ ილევა უსარგებლო შრომაში და დროს გატარებაში. ჩემის ნებით მე იქ არც ერთს წელიწადს არ ვიცხოვრებდი.

„მე კი მთელს საუკუნეს ვიცხოვრებდი!“ ფიქრობდა თავის გულში დეკანოზის ასული.

დილას კირილემ აღრე გამოიღვიძა. მღვდელთ-მთავარი მთხოვნელებს იღებდა ხოლმე რვა საათზე. ჩაიკვა სახელმწიფო თავის სერთუკი, რომელიც იმას უშნოდ ედგა ტანზე. დეკანოზის ოჯახში ყველას ეძინა, როდესაც ის გამოვიდა სახლიდან. მამა-მისმა ჭიშკრებამდინ გააცილა შეილი, რომ ლოცვა კურთხევით დაერიგებინა; რადგანაც მღვდელ-მთავართან მისელა დიაკონს საშინელ მძიმე საქმედ მიაჩნდა, შეაჩერა ჭიშკართან შეილი და უთხრა:

— რასაკვირველია, მღვდელ-მთავარი მოგეპყრობა შენ ისე, როგორც ვანათლებულს და უპირველეს ნასწავლს. მაინც თვალი ადევნე მის მიღებას... და თუ ნახო, რომ პატივი გცეს და მხიარულ გუნებაზე იყოს, ჩამოუგდე ლაპარაკი შენს ძმა ნახარის კურთხევაზე.

კირილეს დიდძალი მთხოვნელები დაუხვდა მღვდელ-მთავართან, უმეტესი ნაწილი სოფლის სასულიერო პირები იყვნენ, რომელნიც ზოგნი თხოულობდნენ ერთმანეთში ადგილის გაცვლასა, ზოგნი შიშით და კანკალით ელოდნენ მონასტერში გაგზავნას საძრახის საქმის ჩადენის გამო. ამ რიცხვში ქალებიც იყვნენ ცრემლიანი თვალებით. ქვრივები თხოულობდნენ პენსიისათვის შემწეობას ან და იმის შესახებ, რომ მათთვის ნება მიეცათ მნათობისა იმ ეკლესიაში, სადაც მათი ქრმები ოცდაათს და ორმოცს წელიწადს ემსახურებოდნენ.

მაგისტრი სასულიერო აკადემიისა კირილე ობნოვლენსკი მაშინვე მიიღეს მღვდელ-მთავართან, და ამდენი მთხოვნელები დარჩნენ ისევ ცდაში. მათმა მეუფებამ მიიღო ის მეგობრულად. მაღლობა, რომელიც მიიღო სემინარიამ კირილეს გამო, მღვდელმთავარსაც შეეხებოდა.

— ვიცი, ვიცი, გვაცნობეს; აკადემიის მამა რექტორი მწერდა მე. იმედი ჰქონდა შენზე და შენ კი უარი გითქვამს ავადმყოფობის გამო; ჰმ!.. აბა რა გიგავს ავადმყოფს? შეხედულობით კი არა გეტყობა-რა და?

მღვდელ-მთავარი შესახედავად ძლიერ ხნიერსა ჰგავდა, მაგრამ მხნედ ჭეკონილად იყო, უყვარდა ლაპარაკი და სრულიად გათეთრებული მისი წვერები ლაპარაკის დროს მუდამ ცანცარებდა.

შუა ტანისა, ჩასუქებული, უბრალო, ლმობიერი და კეთილი გულის კაცი იყო, უყვარდა, რომ კაცს სასტიკად სჩვენებოდა. მთელს ეპარქიაში სიავის ხმა ჰქონდა გავარდნილი. ათში ერთი კი არ მოიძებნებოდა მთელს ეპარქიაში იმისაგან დასჯილი. იყვირებდა, იყვირებდა და გაუშვებდა მშვიდობიანად კაცს სახლში.

კირილე დაჯდა, სადაც მღვდელ-მთავარმა მიუთითა, და მოახსენა:

— მე სრულებით მრთელად გახლავარ, თქვენო მეუფებაე. თუ რომ ავადმყოფობის გამო ვთქვი უარი, ეს უბრალო მიზეზი იყო.

— რაღაც ვერ გამიგია! სთქვი გარკვევით, ჩემო შვილო.

— ასე, თქვენო მეუფებაე. აი ამისათვის შეგაწუხებ ჩემი მოსვლით, რომ გამოვთქვა ჩემი გარდაწყვეტილება. გთხოვ, მიბოძოთ სოფელში მღვდლობის ადგილი!

— როგორ, რა ამბავია? შენ აკადემია გაათავე, ოქროს მედალი მიიღე და გინდა სოფლად წახვიდე?

კირილეს გულწრფელმა გარდაწყვეტილებამ მღვდელ-მთავარს გაანცვიფრა. ამისთანა თხოვნა პირველად ესმოდა თავის სიცოცხლეში. საზოგადოდ აკადემიელები ცდილობდნენ საუკეთესო ადგილების შოვნას, ან სხვა-და-სხვა ქალაქების ეკლესიების წინამძღვრობას.

— არ მესმის, ამიხსენი, ამიხსენი!—განაგრძო მათმა მეუფებამ და დიდი ყურადღებით ჩააცქერდა კირილეს.

— მინდა ვემსახურო სიბნელეში მყოფთ ჩემს მოძმეებს,— ჩაფიქრებით წარმოსთქვა კირილემ.

— კეთილი, კეთილი, — სთქვა მღვდელ-მთავარმა, — მხოლოდ მიკვირს, როგორა ჰბედავ.

— ქალაქის ცხოვრება მე არ მეხარბება, შემოსავალი მე არ შეინტერესება, — განაგრძო კირილემ, — ჩემი გული მიისწრაფვის სოფლად, სადაც გამიტარებია ჩემი ბავშვობა.

— მაგაზე უკეთესი რაღა იქნება, ღმერთი იყოს შენი შემწე! — აღტაცებით წარმოსთქვა მათმა მეუფებამ. — მე მხოლოდ შენ მეყოლები მაგალითად მთელს ეპარქიაში.

წამოდგა, მივიდა კირილესთან და შუბლზედ აკოცა.

— აბა ახლა, რომელი მრევლი მოგცე? რაც დაცლილი ადგილებია, ღარიბი მრევლია, კარგი ადგილები სულ დაჭერილია და შენ კი ღირსი ხარ საუკეთესო მრევლისა.

— არა, თქვენო მეუფებავ, მე ვგ არ მინდა,—მიუგო კირილემ,—გთხოვთ, იმისთანა მომცეთ, რომ შემეძლოს ჩემი ცოლ-შვილის რჩენა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ღმერთი, — იმეორებდა მღვდელ-მთავარი გაოცებული ასეთ უნგარო ყმაწვილ კაცზე, მას უნდოდა, რომ ეხლავე რამე ესიამოვნებინა კირილესთვის და ჰკითხა:—შენ, როგორც მახსოვს, ძმა უნდა გყავდეს, დიაკონი ნაზარი? უთხარი, მოვიდეს ჩემთან, მე იმას ვაკურთხებ და კარგს ადგილსაც მივცემ.

კირილე ადგა და თავი დაუკრა. მღვდელთ-მთავარმა გაბაგრძო:

— მშვიდობით იყავი. წადი, აირჩიე საცოლო, მოემზადე საკურთხებლად და ადგილს მე თვითონ დაგინიშნავ.—დალოცა ყმაწვილი კაცი, გადაეხვია და უთხრა:—მე მაინც მწყინს, რომ ჩვენი ქალაქი აკლდება შენისთანა კაცს; შენ კარგი მქადაგებელი იქნებოდი. მე მახსოვს, სემინარიაში რომ იყავი, კარგად მიდიოდი გომელეტიკაში! მახსოვს, მახსოვს! მაშ ასე, უთხარი შენს ძმას, მოვიდეს.

კირილე დიდი ნასიამოვნები გამოვიდა, უხაროდა, რომ მისმა მეუფებამ გაიგო მისი აზრი და იმაზედაც სიამოვნებდა, რომ მღვდელ-მთავარის წყალობით უნდა გაეხარებინა მისი მამა, ნაზარი და მთელი მათი ოჯახობა. ხალხმა, რომლითაც საესე იყო მისაღები ოთახი, გზა მისცა კირილეს და შურის თვალით შესცქეროდნენ. ყველამ გაიგო, რომ ის მაგისტრი იყო, მიიღო ოქროს მედალი და ფიქრობდნენ, აი ბედნიერი ეხლავე მიიღებს საუკეთესო ადგილს ეპარქიაშიო. ზოგიერთს ასეთი ბედი აქვს, მერე რა ყმაწვილია, სრულებით ბავშვია!—ფიქრობდნენ ისინი.

მღვდელ-მთავრის ეზოში კირილეს წინ შეხვდა მამა რექტორი, თავის ძმისწული ევგენი ანდრეიჩ მეყოვითა (ასე ეძა-



ხდნენ რექტორის წმისწულს). უკანასკნელს ტანზე ეცვა სა-  
დღესასწაულო შავი სერთუკი. ეტყობოდა, არ იყო სახელმწი-  
ფო, არამედ შეკერილი იყო საგანგებო უ ძვირფასის მაუღისაგან.  
ქუდიც ახალი ეხურა, ფართე ლურჯი ლენტეანი, შავი ზორნით  
პალტოს ღილზე ჩამოკიდებული; ხელზე ეცვა შავი ხელთათმა-  
ნები, ფეხებზე კი ახალი ჩექმები ლაიკისა, თავი მაღლა ეჭირა და  
გამოიყურებოდა დარბაისელ ფრანტად. ამ დღისათვის მას მოე-  
პარსა თავისი წითური წვერი და პატარა უღვაშები გაეწკიპინე-  
ბინა; მამა რექტორი იყო შავი აბრეშუმის ანაფორით, რეგალით,  
კამილაკით და ხელში ჯოხით. ქიშკრის კარებში გაჩერებული  
იყო სემენარიის ეტლი. ეჭვი არ იყო, რომ რექტორს მოეყვანა  
თავისი ძმისწული მღვდელმთავარის გასაცნობად.

— გამოეცხადე? — ჰკითხა მეუოვმა, რომელიც სიჩქარით ბი-  
ძას მისდევდა და შედგა.

— დიად, — მოკლედ უპასუხა კირილემ.

— მე კი სათხოვნელად მივყევარ ბიძა-ჩემს, იცი! ჩვენი  
ინსპექტორი გადაიყვანეს! აი იმის ადგილსა ვცდილობთ.

— ასე მაღე! — გაიკვირვა კირილემ. ეს მით უფრო იყო  
გასაკვირი, რომ მეუოვმა გაათავა აკადემია ძალიან სუსტად და  
მაგისტრატობა ფიქრადაც არ მოსვლია.

— ბიძა-ჩემი ცდილობს: შეიძლება ინსპექტორობა არ მო-  
მცენ, მაგრამ დროებით მაინც დამნიშნონ იმის მაგივრად. ეს სულ  
ერთია, ჯამაგირი მაინც ერთი და იგივე იქნება.

— რასაკვირველია, რასაკვირველია. — დაბნეულად წარ-  
მოსთქვა კირილემ.

— სახლი, შეშა და ყველაფერი სახელმწიფო მექნება, ესეც  
ხომ კარგია?

— კარგია!

ამ დროს მივიდა მათთან მამა რექტორი.

— შენ რას აპირობ ახლა ობნოვლენსკი? — ჰკითხა მამა  
რექტორმა ვითომ წრფელის გულით. კირილეს სრულიად არ  
სურდა მათთვის აეხსნა თავისი აზრი. რექტორი თავის დღეშიაც  
არა ჰყვარებია მისი არა გულწრფელი ხასიათებისათვის.

— სწორედ ჯერ არა ვიცი-რა! უნდა დედ-მამა ვნახო და მათთან ერთად ვარჩიო.

— აგრე, აგრე, აგრე უნდა... აბა წავიდეთ ეგვენი, დაგვაგვიანდა! — კირილემ თავი დაუკრა და განშორდა.

— როგორ მალე წაიწივს კაცი წინ, თუ მოინდომა, — იფიქრა კირილემ, როცა გაიხსენა ყმაწვილი მეუოვის ნიჭი.

### III

დიაკონ ობნოვლენსკის ეტლს სარწვევი არ უვარგოდა. ყოველს უსწორ-მასწორო ადგილზე ავარდებოდა და ჩავარდებოდა ხოლმე, იმისი რახა-რუხი ორი ვერსის სიშორეზე გაისმოდა; ყოველი იმის ნაწილებისაგან ისმოდა რაღაც ხმები. თავტაბიკი, რომელიც აერთებდა წინ თვლებს ყოველთვის ჟღერავდა ხრინწიანის ხმით და ხანგამოშვებით არაკუნებდა. განიერი ფრთები საფეხურებთან ერთად გამოსცემდნენ საზარელს ჟღერას, რომელშიაც ისმოდა სხვა-და-სხვა მოსაწყენი ხმები და შორს იფინებოდა. ხელნაწები, სადაც კი მოსახვევი შეხვდებოდა ან ცხენები გაინძრევოდნენ, დაიწყებდნენ მძაფრად ჭრიალსა მთელი ეს ჩვეულებრავი ხმები ცნობილი იყო მთელი მაზრისათვის. ყოველი კაცი ამის გამგონე თვალ-დახუჭულიც კი მიხვდებოდა, რომ მოემგზავრებოდა უსტიმოვკის დიაკონი. აი ხუთი საათია მოდიოდნენ და თან მოსდევდით მათ სქელი ღრუბელი ვით მტვერი, რომელიც ერთხელ შენძრევისათანავე გაჩერებულია ჰაერში და ყველას ანიშნებს, რომ აქ ეს-ეს არის ვილაცამ გაიარაო.

მგზავრები სულ ამოგანგლულები აყვნენ მტვერში. დიაკონი სთვლემდა, თავს აქეთ-იქით აკანტურებდა და ყოველს წამოვარდნაზე, როდესაც საჯდომი მალლა ააგდებდა ხოლმე, ის თვალებს გააქუცტდა და უცებ პირჯვარს დაიწერდა. კირილე აქეთ-იქით იყურებოდა და იგონებდა თავის სამშობლოს, ხედავდა მინდვრებს და მზისაგან გაყვითლებულის და შემოსულის ქერისა და პურის ყანებს. მოშორებით მოსჩანდა ახალი ამოსუ-



ლი სხვა-და-სხვა ბოსტნეულობა. აქა-იქ იხატებოდა ვრცელი სამოსახლოები და მაზედ პატარ-პატარა ქოხები. ქის გარშემო წყალის დასაღვეად მოსულიყვნენ ყანჩები. იქავე მწყემსები მოერგებოდნენ ცხვრებს, რომ მინდვრებში წოწიალით დაქან-ცულები ქაზე მიდგმულ გეჯასთან ერწყულებიათ. სოფლის მიდამოებზე დიდი სიჩუმე იყო, ყოველი ცხოველი ეძებდა ჩრდილსა. კირილე მოწყენილი გაჰყურებდა არე-მარეს და მწუხარების გაკვირვებით ფიქრობდა, რომ ყველა ეს ამ ორი წლის წინადაც ასევე იყო, თითქო გუშინ დაეტოვებინოს თავის სამშობლო. ამასვე გრძნობდა ამ ათი და ოცის წლის წინადაც. არავითარი ცვლილება, არავითარი წინ მსვლელობა, არ ეტყობოდა, ყველაფერი მოწყენითვე გამოიყურებოდა.

— ცოტაც და მალე შინ ვიქნებით! აი უსტიმოგვაც, — სთქვა კირილემ და ანიშნა მამას მარცხნივ, საითაც უნდა გადაეხვიათ. უსტიმოგვა გამოჩნდა თავის თეთრი ეკკლესიით. საცოდავად მიტოვებული და გვალვისაგან ნახევრად გამხმარი მემამულეს ბალი, კრამიტით გადახურული ქვის დუქნები, სოფლის შესავალში სამი პატარა წისქვილი, — ყოველივე ეს საცოდავი სანახავი იყო. გვერდით იდგა მემამულეს სახლი დამბალი ფიცრის სახურავით და ჩამონგრეული კედლებით, ფანჯრებას მაგივრად დიდრონი ფარღალალები ჰქონდა. ამ შენობის შემხედვარე ვერ წარმოიდგენდა, თუ აქ ცოტათიც არის შეძლებული მემამულე ცხოვრება. საზოგადოდ, მოელი უსტიმოგვა წარმოადგენდა ღარიბს, სიბნელით მოცულს მხარეს, უცხო მგზავრი არც კი შეხედავდა, ისე ჩაუფლიდა გვერდს. აქა-იქ გაფანტული ანწლში დამალული მიწის შენობები აღარც კი სჩანდა. ქის წყალი ისე მარილიანი იყო, რომ დაღვევაც კი ეძნელებოდა კაცს.

— აი ამისთანა უპატრონობა და სიღარიბე გახლავსთ ჩვენს უსტიმოგვაში! — ოხვრით წაიბუტბუტა დიაკონმა. მაგრამ კირილეს თვალში მაინც სიამოვნება იხატებოდა.

— მშობლური სიღატაკე, მამა-ჩემო? არაფერის გული-სათვის სხვაზე არ გავცვლი! — და მართლაც, გულში სიამოვნ-

ნების აღტაცებასა გრძნობდა. ის აღარებდა თავის თავს ტყვეს, თავის სამშობლოში დაბრუნებულს. უცხოოდ ეჩვენებოდა ქალაქი, რომელსაც ის ვერას გზით ვერ შეეჩვია. იმაზე ვერ იმოქმედა ვერც უმაღლესმა განათლებამ, ვერც სხვა-და-სხვა გართობამ. უსტიმოვკასთან ერთად მაროს ხსოვნა ჰქონდა მხოლოდ შთაბეჭდილი გულში.

— რასაკვირველია!—(ვითომ გაიგო რას ფიქრობდა მისი შვილი) სთქვა ღიაკონმა და გამოფხიზლდა ძილისაგან, შეუტია და ცხენებიც, რაკი იგრძნეს მიახლოება, გაეშურნენ. აი მიახლოვდნენ ეკკლესიას, ღიაკონმა ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადიწერა.

— მივედით!—სთქვა მან:—მადლობა ღმერთს! აი საყდარიც, ჩვენი სახლიც. ისევ ძველებურად ვცხოვრობთ. მამა აგაფონი ეს ორი წელიწადია ცდილობს ეკკლესია შეაკეთოს და არა ეშველა-რა... ვიწროდა ვართ ძალიან; ქუჩებში მოსიარულე ხალხი ჩვეულებრივად ქუდს უხდიდნენ ღიაკონს და კირილესაც; ვინც კი ცნობილობდა, სიამოვნებით უღიმებდა და თავს უკრავდა. ერთმა დედაცკმა ვერ მოითმინა და შეჰკივლა:—აი ჩვენი კირუშკა მოვიდა! აი!

კირილემ მოიხადა ქუდი და მდაბლად თავი დაუკრა. ესიამოვნა, როდესაც გაიგონა ის სახელი, რომელსაც ამ თუთხმეტი წლის წინედ უძახდნენ. აი მივიდნენ თავის საკუთარს სახლში. მიწით შელესილი მათი სახლი, მოზდილი იყო სხვა გლეხის სახლებზე და ფანჯრებიც სუფთად გაწმენდილი ჰქონდა. სახლი ქუჩის პერას იდგა; პირი ეზოსკენ ჰქონდა მიქცეული. ჭიშკარი გაღებული იყო.—ისინი შევიდნენ. პატარა მწვანედ შეღებილ ფანჯრის დარაბები დახურული იყო. სამი ძალი მოცვივდნენ ეტლთან და სიხარულით უქნევდნენ კუდს თავის პატრონსა; მაგრამ როდესაც კირილე გადმოხტა ეტლიდან, მაშინ კი შეჩერდნენ და უცხოს ყურება დაუწყეს.

— ძაღლები ექვის თვალით მიყურებენ და ეს, ვგონებ, ცუდი ნიშანია!—ჩაილაპარაკა ხუმრობით კირილემ. ღიაკონი ხმას არ იღებდა, მხოლოდ ძაღლებს გაუჯავრდა, კირილეს სი-



ტყვეებში ცოტა სიმართლევც იყო. დარწმუნებული იყო, რომ უსათუოდ უსიამოვნება მოხდებოდა ოჯახში.

სახლის კარები ხმაურობით გაიღო და გამოცვინდნენ კირილეს ნათესავები. ის გადაეხვია მაღალს, დაღმეჭილს და გაყვითლებულს დედა-კაცს. ეს იყო მისი დედა. თუთხმეტი წლის და მოტია შესცქეროდა ძმას ხალისიანად, მაგრამ დარცხვენით; სემენარიელი ჩვიდმეტი წლის ძმა მისი მეთოდე ცდილობდა ყოფილიყო დარბაისლად და თავ-დაქერით. კირილემ რაღაც გულ-ციობა შეამჩნია იმას. მამიდა მისი ანნა ევვრაფოვნა ძალიან მოწყენილად ეჩვენა კირილეს და ვერ მიხვდა კი რისთვის. საზოგადოდ ნათესავები თითქო გულგრილად ექცეოდნენ და არ უნდოდათ გამოეთქვათ თავისი გრძობები. მეთოდე ჩაერია ცხენების მოვლაში და მამას შენიშვნა მისცა რომ ბალიშს დაუშავებია ცხენი, უნდა თოქალთო დაგედვაო.

— ღმერთო, სულ მტვერში ხარ გაგინგლილი, — დაიძახა უცვებ მოტიამ, მოხადა ძმას პალტო, გაიქცა შუა ეზოში და დაუწყო ბერტყა.

— შევიდეთ ოთახში, რას გავჩერებულვართ ამ სიცხეში? — სთქვა დიაკვნის ცოლმა. — შენ, დიაკვანო... — მიუბრუნდა ქმარს.

— არა, არა, მე ნუ მიცდით, შედით, მეც მოვალ.

დიაკონი გულში ფიქრობდა იქნება პირველს შეტაკებას მაინც გადავრჩეო.

კირილე დედა მისს შეჰყვა ოთახში. უკან მისდევდა მამიდა გასვრილის ფეხსაცმელით. მერმე შემოვარდა მოტია და დაიმალა მეორე ოთახში. ოთახის მოწყობილება იყო: კუთხეში მღვთის-მშობლის ხატის წინ ერთი ლამპარი, გრძელი დივანი პარუსინა-გადაფარებული, მოქსოვილი თეთრი სუფრა, რომელზედაც იდგა თიხის ჭურჭელი ბაღჩის ყვავილებით; კედელზედ ჩამორიგებულა მაღალ ზურგიანი სკამები, შკაფი მინის კარებიანი, შიგ შეწყობილი ჭურჭელით და კედელზე სარკე ძალზედ გადმოლუნული. დიაკვნის ცოლი შესვლისათანავე გაჩერდა შუა ოთახში ხატის წინ და დაიწყო პირჯვრის წერა. მერე მივიდა, ემთხვია კუთხეში დასვენებულ ჯვარს და აკოცინა კირილესაც და მის მამიდასაც.

— აბა ახლა დაჯექი, შვილო, გვიამბე შენი ამბავი!—სთქვა და ჩამოჯდა სკამზე.

კირილეც ჩამოჯდა დივანზე, აღელვებას გრძნობდა.

დაჯდომისათანავე ისეთი კითხვები მისცეს, რომ იმისი პასუხები ბოლოსთვის ჰქონდა მომზადებული.

— რა დამშვენებულა! ჩემო მშვენებებავ, დახატულო!— წარმოსთქვა უცებ მამილამ; ამით დამშვიდდა მამიდა და გაათავა აღერსი.

მოტია კარებში იღვა და გაღიმებით თავს აწონებდა ძმას. შემოვიდა მეთოდე, დინჯად დაჯდა სკამზე და პაპიროსს მოუკიდა.

— მაშ შენ აკადემია გაათავე, შვილო? ასე არა?—გაიმეორა კითხვა დიაკვნის ცოლმა.

— გავათავე,—მიუგო კირილემ.

— მაშ პროფესორად იქნები რაღა?

— არა, პროფესორად არ ვიქნები, დედაჯან.

— მაშ დეკანოზად?

— არც დეკანოზად.

— ნუ თუ ბერად აპირობ შედგომას? ურიგო არ იქნება. მაგრამ დიდ ხანს მოგინდება ცდა.

— მე არ ეურჩევ, რომ ბერად წავიდეს და თვალები აიხეოს!—შებრალების კილოთი სთქვა მამილამ.

— არც ბერად წავალ და არც არქიელი გავხდები.

— აბა მაშ რა იქნები?

— მე მსურს სოფელში ცხოვრება... სოფლის მღვდლად...

— აი ახალი ამბავი!.. მღვდლად ყველა სემინარიელს შეუძლიან ეკურთხოს. მაგისტრის წახვედი აკადემიაში?

— სწავლისათვის წავედი, დედავ!

— და სწავლა რისთვის გინდოდა? აი, მამა პორფირე, რომელიც კრივოი ბალკაში დიაკვნად არის, მისმა შვილმა წარსულს წელს გაათავა აკადემია... და იმავე საათში მისცეს მანრის ქალაქში პირველი ადგილი.



— შესაძლებელია... მაგრამ მართალი უნდა ვთქვა, ჯერ კარგად არც მე ვიცი, რა იქნება. აბა მიამბეთ, როგორ მშვიდობითა ხართ, როგორ სცხოვრობთ?

კირილეს უნდოდა ეს მისთვის უსიამოვნო ლაპარაკი ჩაეფუჩეჩებინა და გამოსულიყო ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან, მაგრამ იმისი განცხადების შთაბეჭდილება ყველაზედ დარჩენილი იყო და ყველა იმის კითხვაზე გულგრილად უგებდნენ პასუხს. სემინარიელი ექვის თვალთ შესცქეროდა, ეტყობოდა, რაღაც კითხვების მიცემა უნდოდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. მოტია ღრმად გაკვირვებული ამ გამოურკვეველი მოფიქრებით სრულიად მოშორდა მათ და დაჯდა გვერდის ოთახის ფანჯარაზე. მის დედას, სემინარიელს, მამიდას და ყველაზედ უფრო დიაკონს დიდი ხანია ფიქრადა ჰქონდათ, რომ კირილე იქნებოდა სემინარიაში პროფესორად და ან, შეიძლება, რექტორადაც, მაგრამ ეხლა ვერავენ ვერ მიმხვდარიყო ამ მოულოდნელს ცვლილებას და ყველანი ცდილობდნენ, როგორმე აეხსნათ ეს უცნაური გარემოება. მამიდამ ხელახლად წუწუნნი დაიწყო. კირილეს მოუტანეს საქმელი. დალია ერთი რუმკა არაყი, იგემა თევზი და სთქვა:

— საუცხოვო გემრიელი თევზია.

— ქალაქშია ნაყიდი. ჩვენ ხომ თევზის საქერი არსადა გვაქვს!— მიუგო დიაკონის ცოლმა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. კირილემ ჩუმადა სჭამდა. ისეთი აღტაცებით მოეშურებოდა თავის სახლისკენ მშობლების სანახავად და ეს უკანასკნელნი კი ასე გულცივად მიეგებნენ. ამ შემთხვევამ ძალიან დააფიქრა კირილე, ის თავის თავს აბრალებდა ყველაფერს. რომ ეთქვა, პროფესორობა ან დეკანოზობა საუკეთესო ქალაქში მივიღეო, მაშინ, რასაკვირველია, სულ სხვა შთაბეჭდილებას მოახდენდა, მაშინ ყველას სიხარული გამოეხატებოდათ სახეზე და ყველანი დაკმაყოფილებულნი იქნებოდნენ. იმასაც მიმხვდარი იყო, რომ დედა მისმა თითქო შეურაცხყოფად მიიღო ყველა ეს ამბავი. კირილე მაინც თავდაჭერით იყო და მხიარულად იქცეოდა. ელოდა კი დიდ საყვედურებს და დედის ცრემლებს.

ამ დედაკაცს ბევრი შრომა გაეწია თავის სიცოცხლეში და ბევრი ავადმყოფობაც გამოველო, ამიტომაც იყო ვაყვითლებული. კირილეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ წინდაწინვე უნდა აეხსნა, რაში იყო საქმე. ამ უსწავლეღსა და გაუნათლებელს დედაკაცს, თითქმის წერა-კითხვისაც არ-მცოდნეს, როგორ შეეძლო მიმხვდარიყო, რა მნიშვნელობა ჰქონდა მახლობელთ დახმარებას, რა იყო ნიადაგი წმიდა სახარების სამსახურისა.

მამიდა წუწუნით გარეთ გავიდა დიაკვნის დასახედავად. დიაკვნის ცოლს უკვირდა, მოტია რომ არ შემოვიდა და გავიდა დასაძახებლად. ამ დროს კირილე ისევ თევზს შეექცეოდა, სთლიდა ახალს კიტრს და არა-ჩვეულებრივად იქცეოდა, რაც უხერხულობას გრძნობდა. მეთოდე ხელში ჰაპიროზს ათამაშებდა, სწევდა და მოუთმენლად უშვებდა კვამლსა. ექვით სავსე კითხვები გამოკრთოდა მის თვალებში. აღვა, მივიდა სტოლთან და ჩამოჯდა ფანჯარასთან.

— მითხარი, თუ ღმერთი გრწამს, კირილე, — გაწბილებულის ხმით დაეკითხა ძმას, თითქო ეშინოდა ვისიმე და იმ კარებისკენ დაიწყო ცქერა, საიდანაც გავიდა მამიდა მისი!

— მაშ მართალი არ არის?

— რა, მაგალითად? — ჰკითხა კირილემ.

— ის რომ... შენ აკადემია არ გაგითავებია? ალბათ დაგიშალა რამემ?

კირილემ გაიცინა.

— ეგ იმიტომ რომ მე არქიელობა არ მინდოდა? არა, ძმაო, გავათავე, გავათავე... და თუ არა გჯერა, აი ნახე! — იმან ამოიღო გვერდის უბიდან ოთხად გაკეცილი ქალღმერთები და მისცა ძმას. ძმამ გახსნა ქალღმერთები, ჩახედა შიგ და გაჯაფრებით დაახეთქა სტოლზე.

— მაშ მე არ მესმის, სრულიად არ მესმის! ეს რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს! პირდაპირ მაგისტრად გაათავე... აი ნახე, დედავ, მოტია... ეს პირდაპირ მაგისტრია.. არა, ღმერთმანი, არა გამეგება-რა!

— მე ამას მერე ავიხსნი. — უთხრა კირილემ და რძის ქაშს, რომელიც ძალიან უყვარდა, შაქარი მოაყარა. დიაკვნის ცოლმა და მოტიამ დიპლომი გადაათვალიერეს.

— ამას ჩარჩო უნდა გაუკეთო! — სთქვა მოტიამ. — მამა აგაფონს თავის დიპლომები ბოდენიკი და სკუფია ჩარჩოში ედო და კედელზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

— აბა სხვა რაღა დაგვრჩენია? — ამოოხვრით შენიშნა დიაკვნის ცოლმა. მეთოდე დადიოდა ოთახში, ეტყობოდა გულ მოსული იყო და ფიქრობდა, არა მე მაინც ვერ წარმომიდგენია, ეს საქმე რას ნიშნავსო. მამიდა მუდამ გაწითლებული იყო, შემოვიდა და გულ მტკივნეულობით დიპლომს დახედა.

— აბა დანაყრდი? ჰა? შეექეცი? — უთხრა ახლად შემოსულმა დიაკონმა კირილეს. როგორც ამწონ-დამწონმა თავის საქმისამ, გადახედა ყველას გამომცდელის თვალებით და მიხვდა, რომ თუ საქმე გათავებული არ არის, დაწყებული მაინცაა.

— ძალიან გემრიელი თევზი იყო! — სთქვა კირილემ და მხიარულად შეხედა მამას, როგორც ერთად-ერთს კაცს, რომელსაც ესმოდა იმისი განზრახვა.

— ქალაქში ნაყიდა. — უთხრა დიაკონმა, — ჩვენს სოფელში ხომ სათევზავო აღარ არის. — ამ დროს დიაკონმა იფიქრა, ეხლა საუკეთესო დროა, რომ ყველანი ახალი ამბით ვასია მოვწორო.

— იცი, არიშა, — მიუბრუნდა განსაკუთრებით ცოლს: — კირილე იყო მღვდელ-მთავართან; მათი მეუფება მოეხვია ამას და უთხრა: „ძმა გყავს შენ, ვიცი — დიაკონი ნაზარი, იმან მთხოვა მღვდლად კურთხევა; ახლა შენ“... დიაკონმა შეატყო, რომ ყველანი სმენად გადაიქცენ, ერთ წუთს შეჩერდა, უნდოდა ისინი გაეჯავრებინა.

— არ გინდათ, რომ გიამბოთ? მაშ კარგი!

— როგორ არ გვინდა?!.. მერე რა უთქვამს მღვდელ-მთავარს?

— არა, არ გეტყვით!

— აბა რაღად დაიწყე, თუ არ გაათავებდი?—მაგრამ ყველამ კი იცოდა, რომ დიაკონი ბოლოს მაინც უამბობდა, რადგანაც თვითონ უფრო საინტერესოდ ჰქონდა ეს ამბავი.

— „აი ასე უბრძანე იმასა, რომ ჩამოვიდეს და ვაკურთხებო“.

— თვითონ უბრძანებია ეგ?

მოწყენილი და გამხმარი სახე დიაკვნის ცოლს გაუბრწყინდა. ნაზარის მღვდლობა იყო დღე-ღამე მისი საფაქრებელი, თითქმის აკადემიის ღირსება კირილესი არაფრად მიაჩნდა ამ ბედნიერებასთან. — კირილე თავისუფალი ჩიტია, — ამბობდა დიაკვნის ცოლი! — წავა სადმე ორი ათასის ვერსის სიშორეზე და აღარავინ გააჩხენდება. ნაზარი კი შებორკილია წვრილი ცოლ-შვილით. ეს შვილი ჩემს სიცოცხლეში თვალ-წინ მეყოლება. (ის კი სწყინდა, რომ მისი უმცროსი შვილი, მაგისტრი აპირობდა სოფლის მღვდლობას!) მეთოდემ სიხარულით ხელების ფშვნეტა დაიწყო. მოტია მეორე ოთახში დახტოდა, რადგან კირილესთან ვერ გაებედა ხტომა; მამიდა სიხარულით ტიროდა.

— ნეტავი თუ მართალს ამბობ? — არ სჯეროდა კიდევ ქმრის ლაპარაკი დიაკვნის ცოლს.

— აბა, ამისთანა საქმეზე ტყუილი გაგონილა? თუ არა გჯერა? აი კირილეს ჰკითხე.

— მართალია, მართალი! — უთხრა კირილემ. — ასე მითხრა მე თვითონ მათმა უსამღედელოესობამ.

— ღმერთო, გმადლობ, ეს რა კარგი ამბავია?

ყველანი აღელვებულნი იყვნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს და უხაროდან, წარმოიდგინეს, როგორ გაეხარდებოდათ ნაზარსა და იმის ცოლს დუნიას, როგორ მოეწყობოდნენ ახალს მრევლში, მისცემდნენ უფროს ქალს ეპარქიალურს სასწავლებელში, რისთვისაც აქამდინ შეძლება არა ჰქონდათ.

— ოჰ, იცი, ჩემო ბებერო? ახლა მე მოსვენებით ვიქნები! — გაღიმებით წარმოსთქვა დიაკონმა. — დროც არის? ხედავ, წელში ველარ ვიმართები!

— რა დროს მოსვენებაა?



— აი ეს არის მოსვენება: გამოვალ სამსახურიდან, მივალ შვილთან და ვიცხაოვრებ, სხვა რა გვინდა! მეთოდეც გაათავებს სემენარიას და მატრონას კი სახელმწიფოდ მიიღებენ.

უცებ ღიაკენის ცოლის სახემ მკაცრი და დარბაისლური შეხედულობა მიიღო, თითქო ამ თქმამ შეაძრწუნაო.

— ეგ არას დროს არ მოხდება!—მკაცრად სთქვა.

— რატომ არ მოხდება? ნაზარი ხომ კეთილი გულის კაცია და ცოლი კიდევ უკეთესი.

— ყველა კეთილია, მინამ შენი შრომით სცხოვრობ და მინამ ჯიბეში გაქვს რამე, და როდესაც აღარა გაქვს—რა, მგლები შეიქნებიან... მე ეს კარგად ვიცი. სამუშაოდ ვივლი და კისერზე კი არავის დავაწვები.

კირილე გრძნობით შესცქეროდა დედა-მისის გაყვითლებულ სახეს და ფიქრობდა, უთუოდ დედაჩემს ტკბილი ცხოვრება არა აქვს, რადგან ასე გულდასაწვავად ლაპარაკობსო, წინედ ასე არ დაჰკვირვებია.

— აი, აი დაიწყო ახლა!—წრფელის გულით სთქვა დიაკონმა და ხელი გადიქნია ცოლისაკენ: — აი ყოველთვის აგრე არის. ხალხზე გულმოსულია, არავისი არა სჯერა—რა, თითქმის თავის შევილებსაც არას უჯერებს.

— და არც დავიჯერებ!—დაბეჯითებით სთქვა ღიაკენის ცოლმა.

— კიდევ ეგ არის, რომ არავის ერწმუნები. მე კი ყველას იმედი მაქვს, ყველას ვერწმუნები. ყველა ღვთის გაჩენილი მრწამს ქრისტიანულად.

— და ყველა კიდევ აგრე გექცევა.

— დაე ნუ მომექცევა. ის არ მომექცევა ასე, მე ისევ ჩემს გზაზე ვდგები, როგორც ასის წლის მუხა, შენ თუ გინდა მილიონჯერ შემოუარე, ის მაინც შეურყეველად სდგას თავის ადგილზე; ასე არ არის?

ეს პატარა უთანხმოება მალე იქნა დავიწყებული. დიაკონი აღარ ახირობულა სამსახურიიდან გადადგომაზე. თავის დღეში არ მომხდარა, რომ ცოლის სურვილზე არ გაეცლოს და ნუ თუ

არ დაუთმობდა? კიდევ ხელ-ახლა დაიწყეს მღვდელმთავრის გულკეთილობაზე ლაპარაკი და გამხიარულდნენ. საღამოს გადისწყვიტეს წასვლა ნაზართან. ნაზარი იყო დიაკვნად სოფელს ჩაკმარაში, იმათ სოფელზე ოც და ათი ვერსის სიშორეზე. კირილემ და მეთოდემ მეორე დღეს შეაბეს თავისი ეტლი და გასწიეს. ის იყო მზემ თავი ამოჰყო, მინდორში მოჰბერა გრილმა ჰაერმა, რომლისაგანაც კირილე არა-ჩვეულებრივ სულის სიმხნევეს გრძნობდა. ელაპარაკებოდა ძმას, რომ სოფლის ჰაერი ასულდგმულებს და დიდად მოქმედებს მასზე და არ გასცვლიდა არც ერთ ქალაქზე.

— რა არის აქ კარგი? არც ხალხი, არც გართობა. მხოლოდ საშინელი მოწყენილობაა! — წარმოსთქვა მეთოდემ. — საზოგადოდ, მე შენი ვერა გამიგია-რა, ძმაო?

— ასე რომ ეთქვათ ჩემთვის შენი ხნობის დროს, მაშინ მეც აგრევე ვიტყუდი. — მიუგო კირილემ, — მაშინ მე, როგორც ეხლა შენ, მიზიდავდა დიდი ქალაქი. მე მეჩვენებოდა, რომ იქ იყო მხოლოდ სიცოცხლე და აქ საშინელი მოწყენილობა და თვლენა. ახლა მე სულ სხვას ვფიქრობ — სიცოცხლე მხოლოდ სოფელშია. აქ ყველას არსებობას საფუძველი აქვს, მხიარულად ცხოვრობს, იქ კი, ქალაქში, საქმობენ ბოლო მოუღებელ პირობებით. იქ ყოველივე განისაზღვრება ზრდილობით, პატივისცემით, რიგიანობით, სიჭკვიანით და გრძნობიერებით. ამასთანავე ყველასთვის არის დადებული კანონი და კაცი იქ მონა არის ამ კანონისა. იქ შეიძლება იცხოვრო მარტო შენთვის, აქ კი შეგიძლიან რამდენსამე გაუნაწილო შენი აზრი — შენს მახლობლებს, შენს მეზობლებს. აიღე, თუ გინდა, ეს გარემოება: ცხოვრება ქალაქში ძვირია და თუ გინდა, რომ საკადრისად იცხოვრო, უნდა შენი ძალ-ღონე შეაღიო, რომ მოიბოეო სახსარი. კაცს აღარა რჩება-რა — აღარც დრო, აღარც ძალა, რომ იყოს კაცად. აქ კი ცხოვრება სულ იაფად ჯდება. დრო ბევრი გრჩება მუშაობისა და იმუშავე რამდენიც გინდა. აქ და მხოლოდ აქ შენა ხარ უფალი შენის დროისა, შენის ძალ-ღონისა და ნიჭის გამოჩენისა, მხოლოდ აქ შეგიძლია აღმოუჩინო ყველა შენს მახლობელთ თავისუფლად დახმარება.

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გრწამს, მაგას ასწავლიან აკადემიაში? — ჰკითხა მეთოდემ, რომელმაც ძმის ლაპარაკიდან ვერა გაიგო-რა.

— რასა?

— აი მაგას, რასაც შენ ლაპარაკობ?

— არა, — უთხრა კირილემ, — ამის სწავლება საჭირო არ არის აკადემიაში; ყველას შეუძლიან თვითონ მიხვდეს... — ისინი მივიდნენ თორმეტ საათზე ჩაკმარაში. ნაზარი მოეგება მათ სიხარულით, გადაეხვია კირილეს და დიდის გრძნობით დაკოცნა და ცოტა სივამხდრე შენიშნა.

— მაგიერად შენ სუქდები. ჰო, გეყოფა! — უთხრა ძმამ.

ნაზარმა უიმედობით ხელი დაიქნია. ის ამნაირ გასუქებას უბედურებად სთვლიდა. მართლაც, წარმოუდგენელი გამსხვილებული იყო, ასე რომ ხანდახან კიდევ აწუხებდა. სიარულითაც ბევრს დადიოდა და ნასადილევს ძილიც აიკრძალა. სიმსუქნის წინააღმდეგ ვინც რას ურჩევდა, ყველას ასრულებდა. ერთხელ ვიღამაც ურჩია, მაგარი ჩაი სვია, დაიწყო და დღე და ღამე სვამდა. ძმრის დაღევეც ურჩიეს; თავი დაანება ჩაის და დაიწყო ძმრის სმა. მადა კარგი ჰქონდა და ზომა არ იცოდა. ხუთ კერძს იგემებდა, ზედაც არა ერთსა და ორ ჭიქა არაყს დააყოლებდა.

ნაზარი იყო ორმოცი წლისა, ჰყავდა შვიდი შვილი და მისი ცოლი ლუკერია ეგნატეს ასული იმედს აძლევდა, კიდევ იმდენი ჰყოლოდა; ეს პატარა გაწვრილებული, მეტის-მეტი ცქვიტი და მუდამ მხიარული დედაკაცი, სულ არ იყო შესაფერი მეუღლე ნაზარისა, რომელსაც დასივებული ჰქონდა ხელები. ცოლი არაფერზე არ აწუხებდა, ყოველი ოჯახის გარემოება იმის ხელში იყო. ნაზარი წმინდად ასრულებდა მხოლოდ დიაკვნის წესს და ესეც რომ ლუნიასთვის მიენდო, შეუძლებელი იყო. დანარჩენში ის თავის სიმძიმით ხელს არაფერზე უშლიდა. ცოლი ჩინებულად განაგებდა ყველა საოჯახო საქმეებს, შვილების მასწავლებლობას ასრულებდა და სებისკვერებსაც თვითონ აცხობდა. თავის დღეში საყვედურს არას იტყოდა და-

ლალვაზედ და არც იმაზედ, რომ ბევრი საქმეები აწვა კისერზედ. ის სცოცხლობდა საქმიანობით. ნაზარი აღმერთებდა ცოლს, უყვარდა გაგიჟებით და „მშვენიერს“ ეძახდა. მიუხედავად იმისა, რომ ის შავგვრემანი იყო, სახეზედ სიბერის ხაზები ჰქონდა და თმაშიაც თეთრი გამოჩნდებოდა.

მეთოდე გაიქცა, სადაც ლუნია იყო და ხბოს აბამდა ეზოში, და ახარა ახალი ამბავი ნაზარის კურთხევისა. ლუნია მიატოვა ხბო და შევიდა ოთახში აღელვებული. კირილეს სიყვარულით მიესალმა და ნაზარს შეწუხებული სახით შეხვდა და გეგებურა.

— იცი, ნაზარ, კირილე ყოფილა მღვდელ-მთავართან და უთქვამს იმას, რომ შენი ძმა ნაზარი შტატ გარეთ უნდა დაეტოვოთო.

— ღმერთო ჩემო, შემიწყალე!— წამოიძახა შეშინებულმა ნაზარმა და პირჯვარი გადიწერა:— რაო? რისთვის უთქვამს ეგა?

— იმისთვის რომ სქელია და არ შეუძლიან სამსახურიო.

მაგრამ ნახა რა, რომ ამ ხუმრობამ ძალიან შეაწუხა ნაზარი, ლუნია გადიკისკისა და უამბო სიმართლე. კირილეს დამოწმა. რასაკვირველია, ნაზარი აუწერელს სიხარულს მიეცა და მზად იყო, სულ ეხტუნა, მაგრამ სიმძიმე უშლიდა. ამავე საათში დაიწყო ფიქრი თავის საქმეების გაუმჯობესობაზე, შვილების სასწავლებელში მიცემაზე და თავი და თავი ფიქრი ეს იყო, დათხოვნის ქაღალდი აეღო და წასულიყო საწამლებლად კიევში ან ხარკოვში, საუკეთესო ექიმები ენახა და ეწამლა წინააღმდეგ თავის სიმსუქნისა.

ყველა ეს სურვილი აღსრულებაში უნდა მოსულიყო მხოლოდ ერთი მღვდელ-მთავრის სიტყვით.

ძმებმა ერთად ისაძილეს და წასაძილევს ერთად გაემგზავრნენ უსტიმოვკაში. მოტია გამოიჭრა მათ შესაგებებლად, ეკლესიასთან ჩაუჯდა ეტლში და უამბო არა-სასიამოვნო ამბავი ოჯახისა.

ირინე ეგნატეს ასულს მთელი ღამე არა სძინებია, იმის გულს ორი გრძნობა აღელვებდა: ერთი ეს უხაროდა, რომ ნა-



ზარის მღვდლად კურთხევა ეღირსა, მეორე ის აწუხებდა, რომ კირილეს თავის საქმე კარგად ვერ მიჰყავდა. დილას ადგა, თავის ტკივილი აწუხებდა და ძარღვების სისუსტე მოსდიოდა. დიაკონს სურდა მღვდლისთვის ეცნობებინა, მაგრამ ცოლი დიდს უარზედ იდგა. ოხრავდა და ამბობდა, ქვეყანას ეშველა და ჩვენ კი არა გვეშველა-რა; ზოგიერთნი სემინარიას ძლივს ათავენ და ნახაე, რომ თავის მოხერხებით, გაძრომ-გამოძრომით ქალაქში ადგილს აძლევენ. აი, მაგალითად, იპოდიაკვნის შვილი, მესამე ხარისხით გაათავა და ქალაქში სასაფლაოს ეკლესიის მღვდლობა მისცეს. ჩაკმარის მღვდლის ორი შვილი, როლონიც მეოთხე კლასიდან გამოაგდეს, მღვდლად აკურთხეს და ჩემი შვილი კი ამისთანა საქმეს აპირობს! გაათავა სემინარია, ისე რომ ყველა გააკვირა თავის გამარჯვებით; გაათავა აკადემია, ოქროს მედალი მიიღო და უნდა სოფელში წავიდეს, ყველას თითოთ საჩვენებლად უნდა გავხდეთ; ვერც აკადემიამ უშველა და ვერც პირველობამ. მამა მისი კი იმის მაგიერად რომ დაარიგოს, შეაგონოს, დაუწყებს ფერაობას. ღმერთმა დასაჯა თავის ცოდვებისათვის.—მერე დაიწყო ტირილი და გადავიდა ქვითინზედ. მამიდა კუთხეში იჯდა და იცინებოდა. გაათავა იმითი, რომ დიაკვნის მეუღლე ქვეშაგებში ჩაწვა და კვნესა დაიწყო. როდესაც კირილე შევიდა იმასთან ოთახში, მივიდა დედასთან, გამოართვა ხელი და აკოცა. იმან კი საყვედურის თვალით შეხედა.

— აი, რა მდგომარეობაში ჩამაგდეთ, შვილებო, ქვეშაგებად ჩავვარდი!—სთქვა და ხელახლად ტირილი დაიწყო.

კირილე ჩამოჯდა სკამ-ლოგინზე და დაუწყო მშვიდობიანად ტკბილი ლაპარაკი:

— თქვენ ავად ხართ, დედა, არ შეგიძლიათ დამშვიდებით მომისმინოთ, თორემ მე ყველას ავიხსნიდით.

— რას ამიხსნიდი? რა უნდა ამიხსნა?— შეწუხებულის ხმით შესძახა დედამ.

— მე მინდა ავიხსნა, დედაე, ჩემი გადაწყვეტილება? თქვენ მიწყრებით იმაზე, რომ ჰე უარი ვთქვი შემოსავლიანს ადგილზე

და მივდივარ სოფლის მღვდლად. თქვენ თვითონ გასინჯეთ, ჩემო დედავ! ჩვენ ჩვენს სიცოცხლეში ღარიბად ვცხოვრობდით, თქვენ ყოველთვის დაუღალავად შრომობდით, შრომამ თქვენ გაგახმოთ, დაგლალათ. სიღარიბე და შრომა, ჩემო დედავ, ჩვენი ხვედრია, ისანი შეიქმნენ ჩვენი მშობლები. გარშემო სულ ღარიბ-ლატაკნი ვვახვევიან და ნუ თუ არ უნდა ვემსახურო იმათ; არ მინდა სიმდიდრე, არამედ სიღარიბეს უნდა ვემსახურო, და უნდა ვიცხოვრო ისე, როგორც თქვენ ცხოვრობდით. თქვენს შრომას, თქვენს ცხოვრებას მე ღრმად პატივს ვცემ და მინდა ესეთივე პატივის ცემა მეც დაემსახურო. მე ხომ ეს თქვენგანა მაქვს შესწავლილი. თქვენ თქვენის მაგალითით ჩააგდეთ ჩემს გულში თესლი და მე მინდა აღმოვა-ცენო იგი.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედა დიაკვნის ცოლზე შვილის აღერსიანმა სიტყვებმა. ის ვერ გაიგებდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა შვილის საბუთებს, მაგრამ შვილის ტკბილმა ქცევამ და აღერსმა დამშვიდებით იმოქმედა დედაზე და მის სახეზე დაიკარგა სიანხსლე და სასოწარკვეთილება. ნელ-ნელა მოხვია ხელი შვილს, მიიზიდა გულთან და თავზე აკოცა.

— ოხ, კირილე! — უთხრა მან ჩუმის ხმით. — მაგას არ მოველოდი შენგან, შენი იმედით ვიყავი; მეგონა, ჩვენს დაცემულს ოჯახს გამოაბრუნებს - მეთქი, და შენ კი რაები გამაგონე. ეს ყველა სთქვა მან დამშვიდებით და შერიგების კილოთი.

— ოჯახის საქმეც კარგა წავა! მოითმინეთ, ჯერ მომეცით დრო ჩემი გული დავაკმაყოფილო, ყველაფერი იქნება, დედავ! — კირილე ნახევარი საათი მეტი იჯდა დედასთან. დიაკონი კი მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა იმათ ლაპარაკს, და უკვირდა, არას დროს არ შეეძლო ისე დაემშვიდებია თავისი მეუღლე, თუმცა ყოველთვის მორჩილი იყო ირინე ეგნატეს ასულისა. მალე უკეთ შეიქნა დიაკვნის მეუღლე და წამოდგა კიდევ ქვეშაგებიდან; მიჰყო ხელი ისევ ჩვეულებრივ მუშაობასა, და ამგვარი ლაპარაკი მეტათ აღარ გაუმეორებია. ქალაქში მიმავალმა ნაზარმა შემოიარა დედ-მამასთან, აქ აღტაცებით დალო-



ცეს, დედამ დაწვრილებითი დარიგება მისცა როგორც ბავშვს. გულ-მართალი ნაზარი მორჩილებით და დაფიქრებით ისმენდა მათს დარიგებას; სწუხდა მხოლოდ, რომ მარტოდ მიდიოდა. თუ მართლა მღვდელ-მთავარი არ შესცვლის თავის მოწყალე სიტყვასა, მაშინ ნაზარს მოუხდება მარტო ცხოვრება. ერთი კვირა სახლს გარეშე უცოლოდ ყოფნა ნაზარს დიდ სასჯელოდ მიაჩნდა.

ორი დღის შემდეგ ნაზარის წასვლისა, დიაკვნის ოჯახში მოუთმენლად ელოდნენ ამბავსა. მხოლოდ კირილე იყო მშვიდობიანად. იმან ნამდვილად იცოდა, რომ მღვდელ-მთავარი თავის სიტყვას აასრულებდა. მშიშარა მოხუცს დიაკვნს არა სჯეროდა ეს ბედნიერება, მანამ თავის თვალთ არ დაინახავდა ანაფორით ნაზარსა. ირინე ეგნატეს ასული კი ამბობდა, გული რაღაც არა-სასიამოვნოს მეუბნებოა. იმას არ სჯეროდა თუ იმათი ოჯახი კარგ რასმეს გაიგონებდა. ამ ორი დღის უამბობამ იმათ ის აზრი დაასკვნევინა, რომ ნაზარის საქმე კარგად რომ წასულიყო, უთუოთ აქამდი გვაცნობებდა რასმეო.

— შეიძლება იმას სულიერი განკანონება დაუნიშნეს, — შენიშნა მაინც დასახლისმა, თუმცა გულში უფრო უიმედო აზრი ჰქონდა.

გათენდა კვირა დღე, დიაკვნმა ჩაიცვა ანაფორა, გრძელი თმა გადივარცხნა და საზოგადოდ მხიარული სახე მიიღო.

— დღეს უთუოთ ხელს დასხმენ ნაზარს! — აღტაცებულის სიამოვნებით წარმოსთქვა და იმ დღეს განსაკუთრებულის მხიარულობით ასრულებდა წირვის წესს, აგრძელებდა სიტყვას და წარმოსთქვამდა გალობით. აღეღებდა ყოველს საათში ემატებოდა. მოვიდა თუ არა საყდრიდან, არაყის და ლევაზედ უარი სთქვა და აითქმის სადილზედაც არა უქამიარა, ერთი სიტყვით, აშფოთებული იყო ამბის მოლოდინით. საუკუნოდ დიაკვნად დარჩენილს მოხუცს რაღაც სასწაულად მიაჩნდა მღვდლად კურთხევა. ეკონა ნაზარსაც საუკუნო დიაკვნობა ჰქონდა ბედისაგან ნარგები და დღეს ემზადებოდა ამ მაღალს ცხოვრების კიბეზე ასასვლელად.

ძალზე გული უჩქროლავდა ირინე დიაკვნის ცოლს, მაგრამ მალავდა და ხმა-მადლა გაიძახდა— არა ბატონო, არ მოხდება ეს საქმეო.

დასასრულ ეღირსათ მოსვლა ნაზარისა. შემოვიდა ოთახში ბედნიერის ღიმილით და გაჩერდა შუა ადგილს; მოწიწებით და ღვთის მოსაობით გამოისახა პირჯვარი და თაყვანი სცა ხატებს, მერე მიუბრუნდა ნათესაებს, რომელნიც იმის შემოსვლაზე წამოდგნენ ჩაის სასმელ სტოლიდან და ყველას ჯვარი გადასახა. მაშინ კი ყველანი მოჰყვნენ პირჯვრის წერას. მეტი სიხარულისაგან ხმას ველარ იღებდნენ, მერე მივიდნენ თითო-თითოდ, ლოცვა-კურთხევას იღებდნენ ნაზარისაგან და ხელზე ჰკოცნიდნენ. დაუწყეს გამოკითხვა და იმანაც დაწვრილებით უამბო, როგორც იყო საქმე, აუწერა პირველი მისვლა მღვდელმთავართან; კირილეს მიუბრუნდა და უთხრა:

— შენ მეტის-მეტად გაქო და სთქვა: მაგალითია მთელს ეპარქიაში შენი ძმა და მისი კეთილის თვისების პატივისცემით დაგიბარე საკურთხადაო. მიბრძანა, გადაეცი ჩემს მაგივრად ცოლი შეირთოს და მოვიდეს, იმისთვის მე კარგი ადგილი მაქვს მომზადებულიო.

მთელმა სახლობამ გაკვირვებით შეხედეს კირილეს. ნაზარმა ღამე უსტიმოვკაში გაათია და კირილე მეორე დღეს გაემგზავრა ქალაქისაკენ.

### ეფრემსინე კლდიაშვილისა

(შემდეგი იქნება)



## მძულხარ-მიყვარხარ

მძულხარ იმიტომ, უძღური რად ხარ  
ძლიერი მკლავით, მტირალი სახით  
და შენი ბედი, ბედი შავ-ბედი,  
რად შემოსილა სულ მუდამ შავით.

მოკეთის მკობო და მტრის ვერ მტნობო,  
შენს დამღუბავთან მისულა ზავით;  
ბედის მომლოდნეუ კვერდზე წაღითა  
ტარიელ ჯიბით და ბნელის თავით.

მაინც მიყვარხარ, ჩემს წელულს ოცნებას  
ზედ აკერისხარ აღმასის დილადა;  
ვერ დაგიფიწეე, გულს არ მშორდები,  
მღვიძარე ვარ თუ მივიქტე ძილადა.

სამსალა ზირს მწვავს, გუნებას მირევს,  
ბოლოს კი ისევ მეჩვენა ტკბილადა.  
ესეც წესია აღბათ ბუნების:  
შენ დედა თუ ხარ გვეუთნი შვილადა!

ვაჟა-ფშაველა



# მ ლ მ ხ ი - კ ა ხ ი ს ი ს ტ რ ი ა

## წელიწადი პირველი ჩამსუბლიკისა

1793

ნაწილი მესამე

ერკმან-შატრანისა

ჯარი ყველაფრით სრული იყო: თოფ-იარაღით, თოფის-წაშლით და ბარგით, მაგრამ საუბედუროდ მეურმეები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ და სულ იმასა ცდილობდნენ, რომ გაგვბაროდნენ როგორმე. თვალი რომ მოგვერიდებინა, ურმებს იქ დაჰყრიდნენ, გაირეკდნენ საქონელს და შინ წავიდოდნენ. კიდევ კარგი, რომ მტერი არსადა ჩანდა და მე და ჩემი ამხანაგები მეურმეების დარაჯად დაგვაყენეს.

აგერ ხელმეორედ შევეუდექით იმ გზას, რომელიც უკვე გაელილი გვქონდა. შევედით თუ არა ქალაში, მაშინვე ვიცანით ნაცნობი ალაგები, მეტადრე ის ალაგი, სადაც ისე სამარცხინოდ დამარცხდა ჩვენი ჯარი. ჩავიდოდა მზე და ისეთს ღმუილს ასტებდნენ ხოლმე ბუჩქნარში მგლები, რომ თვალს ვერავინ მოვხუჭავდით; დაძრწოდნენ ბრძოლის ველზედ ლეშით გაუმადლარნი და ვინ იცის, რამდენ დაჭრილს შეუმოკლეს სიცოცხლე. საშინელი გძელი ღამეები იყო, გათენებას ველარ ველირსებოდით ხოლმე. მომაგონდებოდა რევოლიუციის მოწინააღმდეგე ბერები, რომელნიც სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ხალხი აელელვებინათ და სისხლის ღვარი ეღინებინათ; მომაგონდებოდა შოველის სიტყვები, — გაფრთხილდით, ომი სიკეთეს არას დაგვაყრისო; მომაგონდებოდა უსამძღვრო სისულელე ჩვენი ვალენტინისა, — საფრანგეთს გრაფი არტუას მეტი ერთგული კაცი არა ჰყავს და ყველა პატრიოტები ჩამოსალრჩობნი არიანო; მომაგონდებოდა ეს ყველაფერი და განცვიფრებული ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუ თუ ადამიანის დანიშნულება შეუ-

\*) „მოამბე“, № IV, 1898 წ.

წყვეტელი ბრძოლა და სისხლის-ღვრა არის-მეთქი? განა ამას გვასწავლის ჩვენი სარწმუნოება, რომ ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვიყვნეთ? განა იმისთვის მიიღო წაძება ქრისტე-ღმერთმა, რომ იმის მოადგილე მღვდლებსა და ბერებს სიამაყისა და ანგარების გამო ქვეყანა აერიათ და ღვიძლი ძმები ერთმანეთისთვის შეებრძოლებინათ?

როგორც კი დაიძახებდა ვინმე, აგერა რესპუბლიკელი ჯარები მოდიანო, წამოიშლებოდა ხოლმე მთელი სოფელი და ისე გაიხიზნებოდნენ დიდით პატარამდე, თითქო ურჯულოს ჯარისა ეშინიანთ და იმას გაუბიანო; გაირეკდნენ წინ საქონელს და გარბოდნენ. ხშირად კიდევ ვხედავდით გაქცეულებს, მაგრამ ისე ღმერთი როგორ გაგვიწყრებოდა, რომ ბერებისაგან გაბრიყვებულ საწყალ მუშა ხალხზედ ამოგვეყარა ჯავრი! შევიდოდით სოფელში. საცა კი წყალი იყო, ან ჭა, ან წყარო, ლეშით ამოვსებული დაგვხდებოდა! ძირს მკვდრები და ზემოდან დიდრონი ქვები! ხან და ხან ისე შეგვაწუხებდა ხოლმე უწყლოობა, რომ ველარ მოვითმენდით და გაბრაზებულნი ცეცხლს წაფუკიდებდით სოფელს; უცბად მოედებოდა ცეცხლი სოფელს, მერე გამხმარ ჩადუნას და ბუჩქნარს და ისეთი კაშკაში გაჰქონდა ცას, თითქო ღამე კი არა, კარგი ღამაში მზიანი დღე არისო.

ირაქრახებდა და გაეჩერდებოდით, რომ შეჭამადი გაგვეკეთებინა და ცოტა რამ შეგვესვენა კიდევ. აქეთ-იქით ყველგან დარაჯებს გავამწყრივებდით, რადგან ვიცოდით, რომ კვალ და კვალ მოგვდევდა მტერი და ცხარე ბრძოლას გვიპირობდა. მაგრამ არ ვიცი, ეშინოდათ თუ თავიანთ ჯარებს ელოდნენ, ღვინობისთვის ცხრამდე ბრძოლა ვერ გაგვიბედეს. ისე რომ ორივე ჩვენი რაზმი შეერთდა და ისე გაუდგა შატილიონის გზას.

ჯარის წინამძღოლად გენერალი შალხო იყო. სხვათა შორის ჩვენს ჯარში იმყოფებოდა გენერალი ვესტერმანი. ვესტერმანი ჩვენებური იყო, დიდად სახელოვანი ვაჟ-კაცი და ამასთან მთელი ვანდეს კარგად მცნობი; ისე იცოდა ყოველი გზა და ბილიკი, თითქო აქ შეზრდილაო.

შატლიონში რომ მივედით, ჯარი უკვე გასულიყო და მე და ჩემს ამხანაგებს გვიბრძანეს,—ჯარს მოჰყეთ და ფთხილად იყავით, მტერი ძალიან ახლო არისო. მართლაც, ჯერ არც კი გასულიყო ქალაქიდან ჯარის უკანა ნაწილი, ჯერ ბარგი არც კი დაგვეძრა, რომ შორიდგან ზარბაზნის გრიალი მოგვესმა. აგერ შუადღემ მოატანა, საშინელი ბრძოლა ჰქონდათ ჩვენს ამხანაგებს და ჩვენ კი თავ-ბედს ვიწყევლიდით, რომ უკან ჩამოვრჩით და ბრძოლის მაგიერ იარაღის საწყობში ვიყავით და მეომართ ტყვია-წამალს ვუგზავნიდით! გიჟივით მიდი-მოდიოდა ჩვენი მოხუცებული სომი და სულ კბილებს აკრაჭუნებდა. დავუდებდით ურემზედ ტყვია-წამალს და გავისტუმრებდით ბრძოლის ველისკენ — ეს იყო ჩვენი საქმე!. ეხლანდელივით მოწყობილი კი არ იყო მაშინ ჩვენი არტილერია! სად იყო მაშინ დღევანდელი ვეშაპივით ცეცხლის მფრქვეველი ცხენები, სამურად მორთული მხედრები და ყუმბართ საფე ზარბაზნის ყუთები! ჩემს ყმაწვილ ბიჭობაში ოცნებითაც ვერაფერს წარმოიდგენდა ასეთს წესს და რიგს, როგორიც დღევანდელს, მართლა და საუცხოვოდ გაწყობილს, არტილერიაში სუფევს. ხარჯი რომ არ მოემატებინათ ხალხისთვის, ძალიან დაფუძალდებდით, რადგან წარსულთან შედარებით დღევანდელი ასია და მაშინდელი ერთიც არ იყო, მაგრამ რა? იმოდენი ხარჯი შეაწერეს ხალხს რომ ლამის... ამ ისტორიას რომ არა ვწერდე, დიდი სიამოვნებით მოგახსენებდით ჩემს ფიქრებს ხარჯის შესახებ. მაგრამ ჯერ ჩვენი ამბავი განვავარძოთ, იქნება ესეც მაცადოს ძლიერმა ღმერთმა.

ჩვენ რომ ასე საქმეში ვიყავით, მთელი ქალაქი გარედ გასულიყო და მთიდან ბრძოლის დანახვას ცდილობდნენ. დარწმუნებით არაფერს იცოდნენ, სად იყო ბრძოლა და ზოგი რას იძახდა, ზოგი რას. ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი ურემები დაბრუნდნენ, და დაჭრილები მოიყვანეს. ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ფეხი ჰქონდა მომსხვრეული... ჩალაზე ეყარნენ საწყლები, სისხლში ამოსვრილები. მოვიდოდა ურემი, ჩამოვიყვანდით დაჭრილებს, იქვე ქუჩაში კედლის ძირას მივაწვენდით

და ახლა მეორე ურემს მივევარდებოდით, მესამეს, მეოთხეს... და-  
რივინენ ექიმები და დოსტაქრები და იქვე ქუჩაში დაიწყეს თა-  
ვიანთი საზარელი ყასბური ხელობა. ყველგან ყვირილი და კკვენე-  
სა ისმოდა, ყველგან ხალხი ირევოდა. მივიდოდა დაქრილთან ექი-  
მი, დაიჩოქებდა, გასინჯავდა... გასმოდა საშინელი გულსაკლავი,  
ძახილი უბედურისა, რომელსაც ძვალს უხერხდნენ, ან ფეხსა  
სჭრიდნენ და თითქო ჭირმა წამოუარა ქათმებსაო, ისე შეფთხე-  
ბოდა ხალხი. მაგრამ რა დროს შიში და გულის-ხეთქა იყო?  
ექიმები ათზე ერთსაც ვერ გასინჯავდნენ, თუ არავინ დაეხმარე-  
ბოდა. ვინც კი გულმაგარი იყო, მეტადრე ქალები, ყველანი  
დაეხმარნენ. მიდიმოდიოდნენ ურმები და საკაცურები, გაფაცი-  
ცებით საქმიანობდნენ ექიმები და დაქრილები კი მოდიოდა და  
მოდიოდა! ყველა სახლები ღია იყო... შევიდოდნენ სახლში და  
გამოალაგებდნენ, რაც კი საჭირო იყო, დაქრილთათვის—ლო-  
გინს, სარეცხს, წამლებს... თითონ მოქალაქეებს გამოჰქონდათ  
დაუნანებლივ ყველაფერი და დაქრილებს აძლევდნენ.

თუ კი დაქრილები ასე გვებრალება და ასეთი გულუხენი  
ვართ, ის არა სჯობიან, შევთანხმდეთ ერთმანეთში და ომის ხსე-  
ნებაც კი ამოვავდოთ ამ ქვეყნით? ძნელი ომის ამოგდება კი  
არა, ძნელი კაცთა შეთანხმება არის, თორემ აქამდე კი არ  
ამოავდებდნენ? ან როგორ შევთანხმებულიყავით საბრალო ვან-  
დელებთან, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რომ თავიანთ სისხლს  
სამშობლოს მოღალატეთათვის აქცევდნენ? არც კი იცოდნენ,  
რომ იმათ ბატონებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, მთელი ვანდე-  
ინგლისელებს ჩაფუგდოთ ხელში და რესპუბლიკელების ჯავრს  
კი ნუ ჩაეყოლებოთ. რა გაეგებოდათ უბედურებს? ისიც კი  
ვერ გაეგოთ, რომ ბატონ-ყმობის გადაგდებით იმათ თავისუფ-  
ლება ეძლეოდათ და თავისუფლებასთან ერთად ის უფლება-  
ნი, რომლითაც ღმერთმა დიდი მზღვარი დასდო პირუტყვისა და  
ადამიანს შორის. ვანდელებს არაფერი გაეგებოდათ და რადგან  
არ გვისვენებდნენ და შეუწყვეტლივ გვმტრობდნენ, ჩვენდა უნე-  
ბურად იძულებულნი შევიქენით იარაღით გაგვეცა მათთვის პა-  
სუხი, ან რესპუბლიკა უნდა დაგვეხობინებინა, ან სულ ერთი-  
ნად ამოგვეწყვიტა.

ხუთ საათზედ გენერალი შამო მოასვენეს საკაცურით. სული გზაშივე დაეღია ცხონებულს. შიგ ყურის ძირში მოხვედროდა ტყვია; ამბობდნენ, ერთი კი დაიყვირა—რესპუბლიკას გაუმარჯოსო და დაეცა კიდეცაო. არა მგონია, მართალი იყოს; გენერალი ჩემი თვალითა ვნახე და იმას იმისთანა დიდი ქრილობა ჰქონდა, რომ ხმის ამოდებასაც ველარ მოასწრებდა. ეტყობა, მისმა ზეგობრებმა და პატივისმცემლებმა დაიძახეს—რესპუბლიკას გაუმარჯოსო, რადგან ეგ უნდა ყოფილიყო უკანასკნელი სიტყვები ყოველი ერთგული მამულისშვილისა.

შებინდა და შეწყდა კიდეც ზარბაზნის სროლა. ურმები ცარიელები დაბრუნდნენ. მოქალაქეებმა მაშხალები ანათეს და ისე გაანათეს ქუჩა, რომ ექიმებს ერთს წამს არ შეუწყვეტიათ მუშაობა. მახსოვს, სრულიად ჩამობნელდა, როდესაც ერთი ცხენოსანი, მოხუცებული, ძალზედ ქალარა ჯარისკაცი მოვიდა და რადგან ხალხისაგან გზა იყო შეკრული და ექიმებთან ველარ მიადწია, ჩვენს ახლო შეაყენა ცხენი. ერთმა ჩვენმა ოფიცერთაგანმა ჰკითხა ომის ამბავი და იმისაგან გავიგეთ, რომ ბრძოლა გათავებულიყო და გამარჯვებული ჩვენი ჯარი დარჩენილიყო:

— დიად! აგერ ორი საათი იქნება, რაც დამარცხდნენ ვანდელები და გაიქცნენ. ვესტერმანი მისდევს გაქცეულთ და ჟლეტავს!

ისეთი დამშვიდებით გველაპარაკებოდა, რომ აზრადაც არავის მოგვსვლია, ეს კაცი დაქრილი უნდა იყოსო. მაგრამ როდესაც ცხენიდან ჩამოხტომა უნდოდა, ფერი ეცვალა—თურმე შიგ მუცელში იყო დაქრილი საწყალი—და გული შეუღონდა. მანამ ჩვენი ოფიცერი კაცს გაგზავნიდა ექიმის მოსაყვანად, იმან სულიც განუტევა.

უკოტა ხანს უკან შორიდან გამარჯვებული მარსელურიც შემოგვესმა, რაკი ბრძოლა გათავებულიყო, საერო კრების წარმომადგენლნი შოდოო და ბელგარდი ქალაქისკენ წამოსულიყვნენ და, უნდა გენახათ, რა სიხარულით მიეგება წინ ხალხი—რესპუბლიკას გაუმარჯოსო! ვანდელებისთვის ჩვენს ჯარს ზარ-

ბაზნები წაერთმია და მე და ჩემს ამხანაგებს ჩაკვებარეს. ღვთის წყალობა გაქვთ, ჩვენ ეს გვიამა! ძლივს არ ველირსენით ნამდვილ, ვაჟ-კაცურ სამსახურს!

ჩვენ და საუბედუროდ, მკვდრებს დამარხვა უნდოდათ და სხვათა შორის ჩვენც გავგზავნეს მკვდრების მოსაძებნად. აობრებული იყო მთელი არე-მარე: მცხოვრებნი გახიზნულიყვნენ, სოფლები იწოდა და სასტიკი ბრძანება გვქონდა—კარგად დასინჯეთ, რომ ცოცხალი, თუნდა სულთ მობრძავეც იყოს, არავინ დაგვრჩეს ბრძოლის ველზედაო. რა გავვეწყობოდა, ახლა ამ საქმეს შევუდექით... ღმერთმა ჩემს მტერს ნუ მისცეს ის საშინელება, რაც ჩვენ იმ დღესა ვნახეთ! ამას კი არ ავიწერთ, რადგან ასაწერადაც კი საშინელი და საზიზღარია! ეგეც რომ არ იყოს, დაწვრილებით რომ ავწერო ყველაფერი, რაც იმ ომში გადამხვდია, ჩემს დღეში ვეღარ გავათავებ ამ ისტორიას... მთელი ის დღე 10 ღვინობისთვის დახოცილების დამარხვას მოვუნდიო; გავთხრიდით უშველებელ ორმოს, შიგ წყობისად ჩავასვენებდით უბედურებს და მიწას მივავრიდით.

დაჭრილები ქალაქისკენ გავგზავნეთ. დიდი ძალი ჯარი დაეძებდა დაჭრილებს და მკვდრებს. მაგრამ იმისთანად იყო მოდებული ჩადუნა, რომ იქნება ერთ კვირასაც ვერ მოგვევლო იქაურობა, არამც თუ ერთ დღეს.

დაბინდდა, დაბნელდა, ის იყო დასვენებას ვაპირობდით რომ შორიდგან საშინელი ხმაურობა შემოგვესმა და ცოტა ხანს უკან ჯარიც გამოჩნა, ჩვენი ჯარი. ოღონდ თქვენს მტერს, რა ცუდი სანახავიც ის იყო! ერთმანეთში არეულიყვნენ ქვეითა ჯარი და ცხენოსნები და ისე მორბოდნენ, თითქო უკან გამარჯვებული მღვეარი მოსდევთო! ისე იყვნენ შეშინებულები, რომ ვერც კი ხედავდნენ, რომ არავინ მოსდევდათ. ბერს უყვიროდნენ უფროსები, მაგრამ ვილას ესმოდა იმათი ხმა! მოცვინდნენ, სოფელი გადირბინეს და ძლივს-ძლიობით გავვაგებინეს, რომ ვანდებებს დიდი ჯარები შეუკრებიათ და, როდესაც ჩვენ ბრძოლის შემდეგ განცხრომაში ვბრძანდებოდით, უცბად მოგვექრნენ და რომ არ გამოქცეულიყავით,

სულ ერთიანად ამოგვხოცდნენო! ისე წამოსეულიყვნენ, რომ ბანაკი, ბარგი და ზარბაზნები ვანდელეებისთვის დაეტოვებინათ.

კიდევ კარგი რომ ჩვენ იმათ მოსვლამდე გავათავეთ ჩვენი სადილი, თორემ შიმშილით დავიხოცებოდით; დაერივნენ იქაურობას და რაკი ვერა იზოვნესრა, დაიძახეს ქალაქს წავიდეთო. მაგრამ ამ დროს საიღლანაც გაჩნდა გენერალი ვესტერმანი თავის ცხენოსნებით და ისეთი ხმით შეუტია, რომ შეაყენა იმოდენი ჯარი; ახლა აფიცრები ჩაერივნენ და როგორც იყო ჩააგონეს, რომ ქალაქი მისელა და მთელი ჩვენი ჯარის დალუბვა ერთი იქნება, რადგან გაქცევას ყველანი არ იკადრებენ და ვინც დარჩება, უთუოდ დამარცხდება, ვაჟკაცობით თუ არა, რიცხვით გვაჯობებენ ვანდელეებო. იმდენი უთხრეს, იმდენი შეარცხვინეს, რომ, როგორც იყო, დაამშვიდეს შეშინებული ხალხი და თავ-თავის ალაგას დააყენეს ყოველი რაზმი.

საკვირველი ის იყო, რომ მტერი არსადა ჩანდა. ყველგან დარაჯები გვეყენა და ერთი ბეწვა ხმაურობა რომ მოგესმენოდა, ყველანი ფეხზე წამოვხტებოდით; ჯარი მიწვა და კურდღლის ძილით მიიძინა; აფიცრები ცეცხლს შემოაუსხდნენ და ჩუმი ხმით საუბრობდნენ. უცბად შუალამისას საშინელი აღი ავარდა ცას. არიქათ, ბიჭებო, შატლიონი იწვისო! — დაიყვირა ვილამაც და ისე ავიშალენით იმოდენი ჯარი, თითქო ერთი კაცი ყოფილიყოს; ავისხით იარაღი და წასასვლელად გავემზადენით, მაგრამ ეტყობოდა, ჩვენს წინამძღოლებს არაფრად მოსწონდათ ხელახლავ ბრძოლის ატება და ჯერ-ჯერობით მარტო ერთი რაზმი გაგზავნეს, — წადით, ნახეთ, რა ამბავია, ან რას ასდის იმოდენი ალიო? როდესაც ინათლა, მაშინ გავიგეთ დაქვემდებარებით ყოველიფერი: ვესტერმანს ისე სწყენოდა ვანდელი გლეხებისაგან ჩვენი ჯარების დამარცხება, რომ მოსვენება თურმე აღარა ჰქონდა; უკვირდა კიდევ, ხომ გვაჯობეს, რატომ არ ისარგებლეს გამარჯვებით და მდევარი არ გამოგვიყენეს, ხომ სულ ერთიანად ამოგვიწყვეტდნენ შეშინებულ ხალხსაო? ალბად იმიტომ არ მოგვდიეს, რომ გამარჯვებულნი ქალაქ შატლიონში შევიდნენ და საშოვარს გამოეკიდნენ; მგონი, ისე აიკლეს იქაუ-





რობა, რომ მარანში ღვინო აღარსად დააყენეს და ღუქებში საქონელიო... სულ ორასი ამორჩეული ბიჭი თურმე წაიყვანა, შევიდა შუალამისას შატილიონში და დაიწყო ვანდელების ხოცვა. ისე ეყარა თურმე ქუჩებში მთვრალი ხალხი, რომ აღარავითარი გრძობა არა ჰქონდათ და ვისაც ცოტა კიდევ შერჩენოდა გონება, თოფის სროლა თურმე დაიწყეს, მაგრამ ისე იყვნენ ღვინით და არყით გაღებულები, რომ მტერსა და მოყვარეს ველარ არჩევენ და ერთმანეთს ესროდნენ. ქალაქი იწოდა. ქუჩებში ერთად დიოდა სისხლისა და ღვინის ღვარი.

აი რა საშინელება მოსდევს ლოთობას და უგუნურებას.

ცხრა საათი იყო, როდესაც ქალაქში შევედით და ეს საზიზღარი სურათი ვნახეთ. ჩვენმა ჯარმა ისევ ისე უვნებლად ჩაიბარა თავისი ზარბაზნები; ვანდელებს მარტო ბარგი აეშალათ და დაეტაცნათ, სხვა ყველაფერი ხელუხლებლად დაგვხვდა. გზის პირას თოფის წამლით დატვირთული ურმები იდგა და რადგენ მეურმეები გაპარულიყვნენ, ჩვენ მოგვანდეს თოფის წამლის ზიდვა და დარაჯობა. საქმე ის იყო, როგორ გაგვეტარებინა თოფის წამალი ქალაქში, როდესაც მთელ ქალაქს ცეცხლი ეკიდა და ყოველი ბანიდან მუგუზლები ცვივოდა? ქალაქს გარშემოვუარეთ და კარგა დიდ მანძილზედაც, რადგან საშინელი ჭარი ქროდა იმ დღეს და ძალიან შორს მიჰქონდა ნაპერწკლები. მივდიოდით და თვალწინ მიდგა ქალაქის ქუჩა და ზედ შუაზე მთვრალი ვანდელები, სისხლის ღვარი და ცეცხლწაკიდებული სახლები. თავით-ფეხამდე ჟრუანტელი მივლიოდა, მეგონა, ცოცხლები არიან და ცეცხლი ეკიდებათ-მეთქი.

საშინელებაა ძმათა შორის ომი, და მართლა საზიზღარი ქმნილება უნდა იყოს ადამიანი, რომ ამისთანა უდიერებას ჩადიოდეს. კიდევ კარგი, რომ საწყალ ხალხს ყოველთვის პირადი ინტერესებით გატაცებული და დაბრმავებული, გაიძვერა გაიტაცებს და გააბრიყვებს ხოლმე, თორემ, ძმათა შორის ომს რომ თვით ხალხი იწყებდეს, სიკოცხლე საშინელ ტვირთად შეგვექნებოდა; ამ გაიძვერების წყალობითა გვჭირს ამოდენი უბედურება, თორემ თითონ ხალხი გულ-კეთილი და მად-

ლიანია; ცოტა რამ განათლება აკლია, რომ თვალი აახილოს და მტერ-მოყვარე იცნას თორემ... მაშინ ვნახეთ, კიდევ ასე ადვილად გააბრიყვებენ მას გაიძვერები!

ვესტერმანი თავისი მხედრებით იქვე დარჩა დასასვენებლად და ჯარი კი შოლეს გზას გაუდგა; საერო კრების წარმომადგენელი ფოიო ჩვენს რაზმთან მოდიოდა. სამწუხაროდ, ძალიან ნელა მივიდოდით, რადგან გვეშინოდა ჩასაფრებული არსად ყოფილიყვნენ ვანდელების ჯარები. ამბობდნენ, სტოფლე, დიურივო და ბოვალიე თავიანთ ჯარებით აქვე არიან და შესაფერ შემთხვევას ელიან, რომ ბრძოლა დაგვიწყონო.

მეორე დღეს დილა აღრიან ზარბაზნის ხმა მოგვესმა შორიდან. ალბად იბრძვიანო, გენდოდა მივშველებოდით, მაგრამ იმისთანა უგზო-უკვლო ალაგას ვიყავით, რომ ცარიელი კაციც ძლივს გაივლიდა, არამც თუ ზარბაზნები გადაგვეტანა. მეორე დღეს გავიგეთ მარტო იმ სროლის მიზეზი: უნიფხოთა გენერალი ლეშელი შებმოდა ვანდელებს და ძალიანაც დაემარცხებინა. მივუახლოვდით შალონს, და რადგან იქ ჯერაც არ შეწყვეტილიყო სროლა, ჯარი წინ გაისტუმრეს და ჩვენ კი ბარგთან დავგტოვეს—როგორც გენებოთ, ისე წამობრძანდითო!

ძალიან გვეწყინა, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა დავმორჩილებოდით ჩვენს ბედის-წერას. მივარდით გაბრაზებულები და საქონელზედ ამოვიყარეთ ჯაფრი, სახრეები ზედ დავამტვრიეთ, რაც კი ქვეყანაზედ გინება არის და არ არის, ყველა მაშინ მოვიგონეთ და გული კი მაინც ვერ მოვიოხეთ. იმოდენ ბარგს სულ ორასი კაცი აღარ დაუტოვეს დარაჯად და ვანდელებს რომ იქ ჯაშუშები ჰყოლოდათ და დროზედ შეეტყოთ ეს გარემოება, ისე წავგართმევდნენ ყველაფერს და ისე ამოგვხოცდნენ, რომ ამბის წამღებიც არავინ გადარჩენილიყო. მაგრამ საცა ომი იყო, ალბად ყველა ვანდელებიც იქ უნდა ყოფილიყვნენ და ჩვენც სწორედ ამან გვიხსნა განსაცდელისაგან.

ბოლოს, როგორც იყო, ქალაქსაც გადავხედეთ. სროლა შეწყვეტილიყო, მთელი ჩვენი ჯარი გაჩერებული იდგა ერთ



ბორცვზედ და მარტო ცხენოსნები მისდევდნენ გაქცეულ მტერს. იქვე ჩვენს გვერდით, სულ სამასი ნაბიჯის მანძილზედ, მაინცელი რაზმი იდგა. ტანისამოსი იგივე ეცვათ, რაც ყველა სხვა რაზმებს, მაგრამ შევხედეთ თუ არა, მაშინვე ვიცანით ჩვენი ძველი ამხანაგები. ჩვენს სიხარულს სამძღვარი აღარა ჰქონდა. ივანე სომმა დაიყვირა:

— აგერა ჩვენები!.. აბა ეხლაც მოგვაქციონ ბოლოში!

ჩემთვის ხომ ერთი-ორად სასიამოვნო იყო ჩვენების პონა, რადგან ჩემი და ლიზა იმათში იმყოფებოდა და ეხლა მაინც გავიგებდი მარესკოს და პატარა კასიუსის ამბავს. მთელი ჩვენი ჯარი შეერთებული იყო ამ ბრძოლაში. ჩვენი რაზმის წინამძღოლს ჟორდის გენერლობა მიელო და გვერდზედ რომ ჩამოგვიარა, სალამი მივეცით:

— გამარჯვება გენერალს! ძმობა და გამარჯვება!

იმანაც მაშინვე გვიცნო და შემოგვიცინა:

— თქვენა ხართ, ჩემი ძველი ყოჩაღები?! საიდგან გაჩნდით?

— ბარგთან გახლდით, ჩემო გენერალო, — მიუუგე მე, — და ახლა გვაკმარეთ ამოდენი სირცხვილი და ისევ ჩვენს რაზმში გვამყოფეთ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი, — დამპირდა ჟორდი და გააქროლა ცხენი. ცოტა ხანს უკან ბარგთან სხვები დააყენეს. ჯერ ხეირიანად არც კი გასეწორებულ იყავით, რომ მოვიდა ჩვენი ჟორდი და გვიბრძანა, წამომყევით. ბორცვი ჩაგვატარა, თითქმის ქალაქამდე მიგვიყვანა. ხიდთან ექვსი ზარბაზანი იდგა; მეზარბაზნენი თურმე აკლდათ. მეზარბაზნეთა წინამძღოლი გენერალი მარსო წინ მოგვეგება და, რომ გაიგო, მაინცელი ჯარისანი არიანო, ძალიან იამა და გვითხრა:

— გიშველათ ღმერთმა! ახლა კი გვიფთხილდეს მტერი! მგონი ერთიც აღარ ავაცდინოთ!

ესეცა კმარა ჯარის-კაცის ჯილდო! მართლაც და, კვებნაში კი ნუ ჩამომართმევთ, ისე დავუმიზნებდით ხოლმე ივანე სომი, იაკობ ჰააგი და მე, რომ არ მახსოვს, ერთხელ აგვეც-

დინოს. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს სიტყვები, რადგან მე იმ აზრისა ვახლავართ, რომ ღირსეულს ქებაც უნდა და დაჯილდოვებაც.

პარიზელი შეთქმულები იქვე ახლო იყვნენ და დაბინდდა თუ არა, მაშინვე ჩემი დის სანახავად გავეშურე. ჩვენებს არავის ვუთხარ, მივდივარ-მეთქი, მაკრამ ივანე სომი მიმხვდარიყო და უკან გამომდევნოდა. იქ რომ მივედი და დავინახე ჩემი და ლიზა თავისი ბიჭით კალთაში, კინალამ გავგიჟდი სიხარულით. გარს პარიზელები შემოსხდომოდნენ, ჩიბუხს აბოლებდნენ და პოლიტიკურ ახალ ამბებს ლაპარაკობდნენ. გიჟივით შევარდი და დავიყვირე:

— გამარჯვებათ თქვენი! რესპუბლიკას გაუმარჯოს!

შეშლილისავეით ვიყავ, ხან ეტროდი, ხან ვიცინოდი.

— მიხოს გაუმარჯოს, მიხოს! ყვიროდნენ პარიზელები. სად იყავ, ვეჟო! შენი მიხო, ელისაბედ ქალო! ადე და გადაჭკოცნე!

წამოდგა ლიზა, პატარა მხარზედ გადიგდო და დამიწყო კოცნა; თან ცხარი ცრემლითა ტიროდა. მაშინ გამოაჩნდა ლიზას ჩემი სიყვარული. და და ძმა, ვიძახდი ჩემს გულში, როგორ არ ვეყვარები. მეც რომ მოვეკალით, ჩვენებური ერთიც აღარავინ ეყოლებოდა ამოდენ ჯარში!

— იცი, მიხო, მაშინ ვიგრძენ შენი სიყვარული, როცა შენი სიკვდილი მითხრეს.

მარესკოსაც ძალიან იამა ჩემი მისვლა. მერე სომი მოვიდა და ახლა იმას მიეგებნენ იმავე სიხარულით. ძველი მეგობრისთანა კარგი არა იქნებარა ამ ქვეყნად, რომ ჭირშიც ერთად ყოფილიყვეთ და ლხინშიც. ახლად შეძენილი კი ბევრი არაფერია!

გვინდოდა მთელი ღამე ერთად გაგვეტარებინა, მაგრამ საყვირის ხმა მოისმა და წამოვიშალენით კიდევ; ხვალ სადილად ჩვენთან იყავითო, დაგვიძახეს. ის კი არ ვიცოდით, რომ ხვალ საშინელი ბრძოლა მოგველოდა: დამარცხებული ვანდელები ბოპრეოში თურმე იკრიბებოდნენ. მაგრამ ტყუილი-ლა



იყო იმათი ცდა, ამოდ ჩაუვლიდათ ყველაფერი: ძლიეს ისე შევიმწყვდიეთ, როგორც ჩვენ გვინდოდა—ჩვენსა და მდინარე ლუარს შუა... ცარიელ მიწაზედ ვიწეე, თავ ქვეშ ცხრილივით დახვრეტილი გუდა მედო და ზედ დაგლეჯილი ფარაჯა მებურა, მაგრამ ისე მეძინა, თითქო ყუთუქში ვყოფილიყავ. გული დამშვიდებული მქონდა ღიზას ნახვით და სიზმარში სულ ხვალინდელ შექამადსა ვხედავდი: უზარ-მაზარი ჯამი მედგა წინ და ისე ჩამეყარა პური, რომ ჯარის კაცივით ამართული იდგა შიგ კოვზი. სავსე ყანწი აჩქარებია უვლიდა სუფრას და ისე მოეშურებოდა, რომ უღვაშის მოწმენდას აღარ მაკლიდა.

რა ტკბილი სიზმარი იყო!

საქმე სულ სხვაფრივ დატრიალდა. მთელი ღამე სულ ის ამბავი მოჰქონდათ ჩვენს ჯაშუშებს, რომ მტერი ბოპრეოში მაგრდება და იქ გვიპირებს ლოდინსაო. გენერალ ლეშელს სჯეროდა ეს, მაგრამ კლებერი იძახდა, ეგ შეუძლებელია და სულ თავზედ ხელ აღებულნი უნდა იყვნენ, რომ იქ დარჩენ წყლის პირას და ლოდინი დაგვიწყონო. და მართლაც, ვანდელ ხალხს კარგად უნდა სცოდნოდა, რომ თუ ერთი უმუხთლა ბედმა და გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, წყალს ველარსად წაუვიდოდნენ და ამიტომ ყოველი საშუალება უნდა ეხმარნათ, რომ გაერღვიათ როგორმე ჩვენი ჯარები და ისევ თავიანთ ბუჩქნარში და აყრილ ჩადუნაში დამალულიყვნენ. ლეშელს ეგონა, რაკი გლეხ-კაცები არიან, ამდენს ვერ მოისაზრებენო, მაგრამ საქმე ის არის, უგუნური არ გეგონოს მტერი, თორემ ვაი შენი ბრალი. მეორე დილას, გათავდა თუ არა სამხედრო ბჭობა, ბრძანება გამოვიდა, ისე დალაგდეს ჯარი, რომ ჩიტიც კი ვერ გადააფრინდესო.

იმ დღეს იყო, რომ მთელს ჯარს დაუარეს ცხენოსნებმა და ყველა რაზმს დაბეჭდილი ქაღალდები დაუბრავს. აი რასა სწერდა კონვენტი ვანდელში მყოფ თავის ჯარს:

„რესპუბლიკელნო,

„აჯანყებული ლიონი დაიმორჩილა რესპუბლიკამ; გამარჯვებული ჩვენი ჯარი უკვე შიგ იმყოფება და სასტიკადა სჯის

ყოველს მოლალატეს; ღირსეული სასჯელი მოელის ყველას, ვინც სიტყვით თუ საქმით ცდილა ძველი მეფობის და მტარვალობის შემოღებას. ვანდე-ლა აკლია გაბრწყინვალეებულ სამშობლოს და თქვენც უნდა გაიმირჯვოთ, ვანდში მყოფნო! კმარა, რაც ხანი შეაწუხა ვანდელმა ხალხმა რესპუბლიკა! კმარა! მიდით, დაჰკარით და გაათავეთ! ჩვენი მტრები ყველანი ერთად უნდა იქმნენ დამარცხებულნი! მიდით და დაამარცხეთ, ვანდში მყოფნო! ნუ თუ ყველა ჩვენს ჯარებზედ უკან თქვენ უნდა იყვნეთ? ამოსწყვიტეთ აჯანყებულნი, დაიშახურეთ სამშობლოსაგან დიდება და განაძლიერეთ რესპუბლიკა! როდის უჯობნია პატიოსან ვაჟაკისთვის მოლალატეს, რომ ეხლა აჯობოს? რას ელით, რას აყოვნებთ? გაიხსენეთ, რომ ეგლა აკლია სამშობლოს დიდებას, მიდით, მუსრი გაავლეთ მაგ ველურ ბრბოს და მიწის პირიდან აღგავეთ იგი, რასაც დღეს ვანდეს უწოდებენ!“

იმისთანა ხმით შესძახა მთელმა ჯარმა — რესპუბლიკას გაუმარჯოსო! იმისთანა აღტაცებით მიეგება ყველა საერო კრების ბრძანებას, რომ თითქო ცხენებმაც გაიგეს რამეო, ყალბზედ იღვნენ და ჭიხვინს მოჰყვნენ. საკვირველი რამ ყოფილა ბრძოლის ჟინი, თუკი საქონლის გატაცებაცკი შესძლებია. საკვირველი რამ ყოფილა, მაგრამ საშინელიც ყოფილა და ღმერთმან ინებოს, რომ ჩვენი ჯარები შემდეგშიაც იმისთანა წმინდა რასმეს მსახურებდნენ, როგორც არის მტარვალობის ამოგდება და ადამიანთა გათანასწორება და იმედია? გამარჯვება ყოველთვის ჩვენკენ იქნება.

ბოლოს როგორც იყო დამშვიდდა ჯარი. ხმა გავარდა, ვანდელები სამს რაზმად მოდიან საბრძოლველადაო. ჩვენც ეგ გვინდოდა და მზადებას შევუდექით.

ვანდელების პირველი რაზმი შუადღის უკან გამოჩნდა, პირველ საათზედ. შორს, შორს პატარა ეკლესია მოჩანდა და მის ირგვლივ ჭიანჭველასავით ირევოდა ხალხი. ტყვეებმა გვიამბეს მეორე დღეს, ეკლესიასთან იმიტომ დაგინახავთ ხალხი, რომ მთელი ჯარი აქ იყო და ღმერთს გამარჯვებას შესთხოვ-



დაო; მწირველი რესპუბლიკის მოწინააღმდეგე მღვდელი შ. ბერნიე ჰყავდათ, რომელიც შემდეგში იმპერატორის უგულის-თაღეს მეგობრად ითვლებოდა. წირვის შემდეგ ბერნიემ გამარ-ჯვება აღუთქვა ვანდელებს და სასუფეველი ღვთისა იმათ, ვინც თაეს დასდებდა ღვთისა და მეფის გულისთვის. ორმოცი ათასი კაცი იქნებოდა მეომარი და გარდა ამისა თანა ჰყავდათ მოხუ-ცებულები, ქალები და ბალები.

სამს რაზმად წამოვიდნენ ვანდელები. ჩვენი ჯარი ისე იყო გაჩუმებული, თითქო აქ აღარც კი არისო. მშვენიერი დღე იყო; შორიდან მოსულ ხმაურობაში ჯერ ვერას ვარჩევდით, მაგრამ რაკი მოგვიახლოვდნენ, დავრწმუნდით, რომ ლოცვით და გა-ლობით მოდიოდნენ, თითქო ლიტანიას უვლიანო; აქა - იქ ცალკ-ცალკე გაისმოდა ხოლმე—ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! მო-გვიახლოვდნენ; ისე იყვნენ აღგზნებულნი ეს ცრუმორწმუნენი, რომ იმისთანა საზარელი ჩემს დღეში არა მინახავს-რა. გავარდა ზარბაზანი, ატყდა თოფის სროლა, გაისმა სამხედრო ძახილი და გაჩნდა ხელდახელი ბრძოლა.

მე და ჩემი ამხანაგი მეზარბაზნენი მარცხენა მხარეს ვი-დექით, სულ ორი ათას ხუთასამდე კაცი და ჩვენკენ, სულ ნა-კლები რომა ვთქვა, ოცი ათასი მაინც მოდიოდა. მოდიოდა ზღვასავით ხალხი, დავუმიზნებდით ზარბაზანს, ასობითა ვხოც-დით და ისინი კი სულ წინ მოიწევდნენ და თან გაშმაგებულ-ნი ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო, გაიძახდნენ.

აგერ ორმოც და ათი წელიწადი გადის მას შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში ბევრისაგან გამიგონია ამ ბრძოლის შესა-ხები სჯა; ზოგნი ამბობენ, ვანდელებმა ძალიან კარგი ქნეს, რომ რაზმებად დაეწყვნენ და მხედრული წესით მიუხტნენ რეს-პუბლიკის ჯარებს; ეტყობა, დიდი ნიჭის პატრონი ყოფილა მათი მხედართ-მთავარი ბონზანიო. ზოგნი კიდევ სულ წინააღ-მდეგს გაიძახიან: მაგაზე მეტს სისულელეს ვერას იზამდნენ და კიდევ მაგან მოსტება კისერი, რომ მხედრულ წეს-რიგს უჩვევი ხალხი რაზმებად დააწყეს და ისე მირეკეს ზარბაზნის ტუჩ ქვეშ, თითქო საყასპო საქონელი ყოფილიყოსო...

მე კიდევ ჩემსას მოგახსენებთ, რადგან ამ აზრთაგანი ერთიც მტკნარი სისულელეა და მეორეც: რა ნებავდათ ვანდელებს? თავიანთ თვალგადუწვდენელ ბუჩქნარში დაბრუნება; ჩვენი ჯარის გარღვევა, რომ სამშვიდობოში გაეყვანათ მოხუცებულები, ქალები და ბავშვები. აი იმათი განძრახვა. და ჯარის გასარღვევად ხომ მარტო ის არის საჭირო, რომ ერთ ალაგას მიაყენო რაც კი ძალი გაქვს და სულ იქით მიგზავნო, რაც ხალხი გყავს. რა გამოვიდოდა, რომ გაშლილიყვნენ და ისე მოგვეყოდნენ? ვერც სადმე ჩვენს ჯარს გაარღვევდნენ და ძალიანაც დააზიანებდნენ მათ ჩვენი ცხენოსნები. გზის გაკვლევა უნდოდათ, სხვა არაფერი. იმისთანა ძალით მოგვესიენენ... რომ ცოტა არ იყოს შევკანძრიეს კიდევ, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოგვეშველა მაინცელი რაზმი და, როგორც იყო, შევიმაგრეთ იმოდენი ხალხი. რაკი ნახეს, რომ მარცხენა მხარეს ვერა გააწყეს-რა, იხუვლეს და ყოვლად მოულოდნელად შუა მხარეს მიესიენენ; იქაც ცუდად იყო საქმე, მაინცელები რომ არ ჩაშველებოდნენ.

იმავე დროს გამოჩნდა ტყის პირიდან ვანდელების მესამე რაზმი და ღმერთია მოწამე, რომ იმაზედ უსაშინელესი მე ჩემს დდეში აღარა მინახავს-რა. არეულად მოდიოდა იმოდენი ხალხი, თოვლივით გათეთრებულ მოხუცს ბავშვი უდგა გვერდით, ზოგი იძახდა—ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! ზოგი კიდევ მაღალი ხმით ლოცულობდა. რაზმი კი არა, გროვა იყო საბრალო ხალხისა, რომელიც ზღვის ტალღასავით მოდიოდა ჩვენკენ.

იმავე დროს უკან გაგვიარეს გენერალმა მარსომამ და სხვა აფიცრება და ყველგან ბრძანება გასცეს:

— დეე, მოგვიახლოვდნენ! ფრთხილად! ყური უგდეთ ბრძანებას!

ზარბაზნები დატენილი გვექონდა, პატრუქი ანთებული და მიზანში ვიღებდით ჩვენკენ მომავალ ხალხს.

მოდით რაღა, ვეჟო! გაისმოდა ხან აქედან და ხან იქიდან ვანდელების ტალღაში.

გავარდა ჩემი ზარბაზანი და თითქო ცელი მოუქნიეს ყანასო, ისე დაწვა ხალხი, მაგრამ თვალის დახამხამების უმაღლეს



წინ წამოიწია. სულ სამას ნაბიჯზედ-და იქნებოდნენ. გაისმა ბრძანება—ესროლეთო! და რვა ზარბაზანი ერთად დავახალეთ საწყლებს. სწორეთ ქუჩა გევანებოდათ, ისე გაველოთ ყუმბარებს. ერთს წამს შესდგნენ უბედურები, ეტყობოდათ არ მოელოდნენ, რომ ასე დაზარალდებოდნენ; მაგრამ ჯერ ჩვენ ზარბაზნები არ დაგვეტენა, რომ კვლავ შეკრეს რაზმი და წინ-სვლა დაიწყეს; ისე გადმოთელეს იმოდენა მკედრები, თითქო ადამიანზედ კი არა, უბრალო ბალახზედ დადიანო. ორასი ნაბიჯი აღარც კი იქნებოდა ჩვენ შუა და იმისთანა სისწრაფით მოიწვედნენ წინ თოფ-გამოწვდილები, რომ ვიფიქრე, ახლა კი დავიღუბეთ, ჩვენ ამათ ვერ შევაცენებთ-მეთქი.

სწორედ ამ დროს წამოგვირბინა წინ ჯარმა და იმისთანა ხელდახელი ბრძოლა გაიმართა ჩვენ წინ, რომ იტყოდით მხეცები დარევიან ერთმანეთს და სისხლით ველარ ძღებიანო. ამით ვისარგებლეთ და მსწრაფლ გავტენეთ ზარბაზნები. გავტენეთ თუ არა, მაშინვე აქეთ-იქით წავიდნენ ცხენოსნები და ჩვენ ისევ ზარბაზნები დავცალეთ. ამას კი ველარ გაუძლეს ვანდლებმა და ისე დაიფანტნენ აქეთ-იქით, რომ აღარც შეფე ავონდებოდათ და აღარც უმფროსების ბრძანება. ერთი მათი წინამძღოლი გიჟივით დააქროლებდა თავის ცხენს, ხან აქეთ ეცემოდა და გაქცეულებს რალასაც უყვიროდა, ხან აქით. მაგრამ ყურს აღარავინ უგდებდა. ჩვენ რომ მაშინვე მივყოლოდით, ადვილად მოვუღებდით ბოლოს. ვესტერმანი რომ იქა ყოფილიყო, იმან იცოდა, რასაც იზამდა, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ არ მოსულიყო და ჩვენმა გენერლებმა კი ვერა გაბედეს-რა. გარბოდნენ ვანდლები და ის საწყალი წინამძღოლი კი მაინც არ იშლიდა თავისას და შეშინებული ხალხის შეყენებას ცდილობდა.

მაშინ კი შეაერთეს ვანდლებმა სამი რაზმი და ამ შეერთებულის ძალით წამოვიდნენ ჩვენკენ; წინ ზარბაზნები გამოაწყეს და დაგვიწყეს სროლა. დაენახა თუ არა მათი მოძრაობა, კლებერი მაშინვე მიმხვდარიყო მათ განძრახვას და საჩქაროდ ჩვენკენ წამოვიდა. ჩადგა შუა რაზმში და დაგვიყვირა:

— აბა, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო! ცოტა კიდევ და სულ ლუარში ჩავახრჩობთ, მაგ ბინძურებს! რესპუბლიკას გაუმარჯოს! და ჩვენც ერთხმით შევძახეთ—რესპუბლიკას გაუმარჯოსო!

კლებერი იცინოდა, მის უკან მდგომი აფიცრებიც იცინოდნენ, მაგრამ ვაი ამ სიცილს: ცაში ფუტკარივით ირეოდა ზუზუნა ტყვია და აქეთ-იქით ზანტაპუნტით ცვივოდა ხალხი. მე რომ მკითხოთ, იმ დროს სიცილს ის მერჩივნა, რომ წინ გავსულიყავ და შევებოდი ვისმე. კლებერი კი იმისთანა მხიარულად იყო, იტყოდით ქორწილიდან მომავალი ელზასელიაო. გუშინ თურმე გენერალი მარსო ყოფილიყო მასთან მოსაკითხად და დღეს კლებერმა გადაუხადა და ბრძოლის დროს მივიდა მასთან. იმისთანა მხიარული ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს, რომ ყველას იმედი მოგვეცა გამარჯვებისა და გულდამწვიდებულნი ვიძახდით:

— ღმერთი მოწყალეა! ისე გავუმარჯდებით ამ ბრბოს, როგორც კაჟი და რესპუბლიკას კი არ შევარცხვენთ!

კარგმა გენერალმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ მთელი ჯარი იმას შესცქერის და, რაც უნდა დიდ მანძილზედ იყოს, მაინც კარგად ხედავს ყველაფერს. ხშირად გამარჯვება გენერლის სახის გამომეტყველებაზედ არის დამოკიდებული და კლებერმაც ძალიან კარგად იცოდა, რასაც სჩადიოდა.

ამ დროს დაიძრნენ კიდევ ვანდელები, ახლა კი ერთ რაზმად; წინ მოუძღოდნენ თავიანთი წარჩინებული მხედართმთავარნი, სახელდობრ დეღბე, ბონშანი, ლაროშეაკლენი, სტოჭლე და ხალხს ამხნევებდნენ. ზარბაზნებს გრიალი გაჰქონდათ; აღარც ყვიროდნენ, აღარც ლოცულობდნენ, მოდიოდნენ ხმა გაკმენდილნი და უღმერთოდა სქყლეთდნენ მკედრებს და დაჭრილებს. უკანასკნელი ცდა-ლა უნდა ყოფილიყო ეს ცდა, უკანასკნელი ცდა სასოწარკვეთილი ხალხისა. გავარდა თუ არა ჩვენი ზარბაზნები, მაშინვე გაჩერდნენ, გაცილებით უფრო შორს, ვიდრე პირველად და, თუმცა გვესროდნენ, წინ სვლას კი ვეღარა ბედავდნენ. ცოტა ხანი იდგნენ ასე და, რაკი წინამძღოლი სადღაც მიემალათ, დაიშალნენ და ზურგი გვიჩვენეს.

გაიქცნენ და დავედვენით გაქცეულთ! დავძახეთ მარსელური და მხიარული ძახილით და ყიჟინით შევერიენით იმოდენ ხალხს. ვესტერმანიც სწორედ იმ დროს მოვიდა და რადგან გაჯავრებული იყო, რომ ბრძოლას დასცდა, ჯავრი გაქცეულ ვანდელელებზედ იყარა და ისე დაერია თავისი ცხენოსნებით, როგორც ქორი წიწილებს. შებინდდა გვეგონა გათავდა ომიო, მაგრამ სწორედ ამ დროს შემოგვიბრუნდნენ დამარცხებულნი და—ხომ ვიხოცებით და ვიხოცებით, ძვირად მაინც დავეუსვით მტერს ჩვენი სიკვდილიო!—იმისთანა მედგრად შემოგვიტიეს, რომ გაცივებულნი დავრჩით: სულ სამას ოთხასი კაცი იქნებოდა, მაგრამ ისე შემოაპეს ჩვენი ჯარი, რომ შიგ შუაში მოექცნენ; მაგრამ ვერ გაგვიძღეს და თავი წაიხდინეს.

დიდი უბედურება და ღვთის რისხვაა ომი, მაგრამ მეტი უბედურება და ღვთის რისხვა ხალხის უგუნურებაა. ხალხის უგუნურება რომ არ ყოფილიყოს, ვანა მამა ბერნიეს სიტყვას აჰყვებოდა იმოდენი ხალხი?! რა ენაღვლებოდა ბერნიეს? განზედ ვადგა და სეირს უყურებდა, როდესაც ხალხის სისხლი ზღვასავეთ დიოდა! რა ენაღვლებოდა? შემდეგში რაკი ნახა, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვა, თითონაც ტყავი იცვალა და ახალს მართებლობას კარდინალის ალაგსა სთხოვდა. მოდიოთ თქვენა და ამის შემდეგ ანაფორას ენდეთ და მის რჩევით თავი შესწირეთ რასმე.

იმ ღამეს გამარჯვებულნი ვანდელელების ბანაკში დავრჩით. ათი ათასი კაცი ტყვე ვიშოვნეთ, სულ ხნიანი, ოჯახისა და ცოლ-შვილის პატრონი კაცები. დიდი გავლენა ჰქონდათ მამა ბერნიეს და ჩვენს მოწინააღმდეგე ბერებს და მღვდლებს უგუნურ ხალხზე; ვიცი რომ დღესაც დიდი გავლენა აქვთ, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ღმერთო სიმართლის და სამშობლოსა ყოველთვის აჯობებს ღმერთს უგუნურებისას და ღალატისას. და მეტი უგუნურება-ლა იქნება, იმოდენი ხალხი იმიტომ გვებრძოდა, რომ გვინდოდა ყელიდან საბელი აგვეხსნა და ყმობიდან გაგვეთავისუფლებინა. ან მეტი ღალატი გნებავთ, საფრანგეთ-

ში პრუსიელებს და ინგლისელებს ეპატიებოდნენ ჩვენს ამო-  
 საწყვეტად?

ამაზედ ცხადი, მგონი, რომ არა იქნება-რა, მაგრამ რას  
 იზამთ, რომ აღდამიანი თვალის გახილვას არ მოინდომებს და  
 თანაც ძალიან იუცხოვებს—აბა სად არის სინათლეო? რამო-  
 დენი ხანი გავიდა მას შემდეგ და დღესაც გამოჩნდებიან ბევ-  
 რი თვალ-დახუჭულნი, რომელთაც ვანდელეები გმირებად და  
 წამებულებად გამოჰყავთ და რესპუბლიკელი ჯარები მტარვა-  
 ლებად. დარწმუნებული ვარ ყველა ეს ვაჟბატონები, თუ დი-  
 დებულნი არა, დიდებულთა სამზარეულოში აღზრდილნი მაინც  
 არიან და ბევრიც რომ იცრუვონ, ჭეშმარიტებას ვერ დამალავენ  
 და, ადრე იქნება აუ გვიან, ხალხი თითონვე გაიგებს, საით იყო  
 სიმაართლე.

ეს ბრძოლა იმიტომ ავიწერეთ, რომ დიდი ბრძოლა იყო  
 და ძალიანაც გავიმარჯვეთ. ჩვენდა საუბედუროდ, ამით არ გა-  
 თავდა ომი. უნიფხოთა გენერალს ლეშელს საერო კრებისთვის  
 დაწვრილებით ეცნობებინა ბრძოლის ამბავი და ისე გამოეყვანა  
 საქმე, რომ წინამძღოლობაც თავისთვის მიეწერა და გამარჯვე-  
 ბაც. მართალია, ბრძოლის დროს ლეშელი შორს უკანაც არა-  
 ვის დაუნახავს, არამც თუ წინამძღოლობა შესძლებოდეს, მაგ-  
 რამ ვინ იყო პატრონი? ამ წერილის შედეგი ის იყო, რომ ლე-  
 შელი მართლა წინამძღოლად გაგვიხადეს და ერთი კარგი და-  
 მარცხებაც შეგვძინა, მაგრამ მაგას თავის დროზე მოგახსენებთ.  
 ეხლა განვაგრძოთ.

მეფის მომხრეები სწერენ თავიანთ წიგნებში, გამარჯვე-  
 ბულმა რესპუბლიკელებმა ქ. შოლე დასწვესა. ტყუილია! ბრძო-  
 ლის წინა საღამოს ჩვენი ჯარები რომ შევიდნენ შოლეში, წე-  
 სისამებრ სამხედრო მოედანზედ თავისუფლების ხე დარგეს. ეკ-  
 კლესიიდან თეთრი დროშა გამოიტანეს ანთებული სანთლე-  
 ბით და ისე დაიარეს მთელი ქალაქი; ვინც კი რესპუბლიკის  
 მომხრე იყო, მაშინვე მიუდგა ჩვენს ჯარს და ძმობა შეჰფიცეს  
 ერთმანეთს. მაგრამ ამ დროს ქალაქს ვანდელეების ჯარი შეესია  
 სტოჭლეს წინამძღოლობით, საცა კი პატრიოტები ეგულებო-

დათ, სახლ-კარი გადაუწეეს და... თავიანთი სისაძაგლე ჩვენ დაგვაბრალეს. ეგ ჩვენი საქმე არ არის, რესპუბლიკელნი თავის დღეში არა ყოფილან ისეთი მხეცები, როგორც ღვთისა და მეფის მიმდევარნი ბრძანდებიან. თუ დავწვით ან დავზვიტეთ ვინმე, მარტო იმიტომ, რომ ძმათა შორის ომი გავვეთავებინა როგორმე, თორემ დღესაც გაუთავებელი იქნებოდა. მაშ როგორ გვეგრძნობინებინა უბირი ხალხისთვის, რომ მათი ბარბაროსობა თითონ იმათვე უფრო აწებებს, ვიდრე სხვას?

ვესტერმანი კი მთელი ღამე სდევდა ვანდელებს და ბეერიც თურმე დახოცა. ბოპრეოში დაეწია უმთავრეს მათს ბრბოს, მაგრამ ისე თურმე იყვნენ დაღალულები, რომ ვერც კი გაიგეს მღვერის მისვლა. წინამძღოლნი გაჰქცოდნენ, ხალხი კი ზოგი ტყვედ დაეჭირა, ზოგი დაეხოცა. მეორე დღეს 18 ღვინობისთვის 1793 წ. გავიგეთ, ვესტერმანმა ბოპრეოს ციხე აიღო და ათი ზარბაზანი იშოვა, დიდ-ძალი თოფის წამალი, ყუმბარები, პური, ქერი და, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი ციხეში გამაგრებულ ჯარისთვის არის საჭირო. ძალიან კარგად იყო ჩვენი საქმე, მაგრამ ამოდენი სიარულის და ბრძოლის შემდეგ ძალიან დაიღალა ხალხი და დასვენება უნდოდა.

ბოპრეოში დავისვენეთ ერთი დღე. სწორეთ ამ ერთი დღით ისარგებლეს ვანდელებმა და ორმოცი ათასი კაცა და ქალი თურმე გავიდა იმ დღეს ლუარის გაღმა მხარს და ერთ კარგა გამაგრებულ ალავს შეეფარა. შერეკავდნენ თურმე წყალში საქონელს, თითონ კუღზე მოეჭიდებოდნენ და ისე გადიოდნენ. გავიდნენ გაღმა და სრულიად მოულოდნელად დაეცნენ ერთ პატარა სიმაგრეს, რომელშიც რესპუბლიკელი კაპიტანი იმყოფებოდა თავისი რაზმით. ისე მოულოდნელად თურმე მიუხტნენ, რომ ერთიანად ამოჰლიტეს მთელი რაზმი. ჩვენ რომ იმ დღეს სიარული შეგვძლებოდა, ვერაფერს გადაგვრჩებოდა და ომიც გათავდებოდა; ეს იმას ამტკიცებს, რომ ბრძოლაში გამარჯვებულმა, თუ უნდა გამარჯვების ნაყოფი იგემოს, არც კი უნდა

იფიქროს დასვენება. ერთი დღის დასვენებამ ის შეგვიძინა, რომ მთელი ორი თვე კიდევ გვაწვალეს ვანდელებმა, მანამ ბოლოს მოვუღებდით.

დიდი ძალი ხორაგი და ზარბაზნები ვიპოვეთ წყლის პირას ვანდელებისაგან დატოვებული, მაკრამ ყველაზედ უმეტესად ტყვეების დაბრუნება გვესიამოვნა. სამი ათასი მეტი ტყვე გამოეშვათ ვანდელებს და ისე გახარებულნი გამოარბოდნენ ჩვენი ჯარისკენ, რომ სწორედ გიჟები გეგონებოდათ; მით უფრო, რომ ყველანი ტიტველ-შიშველნი იყვნენ და იმოდენი თმა და წვერი დაეშვათ, თითქო ტყის ნადირნი არიანო; ცარიელი ძვალი და ტყავი-ღა იყვნენ უბედურები.

თმები ამეშალა, როცა დავინახე უბედურები და ვიფიქრე, მეც ხომ ასე ვიქნებოდი, ტყვედ რომ ჩავვარდნოდი იმ მხეცებს-მეთქი. და ამ ფიქრში რომ ვიყავ, უცბად ერთი აწოწილი ვილაც მომვარდა და—მიხო ველარა მცნობო? შემომძახა.

ძლივს ძლივობით ვიცანი ჩვენი მარკოზ დივე; ლაზარესავით ჩამომხმარიყო, ცარიელი ჩონჩხი-ღა იყო, და თუმც საზიზღარი რამ იყო, მაგრამ ისე მიამა იმის ნახვა, რომ გადავებვიე და კოცნა დავუწყე. ის კი ტიროდა! ბავშვივით ტიროდა ჩვენი გულ-კაჟი მარკოზი! რაკი ბანაკში მივედით, მაშინვე პარიზელ შეთქმულთა ბინა მოვძებნე და ლიხასთან მივიყვანე. ლიხა, მარესკო და პარიზელები ერთად იყვნენ. შეველ და შევძახე: აი ჩვენი მარკოზი, მამულისშვილნო!

ყველანი განცვიფრებულნი გვიყურებდნენ. პარიზელებიც კი აღარა ხუმრობდნენ.

— ღმერთო დიდებულო! ნუ აუ მართლა!— შეჰყვირა ლიხამ.

წამოხტნენ პარიზელები და საცა კი ქოთანში დანარჩენი შექამადი ეგულებოდათ, წინ დაუდგეს მარკოზს. დიდი ხნის დამშეული იყო საწყალი და ისე მივარდა საქმელს, როგორც გიჟი. მერე ღვინო მიაწოდეს. მოიწაფა საღვინე და დიდი ხანი სვა; ბოლოს, როცა გული მოითანადრა, სთქვა:

— ოჰ, თქვენ გიშველათ ღმერთმა! ძლივს ქრისტიანებში არ ჩავევარდი! ამისთანა უდიერი ხალხი ჩემს დღეში არსად მინახავს. დაიჯერებთ, დღეში კაცზედ ერთ გირვანქა პურს გვაძლევდნენ; რას გაგვიხდებოდა? მტადერე მე? ერთ ლუკმად არა მყოფნიდა. ჯოხი და წიხლი და ყოველი შეურაცხყოფა კი, რამდენიც გნებავთ! ისე გვცემდნენ, რომ... ხმის ამოღების ნებას არ გვაძლევდნენ! ხმას ამოვიღებდით და ვაი ჩვენი ბრალი: მოგვდგებოდნენ ჯოხებით და იმდენსა გვცემდნენ, მანამ თქვენ მოგვეშველებოდით. მეც ვიყავ გაჩუმებული, ცემას გაჩუმება არ მერჩინა? ცემით ხომ გვცემდნენ და ვინც გაბედავდა და უსაყვედურებდა რასმე, მაშინვე დახვრეტდნენ. ეგეც არაფერი, საშინელი ის იყო, რომ იმ რეგვენთ ჩვენი გადაბირება უნდოდათ და სულ იმას ჩაგვიჩინებდნენ, პოლიტიკური აზრები გამოიცვალეთო; მოვიდოდა ხოლომე იმათი მღვდელი ბერნიე და დაგვიწყებდა ქადაგებას. თან პურსა და ღვინოს მოიტანდა, ამით მაინც შევაცდენ დამშეულოებსაო... და ბევრიც შევაცდინა! ბევრმა დაიძახა—ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! პურისა და ღვინის გულისთვის. მე კი სიკვდილი მერჩინა რესპუბლიკის წინააღმდეგობას და ერთი კარგი ამხანაგი რომ არა მყოლიყო, იქნება დღეს ცოცხალიც არა ვყოფილიყავი.

აი რა გვითხრა გამზიარულებულმა მარკოზმა. ზოგი თამბაქოს სთავაზობდა, ზოგი ჩიბუხს; მაშინვე უშოვეს გუდა, ტანისამოსი და იარაღი. ძნელი საშოვარი კი არ იყო, იმდენი გეჰქონდა ვანდელებისაგან დატოვებული, რომ ზიდვა გვიქირდებოდა. იმავ დღესვე გამოვაწყეთ დაბრუნებული ტყვეები,—გავკრიკეთ, გავბანეთ, გავალამაზეთ, და თავ-თავიანთ რაზმში ჩავაყენეთ.

ამ ტყვეების შესახებაც იცრუვეს მეფის მომხრეებმა! იმიტომ გამოვუშვით, რომ შეგვეცოდნენო. ტყუიან! პირველი ისა, რომ დამარცხებულნი და ლტოლვილნი თან ვეღარ იყოლიებდნენ სამი ათას სულს და მეორე კიდევ ისა, რომ თუ სულ ერთიანად არ დახოცეს, ეგ იმიტომ, რომ შეეშინდათ, რესპუბლიკელებმაც ამით არ გადაგვიხადონო. მარკოზ დივემ გვიამბო, წმ. ფლორანის ეკკლესიის გალაფანში შეგვრეკეს

ტყვეები და ზარბაზნები დაგვიმიზნეს, უნდა დავებოცნეთო. თურმე მისცვივდნენ წინამძღოლები და ძლიეს-ძლიობით ჩააგონეს ველურ ბრბოს, რომ რესპუბლიკელებსაცა ჰყავთ ტყვედ ვანდელეები და ისინიც ასევე დახოცენ ჩვენს შვილებს და ძმებსაო. კიდევ კარგი, რომ იმოდენ უბირ ხალხში რამდენიმე კაცი მაინც ერია შეგნებული, თორემ მართლა სულ ამოხოცდნენ და ჩვენც ძალა უნებურად დაგვახოცინებდნენ ტყვეებს.

## XI

ვანდელებს ძალიან ადვილად შეეძლოთ ნანტის ან ანჟე-რის აღება. გენერალი ლეშელი ამტკიცებდა, მდინარე ცურვით უნდა გავიდეთ, რადგან ნაეები არა გვაქვს, და მტერი ამოვწყვიტოთო. საერო კრების წარმომადგენელნი კარიე, ბურბოტი, მერლენ ტიონვილედი და ყველა ჩვენი გენერლები კი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეგ შეუძლებელი იყო. ბოლოს, რომ ველარა გააწყეს-რა, მერლენ ტიონვილელმა უთხრა:

— აგრე იყოს, გავცურდეთ, ოღონდ ჯარს შენ უნდა გაუძღვე და პირველად წყალში შენ უნდა შეცურდე.

ამის გავგონებაზედ ისე გაჩუმდა ლეშელი, როგორც თევზი და მაშინვე დათანხმდა ჩვენი გენერლების აზრს. ჯარი სამად გაჰყვეს—ერთი ნანტის საშველად გაგზავნეს, მეორე—ანჟერისა და მესამე წყალს უნდა გასულიყო როგორმე და ვანდელებს დასცემოდა.

მე ანჟერისკენ მიმავალ რაზმში მოვექეცი.

ეს სწორედ იმ დროს იყო, როდესაც ჩვენს ჯარს ვატინში ავსტრიელები დაემარცხებინა. მაშინ პირველად გაისმა ივანე ჟურდანის სახელი, რომელიც იმ ორი წლის წინად თავის ნებით ჩაეწერა ჯარში უბრალო ჯარის-კაცად, ცოტა ხანში გენერლობა მიიღო და ისე დაამარცხა ავსტრიელები, რომ საფრანგეთი განსაცდელიდან იხსნა. მართლაც-და, იცვალნენ





დრონი, თორემ ვინ აღირსებდა ვილაცა ჟურდანს, ლიმოველ მეწვრილმანეს, გენერლობას და მხედართმთავრობას?!

იმავე დროს გავიგეთ დედოფლის მარიამ ანტუანეტას მოკვლა და ჟირონდელეების დაფანტვა; მაგრამ ისე გვიხაროდა ყველას ავსტრიელებზედ გამარჯვება, რომ ამ ამბებს ყურადღებაც არ მივაქციეთ. გაზეთები ქვეყნის მოღალატე არისტოკრატების გვარებით იყო სავსე და, გარდა ამისა, იმისთანა უდიერად გვექცევოდნენ ჩვენი მტრები, როდესაც ხელთ გვიგდებდნენ, რომ, ღვთის წინაშე, არც არავის დედოფალი შესცოდებია და არც ჟირონდელები.

ანჟერში არც კი გაეჩერებულვართ, რადგან ვანდელეები ლავალისკენ თურმე მიდიოდნენ და იმოდენ სისხლს აქცევდნენ გზა-და-გზა, რომ ქვეყანა თრთოდა. ვანდელეების გენერალი ბოშანი მომკვდარიყო და იმისი ალაგი ერთს ყმაწვილ კაცს დელაროშ ჟაკლენს დაეჭირა. ერთ ქალაქში ამ ახალ გენერალს რესპუბლიკის მომხრე მამასახლისი და მსაჯული დაეხვრიტა სრულიად უდანაშაულოდ. ჩვენ გვისაყვედურებენ, გილიოტინა სისხლით ველარ გააძღესო! რატომ ის კი არ ახსოვთ, რომ სიკეთეს არც ჩვენ გვაყრიდნენ, როცა ძალა იმათკენ იყო?

ლავალთან ჩვენი ჯარი დაემარცხებინათ ექვსი ათასი კაცი და ახლო-მახლო ვინც კი პატრიოტი ჰგულებოდათ, ყველანი დაეხვრიტათ. ამ ამბებმა ძალიან შეგვაწუხა, რასაკვირველია, და ისე მივეშურებოდით, რომ აღარც ძილი გვახსოვდა, აღარც დასვენება. საშინელი დარი იღვა, კოკის პირულადა წვიმდა; იმისთანა ტალახები იყო, რომ კოჭამდე იფლოდნენ ცხენები და ძლივს-ღა სძრავდნენ ზარბაზნებს. ავი დარი იღვა და უფრო ავ გუნებაზედ ჩვენ ვიყავით, რადგან ვგრძნობდით, რომ კარგი დღეები გაჰქრნენ და ზამთარი გვეპარებოდა.

დანიშნულ ალაგს რომ მივედით, ჩვენი ჯარის ორივე რაზმი უკვე იქ დაგვხვდნენ შეკრებილი. ვესტერმანი ავერ ორი საათი იქნება მტრის წინა რაზმებს ეომებოა, სთქვეს. ქუჩებში სასოწარკვეთილი, იმედ-მიხდილი მოქალაქენი იღვწენ და ყვე-

ლას ვესტერმანის ამბავს ეკითხებოდნენ: დავილუპებით, თუ დამარცხდამო! მაგრამ არავინ რა იცოდა, რადგან კარგა წინ იყო წასული. ლამის ათ საათზედ დაბრუნდა ვესტერმანი თავის რაზმით, მაგრამ ვაი იმ დაბრუნებას—წაეტყუებინათ ვანდელებს ჩვენი ჯარი, ხათანგში გაებათ და კინალამ სულ ერთიანად ამოეხოცათ. კიდევ კარგი, რომ ლამე იყო და ძალიან ბნელი ღამეც, თორემ იქნება შიგ ბანაკში შემოგვეყოდნენ.

გათენდა და დაიწყო ბრძოლა... მაგრამ რალა თავი შეეგაწყინოთ, ლეშელის წყალობით ისე დავმარცხდით იმ დღეს, ისე, რომ ქუდ-გადაღლეჯილები მოვრბოდით ბრძოლის ველიდან. მოვრბოდით და, რაც კი შეგვეძლო, მტერს ვიგერებდით. ბნელოდა, ერთ ადღზედ არა ჩანდა რა და იმ საშინელ ხმაურობაში, იმ ჯოჯოხეთში, სადაც ზარბაზანი ქექდა, თოფის სროლა ერთს წამს არ შეწყვეტილა და ადამიანის ყიჟინს ცხენების ჭიხვინი უერთდებოდა, იმ ჯოჯოხეთურ ხმაურობაში ერთი იმისთანა კვილი შემომესმა, რომ თავით-ფეხამდე ჟრუანტელმა დამიარა. ვანდელები გარს შემოხვეოდნენ პარიზელ შეთქმულთ, ერთზედ ასნი მიდიოდნენ და საშინელი ბრძოლა ჰქონდათ. თან ლიზას კვილი ისმოდა:

— მხდალნო! მხდალნო! ეგ არის თქვენი ვაჟაკობა, რომ ერთზედ ასნი მოდიხართ! სიკვდილი ან გამარჯვება! რესპუბლიკას გაუმარჯოს!

დავანებე ჩვენებს თავი და ლიზასკენ გავექანე. ჩემი დის ურემს გარს შემორტყმოდა ათიოდ ვანდელი. ურმის თავში ლიზა იდგა, ხელში შუბი ეჭირა და ისე მარდალ ათამაშებდა, რომ სამაგალითოდ იგერებდა მტერს. ურმის გვერდით სახლი იწოდა. იქვე ქუჩაში მაინცელი რაზმი იდგა და ერთ მარჯანს დროშის მაგივრად სისხლში ამოსვრილი პერანგი აეპართა ნიშნად სისხლის ძიებისა. ქუჩაში მთასავით იდგა მკვდრები. ყოველი მხრიდან ვანდელები მორბოდნენ ყვირილით—ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო! მაგრამ მე ჩემი დის მეტი არავინ მომგონებია. მგელივით შევარღვიე იმოდენი ხალხი, ერთი ნახტომით მივარდი ურემთან და შევყვირე:

— აქა ვარ, ლიზა, ნუ გეშინიან!

მეც არ ვიცი, როგორ მომივიდა, ოთხი თუ ხუთი კაცი ისე წავაქციე, რომ წვეთი სისხლი არ გამომდენია. სხვები მაშინვე გაიფანტნენ, ალბად ეგონათ, ამას ამხანაგებიც ეყოლებოდა. მარტო მაშინ მიცნა ლიზამ.

— არიქა, მიხო, ჩემს ბიქს უშველე! ჩქარა, წაიყვანე აქედან! აგერ, მოდიან, ის ღვთის მტრები!

მეკი მივვარდი საქონელს და დავკარ, რაც ძალი და ღონე მქონდა. მართალია, ფთხებოდნენ და მკვდრებით სავსე ქუჩაში გავლა არ უნდოდათ, მაგრამ, როგორც იყო, გავატარე და შიგ შუა მაინცელ რაზმში შეეიყვანე. გონებაზედ მარტო მაშინ მოვიდა საწყალი ლიზა, როდესაც ნახა, რომ შიში აღარაფრისა ჰქონდა. წამოხტა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შესძახა:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს! სიკვდილი მტარვალთ!

გულში მაგრა ჰყავდა ჩაკრული თავისი პატარა კასიუსი და მორესკო აღარც კი აგონდებოდა.

ცოტა ხანს უკან დაიძრა რაზმი და ჩვენც თან გავყევით. მარესკო თურმე იქვე შორი-ახლოს ყოფილიყო დაჭრილი; მოვიდა, როგორც იყო, ცალი ხელით ურემს დაებლაუჭა და თან იმისთანა მადლობას მიხდიდა, თითქო ჩემთვის სულ უცხონი ყოფილიყვნენ ჩემი და ლიზა და ჩემი დისწული.

მთელი ღამე ისე ვიარეთ, რომ არავინ იცოდა სად მივდიოდით. თუ იმედი გვქონდა ვისიმე, ისევ კლებერისა: ვიცოდით, რომ ჩვენთან იყო და საქმეს არ წაახდენდა. ჩვენი რაზმის წინ ამართული, სისხლით მოსვრილი პერანგი მიჰქონდათ.

გათენდა. დავდექით. მივიხედ-მოვიხედე და იქვე ჩვენს გვერდით ივანე სომი კი დავინახე. ორი ზარბაზანი-ლა გადარჩენილიყო და იმისთანა სიყვარულით სწმენდდა და ასუფთავებდა მოხუცებული სომი ზარბაზნის ლულებს, იტყოდით ამ კაცის ცოლიც ეს არის და შეილიცაო. თურმე მკვდარი ვეგონე და რომ დამინახა, ძალიან გაეხარდა.

— შენა ხარ, მიხო? მე მეკონა, თავი გაგაგდებინეს იმ უღმერთოებმა-მეთქი.

გარს ჯარის კაცები შემოჰხვევოდნენ და აღერსი დაუწყეს პატარა კასიუსს, რომელიც მხარულად იცინოდა, — ალუო, — იძახდა და ფუნთუშა ხელებს აფათურებდა. საკვირველია, როგორ არ დაყრუვდა საწყალი ბავშვი! რაც იმან იმ დღეს ზარბაზნის ქექა-ქუხილი აიტანა. სხვა რომ ყოფილიყო, იმის მეთედსაც ვერ გაუძლებდა. როგორ აგიწეროთ, რა ყოფაში იყო ჩვენი ჯარი? თითონ კლებერის სიტყვას მოვიყვან, რომ უფრო კარგად წარმოიდგინოთ ჩვენი უბედურება: თავით-ფეხამდე სველნი ვიყავით, ვინც ვიყავით, და აღარც კარავი გვქონდა, აღარც ფეხსაცმელი, აღარც ტანისამოსი, აღარც რამ ქურჭელი, რომ შექამადი ჩაგვედგა. დროშას ოცი, ოც და ათი და, სულ ბევრი რომა ვთქვა, ორმოც და ათი კაცი თულა მისდევდა და ისიც ისე იყვნენ დაღალულნი და დამშეულნი, რომ სასოწარკვეთილნი სულ იმას გაიძახდნენ, — ვინც მხალღი იყო თავს უშველა და ჩვენ კი ტყუილ-უბრალოდ ვიღუპებითო!

და სწორედ ასეც იყო. რა უფლება ჰქონდა ლეშელს, რომ მხედართმთავრობა მოგვინდომა? არავითარი, გარდა იმისა რომ ურცხვი და თავხედი კაცი იყო. საცა კი იმისავით ურცხვი და უსაქმური იყო ვინმე, რომელნიც სიტყვით ქვეყანას გადაბრუნებენ და საქმითკი ყველაზედ უკან იმაღლებიან, რაკი თოფი გავარდება, დიღ, საცა კი იმისავით კვეხნია და არაქნია და მბებზლარა იყო ჩვენს ჯარში, ყველა იმის მზეს ჰუიცავდა. საუბედუროდ ამ ვაჟბატონებს დიდი გავლენა ჰქონდათ თავიანთი ყვირილით და დაბეზლებით; მოლაპარაკე რომ გენახათ, დევგმირი გეგონებოდათ; მაგრამ ბრძოლის ველზედ კი იმისთანა ლაჩარნი იყვნენ, რომ ჩიტებისთვის ამართულ საფთხობელისა ეშინოდათ. მკონი ვანდელეები სულ იმასა ლოცულობდნენ, ნეტავი სულ ასეთები იყვნენ რესპუბლიკელებიო.

ერთი სიტყვით, ძალიან გადაგვიხადეს მეფის მომხრეებმა შორეს დამარცხება და მით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცეს, რომ გამარჯვება ჯარზედ კი არა, იმაზედ არის დამოკიდებული,



ვინა ჰყავს ჯარს წინამძღოლი—გენერალი თუ ვირი! რაკი გაიმარჯვეს, იფიქრეს ახლა კი ბოლო მოვუღეთ რესპუბლიკასაო და ნორმანდიაში გადავიდნენ, რომ იქ ინგლისელებს მიშველებოდნენ. მაგრამ ინგლისელი პიტტი უბრალოდ და თავისი ერის უსარგებლოდ ხელსაც არ გაანძრევდა: ტყუილად კი არ იძახიან ინგლისელები, ჩვენ პიტტისთანა სასარგებლო მინისტრი სხვა აღარავინ გვეყოლიაო. ის თავისი ერის გაძლიერებას ცდილობდა და მანამ ჩვენ ერთმანეთს ვებრძოდით, ის აქეთ-იქით ახალშენებს გვართმევდა და ინგლისელ სავაჭრო გემებს და ინგლისურ საქონელს გზავნიდა მთელი ქვეყნის ზღვებში. ნეტავი ჩვენ როდისღა გვეყოლება იმისთანა მინისტრი? დიად, რატომ? პიტტი დაეხმარებოდა ვანდელებს, ოლონდ სამაგიეროდ ერთერთს ჩვენს ნავთ-სადგურს თხოულობდა ლამანშის სრუტეში. მაგაზედ აღვილი რა არისო, თურმე შესძახეს ვანდელებმა და ქ. გრანვილს შემოართყეს ჯარები—ავილოთ და საფრანგეთის მტრებს მივცეთო.

გრანვილელებმა, რასაკვირველია, არ ინდომეს ინგლისელების ქვეშევრდომად ყოფნა და გაამაგრეს ქალაქი; რომ ნახეს ვანდელებმა, მოქალაქეთ ისე გაუმაგრებიათ ქალაქი, რომ მის აღება შეუძლებელიაო, თავად არტუას აცნობეს,—მოდი და დაგვეხმარე, შენთვის ვაქცევთ ამოდენ სისხლსაო! მაგრამ თავადი არტუა ძალიან ფრხილი კაცი ბრძანდებოდა, ეშინოდა იმ არეულობაში არა მომხვდეს—რაო და, ვანდელები კი არა, მთელი საფრანგეთიც რომ ამომწყდარიყო იმის გულისთვის, ის მაინც თავს არ აიტკივებდა, იდგნენ და ელოდნენ ვანდელები, ან ეხლა გამოჩნდება, ან ეხლაო! მაგრამ ამაოდ, არც სადმე თავადი არტუა მოჩანდა და არც მისგან გამოგზავნილი ჯარი.

დიდი ძალი ხალხი დახოცეს გრანვილის მიდამოში და რაკი დარწმუნდნენ, რომ ქალაქის აღება შეუძლებელი იყო, თავი დაანებეს იქაურობას. მე იქ არა ვყოფილვარ, მაგრამ კარგად ვიცი ეს ამბები, რადგან გრანვილის გარშემორტყმამ ისე ააშფოთა მთელი საფრანგეთი,—არა მარტო პატრიოტები,

არამედ ყოველი პატიოსანი მამულის შვილი, რომ დიდი და პატარა ამბუხედ-და ლაპარაკობდა. ნეტავი რა უფრო სამარცხვინოა: უცხოელების, სამშობლოს მოსისხლე მტრების შემოყვანა, თუ, როგორც თავადმა არტუამ იწევა, საწყალი ხალხის აჯანყება და მერე კი ღვთის ანაბარად მიტოვება?

ზღვის პირად რომ ეს ამბები ხდებოდა, ჩვენს ჯარში სულ სხვა გვარმა აღშფოთებამ იჩინა თავი: მთელმა ჯარმა იცოდა, რომ უკანასკნელი ჩვენი დამარცხება ლეშელის ბრალი იყო და სულ იმას გაიძახოდნენ, — არ გვინდა ლეშელი, ისევ ჩვენი ძველი გენერლები დაგვინიშნეთო! მღელვარება მაინცელ რაზმში დაიწყო პირველად, რომელიც კლებერს ნდომობდა თავის გენერლად. საერო კრების წარმომადგენლებს ისე ეშინოდათ გენერლების ლალატისა, ისე კარგად ახსოვდათ ლაჭაიეტის და დიუმურიეს საქციელი, რომ სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ არც ერთს გენერალს ჯარზედ გავლენა არ შეეძინა; ნახეს თუ არა, მაინცელი რაზმი და მასთან ერთად მთელი ჯარი კლებერის სახელს გაიძახისო, ვრცელი მოხსენება გაუგზავნეს კონვენტს. კონვენტმა ბრძანება გასცა, მაინცელი რაზმი დაიშალოს და ჯარის-კაცები სხვა-და-სხვა რაზმებში იქნენ გაფანტულიო.

ასე კი გაუქმდა ეს გმირი და სამშობლოს წინაშე დიდად დამსახურებული რაზმი. მიზეზი მის გაუქმებისა ის იყო, რომ გამარჯვებას იყო ჩვეული და სულით და გულით უყვარდა თავისი გმირი წინამძღოლები, რომელნიც ყოველთვის თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს დიდებისთვის.

ერთმა ლალატმა კიდევ იჩინა თავი იმ დროს და უფრო შეაფიქრიანა საერო კრებაც და ქვეყანაც; ნუარმუტიეს კუნძულზედ მყოფ ჯარის უფროსს ვილანდს ვანდელეებისათვის მიერთმია ციხის გასაღები და თავისი ხმალი... იმისთნა დრო დადგა, რომ ძმა-ძმას ველარ ენდობოდა და მამა შვილს; ისე ფრთხილობდა ყველა, რომ ერთი-ბეწვა, სულ მცირე იქვი კმაროდა, რომ კაცისთვის გილიოტინით თავი მოეგდებინებინათ.

ჯარი ისევ ანჟერისკენ გაისტუმრეს და იქ ხელახლად დააწყეს რაზმებად. მე ისევ არტილერიაში მოვექვეც აფიცერის ნაცვლად. მაგრამ იმოდენი ტანჯვა გამოვიარე უკანასკნელ დროს, იმოდენი შიმშილი და სიცივე—არც ტანისამოსი გვექონდა, არც ჯამაგირი გვეძლეოდა და ხშირად პურიც კი გვაკლდა—რომ ხელახლად ავად გავხდი და ისევ სისხლი ვაღებინე. ის იყო აფიცერის ნაცვლობა მიბოძეს და, არ გასულა სამი თუ ოთხი დღე, საავადმყოფოში კი მიმიყვანეს. ძველი ჭრილობა ეხლაც თავისას მიშვრებოდა და რაც მე სისხლი ვაღებინე, მიკვირს ცოცხალი როგორღა ვიყავ. ესეც არ მაკმარეს და სისხლი გამომიშვეს. ისე გავხდი, ისე, რომ სამარიდან ამოყვანილს დავემგზავსე და ცოცხალსა ვტიროდი ჩემს თავს:

— წასულია შენი საქმე, ჩემო მიხო! თუ შენი ქვეყნის ნახვა კიდევ გელირსა, ერთი კარგი კელაპტარი ნუ გშურს წმინდა გიორგის ხატისთვის.

ნოემბერი იყო. საშინელი ქარი ქროდა ზღვიდან და თან იმოდენ ღრუბლებს მოერეკებოდა, რომ განუწყვეტელივ წვიმდა დღე და ღამ და თუმცა საავადმყოფოები გატენილი იყო დაჭრილებით და ავადმყოფებით, თუმცა ჭირივით მეჯავრებოდა საკაცეების დანახვა, რომლითაც მიცვალებულს გაასვენებდნენ ხოლმე, თუმცა აქეთ იქით ხშირად ისმოდა:—ეჰ, ესეც მოკვდა, და ახლა ჩემი რიგიაო,—მაგრამ იმისთანა დარები იღვა, რომ ამას ყველაფერს გვაფიწყებდა და ცოტა არ იყოს მადლიერებიც ვიყავით ჩვენი ბედისა. თბილად და მაძლრად მაინც ვიყავით! საწყალი ჩვენი ამხანაგები, რომ შიშველ-ტიტველნი, მშვიერი მუცლით მიდიოდნენ საბრძოლველად, თორემ ჩვენ რა გვიჭირდა? გარდა ამისა გულს გვიხარებდა აგრეთვე გრანვილელების ვაჟკაცური ქცევა; ორმოც და ათი ათასი კაცი თურმე ერტყა ქალაქს გარშემო—კაცი, ქალი და ბავშვი—და რაკი ვერ აიღეს, დაერივნენ თურმე დამშეულნი არე-მარეს და, სხვა რომ აღარა ჰქონდათ—რა, ჰანტას და მაქალოს დაეძებდნენ ტყეში, ეხლა რომ მკითხოთ, აქ სასიამოვნო არა არის—რა, მაგრამ

მაშინ ვანდელების ბოროტების მეტი არა ვიცოდირა და მიხაროდა იმათი გაჭირება და უბედურება.

გრანვილიდან მოსულმა ჯარის-კაცებმა გვიამბეს,—იმისთანა საშინელი ყვანა სჭირთ ვანდელებს, რომ მუსრს ავლებს უბედურებსაო. მიდიან და იმოდენ მკვდრებს სტოვებენ გზაზედ, რომ ვისაც მათი დევნა უნდა, ვერსად დაემალებიანო. უმთავრეს მათ წინამძღოლებს, დიდებულ ბატონებს, გემები დაებარებინათ და ინგლისს გაქცევა ნებადართ. მაგრამ გაიგო ეს ამბავი სტოფლემ, ზღვის პირას დაუხვდა და შეუტია: თქვენგან და თქვენთვის აჯანყებულ ხალხს რაღას ეუბნევიო, ავრე არხეინად რომ მიბრძანდებით? აქ ბრძანდებოდეთ, ჩვენთან, თორემ იძულებული ვიქნები სხვა ღონისძიება ვიხმარო თქვენს წინააღმდეგაო დიად, სტოფლე რომ არა ყოფილიყო, გაპარვას აპირობდნენ ბრწყინვალე თავადები—სტალპონი, ოტიშანი და სხვანი. მაგრამ რა? დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ბოლო მაინც ეგ უნდა ყოფილიყო.

ამ დროს ხმა გავარდა, გენერალ როსინიოლს იმისთანა ალავს შეუმწყვდევია ვანდელები, რომ ერთი ველარ გადაურჩებაო. მაგრამ საქმე სულ სხვაფრივ დატრიალდა: რაკი ნახეს ვანდელებმა, რომ ეაქვაცური სიკვდილის მეტი აღარა რჩებოდათ—რა, იმისთანა მედგრად თურმე შემოუტოეს ჩვენს ჯარს, რომ დაამარცხეს, თითონ ანჟერისკენ წამოვიდნენ და ამბობდნენ, ხვალ ქალაქს მოადგებიანო.

წარმოიდგინეთ ჩვენი ყოფა! იმისთანა ზარის რეკვა ატყდა შთელ ქალაქში, იტყოდით აღდგომა ღამეაო. ანჟერში მყოფი ჯარის გენერალი დაქრილი იყო და ჯერაც არ შეჰკროდა ქრილობა. იმან და საერო კრების წარმომადგენლებმა ყოველი ღონისძიება მიიღეს, რომ ქალაქი გაემარებინათ. ვისაც სიარული შეგვეძლო და იარაღის ხმარება, გამოვედით საავათმყოფოდან და იარაღი ვითხოვეთ. ანჟერის აღება და მთელი ჩვენი ჯარის განადგურება ერთი იქნებოდა, რადგან ვანდელები ისევ თავიანთ ბუჩქნარში შეგვრეკდნენ და იქ, რასაკვირველია, ველარას ვუზამდით.



ეს ქრისტიანობისთვის ხუთს გახლდათ. გაეგოთ თუ არა გარეთა უბნელებს ვანდელების გამარჯვება, დაენებებინათ სახლ-კარისთვის თავი და რაც კი რამ ებადათ, ყველაფერს ქალაქში მოათრევდნენ: ვანდელებმა იციან, რასაც მოერევიან, წაიღებენ, რასაც არა და ცეცხლს წაუკიდებენო. მაშინ გამოჩნდა, რა თვალით უყურებდნენ მათ მოქალაქენი! დიდი და პატარა ჩვენა გვშველოდა ქალაქის გამაგრებას, ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი, ყველა ჩვენთან იყო და რითიც კი შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ. დიასახლისებს შინიდან შექამადი მოჰქონდათ ჯარის კაცებისთვის, რადგან ისე ვიყავით საქმეში გართული, რომ შიმშილიც აღარ გვაგონდებოდა. ციოდა, თოვლი იდო და ლუარს ყინული მოჰქონდა.

წამ და უწუმ მოდიოდა შიკრიკი და გვატყობინებდა მტერის მოახლოვებას. ამასთან ისიც ვიცოდით, რომ ჩვენს მოსაშველებლად ჩვენი ჯარიც მოდიოდა. თორმეტ საათზედ მოადგნენ ქალაქს, დიდი სროლაც აგვიტყეს, მაგრამ გაიგეს თუ არა, ჯარი მოღის ანჭრელების საშველადაო, აიყარნენ და თავს უშველეს.

მე კი სწორედ ამ გარემოებამ გამომაყენა: საერო კრების წარმომადგენლის ჭრანკატელის ბრძანებით ყველა მეციხოვნეს ახალი წაღები და ფარაჯები დაგვირიგეს. ღმერთი გამიწყრეს, თუ ჩემს დღეში მეგრძნოს იმისთანა სითბო, როგორიც მაშინ ვიგრძენ. უნდა გენახათ, რა შურის თვალით გვიყურებდნენ სხვა ჯარის-კაცნი!

ამასთან მარგალიტას წერილიც მივიღე! საავადმყოფოში მიველ ჩემი ბარგის წამოსაღებად; დიდ დარბაზში მეკარე იდგა და ყვიროდა—ამას და ამას წერილიო! მაგრამ სადღა იყვნენ უბედურები?! ოთხში ერთი-ღა თუ იყო ცოცხალი! რომ დაიძახა—მიხვილ ბასტიენს წერილიო!

— აქ გახლავარ-მეთქი, შეეძახე.

— ჯერ მოდი ჯვარი დასვი აქა! წერა იცი? მაშ ხელი მოაწერე.

ღმერთო ძლიერო! რა საშინელი დრო იყო ჩემთვის ეს სამი თვე! ისე ღლე არ გათენდებოდა, რომ პარაკლისი არ გადამეხადა ჩემი თავისთვის: „ვინ იცის ამ საღამოს ცოცხალი იქნები თუ არა ჩემო მიხო. ვინ იცის, სად წაგაქციოს ერთმა დაკარგულმა ტყვიამ და სად დაგფლან შენმა ამხანაგებმა. ისე დაგფლავენ, რომ ცრემლს არავინ დაგაფრქვევს ოხერ-ტიელს, არც მამა და არც შენი მარგალიტა! მაგრამ იქნება აღარც კი ახსოვხარ მარგალიტას, ჩემო მიხო! აგერ სამი თვეა, წიგნი აღარა მიგიღია-რა. განა რომ ახსოვდე, თავის ამბავს არ გაცნობებდა?“ დიად, ასე დაღონებულს რომ უცბად წიგნი მომცეს ხელში, კინაღამ ჭკუაზედ შევცდი. გიჟივით გავარდი გარედ, მინდოდა მიყრუებული ალაგი მეპოვნა საღმე, რომ იქ დამშვიდებით წამეკითხა წერილი. ბოლოს ბიძია ადამის დუქანში შევედი, სადაც ხშირად დავიარებოდით მე და ივანე სომი, ფანჯარასთან დავჯექ და ბეჭედს სინჯვა დავუწყე. თან ცრემლი მდიოდა. ფალსბურგიდან იყო, მაშ მარგალიტასია!... აბა გაგხსნათ!

რომ არა მრცხვენოდეს სიტყვა-სიტყვით გაგიმეორებდით მარგალიტას მონაწერ წერილს, მაგრამ ვაი თუ მასხარად ამიგდოთ: ხედავთ ამ გადაყრუებულ ბებერს, რა კარგად ახსოვს თავისი დანიშნულის აღერსია!

თითონ მარგალიტაც დამცინებდა, მერწმუნეთ.

მაშ თავი დაფანებოთ ამოებას სიყმაწვილისას და ისა ვთქვათ, რაც ქვეყნის საქმეს შეეხებოდა. მთელი ჩვენი სოფელი ჯარში გავიდა, —მწერდა მარგალიტა;—ნათლია შენი, ლეტუმიე, კოშარი, რაფიელ მანკი, ერთი სიტყვით, ყველა პატრიოტები შეიარაღდნენ და ელოჭ კოლენის წინამძღოლობით წავიდნენ ჯარში. სოფლებში ქალების და ბავშვების მეტი აღარავინ დარჩა; ეს გარემოება იმან გამოიწვია, რომ ჩვენი ჯარი დაშარცხდა ამას წინად და უკან დაიწია და მთელი ჩვენი მხარე ერთს ბანაკს-ლა წარმოადგენს და, ბრძოლა რომ ასტყდეს, ზარბაზნის ხმა ჩვენ სოფელში ავაო... ვინც კი შინა ვართ, დაჭრილთათვის ლოგინს და სარეცხს ვამზადებთ. ძველი გენერლები გადააყენეს და ჯა-



რის უფროსებად სულ ახალგაზდა, უბრალო ხალხის შვილები გამოგზავნეს. სახელდობრ გენერლები პეშეგრუ და ლაზარე ოში. დიდი ალტაცებით დაუხვდა ორივეს ხალხი. მოვიდნენ, ყველაფერი დაათვალიერეს და ერთი მათგანი აღზახს წავიდა, მეორე ლორენსაო.

ძალიან მასიამოვნა აგრეთვე იმ ამბავმაც, რომ შოველი ყოფილიყო ცოტახანს ჩვენში. საერო კრებას გაეგო, რომ სტრასბურგელი მამასახლისი და სხვა მოხელენი გერმანელებს უთმობენ ქალაქსაო, და მათ დასაქერად და ღირსეულად დასასჯელად თავისი წარმომადგენელნი გაგზავნა—სენეიუსტ, ლეზა, და შოველი. აღბად არაფრად ექაშნიკათ სტრასბურგელ მოხელეთ რესპუბლიკური წეს-წყობილება და თავისუფლებას დიდებული არისტოკრატების მოსამსახურება და პირფარეშობა ირჩიეს. ქალაქში ბევრი საბუთები აღმოჩნდა მოხელეთაგან ღალატისა. გარდა ამისა მათ სრულიად უყურადღებოდ ჰქონდათ ყველაფერი მიტოვებული—დარაჯი არსად იდგა, დაქრილები ღებოდნენ მოუფლევლობით საავთმყოფოში და სხვ. და სხვ. მამასახლისი და სხვა მოხელენი დაიჭირეს და ზოგი პარიზს გაისტუმრეს, ზოგი მეცს. მიუხედავად ამ სასტიკი სასჯელისა ჯერაც არ დამშვიდებულა ჩვენი მხარეო, იწერებოდა მარგალიტა და ყველგან რევოლიუციის მოწინააღმდეგე ბერები და მღვდლები დადიან და ხალხს რევენ; მაგრამ დღეს-ხვალ ყველას ლაგამს ამოვდებთ და მშვიდობას და სათნოებას დავამყარებთ ქვეყნადაო.

მეტი რა მინდოდა. ჩემი მარგალიტას ამბავი მომივიდა, მამიჩემისა და სტეფანესი, რომელსაც თურმე ისა ჰკლავდა, რომ ჯარში წასვლა და მტერთან შებრძოლება არ შეეძლო. დიად, რა მინდოდა მეტი? მგონი რომ კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავ? მაგრამ არა! ჩვენგან ნახევარ დღის სავალზედ ასი ათასი პრუსიელი მეგულებოდა; დარწმუნებული ვიყავ, რომ ფალსბურგს ზარბაზნის სროლით დაანგრევდნენ და დასწვავდნენ; ჩვენს სოფელს ააოხრებდნენ და, ვინც კი პატივსაცემი და გულთით საყვარელი მყავდა, ისე გაალატაკებდნენ, რომ ლუ-

კმა პურის ნატრულს გახდიდნენ. ამ ამბავმა ისე ჩამაშხამა მარგალიტას წერილის სიამოვნება, რომ სულ თავბედს ვიწყველიდი, რატომ მეც შინ არა ვარ, რომ ჩვენებურებთან ერთად შევება გერმანელებს და მათი სისხლით გადავღე-მეთქი.

ღიან, ძალიან დამალონა ამ წერილმა, მაგრამ ისე გერმანელების შემოსევა არ მეწყინა, როგორც ჩვენი ვალენტინის რეგენობა: ვალენტინი მქედლად ჩაწერილიყო თავადი კონდეს რაზმში და, რაკი გერმანელები აღზასში შესულიყვნენ, ნათლია-ჩემისთვის მიეწერა,—მზად იყავ, შენს ჩამოსახრობად დიდი ხანია მზად გვაქვს თოკია!... აქამდის მეცოდებოდა ვალენტინი—რა ქნას, ღმერთს ასე რეგვენად გაუჩენია და იმიტომ სჩადის ამდენ სისულელეს-მეთქი! მაგრამ ამ ამბავმა კი დამარწმუნა, რომ ბუნებრივ სისულელესთან ერთად ავი და ღრძო გულის კაციც ყოფილა. ძალიან თურმე გაბრაზდა ნათლია-ჩემი, და ჯარში იმიტომ უფრო ჩაეწერა, რომ თავის ძველ ქარგალს შეხვედროდა სადმე და ჭკუა ესწავლებინა.

ორი დღის შემდეგ ნანსიც წავართვით ვანდლებს, მაგრამ იმოდენი გვაწვალეს ამ ქალაქის აღებაზედ, იმოდენი ხალხი დაგვიხოცეს, ისე უდიერად, უღმერთოდ გვეკიდებოდნენ, რომ იტყოდით, ამას მხეცი თუ იზამს, თორემ ომიანობის წესრიგის მიმდევარი ადამიანი როგორ იკადრებსო?

ალბათ ათრობს სისხლი ადამიანს, რომ გამხეცებული აღარც ქრილობასა გრძნობს, აღარც შიმშილს. და ცოფიანი მგელივით სულ იქით მიიწევს, სადაც მეტი ხალხი ეგულება, რომ რაც შეიძლება მეტი სისხლი დაანთხიოს.

რომ მოგახსენოთ, ვინც გაქცევა ვერ მოახერხა და ქალაქში დაგვხვდა, არ დაგვიხოცნია-მეთქი, დიდი სიცრუეე მომივია! აგრეთვე სიცრუე მომივია, რომ მოგახსენოთ, არ დაგვიხოცნია ის დედა-კაცები, რომელნიც ქალაქში დაძრწოდნენ და საცა კი ჩვენ ჯარის-კაცს ნახავდნენ დაქრილს, უღმერთოდ აწვალვებდნენ და მერე ხოცდნენ. მართალია, მე და ჩემი ამხანაგები არა ვრეულვართ დედაკაცების და ბავშვების ქლექტაში, რადგან ბრძანება გვქონდა,—ზარბაზნები მზადა გქონდეთ, შეიძ-

ლება მოგვიბრუნდეს მტერიო! მაგრამ არტილერიის გარდა მთელი ჯარი დაერია ქალაქს და, რაკი ჩვენი ჯარის-კაცები დასახიჩრებული და წამებულნი ნახეს, გამხეცდნენ, ადამიანური ყოველივე დაიფიწყეს და... ღმერთმა ჩემი მტერიც ნუ შეასწროს იმისთანა დღეს! რას იზამთ? ომი ომია, ესე იგი სისხლი, კრემლი, ცეცხლი და ძარცვა. ვაი იმას, ვინც დაიწყებს ომს და შეტადრე სამშობლოს წინააღმდეგ! იმას მოეკითხება ყოველი ეს უბედურება და ის იქნება პასუხის-მგებელი ღვთისა და კაცობრიობის წინაშე.

გენერლებმა საყვირი დააკვრევინეს ჯარის დასაბრუნებლად. კლებერი, მარსო და კონვენტის წარმომადგენელნი პრიორი, ტიურო და ბურბოტი დაერივნენ ჯარს და ცდილობდნენ შეეყენებინათ როგორმე ხალხის ქლექა, მაგრამ ვიღას ესმოდა მათი სიტყვა? ასი ათასი კაცი მეტი მოგვიკლეს ვანდელებმა; აგერ ერთი წელიწადი სრულდებოდა, იმისთანა ტანჯვა-წვალებაში ვიყავით, რომ ჯოჯოხეთი გვენატრებოდა იმასთან შედარებით; იმ დროს, როდესაც პრუსიელები, ავსტრიელები, გერმანელები, იტალიელები, ესპანელები, ინგლისელები, ჰოლლანდიელები, ერთი სიტყვით, როდესაც მთელი ევროპა მოსდგომოდა საფრანგეთს და მისუსტებულ სამშობლოს ჯარები ეჭირებოდა, სწორედ იმ დროს ჩვენ ვანდეში უნდა ვყოფილიყავით და სწორედ იმათთან გვებრძოლა, ვინც იმ გაჭირებულ დროს მხარში უნდა გვდგომოდა საზოგადო მტრების ასალაგმავად. იმის მაგივრად რომ ჩვენთან ერთად შებრძოლებოდნენ ჩვენს დასამხობად ამხედრებულ ევროპას, ვანდელები უკანიდან ორმოს გვითხრიდნენ და თოფს გვესროდნენ... განა ამის შემდეგ უნდა გვისაყვედურებდეს ვინმე, რესპუბლიკელება ძალიან სასტიკად მოექცნენ ვანდელებსაო? ქული დასდე და სამართალია ჰკითხეო, ნათქვამია. ჩაიხედონ თავიანთ გულში და თითონვე დაინახავენ, რომ სიმართლე ჩვენკენ იყო და, მაშასადამე, კეთილსინილისიერად უნდა აგვესრულებინა ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ამ საშინელი დამარცხების შემდეგ ორი დღე იქვე დავრჩით ჯარის დასასვენებლად. ვესტერმანი კი გაქცეულთ გაეკიდა და

თუმცა დაჭრილი იყო და დეკემბერმა საშინელი ყინვა დაიჭირა, ფეხ-და-ფეხ მისდევდა და აუარებელ ხალხს უხოცდა. ლავალში რომ მისულიყვნენ, მათგანვე დახოცილი პატრიოტების ქვრივები წინ გადასდგომოდნენ და ვესტერმანის ცხენოსნებისკენ გაებრუნებინათ. სხვაგანაც იგივე ხდებოდა. ვანდელეები ყველგან უდიერად ეკიდებოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეთ და ახლა, როცა დაბრუნებულნი თავის შესაფარს ეძებდნენ, მათგანვე დახოცილთა ქვრივ-ობლები უხვდებოდნენ წინ და ვესტერმანის ჯარის დახმარებით ჯავრის ამოყრას ცდილობდნენ. ბრეტონში ხომ მთლად გლეხ-კაცობა მიემხრო ვესტერმანის ჯარს და ყველგან კომბლებით და ორ-თითებით უხვდებოდა გაქცეულებს:

— აქეთ ნუ მოდიხართ, თქვე თავ-ლაფ-დასხმულნო, თორემ ვაი თქვენი ბრალი! თქვენ ის არა ხართ, რომ ქრისტიან კაცს ყელსა სჭრიდით და თან მამაოჩვენოს გაიძახოდით?! გასწით აქედან, თქვე ღვთისა და კაცისაგან შეჩვენებულნო!

გაქცეულთა შორის ძალიან ბევრი იყვნენ დიდებული მებატონეები თავიანთი ცოლ-შვილით, ქალურად ჩაცმული ვანდელეების წინამძღოლები, საერო ტანსაცმელით მოკაზმული მღვდლები და ბერები, მინამ ესენი სოფელში შესვლას აპირობდნენ და სოფლები კომბლებით იგერებდნენ, წამოწოდათ ვესტერმანის ცხენოსნები და დაერეოდნენ ხმალ-ამოღებულნი.

ღმერთო დიდებულო, ამისთანას და ამაზედ უარესს სასჯელს ნუ მოაკლებ იმათ, ვინც სამშობლოს ღალატს განიდრახავს. შთააგონე, ღმერთო ძლიერო, რომ სამშობლოს მტერს და მოღალატეს კეთილი არა მოეღოს-რა და გამობილია და წაწყმედილი ამიერიდან უკუნისამდე!

ხუთი დღის შემდეგ ლუარის ნაპირს რომ გავედით, ვესტერმანის ჯარს დავეწიეთ. ამ ხნის განმავლობაში სულ თურმე გაქცეულთ სდევდნენ და იმოდენი განძი ეშოვათ, რომ გუდები სავსე ჰქონდათ ოქრო-ვერცხლით: ეს საყურებიო, ეს სამაჯურებიო, ეს კოვზები და თასებიო... ვინ მოსთვლის? ბეჭდებს მუქით იყოფდნენ და ცხვირსახოცს თუ არ აბრეშუმისას

აღარც კი კადრულობდნენ. წარმოიდგინეთ, რამდენი დიდებული უნდა დაღუპულიყო წყლის ზვირთებში, რომ ამოდენი სარჩო-საბადებელი ეშოვნათ ჩვენ ჯარის-კაცებს?

კონვენტის წარმომადგენლებმა ბურბოტმა და ტიურომ ძალიან ბევრი ძვირფასი ნივთი გამოიყიდეს ჯარის კაცებისაგან და საერო კრებას გაუგზავნეს. თვით ჯარის კაცებმაც, რაც კი ძვირფასი ეშოვნათ რამე, სრულიად უფასოდ მიართვეს კონვენტს, რესპუბლიკისათვის შემოგვიწირავსო. და უჭირდა კიდევ რესპუბლიკას, რადგან ყოველი მხრიდან მტერი მისდგომოდა და ფული კი არა ჰქონდა.

მაგრამ მგონი დრო იყოს, მეფის მომხრე დიდებული თავადიშვილების საქციელი აგიწეროთ, იმ დიდებული თავადიშვილებისა, რომელთაც აშალეს საწყალი ხალხი, იმდენი სისხლი დააქცევინეს და ბოლოს კი ღვთის ანაბარად მიატოვეს—ჯანაბას შენი თავიო! მერე ვინ შეირცხვინა ასე თავი? ისეთმა დიდებულმა, ბრწყინვალე გვარის შვილმა თავადებმა, როგორც არიან ანრი ლაროშეაკლენი, საბინო, ლავილბოაჟე, ლანჟერო და სხვანი და სხვანი, ბურჯნი და დედაბოძნი მეფის და სასულიერო წოდების მტარვალობისა. მართალია, ვანდელი გლეხკაცობა დამნაშავე და შემცოდე იყო როგორც საკუთარი ცოლ-შვილის, ისე სამშობლოს წინაშე, რომ გაჰბედა და იარაღით აღუდგა თავისავე ერს. ეს საქციელი არ შეშვენოდა არც პატიოსნებას ხალხისას, არც მის მამულისშვილობას! მაგრამ ვინ იქნება ხალხის სიძულვილით დაბრმავებული, რომ—შენი ბრალია, მარტო შენი, და მარტო შენა ხარ შემცოდეო,—უთხრას? საუკუნეთა განმავლობაში ისე ჰყავდათ ბატონს და მღვდელს დამონავებული გლეხი-კაცი, რომ განათლების სხივს კი არა, ნაპერწკალსაც კი არიღებდნენ მის გონებას—თუ გაიგო რამე, ასე ყურმოჭრილ ყმად აღარ გვემსახურებო. განა რომ სცოდნოდათ რამე, ვანდელები რესპუბლიკას ომს აუტეხდნენ? თუ კი ჯვარცმულმა შეუნდო თავის მტანჯველთ,—არ უწყიან, რასა იქმონენო, განა უბედურ ვანდელებს კი არ უნდა შეეფუნდოთ მათი საქციელი? შენდობის უღირსი თუ იყო

ვინმე, სწორედ ისინი იყვნენ, ვინც ხალხის უფიცობით ისარგებლა, გააბრძოლა და იარაღი ააღებინა; შენდობის უღირსნი სწორედ ის დიდებულნი და სულიერი მამანი იყვნენ, რომელთაც ისე ეძნელებოდათ საკუთარ უპირატესობათა დაკარგვა, რომ დააბრძოლეს იმოდენი ხალხი, კაენის ცოდვა ჩაადენინეს, და თანაც არწმუნებდნენ—ამას თვით ღვთის გულისთვის იზამთ და მით დაიმკვიდრებთ სასუფეველსა ღვთისასაო! ვანდებების აჯანყებაში დამნაშავენი მარტო ესენი იყვნენ და სასჯელიც მარტო მათ უნდა მიეღოთ, მაგრამ საქმით კი სულ სხვაფრივ გამოვიდა: თითონ განზედ გადგნენ და საწყალი ხალხი კი ბუზივით აჟღეტინეს ჩვენს ჯარებს. ამ დიდებულთ რომ ცოტადენი პატიოსნება ჰქონოდათ, უპატრონოდ კი არ მიატოვებდნენ იმოდენ ხალხს, რომელშიაც უმეტესი ნაწილი მოხუცებულები, ქალები და ბავშვები-და იყვნენ. არა, რაკი ნახეს, რომ ლუარის გასვლა შეუძლებელი იყო, რადგან საშინლად მოდიდებულნი იყვნენ წვიმებისაგან და ხიდი კი აღარსად ჰქონდათ, სწორედ ამ დიდებულთ უნდა გაეწირათ თავი, მოსულიყვნენ საერო კრების, ესე იგი საფრანგეთის ერის წარმომადგენლებთან და მოეხსენებინათ:

— ჩვენ ესა და ეს გახლავართ. ჩვენა ვართ დიდებული გვარის შთამომავალი მებატონენი და არ გვინდოდა თქვენს რესპუბლიკას დავმორჩილებოდით. ჩვენ გავიტაცეთ და ჩვენ ავშალეთ ეს უბედური ბრბო თქვენთან საბრძოლველად... მოვატყუეთ. დღეს თქვენა ხართ გამარჯვებულნი! დიდ სულოვანი ერის წარმომადგენლნი იმედი გვაქვს არ აპყვებით გულის წყრომას და შეუნდობთ ხალხს ამ დანაშაულს. თქვენც ხომ ხალხის შვილნი ხართ, ნუ დასჯით უფიცს. ჩვენ გვიკმარეთ დასასჯელად და მით გათავდეს ყველაფერი! ღმერთმა კეთილად მოახმაროს საფრანგეთს თავისი ახალი კანონები! ჩვენთვის კი ისიც კმარა, რომ ჩვენი სამშობლო ყოველთვის პატივისცემით მოიხსენიებდეს თავის შვილებს, რომლებმაც ყოველივე გასწირეს თავიანთ უპირატესობათა დასაცველად და ბოლოს სიცოცხლეს



არ დაიშურეს მათთვის მებრძოლი ჯარის განსაცდელიდან დასასხნელად.

განა ასე არ მოიქცევოდი, ჩემო მკითხველო? ჯარის-კაცი ხარ, ერთი საწყალი მუშა, თუ სოფლელი გლეხი-კაცი, სულერთია, შენც სულის ცხოვებასავით გენატრება ღის ნეტარი ღღე, როდესაც კანონის წინაშე ყველა გათანასწორებულ იქნება და უფრო მეტი პატიოსნება გაქვს და თავ-გან-წირვა, ვიდრე ღიდებულ მებატონეებს. დარწმუნებული ვარ, ასე მოიქცევოდი. ნეტარება სიცოცხლე კი არა, ნეტარება საკუთარი ვალდებულების პატიოსნად აღსრულება არის. მაშინ სიკვდილიც ტკბილია და ამ სიტკბოებას გლეხი კაცი უფრო მიჩვეულია, ვიდრე განცხრომით და ფუფუნებით გადაცეხული ღიდებულნი. მე ხომ ძალზედ მოხუცებული ვარ, ჩემი ხნის კაცს ფიცი აღარ უნდა, და ფფიცავ ყოვლად წმინდა სამებას, რომ ერთს წამს არ შევჩერდებოდი: თავს გავწირავდი და საწყალ ხალხს კი ვიხსნიდი.

ჰო და ყური დამიგდეთ! ჩვენ რომ წყლის პირს მივედით, შუა წყალში ნავი დავინახეთ, ერთად-ერთი ნავი, რადგან რესპუბლიკის მოხელეებს წინაღვე მიემალათ ყველა ნავები, რომ გამოქცეული ვანდელეები წყალს არ გავიდნენ და კვლავ თავიანთ ბუჩქნარში არ გაგვიმაგრდნენო. და ამ ერთად-ერთ ნავში ბრძანდებოდნენ გენერალისსიმუხსი ანრი დელაროშეაკლენი, სტოჭლე, საბინო, ლავილბოჟე, ვოჟირო, დელანჟერი და რამდენიმე კიდევ სხვანი, რომელთაც მოეტყუებინათ ხალხი; გაღმა თქვენ საშველად გამზადებული გემები დგანან... გავალთ და გამოვიყვანთო. ამას მეკი არ მოგახსენებთ, ამას თვით მეფის მომხრე მწერალნი ამბობენ თავიანთ წიგნებში. ღიად! თვით მეფის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ხალხის გასაყვანად საჭირო გემების საძებნელად გენერლებმა კაცი კი არ გაგზავნეს, ვინმე აუციკერი; არა, თითონვე წავიდნენ სულ ყველანი! საცინელი იქნებოდა, სამარცხვინო და სამწუხარო რომ არ იყოს, ამისთანა საბუთი თავის გასამართლებლად. მით უფრო, რომ, რაკი გაღმა გავიდნენ, აღარც ხალხი მოჰკონებიათ, აღარც

გემების გამოგზავნა და მარტო თავის შველას-ლა ცდილობდნენ. წავიდნენ თავისთვის, უკანაც აღარ მოუხედნიათ და სრულიად უპატრონოდ მიატოვეს საბრალო ხალხი, ისე რომ მას შემდეგ მათი ხსენებაც კი გაწყდა.

მე იმისთანა ალაგას ვიყავ, რომ ჩემი თვალით არ დამინახავს მიმავალი ნავი. მაგრამ მით უკეთესი, რომ ვერ დავინახე! ერთი-ათასად მეტად ამემღვრეოდა გული და სამაჩემდის აღარ მომასვენებდა იმ უღმერთოებისადმი ზიზღი და სიძულვილი.

გზა-დაბნეული ცხოვარით იდგნენ წყლისპირს უბედური ვანდელეები — ქალი, კაცი, მუხუცებული და ბავშვი; გაღმა მათს მფარველს ბუჩქნარს ხედავდნენ, მაგრამ თავგანწირულნი სიკვდილს-ლა ელოდნენ. უკანიდან ჯარი ადგათ; წინიდან, მდინარიდან ვანგებ მათ ამოსახოცად გამოგზავნილი სამხედრო გემები!... დაიწყო სროლა. მოეხვევოდნენ უბედურები ერთმანეთს და მშვიდობით! ახლა კი დავილუბეთო! — შესძახოდნენ თვალცრემლიანი.

რამდენი უბედურება ტრიალებს დედამიწაზედ!

ჩავეყთ იქიდან წყლის პირს და, საცა კი გაქცეულ ვანდელეებს მოვასწარი, ყველგან დავიმორჩილეთ. ტუშში, ნორში და ბლენში კარგი ომიც მოგვიხდა, რადგან გამაგრებული ჰქონდათ ციხეები. ბლენშივე ჩაბრძანდა გემში უბრწყინვალესი თავადი ტალმონი და იმასთან ერთად დონისსანი, დეზესსარი, პერელი, პირონი, როსტანი და ას ორმოც და ათი აფიცერი, მრავალი დიდებული ქალბატონები და თავს უშველეს. ტალმონი რამდენიმე დღის შემდეგ დაიჭირეს და მოკლეს; გილიოტინა სწორედ მის სასახლის წინ ააგეს და თავი იქ გააგდებინეს. ბრძოლის ველზედ მარტო გლენ-კაცები-ლა დსატოვეს დიდებულებმა და ამ გლენ-კაცებმა გაპარვას და მით თავის შერცხვენას ვაჟკაცური სიკვდილი ირჩიეს.

აგერ ორი კვირა სრულდებოდა, რაც უკან მივდევდით ვანდელეებს. ველარ გამოვლიეთ, იმდენნი იყვნენ. ფეხსაცმელი რომ

ალარავისა გვექონდა, თითქმის ფეხშიშველი მივდიოდით გაყინულ გზაზედ. ტანისამოსი ისე შემოგვებდღვნა, რომ ჯარს კი არა, ქუჩის მაწანწალებს უფრო ვგავდით. ყველას მოსვენება გვენატრებოდა და მით უფრო ვაშმაგებულნი ვდევნიდით გაქცეულთ.

ბოლოს ნანტსაც მივატანეთ. ნანტში ძალიან გამაგრებულიყო მტერი, რადგან ეს იყო იმის უკანასკნელი თავშესაფარი; თუ აქაც დავამარცხებდით, გავირეკდით და იმისთანა ქაობში ჩავრეკდით, რომ ცხენიან კაცსაც დაახრჩობდა. შემოვარტყით ქალაქს გარშემო ჯარი და სროლა დაეუწყეთ. საშინელი სიცივე იყო. წინ ცეცხლზედ ვიხუხებოდით და უკან ზურგი გვეყინებოდა.

შუალამისას გენერალმა კლებერმა დაგვხედა. თან ერთი ყმაწვილი კაცი ახლდა, აფიცერი; ჩამოგვიარა და გვკითხა:

— რამდენი სროლა გაქვთ, ბიჭებო?

— თითო ზარბაზანზედ თვრამეტი, ჩემო გენერალო, — მიუგეს ჩვენებმა.

— გაუფთხილდით, გაუფთხილდით, თორემ ხიშტის ხმარება მოგვინდება.

თან გაშტერებით გვსინჯავდა თავის ცხენიდან. რომ გვიცნო, პირს ღიმილი მოუვიდა:

— მგონი დღესაც ისე ჰყინავს, როგორც შარშან მაინცში, ჰა ბიჭებო?

— დიაღ, ჩემო გენერალო, — მიუგო სომმა, — მაინცში ციოდა, მაგრამ საქმეში მაინც გახლდით. კასელის ციხეს რომ ვამაგრებდით, ხვითქით გვდიოდა ოფლი.

კლებერმა ხელთათმანი მოიხსნა და ხელი ჩამოართვა ივანეს:

— ცოტა კიდევ, ბიჭებო, ცოტა კიდევ მოითმინეთ: ჩვენი გამარჯვება და აღამიანის უფლებათა დამყარება ერთი იქნება.

იმისთანა მხიარული კილოთი გვითხრა ეს სიტყვები და ისეთი იმედინად გადმოგვხედა, რომ ერთად შევძახეთ ყველამ:

— რესპუბლიკას გაუმარჯოს!

ის კი წავიდა და მთელი ღამე ისე დაუსვენებლივ უვლიდა ჩვენს ჯარებს და დარაჯებს.

(შემდეგი იქნება)



# მური კვირა მთაში

(მგზავრის შენიშვნები)

IV\*)

## სოფელი შატალი

13-ს ივნისს.

სოფ. შატალი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, შატალის ციხე მდებარეობს მდ. არგუნის მარცხენა ნაპირზე, მდ. ვიკილის და არგუნის შუა წამოწოლილს ბატეხის მთის სიბნელეებში. ციხე სიმაღლით იქნება ესე ოცდაათ საუენამდე; ირგვლივ კი ას საუენამდე. ციხე უარესავით ნაკები სიბნელეებშია ადრეადაც. მართალია, კირი-ქვიშა-ტალახი არ აქვს ნახმარი, მაგრამ სიმაგრით ციხე ძლიერ მაგრად არის ნაშენი. ამ ციხეში მოსახლეობას ამხელს აღმოსავლეთის მხრივ დატანებული, ძირიდაშვე მყოფლებული ერთი მეკამურის ბანი და მეორეს კალო. ეს ბან-კალოები, უკველია, უწინ შიშინების დროს ციხეს არ ექნებოდა დატანებული. ციხეს მისავალი მხოლოდ ორი გზა აქვს, ერთი სამხრეთიდან და მეორე აღმოსავლეთიდან. ჩრდილოეთის მხრივ ციხეს ერთობლივ მთლიანი კედელი აქვს. დასავლეთით კი მთა, რომელზედაც არის თვით ციხე მიდგმული. ციხიდან უკანასკნელს დროს მხოლოდ ორი კომლი გამოსულა და იქვე მახლობლად არგუნის ნაპირზე, უარე ნადებ სახლში მოთავსებულია; დანარჩენი ორმოცდა რვა კომლი კი თვის ცხვარ-საქონლით ციხეშია მოთავსებული. შატალი, როგორც კარი ზირაქეთ ხევსურეთისა, თვის დროზე დიდს სამსახურს უწევდა ზირაქეთ ხევსურებს

\*) იხ. „მოამბე“ № VI.

და მასთან ერთად დანარჩენ მთის მცხოვრებთ. არა ერთხელ და ორ-ჯერ შატილს უკუ უქცევია ზირაქეთ მომავალი დადისტნის დაშქარი. უკანასკნელს დროს შამილის დაშქართან ბრძოლაში 1843 წელს სომ მართლა და თავი იჩინა შატილმა, რის ჯილდოდ კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით სასელმწიფო ხარჯზე შატილელებს 1849 წელს ეკლესია აუშენეს.

ამას თვით ეპკლესიის შესავალი კარების თავზე დატანებული ქვაზე წარწერაც ჰქონდა. აი თვით წარწერა: „ეუმაღლესი ბრძანებით ჯილდოთ შატილელებს დამარცხებისათვის ახვერდი მანჭმედისა და მისთა შერილთა ჯართასა. ჩემც წელსა. აშენებული არს ჩემთ წელსა განკარგულებითა კნიაზისა ნამესტნიკისა.\*) მხოლოდ... არა გვგონია ნამესტნიკის სურვილით შატილის დაჯილდოვება ამ მეტად საცოდავი ქონით უოფილიყო. მეტი უბრალო შეუსხვადავი ქონია ეპკლესიის შენობა .. ვინ იცის, ამ ქონის აშენება რა დაუჯდა ხაზინას!.. კიდევ კარგი, რომ ეპკლესიის შინაგანი მოწუთბილობა მაინცარი ჯეროვანი იყოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეპკლესიის შინაგანი ავლადიდება გარეგანს მის სიმშენიერეს არაფრით ჩამოურჩება... მაგრამ წარსულს რას მოგეწევით. სჯობს შატილელებს დაუგდოთ უური და მოვისმინოთ ამბავი იმ ომისა, რომლის ჯილდოდაც მათ ეპკლესია აუშენეს.

ქისტეთში შემოსული ჯარი საქართველოსაკენ აზირობდა გალასქრებას. შამილს წარმოეგზავნა რამდენიმე კაცი შატილელებთან: გზა მოგვეცით უომრად და ზირობას გაძლევეთ, არც საზაოს რასმე გამოგართმევეთ, არც ხარკს ავიღებთ და ყველაფერში თავისუფლობას მოგცემთ.

შატილელებს გამოგზავნილი კაცების ზირით შეეთვალათ შამილისათვის, რომ ჩვენ სალოცავს და ჩვენ მოძმე ქრისტიანთ უკანასკნელს გადევამდე (დახოცამდე) ვერ ვუდალატებთ და თავ-ცოცხალნი ჩვენს გზაზე ურჯულად ჯარს არ გავატარებთ.

\*) წარწერა რუსულადაც არის: „По Высочайшему повелѣнiю. Въ награду Шатильцамъ за поражение Ахверди Магомеда и скопницы его 1843 году. Выстроено по приказанiю Намѣстника Кавказскаго въ 1849 году“.

შატოლელთა ურჩობით გაჰფრებულს შამილს ერთი საუკეთესო თავისი სარდალის ახვერდი მამუდის წინამძღვლობით შატოლის დასაზღვრობად ჯარი გამოეგზავნა.

ქისტთიდან დილით წამოსული ჯარი შუა-ღმის ხანს სამი მხრით შემოსევიან შატოლს: ერთი არგუნის ხეობით, მეორე ბატეხის თავით და მესამეც ვიკილის ხეობით.

შატოლელები თავიანთ ციხეში გამაგრებულნი დახვდნენ მტრის ჯარს. შიშელი დღე გასურებულმა ბრძოლამ დამეც გასტანა. დამე შატოლელებმა ციხიდან რკინის საკიდებლებზე შეკრული თიგვის ეუნჭები ჩამოუშვეს. ეუნჭებზე ერბოს ასხამდნენ და უკიდებდნენ, რა არის მტერს დამის წვედით არ ესარგებლნა და ციხესათვის ცეცხლი არ მოეკიდებინა. მტერს მაინც ციხესათვის ორ ალაგს მოეკიდებინა ცეცხლი, მაგრამ ორივე ალაგს შატოლელთ ცეცხლი მალე ჩაქრათ და ციხესთან მოსული მტერი უკუ ექცევნათ. შუა დამისას ახვერდის ზავის ჩამოკდებაზე დაქწოთ ლაზარაკი ციხეში მყოფ შატოლელებთან. მოსარიგებლად ციხიდან შატოლელთ ნაიბთან ოთხი კაცი გამოეგზავნათ, მაგრამ ვერ მორიგებულაფუნენ და უკანვე ციხეში დაბრუნებულაფუნენ. ციხეში დაბრუნებულნი ხვესურთაკანი ახვერდის ჯარს ორი დაეჭირა ტყვედ. ერთი უკანვე გამოჰმარგოდათ და მეორე კი მოკლათ. ეს ამბავი ციხეში მყოფთ რომ შეიტყეს, საშინლად აღელდნენ თურმე, გათენებისას გაათრებულნი ციხიდან გამოვიდნენ და ხმალ-და-ხმალ შეერივნენ მტრის ჯარს. ზირველსავე შეტაკების დროს მტრის ჯარის სარდალი ახვერდი მოჰკლეს შატოლელებმა. სარდალის სიკვდილმა მტრის ჯარს თავზარი დასცა და უკუ აქცია. უკუ ქრულს შამილის ჯარს ქისტთის საზღვრამდე სდიეს შატოლელებმა. გამარჯვებული შატოლელები კარგა ბლამა ნადავლით და მტრის ჯარის კაცთა მარჯვენა ხელებით (თათი) სადამო ხანხედ-და დაბრუნდნენ უკან. მტრის ჯარის კაცთა ხელები შატოლელებმა ციხის კედელს რამდენიმე რიგად მიაკრეს. ამ ომის შემდეგ შატოლზე შამილის ჯარს აღარ გაუბედნია წამოსვლა.

მაშინდელი ციხის კედელზე მიკრული მტრის ჯარის კაცთა ხელებიდან დღეს შატოლის კედელზე ერთი-და-მეორე მიკრული ოთხი

ხელი შარშან-წინ გრაფინია უვაროვისას აქეთ მოგზაურობის დროს წაუღია. დანარჩენი ბავშვებს ჩამოუყრიათ და გაუფუჭებიათ.

აი, ამ გამარჯვების ჟილდოდ აქვს შატბილებს სსხელმწიფო ხარჯზე ატებული ეპკლესია...

სხენებუელი ომის კვალი დღესაც ეტეობა შატბის ციხეს. იმას გარდა რომ სსხათურებიდან აკარდნაღი ბოლისაგან ციხე მთლად შეობლიდა, ციხის ორი კუთხე აღმოსავლეთ-სამხრეთისა და დასავლეთ-სამხრეთისა, იქ, სდაც ლეკის ჯარს ციხისათვის ტეცხლი წაუკიდებია, ჩამონგრეულია. აღმოსავლეთ-სამხრეთის ჩამონგრეულ კუთხეში თან მოჭყლიდა ის ოთახი, რომელშიაც ბატონიშვილს ალექსანდრეს 1800—1801 წლების ზამთარი გაუტარებია.

1800 წელს 17-ს ნოემბერს ივრის ხეობაზე ბრძოლის შემდეგ დამარცხებული ბატონიშვილი ალექსანდრე სზარსეთში გაიქცა და გზად ხევსურეთზე გამოიარა. ზამთარი აქ შატბში გაუტარებია და გაზაფხულზე გზების გასნის უმაღ აქედან მთით ზაქათალის ოლქზე გაუღია და გასულა სზარსეთში. როგორ, რა გზით, მოჭხვდა ივრის ხეობიდან ხევსურეთში ბატონიშვილი, ამაზე აი რა მიაშბო სოფ. ზემო-თიანეთში მცხოვრებმა ას ათი წლის მოხუცმა ზეტრე იარაჯულმა (ზარიძემ).

«ივრის ხეობაზე დამარცხებული ბატონიშვილი ალექსანდრე აქეთ თვის ძმის ბატონიშვილის ვახტანგის ლაშქართან გადმოვიდა. ბატონიშვილი ვახტანგი მთიულეთის ჯარით მიდიოდა ტფილისის იმავე აზრით, რა აზრითაც შემოსეოდა ბატონიშვილი ალექსანდრე-მდ. არაგვის ხეობაზე უდლისში 1800 წლის დეკემბრის ზირველს რიცხვებში ბატონიშვილი ვახტანგი თავის ჯარით შეება რუსის ჯარს. ამ ბრძოლაში ბატონიშვილი ალექსანდრე იღებდა მონაწილეობას. დამარცხებული ბატონიშვილები მთებს შეეზიზნენ. ვახტანგი მთიულეთში გადავიდა და ალექსანდრე კი ხევსურეთისაკენ წავიდა.»

ისტორიულად რამდენად მართალია ეს ამბავი, ეს ჩვენზე უკედ ჩვენი ისტორიის მცოდნესათვის მიგვიჩნვია. თუმცა კი არ შეიძლება ამ გარემოებას ბატონიშვილ ალექსანდრეს შატბში გადასვლასთან დამოკიდებულება არა ჰქონდეს, თორემ ივრის ხეობიდან უმიზეზოდ-უსაგნოდ ხევსურეთისაკენ წამოსვლა სწორედ რომ გაუგებარია.





რომ ბატონიშვილს აღექსნდრეს 1800—1801 წ. ზამთარი შატოლში გაუტარებია, ამას ჰუმბოლტის მის მიერ შატოლელ ხევსურის განაშვილის სახელობაზე ბოძებული სიგელი. სიგელი დღესაც აქვსთ სუფთად და უვნებლად შენახული განაშვილის შვილებს. აი მისი შირი:

ქ. ჩვენ ს'დ საქართველოს მეფის ძემ აღექსნდრე. ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ განაშვილს განას და შვილსა შენსა ბათიკას და აბულეთს. ასე რომ ჩვენა ხევსურეთს შადილს უოფაში დიდად ერთგულად გვემსახურე ამისთვის ჩვენცა ეს წყალობის წერილი გიბოძეთ ღთით ჩვენს ქვეყანაში რომ მოსვლა გვედირსება მაშინ სამი დიტრას გატკეუბულს სზილენძს ეოგელს წელიწადს გიბოძეთ და ხუთს ტანს ფარათას და ჩვენს საზრძანებელში ეოგელგან გვეკებოდეს ქართლში, კახეთში და ქალაქში რჯულიანში და ურჯულში რომ ვერაფერს დაგიშალეს და ვერც არაფერს გისაუგედურეს და არც შენის საფარს ბაჟი გეთხრებოდეს გქონდეს და ღთით ჩვენს ერთგულობაში მოგახმაროს თებერვალს კვ ბეჟდრი.

სიგელი ლურჯ ქაღალდზედ მშვენიერი რკვალის ხელით არის დაწერილი. ბეჭედი ოთხკუთხია, რომელზედაც მშვენიურად ეოფილა ამოჭრილი «აღექსნდრე».



ადგილ-მდებარეობა შატოლისა ნათლად ჰუმბოლტის, რომ საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის მთის მცხოვრებთა დაწინაურებამდე მას მოსვენება არ უნდა ჰქონოდა მთიელ მეზობელ მამულებსა, ჩენებისა და ქისტებისაგან. დღესაც რომ არ ასვენებენ მათ მეზობელი ქისტები, უწინ, რაღა თქმა უნდა, უფრო ძლიერი იქნებოდა ურთიერთის დევნა. ამისდა მიუხედავად, შატოლელი და საზოგადოდ ზირიქითი ხევსური მეტად განირჩევა კარგადი შეხედულობით და ჩანა-დახურვითაც კი ზირიქეთ ხევსურისაგან. ზირიქით ხევსური უფრო მამაცურად, ვაჟკაცურად გამოიყურება, მას უფრო ძლიერ ეტყობა თვის ირგვლივი ამაყი, ძალგანი ბუნების ზედგაფლენა. იგი დვიძლი შვილია თვის დაიდი ბუნებისა. თითქო შატორიალური მხრითაც ზირიქით ხევსური უფრო მადლა სდგას ზირიქეთ ხევსურზე, თუმცა სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილი, თუ ნაკლე-

ბი არა, მეტი არა აქვთ ზირიქით ხევისურებს. ზირიქით ხევისურეთის უკეთესი უფოფა-ცხორება იმითი აიხსნება, რომ მათ მეზობლად კავკავისა და გროზნის ოფქები უძვეთ, სადაც ხშირი მისვლა-მისვლა და აღებ-მიცემობა აქვთ. ეს მუდმივი მიმოსვლა და აღებ-მიცემობაა მიზეზი, რომ ზირიქით ხევისურს უფრო მეტი სიცხორველ-მოსორბა ეტყობა. ზირაქეთ ხევისურეთი უფრო მონვევეტილია რიგან ბაზარსაც და ხაღსთა ცხორებასთანაც. ზირაქეთ ხევისური, თუ გავა სადმე ისევ მეზობელ ფშავლებში. სულ უკანასკნელ დროს ზირაქეთ ხევისურებმაც იწვეს ტფილისსა, კახეთსა და სხვაგან კასვლა სავტროსამუშაოდ, თორემ წინად თავის მთებში იფუნენ შვეკტიდნი. ზირიქით ხევისურების ერთურთის მისაღმებაც კი კანსაკუთრებულა. გზათ მიმავალს შესვედრილი ხევისური კაკიმარჯოს მაგიერ ეუბნება: «გზა მშვიდობისა», «ხელმოკომართოს». მოსულს ხევისური მიქსაღმებს ხოლმე შემდეგის სიტყვებით: «მხვედ მშვიდობით?» ამგვარი საღამის მიზეზი, რასაკვირველია, მკზავრობის უფილი არა უხიფათობა-უშიშრობაა.

როგორც უკვე მოვიხსენიე, ზირიქით ხევისურებს აღებ-მიცემობა მეზობელ კავკავისა და გროზნის ოფქების მცხორებთანა აქვთ. სახნავ-სათვისის სიმცირის კამო ზირიქით ხევისურეთში ძნელად მოიზოვება ოჯახი, რომ წლის-წლობაშდე საკმაო ჰური და სულადი მოსდიოდეს. ეველანი უფელ წლივ ჰურს, ქერს და სხვა საოჯახო საგან-ნავთს ზემოხსენებულ ოფქებში ეიდულობენ. თვითონ კი კასასუიდად კააქეთ ერბო, ეველი, მატული და ცხვარი. სავტროდ მიმოსვლას ხევისურები, რიგან გზების უქონლობის კამო, უფრო ზაფხულობით ასერხებენ. სწორედ ამიტომ ზაფხულობით თითქმის უფელ დღე შესვლებით ჯორ-ცხენებით ბაზარში მიმავალ ხევისურებს.

რომ ჰკითხოთ, თუ საით მიდიან, ეველასკან ერთს ზასუსს მიიღებთ: «ზურობაზე...» ამ ზასუსში იხატება ეველათერი. მან თვის სავტრო უნდა ჰურზე ან ქერზე კაცვალოს, ან არა და ფულად კაჭვიდოს და აღებული ფულით იეიდოს ოჯახისათვის საჭირო სულადი და სხვა სავტრო.

ამ ვაჭრობის ავ-კარგიანობაზეა დამოკიდებული, როგორც ზამთრისათვის საოჯახო თავდარიგის დაჭერა, აგრეთვე სხვა საოჯახო კარეშე ხარჯის ზირნათლად კასტუმრება.

რად საკვირველია, რომ ამ ერთადერთი ცნობებითი წყაროს რაიმე მიზეზით შეუერხება დიდ საგრძნობელ ზიანს მისცემს ისე-დაც ბუნების სისასტიკისაგან მატერიალურის მხრივ დაბეზავებულს ხალხს.

სწორედ ამიტომ დღესაც გაუგებარი დარჩა ჩემთვის ზიანიანი ხეესურთა ჩივილი.

მატილში მისვლისთანავე ჩვენთან მეოთხე ადგილობრივ ბოქაულს ხალხმა ერთობილად შესჩიულა, რომ თიანეთის მაზრისა და გრძობა-კავკასიის ოლქების საზღვრებზე დაუენებული უარულები სხენებულ ოლქებში არ გვიშვებენ. გასასუიდად წადებულ ერბო-უველს გვართმევენ და ხელცარიელს უკანვე გვაბრუნებენ. შესჩიულეს და თანვე სთხოვეს, გვიშვალეთ რაზე, თორემ აუცილებელ შიშშიდს რომ რეგორმე თავი დავაღწიოთ, სახელმწიფო და სხვა ხარჯს ვერ გადავიხდით. ან საიდან ვიშოვოთ ფული, თუ ერბო-უველის გაუიდვის ნება არ მოგვუცემია.

რად უშლიან საზღვარზე დაუენებული დარაჯები ხეესურებს და საზოგადოდ თიანეთის მაზრის შთის მცნობრებთ (რეგორც შემდეგ უკვირებ, ასეთსავე ეოფაში არიან თუშები და თიანეთის მაზრის ქისტებიც) სავაჭროდ ვუელ-ერბოს გატანას?

მართალია, დარაჯები ზაფხულობით იმ აზრით არიან დაუენებულნი, რომ თიანეთის მაზრიდან და საზოგადოდ ამიერ-კავკასიიდან ჩრდილო-კავკასიაში საქონლის ჭირი არ იქმნას გადატანილი, მაგრამ ერბო-უველს თუ ჭირის გადამტან საქონელ-ნივთ შორის სიაში მოაქტევენ, სწორედ არ ვიცნოდით და არც გვეცნა. ვთქვათ, რქე ავადმეოფი საქონლისაა, ნუ თუ აღუდების შემდეგ რქეში რაიმე ავადმეოფობის თესლი ცნცხალი-და დარჩება? ჩვენ კი არა გვეცნია-და... უკველია, დარაჯებმა უკედ იციან, თორემ კარგად ნადუდი რძიდან გაკეთებულ ერბო-უველის გატანას რად დაუშლიდნენ ხალხს?..

ბეითალი მაინც არის ახლო ჰეავდეთ ხეესურებს, იმის შემწობით მაინც არის გაატარებდნენ... მაგრამ მთელს მაზრას ერთი ბეითალი რას უზამს? ხეესურეთს, ქისტეთს, თუშეთს, თუ თვით თიანეთის მაზრის ბარს უგდას უერა?

ასეა თუ ისე, დღეს ხალხი ამ გარემოებისაგან ძლიერ არის შეწუხებული. თუ არა ერობ-ეველის გაუიდეა, სხვა სახსარი არა მოეპოვება-რა და, თუ ესეც შეეკრათ და აღეკრძალათ, მოციქულობა არ უნდა, რომ ხალხი მომავალ წამთარს შიმშილის და უკიდურეს ეოფას ვერ ასცდება.

თუშები კიდევ შემოდგომასე კასეთში ჩამოვლენ და გაასადებენ თავიანთ ერობ-ეველს, მაგრამ რა უნდა ქნას ზირიქით ხევისურმა? სად იაროს ზირაქეთ? სიშორეც რომ არა ვთქვათ, ზაფხულობით ზირაქეთ ერობს გადმოტანა ეოვლად შეუძლებელია და შემოდგომობით ხომ ზირაქეთკენ გზებია მალე ეუჭდება და მალეც იკვრება. მოდი და ნუ იტყვი, რომ სწორედ ხსენებულ დარაჯებსა და მათ ეუფროსებუკა ნათქვამი: «გადაჭარბებული სიფრთხილე აუტკივარს თავსაც კი აატკივებს.»

▼

## სოფ. შატალიდან სოფ. მუზომდე

14-ს ივნისს.

ის-ის ეო საშეზავროდ დაეეშადაენით, რომ სოფელ გუროელი (შატალის საზოგადოებაშია) შეიარაღებული ხევისური ბოქაულთან მოიჭრა და გამოუცხადა: წუხელის საძოვრიდან ქისტებმა ერთი ცხენი და ერთი ჯარი დამტაცეს; კვალს გამოვეე და მიტხრზე მივეეგართო. ბოქაულმა სწრაფ ხევისურს მიტხოს (აწინდელი სახანოს) საზოგადოების მამასხლისის სასელობასე ბრძანება მისცა და გაისტუმრა.

მეორე დღეს შევიტყეთ, რომ ხევისური თავის ცხენ-ჯარის ქურდებს სოფ. მუზოს მახლობელს ტყეში წამოსწეოდა; ქისტებს მღვდრის შიშით ცხენი და ჯარი ტყეში გაეშვათ და გაქცეულიყვნენ.

არა ხშირია აქეთ ქისტებისაგან ქურდობა, მაგრამ ეუფრო მომეტებულს დანაკარკს ზატრონი ძნელად ჰკარგავს, თუ დროზე გაჰყვას კვალ-და-კვალ ქურდებს. მართალია, ქისტები მოუსვენარი, ქურდი ხალხია, მაგრამ ქურდობის უხართან გამბედაობა და ვაჟკაცობა აელიათ, მაგრამ ამასე ქვეით.

ქისტებისაკენ გამგზავრებული ისე ვერ გავშორდები ხვესურეთს, რომ მათ ცხოვრებაში ერთი დიხს შესანიშნავი მრავლენა არ აღვნიშნა.

ზირიქით ხვესური ეოველს თავის საქმეს შინაურულად კარედ გაუტანულად არიგ-წესებს. კარგა ხანია, რაც, როგორც სხვა საქართველს ნაწილებში, თიანეთის მაზრაშიაც დაწესდა ადგილობრივი სასამართლო და სამაზრო სამმართველო, მაგრამ დღემდის ზირიქით ხვესური ძლიერ შორსა სდგას და არ ეკარება სახელმწიფო დაწესებულებას. სამაზრო სამმართველს მოხელეთ (მაგ. ადგილობრივ ბოქაულს) კიდევ იცნობენ ზირიქით ხვესურები. მის იქ ეოფნაში მიჭმართავენ კიდევ ხოლმე სხვა-და-სხვა სასოფლო საქმეების გამო, მაგრამ სასამართლო და სხვა დაწესებულების კარების მინახვიც კი, გაბედვით ვიტყვი, მთელს ზირიქით ხვესურეთში სანთლით საქებნელია. ესენი თავისებურად, ძველებურად სასამართლებენ არამთუ ერთურთის შორის ატეხილ დავა-საქმეს, არამედ მათ მეზობელ ქისტებ შორის სადავო საქმეებსაც კი აქ ეოვლად შეუძლებელია შინაურულად ამოწმებული მოსამართლეთა კარდაწვეტილებებზე უმაღლეს მთავრობასთან საჩივრის გადატანა! მართალია, ზირიქით ხვესურების ასეთ ზნეს სასამართლო დაწესებულებათა სიშორით ხსნიან, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს შემდგარი ახსნაა. ზირიქით ხვესური ბუნებით შეუწიკლავია! ტუეილს, სიეროთ გაძვრენ-გამოძვრენს არ იტვირთებს; თუ მტუენია, ქედს მოხრის და უსიტეოდ-ასრულეს თავისვე ამოწმულ მოსამართლის განაჩენს.

ადგილობრივმა ბოქაულმა მითხრა, რომ აკერ მეთორმეტე წელიწადია აქა ვარ ბოქაულად და არ მახსოვს ზირიქით ხვესურეთში რაიმე-საქმე მიწერ-მოწერა მქონოდეს, კარდა ჭარის-კაცთა მოწმობების დარიგებისა და ჭარის-კაცთა გასაწვევ ახალგაზღვართა სიების შედგენისაო. სახელმწიფო კარდასახადიც კი ხალხს ეოველ-წლივ შემოდგომით უნაკლულად შეაქეთო. ზირიქით და საზოგადოდ ხვესურნი კომლზე სახელმწიფო ხარჯს წელიწადში 2 მან. იხდიან.

მაგრამაო, დასძინა ბოქაულმა, საკვირველია ერთი კარემოება. აკერ ათი წელიწადია, რაც საქართველოში ჭარის კაცის მოკრეუვა განწესდა და დღემდის სოფ. შატლიდან არც ერთი ჭარის კაციც

არ გასულა. მართალია, ხსენებულს სოფლიდან არა ერთი და ორი ახალგაზდაა ხოლმე ჯარში გასაწვევი, მაგრამ ეველას უგებულად ან ზირველი ან მეორე ხარისხის შეღავათი აქვთ ხოლმე უცილებელად.

რითი აიხსნება ეს? რასაკვირველია, არა განკებ ხევესურთა ეშმაკობით და სხვა რაიმე მოხერხებით—ვითომდა ჯარში გასვლას თავი დაუხსნიოთ. არა! იმით რომ საზოგადოდ ხევესურებს და უფრო კი ზირიქით ხევესურებს ძლიერ იშეიათად რომ ვაჟი-შვილი ორი და სამი ჭეკადეთ. უფრო მომეტებული ერთად-ერთი ვაჟი-შვილი ჭეკავთ. ერთი ვაჟი-შვილის უოლა კი უცილობულ საჭიროდაა აქ მიხნეული. რამდენად ძლიერა აქ ერთი ვაჟი-შვილის უოლა, ამას ის გარემოებაც კი ამტკიცებს, რომ თუ ხევესურს კანონიერ ცოლთან რამდენიმე წლის განმავლობაში ვაჟი არ ეუოლა, უგებულად მეორე უკანონო ცოლი მოჭეავს.

რამდენსამე ხევესურს ვკითხე ხასის უოლის მიზეზი და ეველამ ზემოხსენებული მიზეზი დაასხელა. საკვირველი კიდევ ის არის, რომ კანონიერი ცოლი სრულიად არ იმხნევს თავის სახლში ხასის უოტნას და მანც თავის ოჯახში ტკბილად სცხოვრობს.

სოფ. შატლიდან გზა ჩრდილოეთისაკენ მდ. არგუნის მარჯვენა ნაპირზე მიდის. სოფლიდან ესე ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე არის ზირიქით ხევესურთა ძლიერი სალოცავი ანატორა. ეს სალოცავია ზირიქით ხევესურეთის საზღვარი. სალოცავთან გზა მდ. არგუნის მარცხენა ნაპირზე გადადის. აქედან იწეება ქისტების სოფ. ჯარეგოს კარკა დიდი აღმართი. გადასვალი მთა, თუმცა ველ-კეთილზე უფრო დაბალია, მაგრამ მთაზე გადასვალი გზა კი მეტის-მეტ დეგემულდაქნებულია და თვით ბილიკიც სულ საცალოეზია. გადავდით მთას და გამოვეთხოვეთ მდ. არგუნის ხეობას. სოფ. ჯარეგომდის გზა კვლავ ჩრდილოეთისაკენ მიდის. სოფ. ჯარეგო გაშენებულია მთის წვერზე გატიტვლებულს შინდორზე. სოფელს ირგვლივ ტეე არა აქვს, ქისტის სოფელი ძლიერ გაიჩნევა ხევესურეთის სოფლებისგან. ჯარეგოში ეველა მეკომურს ცალკე სახლ-კარ-უზო აქვს. ქისტების სახლები უორე ნაკები სიზი ქვისაა ევითელი თიხით ნალესი, მიწური ბანებით. თუმცა სახლები მიწის ზევით არის,

მაგრამ ფანჯარა - კარებები ქისტეთში სორბში საძრმეებს მოგაკნებთ. ზირდაზირ ორად და სამად მოუკეცავად ქისტის სახლში ვერ შეხვალთ.

ქისტების სოფლებს გვერდითვე აუცილებლად აქვს სასოფლო-სასაფლაო. შორიდან უცნობს სასაფლაო სოფელი ჰგონია, რადგან თვით სასაფლაო ხშირად სოფელზე დიდია და ვეკლა საფლავი-ბანიანი უორით არის შეზღუდული.

გავცდით სოფ. ჭარკოვს და ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ შევიყვებით. სოფ. ჭარკოვთან გზა მიტხოს ხეობაზე მიდის. ხეობის ორივე მხარეს გაშენებულია მიტხოს (სახანოს) საზოგადოების ცაშეტი სოფელი. სოფ. ჭარკოვს კარდა სხვა ქისტების სოფლების შეკომურნი ციხე-ბურჯებში სცნობდნენ. სოფლის მკვიდრთა რაოდენობაზეა დამოკიდებული თვით ციხე-ბურჯების რაოდენობაც. ცოტა მორდილს ქისტის სოფელში რამდენიმე ციხე-ბურჯია.

სახანოს საზოგადოების დიდს სოფელს თერეთეკოს ექვსი ბურჯი აქვს. თუმცა კი სოფელში ბურჯების კარდა ცალკე შეკომურთა სახლებიც მჩანს. სოფელში 55 კომლი მცნობრება.

მიტხოს ხეობა კარგა გრძელი ხეობაა. ხეობის მარჯვენა ნაზირს ამშვენებს ატეხილი ჭალა, მარცხნივ კი აღმართულია გატიტვლებული მთა. სახანოს საზოგადოების სოფლები უფრო ხეობის მარცხენა მხარეზე მთის ფერდობებზეა გაშენებული: ხეობის ბოლოს მდ. არგუნის მარცხენა ნაზირზე ამართულს მთაზეა გაშენებული სოფ. კაქნიახო და ხეობის თავში კი სოფ. მუზო. უკეთ კი რომ ვთქვათ, ხეობას თავს და ბოლოს ორი კარგა დიდი ბურჯი აქვს. სოფ. მუზო (13 კომლი) და სოფ. კაქნიახო (9 კომლი) ისე ზატარა სოფლებია, რომ თითო კომში კარგად მოთავსებულან.

როგორც იყო გავიარეთ ხეობა და მივედით სოფ. მუზოში. ავიარეთ კომის გვერდის აღმართი, შევედით ბანზე და ჩამოვხტით თუ არა ცხენებიდან, კომის ზევითა ბანიდან გაგრძელებული არც თუ სიმაღლა, არც თუ უფირილი შემოგვესმა.

ბანზე დინჯად მისიარულე მოლა ხალხს სადამოს ღოცვაზე იწვევდა. მოლას სიმაღლამ გვამცნო, რომ მახვილიანთა სოფელში მოვედით.

VI

## ქ ი ს ტ ე თ შ ი

15—18-ს ივნისს.

თიანეთის მაზრაში სულ თექვსმეტი სოფელია ქისტებით დასახლებული. ცამეტი სოფელი გაშენებულია მიტხოს ხეობაზე და შეადგენს სახანოს საზოგადოებას, სამი სოფელი კი მაისტის საზოგადოებას, რომელიც მდინარე არგუნის მარჯვენა მხრივ მიტხოს ხეობის ზირდაზირ მთებში მდებარეობს. ორივე ქისტების საზოგადოებაში 483 კომლი მცხოვრები ითვლება.

სოფ მუზო, როგორც უკვე მოვისხენიეთ მიტხოს ხეობის თავში მარცხენა მხარეს მთის ფერდობზეა მიშენებული. სოფელს სულ 13 კომლი მოსახლე შეადგენს, ამათშიაც სამი კომლი ახლად სოფ თერეთეოდან კადმოხასხლებული ქისტია.

სოფელს წინ ჩამოედის ჰატარა მდინარე მუზო. სოფელში ახლად შემოხიზნულნი სოფლის დაბლა, მდ. მუზოს მარჯვენა მხარეს დასახლებულან; სოფლის მკვიდრი მცხოვრებნი კი შეჭიხნუბიან კარგა დიდ ბურჯს. ბურჯის ზევითა სათუღში სდგას მთელს ქისტეთში ცნობილი ცოთეშა შინდელიკაშვილი დარჩივი. შინდელიკაშვილს ბურჯის ტერდით, დასავლეთის მხარეს, მთის ფერდობი ჩამოუსწორებია და ორი სასტუმრო ოთახი გაუშენებია. სახლის უფროსი შინ არ დაგვიხვდა, მაგრამ ოჯახის წევრნი მისვლისათნავე გამოგვიგებენ და სასტუმრო სახლში მიგვიწვიეს. ორივე ოთახებში ისეთი სიბნელე იყო, რომ კარეთ ჰატარა ეზობანზე ვიწროთ დასვენება და ჩაის დალევა.

როგორც ზევითაც მოვისხენიეთ, ორი სასტუმროდ გაშენებული ოთახიც არ ასცდენია ქისტურს ჭუჭურუტანას, ვითომდა ფანჯრებს, სანათურებს და სძირამელა კარებებს.

ბურჯებში ცხოვრებისა და ფანჯარის მაგიერ მხოლოდ ხელის გულის ოდენა სანათურებ-სძირამელა კარებების დატანების მიზეზი ქისტებში საშინლად გავრცელებული ერთურთის მტრობა და სისხლის-ძიებაა.





ქისტებში ოჯახს ვერ შეხვდებით, რომ ან თითონ და ან მის-  
გან არ ეძიებდნენ სისხლს. მთელი სიტყვით, წამოიზრდება თუ  
არა, ქისტის მამა-კაცისა ამ დაუსრულებელ სისხლის-ძიებასა და უცი-  
ლობელს ქისტის საკუთრება ცხენისა და სხვა საქანლის ქურდობა-  
ში იღვწა. ძნელად რომ, — მიიხრეს ქისტებმა, — ჩვენში მამა-კაცი  
რამე ავადმყოფობით მოკვდეს, მამა-კაცს სიტყვით ესწრაფა ან სი-  
სხლის-ძიებაში, ან ქურდობაში. მართლაც-და, აქეთ კაცის კვლის  
ანუ დასახინრების მიზეზი უკვეყლად ან სისხლის-ძიებაზე და ან  
ქურდობაზე მოტანება.

ცოტად თუ ბევრად, ისევ ქისტის დედა-კაცია მოსვენებული.  
დედა-კაცს დიდის რიდიითა და ჯეროვანის ზატივისტებით ეპურობან  
ქისტეთში. მართლაც, უფრო ხშირად დედა-კაცია სისხლის-ძიების  
მიზეზი, მაგრამ მიზეზი ხელშეუხებელი რჩება და მისი სახელეო  
მის მახლობელ ნათესავ მამა-კაცსა ხდება.

ქურდობასა და სისხლის-ძიებაში ქიტი მეტად მალული ქაღა-  
ჩუნა-გაუბედავია. ვაჟკაცურად, მამაცურად ზირდაზირ იგი თავის დღე-  
ში არ გაემკლავება მონიერდამირეს. ქურდობაში მოტანებულიც ქის-  
ტი თავის დაცვას გაქცევა-გაზარდაში-და ზოულობს. ერთად-ერთი სი-  
უფხადე ქისტისა ქალის გატაცება, მაგრამ აქაც კი საერთო მთიე-  
ლის ვაჟკაცობა აკლია. იგი ვაჟკაცურად გაიტაცებს ხელმე ქალს,  
არავითარ დაბრკოლებას არ უფრთხის, მაგრამ თუ მღევარი წამოე-  
წია, მალე ცდილობს, სადმე უხიფათო ადგილს შეეფაროს დასამა-  
ლაგად და არა მღევრის დასახვედრად. ერთურთის ფარულად ღეუნა  
მიზეზი, რომ ქიტი თავის სადგომ სახლებს ფანჯარა-კარების მა-  
გიერ ზატარა სასათურებსა და საძრამელებს ატანს და, შედამდება  
თუ არა, ქიტი სახლში იკეტება. რაც უნდა საჭირო საქმე ჰქონ-  
დეს, ქიტი დამე თავის სახლიდან სასათურით არას გზით არ გა-  
მოვა. მათ საძრამელებიდან გამოსვლა და მერე ბურჯების ყორეებ-  
ზედ სიარული დღისითაც კი ძნელია, არამც თუ ბნელს დაშეში და  
მერე უსინათლოდ.

— რად იქცევით აგრე-მეთქი? — ვკითხე არა ერთსა და ორს  
ქისტს და აი რა მიხასუხეს:

— მამ რა ვქნათ, როცა ვინით, რომ ირგველივ მტერი ბუ-  
დობს? სახთლით რომ ვიარათ, ხომ თვითონ ჩვენვე მიგვმით მტერს

შექლებას, დაგვიანხოს. იმასაც ეს უნდა და, რასაკვირველია, რომ შემთხვევას არ დაჰკარგავს და თავის განზრახვას აასრულებს.

მერე ვინ არის მტერი? იქვე, მის გვერდით მცხოვრები მეზობელი, ხშირად ნათესავიც კი. ერთადერთს სასოფლო საზოგადოებაში მცხოვრებნი ერთურთის მტრები არიან! მტრობა არც ერთი მხრისათვის დაფარული არ არის! გზა-მინდორში, სოფლად ერთმანეთს ხვდებიან, ზირდაზირ ერთმანეთში საქმის გასწორებას ერიდებიან და ორივენი შემთხვევას ელიან, მალეულად, ქურდულად აიღონ სისხლი.

ქურდობა და სისხლის-ძიება, აი ეს არის ქისტის მამაკაცის საქმე-ხელობა. ამის გარდა, მას სხვა საფრთხე საქმე არ ეკითხება. შერთაღია, ქისტმა ამ ბოლო დროს გარეთ გამოსვლა იწეო და ხელ-ზედ მოსამსახურობა და ჩაფრთხობა გაიხადა ხელობად, მაგრამ ესეც დროებითი საქმეა მისი. გარედ გამოსვლა და სამსახურში უფრო ქისტმა მაინც და მაინც თავის უზირველეს ხელობის გასაუმჯობესებელ-განსაკარგებლად გაიხადა. სამსახურში ნამუფთი ქისტი უფრო უარესი — თითქო უშიშარიც — ქურდ-მსტრია და ხშირად მფარველი და შეთაურიც უხდება თავის თანამომქე ქურდებს. გარეთ გამოსული ქისტი, აქაოდა, ქისტურს გარდა, სხვა ენაც შევისწავლე და მზრისა თუ სხვა მხრის ძალის მქონე ზირნი გავიცნაიო, თავის თანამომქის უფულ შემთხვევაში, მფარველობა-შემწეობის გარდა, ხშირად ვეკიდიც კი ხდება. გარეთ ნამუფთი ქისტი თავის სამშობლოში იგივე წურბელა ახლავატია, რომელთა რიცხვი ჩვენს დალოცვილს ქვეყანაშიაც არა მცირეა.

ჩვენ თან ორი ქისტი ჩავთარი გვევანდა. სოფ. შატლამდე ორივე ისე ჩვეულებრივ ტანთ-საცმელში იყვნენ. შატლიდან კი ორივე სადღესასწაულად ახალს ტანისამოსში გამოეწევენ, იარაღი დაისუფთავეს. ბოქაულს ვკითხე მათი საქციელის მიზეზი და მითხრა.

— ქისტეთს მივანდობდით და იმიტომ მოიკაზმენო.

— თუ არ მოკაზმულ-მორთული ქისტი ჩავთარი ქისტეთში არ გაივლის, რადგან მეზობლები დასცილებენ, ძველს ტანისამოსში რომ ნახონ! — დაუმატა ბოქაულმა.



ეს ხომ უეჭველი მიზეზი არ იქნება, რასაკვირველია, მაგრამ ისე  
 მართალია, რომ ჩათვარი ქისტის მორთვა-მოკაზმით თავის მეზობლებს  
 აჩვენებს, რომ, გარეთ თუ გაუფლი, უსარგებლოდ არა ვარ და რიგანს  
 ცხოვრებაში ვარა. მოკაზმუნენ კი ჩათვრები, მაგრამ განა ტანსაც-  
 მელს შეუძლიან ბუნებითი ელფერის შეცვლა? სად შეუძლიან ტან-  
 საცემელს დაჭფარეს ჩაცვინილი ქურდ-ბატაცა ტივის მაგვარი წვრილი  
 მარბენალი თვალები? თვალები — ეს სულის და გულის სარკე — ზირველ-  
 სავე შეხედვით გამინობთ, რომ ქისტს თავის სუვარელს სელობა-ქურ-  
 დობას ვერც სამსახური, ვერც სიმდიდრე და ვერც არა სხვა რამ ვერ  
 მოაშლევენებს და თუ ღრუბით მიუჩნებულა ქისტის, ეს გარემოების  
 დაგვარ ეოფა-ცხოვრების ბრალია. ზირველსავე მარჯვე შემთხვევაში  
 იგი ცოცხალი თავით თავის რჯულად-ქცეულს ჩვეულებას არ უღალა-  
 ტებს. მაგრამ განა დირს სიტუვის გავრძელება უქნარა ადამიანზე?  
 მთელი ქისტის საოჯახო შინა და გარეთი საქმე დედაკაცს აწევს კი-  
 სერზე. ტყე-მინდორში, საქონელ-ცხოვრის მოვლაში თუ ოჯახის  
 საქმეში, უგელგან დედაკაცის ხელი და თვალი ტრიალებს. მამაკაცს  
 ისევე ცხენის მოვლა აბარია.

ქისტის დედაკაცი ამას გარდა კარგი ხელ-საქმის მცოდნეც  
 არის. მალეულობის ქსოვა-კერვა და ფენისცემელი-მესტების კერვაში  
 ხომ ქისტის დედაკაცს ბადალი არა ჰყავს. ამ უცილებელს კარჯასთან  
 ქისტის დედაკაცს ბუნებითი სიღამაზე-მოხდენილობაცა აქვს და რადა  
 გასაკვირველია, რომ აქ დედაკაცი ძვირადა ფასობს. აქაც, როგორც  
 სხვა მთის ხალხში, ქალ-ვაჟის დანიშვნა აკვანშივე იცინა. ვაჟის ზე-  
 ტრონი რაკი დანიშნავს ქალს, მოკალეა ქალის ოჯახის საქადრისი  
 ღურბეთი გადისადრს (ურბეთს — ანუ სასუიდელს ძოროსით, ანუ ფულად  
 იხდის ვაჟის ზეტრონი). მანამ ურბეთს სრულად არ გადაიხდის,  
 ვაჟს ქალის წაყვანა არ შეუძლიან. ხშირად ვაჟის ზეტრონი ვერ  
 შესძლებს ხოლმე შეზირებული ურბეთის გადახდას თავის დროზე.  
 დანიშნულნი ასაკში მოდიან და ნება კი არა აქვთ არამც თუ ერთმან-  
 ეთი ნახონ, სასიძოს არ შეუძლიან სასიძომროს, ან სასიდედროს  
 დაენახოს. არ შეუძლიანთ დანიშნულთ ერთმანეთის დანხვა, სირცხვი-  
 ლად არის იგი მიღებული, მაგრამ დანიშნულნი მაინც მალულად  
 ასეჩებენ ერთმანეთის ნახვას. როგორც უკვე მოვიხსენიე, ქისტის

ქალი, მერე კარგად მოზღდიო, უსაქმოდ არ არის და სშირად ტყე-  
 მინდორში გადის სამუშაოდ. აი აქ ტყეში და მინდორში ასერსებენ  
 დანიშნულნი ერთმანერთის ნახვას. ურბეთის შეუსრულებლობით  
 ილაჭ-გამოლეული ქალი სშირად მშობლების მალეულად, მიღებულს  
 წეს-რიგს არღვევს და თვის დანიშნულს მისდევს.

ამ გვარი ქალის გატაცება ძლიერ სშირია ქისტეთში; კარგი  
 კიდევ თუ ეს გატაცება უსისხლოდ შინაურული მორიგებით გათავდა,  
 მაშინ ხომ სისხლის ძიება ასეთი გავარჯარებული სენივით არ იქნე-  
 ბოდა მოდებული, უფრო მომეტებული სისხლის ძიებას ქალის მოტა-  
 ცება მისცემს ხოლმე სათავეს და მიჭეუება და დაუსრულებელი სდება  
 ორს, ვაჟის და ქალის ნათესავ, საგვარეულოს შორის.

ქისტის ქალი საკმაო დასთანხმდეს გატაცებას, თორემ მას  
 სურვილის აღსრულებაში ვაჟაკაქე მეტი გამბედაობა-სიამაგე აქვს.  
 აი ერთი შემთხვევა ქალის საოცარი გამბედაობა-უშიშრობისა. ორს  
 ქისტს გამოეტანა ქალი. ცხენოსნებს ქალი ცხენსე კი არ შემო-  
 სჯდომოდა, ცხენოსნთ შუა ჩამდგარიყო ერთი ფეხი ერთი მხედრის  
 უნაგირის უსანგაში გაკეთებინა, მერე მერეში, ხელები მხედრე-  
 ბისთვის მოეხვივნა და ამ რიგად შუაში მდგომი ნაბად-წამოსსმული  
 გაჭეოლოდა. მდევრის შიშით, რასაკვირველია, მთის ცალფეხს ბილი-  
 კებზე გამოქცეულნი დინჯად სიფრთხილით კი არ მიდიოდნენ თურმე.  
 დღესაც ეს შემთხვევა მთელს ქისტეთში საარაკოდ არის დარჩენილი.  
 თვით ქისტებსეე უგვირთ, ჯერ ორივე მხედრის ცხენების შეთანხმე-  
 ბული ჭენებით სიარული და მერე თვით ქალის უშიშრობა-გამბედაობა.  
 რას არ გაბედვინებს ადამიანს აფორიაქებული სისხლი?

უფრო კი დედა-გაცი მშვენიებას ქისტის სუფთად შენახულის სახლ-  
 კარისა. მართლაც-და, რაც უნდა დარბი ქისტის ოჯახში შეხვიდეთ,  
 შეუწიკლავი სისუფთავე გავაოცებთ. სისუფთავესთან ქისტის უცი-  
 ლობელს კუთვნილებას შეადგენს მორთვა-მოკაზმვის სიყვარული. ევე-  
 ლა ქისტს, შინ რომ არა მოექებნებოდეს-რა, ერთი ხელი რიგისი  
 ტანისამოსი და იარაღი — ხანჯალი, თოფი და დამბახა კი უპეკლავადა  
 აქვს.

იარაღი ხომ ეველას ქისტისთვის. ზატარაობიდანვე ქისტს ხან-  
 ჯალი და წელში გარტმული დამბახა განუშორებლავა აქვს შინ და

გარეთ. იარაღის სიყვარულში ქისტო და ზირიქით ხევესურნი ძლიერ წააგვან ერთმანეთს. საზოგადოდ კი ზირიქით ხევესურსა და ქისტებს ძლიერ ეტყობათ ერთიერთმანეთზედ გავლენა. ზირიქით ხევესურებმა ბევრმა იციან ქისტური ღაზარაკი და ქისტებმაც ხომ იციან ქართული ენა; მხოლოდ ღაზარაკის კილო ხევესურული აქვთ. უფრო კი ქისტებს ეტყობათ ხევესურების გავლენა, რადგან ზირიქით ხევესური უფრო ბუნებით განვითარებული და ნიჭიერია ქისტზე. მატერიალურად ზირიქით ხევესურთან შედარებით ჩამორჩენილი ქისტო გონებითაც ძლიერ დასშუღია. რამდენად განუვითარებელი ხალხია ქისტები, იქიდანაც კი სჩანს, რომ მათ არა აქვთ არავითარი ხალხური ზოგბა და არცარა ზეპირგარდმოცემა.

ხუთა დღე ვიყავით ქისტეთში. არა ერთს მოხუცს თუ ახალგაზდას ქისტს მივმართე თავიანთებური ხალხური ლექსი ან სხვა რა-მე ეთქვათ-ესმინათ, მაგრამ უგულხანი ერთს მასუხს მადლევდნენ: «არა ვიცი-რა». თიანეთის მაზრის ორს, სხანოსა და მაისტის ქისტების საზოგადოებაში ერთად-ერთი მწიგნობრობის მცოდნე მოვსა, მაგრამ ისიც დიდოდან მოწვეული ლეკია, რომელსაც ორივე საზოგადოება წელიწადში კომლზე ათ შურს აძლევს.

მთელს ქისტეთში მარტო ჩვენს მასზინძელს, ცოთეშა შინდელიკაშვილს, დიდი ხნის სამსახურის (ოცნ წელზე მეტია, რაც ჩაფარ-ურიადნიკად არის) წყალობით, რასაკვირველია, გვერდი აუხვევია თვის თანამოძმეთა უკუნეთში ეოფისათვის და თავის შვილები სასწავლებლებში შეუყვანია. მისი უფროსი ვაჟი გორის სამსწავლებლო სემინარიაში სწავლობს და მეორე ვაჟი კი კავკასის სახელმწიფო სასწავლებელში ჰყავს. იქნება ცოთეშას მაგალითის სხვა ქისტებმაც მიჰბოძონ და თვის მომავალს თაობას ქურდობა-სისხლის-ძიების მაგიერ სწავლა-განათლება მისცენ? ძნელი მოსალოდნელია კი სწორედ...

ხევესურთა გავლენა ქისტებზედ თუ რა ძლიერია, იქიდანაც კი სჩანს, რომ ხევესურთა სალოცავი ანატორა ქისტებსაც კი უწამებიათ და საფიცრად გაუსდიათ. ქისტების ერთურთ შორის და ხევესურებთან ატეხილ დავის გადაწყვეტი ანატორაა. როგორც ზევითაც მოვიხსენიე, ზირიქით ხევესურები და ზოგიერთ შემთხვევაში ქისტებიც

თავიანთ შიშის სადავო საქმეს შინ ძველებურ წეს-რიგზედ ათავებენ. მოდავენი საქმის გასარჩევ-გადასაწვევტად ორ-ორ კაცს ირჩევენ. ეს ოთხი ამორჩეული კაცი ერთმანეთის თანხმობით იწვევს მესხუთეს (თავმჯდომარეს). ამორჩეული კაცები საქმის მოსმენა-გარჩევამდე უტყვევლ საჭიროდ სასაყენ როგორც თვით მოდავეთა დაფიცებებს, აგრეთვე მოდავეთაგან საქმის მოწმედ დასახულ პირების დაფიცებებსაც. ფიცი უტყვევლად ანატორაში ხდება. ანატორაში იფიცავს მამუდიანნი ქისტიცა და ქრისტიანი ხევსურიც, რადგან ანატორა, როგორც ხევსურთ, აგრეთვე ქისტებს, დღემდის წმიდა ალაგადა აქვთ მიხნეული და მისი სიძლიერეცა სწამთ.

ამ გარემოებამ მომაცანა ალავერდის ტაძარი. ალავერდი ხომ კასეთში მცხოვრებ მამუდიანებსაცა სწამთ და უოველ წლივ ღოცულობენ კიდევ.

ქისტეთიდან რომ დაკბრუნდით, ანატორაში ფიცზე დასწრება მომისდა. ქისტებს აფიცებს მოლა და ხევსურებს ხევისბერი. მღვდელი ამ შემთხვევაში მონაწილეობას არ იღებს. ფიცის შემდეგ მუდიატორები დაფიცებულთ ჩვენებას ართმევენ და ჩვენებისდა კვარად არდგენენ განაჩენს. მუდიატორეთა განაჩენს ყოვლის უარის უთქმელად მოდავენი უნაკლულად ასრულებენ.

ამკვარად საქმის გარდაწვევტა მუდიატორების მხრივ სიძნობელეს რამდენად არა სცდება, ძნელია, გადაჭრით ითქვას, მაგრამ ხალხის თვალში იგი უფრო სანდო და სამართლიანია, რადგან ხალხს სხვაგვარი სამჯავრო-სასამართლო უფრო საეჭვოდ მიაჩნია.

## VII

### ხეობა ნარმაზი

19-ს ივნისს.

თიანეთის მაზრის და გროზნის ოლქის საზღვარზე ქისტეთის ჩრდილოეთის მხარეს მთის გადაღმა მდებარეობს ხეობა ნარმაზი. ხეობა ნარმაზი ნახევარი თიანეთის მაზრას და ნახევარი გროზნის ოლქს ეკუთვნის. თიანეთის მაზრის კუთვნილი ნაწილი ქისტებს



ცხენებ-საქონლის საძოვრად აქვთ. ნაომარში გადასვალს მთას ქისტები იორთლეს ეძახიან.

სეობას სახელი «ნაომარი» უეჭველია ამ სეობაზე მომხდარ ბრძოლა-ომის შემდეგ შერჩა. ბევრი ვიცნადე ქისტებისაგან შემეტყუორამე ამ სეობაში მომხდარი ბრძოლა-ომზე, მაგრამ ჩემი ცნა ამაოდ დარჩა. საკმაოდ მოხუცს ქისტებსაც კი გამოგველახარაკე, მაგრამ მაინც ვერა შევიტყუ-რა. 'ევით უკვე მოვიხსენიე ქისტების მეტის-მეტი ჭკვა-გონებითი სიბნელე და არც თუ ძლიერ გამოვივრდა, რომ ამ ყოველ მხრივ ჩამორჩენილი ხალხის გონება მეტი მაგიწყა-რი იყოს.

სეობა ნაომარში მომხდარ ომის შესახებ ისევე ხევესურებმა მიაშეგეს ცოტა რამ. რამდენად მართალია ხევესურების ნაამბობი, გადა-ჭრით ვერას ვიტყვით; მაინც კი ხევესურთა ნაამბობი ცოტათი მაინც არის ნათელს ჭიუხის იმ გარემოებას, თუ ქისტებ და ჩეჩენტა შუა მდებარე სეობას ქართული სახელი რად ეწოდება. საქართველოსაკენ მომავალი ლეკთა ღაშქარი (უწინ და ესლაც ჩვენი ხალხი დადესტნის ხალხს და საზოგადოდ ჩრდილო კავკასიის მაჭმადის რკულის შქონეთ ლეკებს ეძახიან) შატლის მახლობლად არგუნის სეობაში შეჭრი-ლებია წინ გადადობებულს ხევესურის ჯარს. ხევესურთ მტრის ჯარი დაუმარცხებიათ და უკუ-ქნეულს ლეკის ჯარს გამარჯვებულნი ხევესურნი უკან დასდევნიბიან.

არგუნის სეობიდან გაქცეული ლეკის ჯარი სეობა ნაომარში გამაგრებულა. აქ მთელი ორი დღე ხევესურთ და ლეკის ჯარს თეცხელი ომი ქეჩნიათ. ხევესურთ რომ ვერ დაუძლევიათ სეობის ორივე მხრის ჭალაში ჩასაფრებული მტერი, უკან დაუხევიათ. ხევესურთა უკან დახე-ვით წითამამებული ლეკის ჯარი საფარიდან სეობაში გამოსულა. ჭალიდან გამოტყუებულს მტერს მისევია ხევესურთა ჯარი და სმინლად დაუმარცხებია და გაუფანტავს. გამარჯვება-ნადავლით ხევესურების კალაღებულს ჯარს ერთი დღე და ღამე ამ სეობაში გაუტარებია. ხევესურთში დაბრუნებისას ჯარის წინამძღოლს ნიშნად გამარჯვების სეობის რამდენიმე ალაგას ეორეს მაგვარი ნიშნები აუმართავს და სეობისათვის სახელად «ნაომარი» უწოდებია.

რომელს წელს მოხდა ეს ომი, მაინც ვერ შევიტყუე.

ნამრიდან დღეს 19-ს ივნისს დავაპირეთ გროზნის ოლქში გადასვლა, მაგრამ დიდიდანვე მეტი ცუდი დარი დადგა. წვიმას თან მოჰყვა ჩრდილოეთის ცივი ნიაფი. მთელი დღე და ღამე წვიმა გადუღებელი მოდიოდა. მეორე დღეს 20-ს ივნისს გამოიდარა, მაგრამ... მარტო დარი აქეთკენ სამგზავროთ საქმით არ არის. ღამე ირგველივ მთები მთლად დაეთოფლა. თვით იორთლეს ქედის წვერზე და ხეობა ნამარში თოვლი ერთ მტკაველზე აკო. თოვლ-ტალასში მთის ბილიკ-გზებზე მგზავრობა არაფერი სანიათენოა და გროზნის ოლქში წასვლა ვეღარ გავბედათ.

## VIII

## სოფ. მუზოდან თიანეთამდე

21—24-ს ივნისს.

დილით ადრე წინა კაცებისავით ჩვეულებრივ ხევსურეთისაკენ გავისტუმრეთ ჩვენი ბარგი და დილის 10-ს საათზე ჩვენც გამოვეთხრეთ მახინძელს ქისტებს და გამოვწიეთ კვლავ ხევსურეთისაკენ. მზე ჭერ არ იყო ჩასული, რომ შატლში მოვედით. სოფლის მახლოვებისთანავე ჩვენი უურადლება სოფლის ზირდაზირ მდ. არგუნის მარჯვენა მხარეს დებარე მთის სერზე მოჭირითე ახალგაზდა ხევსურთ მიიქცის.

სოფ. შატლში დღეს 21-ს ივნისს რიგობა (წირვა) ჰქონდათ ახლად მიცვალებულის ჰატონს და სულმოთი გარდაცვალებულის სახსოვრად ხევსურთა ჩვეულებისამებრ დიდი გაემართა. დიდში გამოსული ცხენ-მხედარი თავისუფლად კაბტად იუვენე მართულ-მოკაზმულნი. როგორც თვით მხედარი იყო თვალმხარა აჭრელებულს ტანისამოსში გამოწყობილი, ცხენის ძუა-ფაფარინც სხვა-და-სხვა ფერი ჩითის ნაჭრებით აჭრელებინათ და შუბლზე გადმოსულ დაწულს ფაფარში სხვა-და-სხვა ფერის შუშის დილები ჩატანებინათ.

რადა საქმელია, რომ ხევსურების რიგობაში სულადი და ლუდი ძლიერ ბევრი დაილეოდა და ავი იმიტომ მთელი სოფელი შეზარხა-შეხული დაკუნდა. ცოტა-მატა სიფხიზლე ისევ დიდში მონაწი-



ღეთ ეტობოდათ. დანიშნულს მანძილზე შირველად მიმსგლეღისთვის გარდაცვალებულის ჰატრონთ უნდა მიეცათ ძროხა. ძროხა ხევესურეთში შირველი «ზრიზია» და დოდში მონაწილეობის მიმდებნი უველა ცდაში იყო შირველი ჯილდო ხელიდან არ წასლფდა. საზოგადოდ, წირვის (რივის) დროს ხევესურეთში გარდაცვალებულის მოსახსენებლად უეჭველად დოდსა მართავს გარდაცვალებულის ჰატრონი. დოდზე «ზრიზია» დანიშვნა დამკვიდრებულია გარდაცვალებულის ჰატრონის შეძლებაზე. თუ შეძლებულია, უეჭველად ძროხასა ნიშნავს, შუათანა შეძლებისა თხელს, დარიბი კი ან ბატკანს, ან გარდაცვალებულის რაიმე იარაღს. საგულისხმიერთა ხევესურების ერთმანეთში ახდერძის თქმა. ტირილი და ჩივილი სირცხვილად არის მიხნეული და თუ ტირიან გარდაცვალებულს — მწვეულებნი მეზობელ-სტუმარი დედაკაცები; გარდაცვალებულის ჰატრონი ცრემლს ვერ გადმოაკდებს. სამომხრის თქმა სხალხოდ აშკარად არ იციან ხევესურებმა. სამომხრის სათქმელად ნათესავ-ნაცნობი გაიხმობს ხოდმე ცალკე ჭირის უფაღს და ჩუმად ეუბნება:

«რად არ ჩემი თავი მოგიკვდა, მანამდინ ეკეთასა გზახვდი. დიდი ბრალი, დიდ ღმერთის წყენი შენი გული დაწუნდებოდის; შენ მამა (დედა, ძმა და სხვა მონათესავე ვინც კი მოუკვდა) დაგაკლდებოდეს, ჩემი კვალ-კაც მზესა იარებოდეს, სიტყვას გეტყვოდეს დიდ კა (სიმდიდრე) დაგცდებისთ, დიდის კაისდხართ, დედან სადედოფლოდ ხართ, მამანი საბატრონი ხართ; თქვენის თესღისა და ჯილაგისან ხევესურეთსა დააკლდებით. ჰჭერსა და ხევის ბერს, ლაშქარს და მღვვარს. ღმერთმა იმას ნუ დაუღია, ვისაც შენდ ეკკავსუნებოდეს, თავის დედ-მამის რთა ისრ არ სეინდეს; ნარჩომს ჯვარ დაწვერათ სხვა მარხე ნუღარ მოგეცას».

ჭირის-უფალი მოსამომრეს შესაფერს ზასუხს აძლევეს:

«შენი მტრისა, დუშმანისა! რა კა დაგცდებისა; რა ის კა რადორთა მოვრჩებოთა. შიმშილი წუურვიღის ჩავიცილებოთა. კაცთ სწორი მზე დაგცდებისა, კაი მოკეთის თავი დაგცდებისა. თქვენს თავს დაიღოცავთ იმის ფას არც მთელნი ვართ არც მკვდარნი; ღმერთა წყენა ამიხადოს შენს თავსა, შენი იმედი ნუ მამიშადოსა».

22-ს ივნისს დღის ცხრა საათი იყო; ვეელანი ცხენებზე ვისხედით და გზად გადგომის ვაზირობდით, რომ ბარგს გაყოლილმა ჩაფარმა: თფლის წურვით მოიბრინა ჩვენთან და შეგვატყობინა: შატღის ზემოთ შესახვევს ბილიკზე ჯარი რაღაცაზე დაგვიფრთხა, ზედ ავიდებოდა ხურჭინები გადმოყარა და მდ. არგუნაში ჩაყარა. ხურჭინები წელიდან გამოვიტანეთ, მაგრამ შიგ წეობილი ქაღალდები სულ მთლად დასველებულია. კიდევ ჯარი! მადლობა დმერთს, ვეელა სოფელში საკმაოდ ცხენები მოჰყავთ, თორემ თუ ჩვენთაგანს ვისმე ჯარით წასვლა მოჰხდენოდა, უქვევლია სადმე ხრამში ვისუქს მოატყინებდა.

ცხენები ავანჩარეთ, მივედით იმ ალაგას. ჩვენი ნამუშავარის მეტი წილი მდ. არგუნში ებანებინა უსვინდისა ჯარს. ქაღალდები მამინათვე იქვე ფერდობზე გასაშრობად გაკაფენინეთ. უარულად ორი ჩაფარი დაფუქნეთ და ჩვენ გზას გაუუდექით.

ამოვედით სოფ. ლეპაიან-კარის აღმართს და ველ-კეთილის დაღმართს დაგადექით. ჯერ კარგა არ ჩამოგდენილიყავით დაღმართის წვერს, რომ აღმოსავლეთის მხრივ მდ. არაგვის სათავის მთის შვეკრვალადან რამდენიმე ერთად გავარდნილი თოფის გრიალი შემოგვესმა. მივიხედეთ და... მთის გავრძელებულს კარგა გრძლად წაწოლილს წვერზე ჯარსავით გამწვარიებული ხალხი დავიანხეთ. თითქმის ჩვენს დანახვაზე უფრო მოუხშირეს თოფების ცლა. თოფის ხმას ირგულივ ხეობა შესაფერს ბანს აძლეუდა და გაჰქონდა გრიალ-ქუნილი.

ზირველში კი ვერ მივხვდი თუ ვინ იყვნენ ჯარად გამოწეობილი, მაგრამ მალე მოგვაგონდა შატღიში მომავალთ შეხვედრილი სოფ. დუღის საზოგადოების მამასახლისი და ორი ხეესური.

მამასახლისმა ბოქაულს გამოუცხადა, რომ ზირიქით ხეესურნი ანდაკის მთაზე საბაღასის ასადებად კომილზე კაცი ჯარად გამოგვიდა. ბევრი ვუშალე მაგრამ ვერა შევასმინერათ.

ანდაკის მთა მდებარეობს ზირიქით ხეესურეთში, არდოტის საზოგადოების სოფ. არდოტის გვერდზე. ამ მთაზე ზაფხულდობით ფშავლებს და სხვა შემცხვარეებს ცხვარი უყენიათ. მთა სოფ. არდოტელებს და ზირიქეთ სამს საზოგადოების დუღის, ბაგალიგოს და

ბარისხოს სვესურთ ეკუთვნის, თუმცა კი სწორედ გასაცარია სად  
 ზირაქეთ სვესურეთი და სად ის შთა. ასეა თუ ისე, ეს შთა არდ-  
 ტელებს და ზირაქეთ სვესურთ სდაოდ ქქინდათ და როგორც იყო  
 შეთანხმდნენ და სნახეგროდ დასტოვეს. ეს შეთანხმება შარშან  
 მოხდა. ზირაქეთ სვესურეთში ვიღაცას ხმა გავერცელებინა, რომ  
 არდოტელები ძველებურად ანდაკის მთაზე მდგომ ცხვრის ჰატრანებს  
 სბადასხეს მთლად ართმევენ და ზირაქეთ სვესურების წილსაც თან  
 ატანენ. ეს ამბავი ზირაქეთ სვესურებს არაფრად სჭაშნიკებოდათ,  
 ერთბაშად დაეძახნათ და კომლზე კაცი შეთოფ-იარადებულნი წასუ-  
 ლიყვნენ ანდაკის მთაზე სბადასხოს ახლებად. მთაზე რომ მისუ-  
 ლიყვნენ არდოტელების სქციელზე გავრცელებული ხმა ტყუილი  
 გამომდგარიყო. მაინც თავიანთი წილი სბადასხოს ნახევარი 120  
 ტყვარი წამოყუანათ და უკან მიდიოდნენ. მოძმესთან სნხსებრად  
 წასული ორსამდე კაცი სხელში მომაკალი თოფის სროლას ჟირი-  
 თობაში ერთობოდა. სწორედ გასაკვირველია, დმერთმანი, როდის მოე-  
 ღება ჩვენში ბოლო მამულების ჟეროვან განწილება-გამიჯვნას?  
 კიდევ კარგი, რომ მშვიდობით დაბოლოებულყო ეს ძმა-ძმაზე  
 მისული ჟარიანობა... ხომ შესაძლებელიც იყო, მცირე რამეზე უსია-  
 მფენობა მოხდენოდათ და, რაღა გამოცნობა უნდა, უსიამოვნობა არა  
 ერთ და ორს ადამიანის სიცოცხლეს მოუსზობდა. მაგრამ დალოცვილი  
 სხელმწიფო ქნებათა გამგეობის მოხელენი მეტად ეურ მიურუებულად  
 იქცევიან. მთელი თიანეთის მზრა უფრო მომეტებული სხელმწიფო  
 გლეხებით არის დასახლებული; სხელმწიფო მამულები ხომ ძლიერ  
 ბევრია აქეთ, მაგრამ სხელმწიფო ქნებათა გამგეობის მოხელე, აგერ  
 მეოთხე წელიწადია თიანეთის მზრაში ვარ და ერთხელაც არ მინა-  
 ხავს არამც თუ შთაში ამოსული, თუით თიანეთშიაც კი...

23-ს ივნისს სდადმოთი სოფ. მადაროში მოვედით მეორე დღეს  
 24-ს ივნისს წმ. ივანე მახარობლის დესასაწაულს მადაროს სსროფლო  
 სამმართველოს წინ მდგომ კაკალ-ქვეშ ჩვენებურად ქართველურად ვისა-  
 დილეთ და სდადმოთი თიანეთში ჩამოვედით.

ი. კახელი



## სასოფლო მიწრეწვის წარმატება

მ მ რ კ ა უ ი \*)

ჩვენს დროში მიწად-მოქმედებაში, კულტურაში ძლიერ წაიწია წინ, შესანიშნავი ნაბიჯები გადასდგა ჰროგრესისაკენ და თან და თან უკეთესდება. ჩვენ არ შეგვიძლია შევადაროთ დღევანდელი კრო-ზიული კულტურა ძველ რომეულს ან საშუალო საუკუნეების ფეოდა-ლურ მეურნეობას. დღეს მეურნეობას გვარნიანი ფართო იდეები აქვს, დღეს მას მრავალ-გვარი სახსარი აქვს და უფრო ძლიერიცაა. მა-გალითად, ერთი რუხისის გამოსაკვებად დღევანდელი მეურნეობა თსო-ულადს ერთ ჰექტარ მიწას, ამით ის ერთი რუხისის უკვლამოთ-სოგნილებს გვარნიანად დაკმაყოფილებს (კროზაში, თორემ ჩვენში, სსკვან რომ არ ვიქნებო მაგალითი, მე მყავს ერთი მეგობარი, რომელსაც 250 დესეტინა კარგი მიწა აქვს და შიმშილით კვდება). ან კიდევ ძველად ერთი მსხვილ ფესი საქონლის შენახვას რომ მი-წა სჭირდებოდა, იმავე მიწით დღესვე 25 თავს მსხვილ საქონელს ადვილად ინახვენ; მაგრამ სასოფლო მეურნეობა აქ არ ჩერდება. მას გაუზნდა მშველელი; მეწიურებში მძურად მისცა ხელი: გაძლი-ერდა ქიმიკა, აღმოცენდა მეურნეობისათვის სპეციალური ქიმიკა, სა-მეურნეო (Chimie agricole) და სულ ახლო მომავლისათვის მეურნეო-ბას დიდ წარმატებას უქადიან და მეურნეობაც ჭიჭირობს გამოძერეს ტაროსის და სსკა ბუნების ძალთა ბატონობისაგან, თვითვე შექმნის ჭიჭირო, სითბო, სიცივე სანტირებისამებრ; ჭიჭირობს ერთ ჰექტარ-

\*) წყაროები: L'agriculture. par P. K. 2, Physiologie et culture du blé. Risler. Paris 1886. 3, La culture maraîchère. par M. Ponce. Paris 1869. 4, Le potager Gressent. Paris 1885.

ზე ის მოიმაკას, რასაც მამა-პაპანი 10 ჰექტარზე ვერ მკიდნენ. ასეთათა დღეს სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა ევროპაში, ასეთი დიდი ნაბიჯები გადასდგა მან; იქნამდის მივიდა, რომ შეიგნომისი თავი-უფლების, დამოუკიდებლობის საჭიროება და ეს სომცროტა არ არის, ეს იდეალის სანასკეროდ მასწავლა. მაგრამ აქ განხნდა კიდევ ასალი დაბრკოლება და ისიც შეუფრხდა. გაიზარდა, წაიწია წინ როგორც მთელმა ინდუსტრიამ, ისე სასოფლო მეურნეობამაც. საზოგადოდ, მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია მოქალაქეობრივი განვითარება (ძმები არიან). ხალხი ველარ ეთვისება სოფელს, სოფელი ველარ აკმაყოფილებს მის განვითარებულ მოთხოვნილებას. ცნობრება რთული შეიქმნა. ქალაქები იზრდებიან საშინელი სიჩქარით, მაგრამ ამავე სიჩქარით ივლო სოფელეთა რიცხვმა. უმაღ დიდრონი ქალაქები შიშს ჰკერიდა ხალხს, დღეს ქალაქის სიდიდე მოთხოვნილებად შეაქმნა, დღეს აღარავის აკვირვებს სიდიდე იმ ჰარისისა, რომელიც უწინ სულ რამოდენიმე ასა ათასი მცხოვრებისაგან შესდგებოდა\*). ფრანცისკ I სთქვა, რომ ჰარია მთელი ქვეყანაა. დღეს რომ ესევე უთხრათ ღონდონელს, რომ სიდიდით გასკდება. ან კიდევ 1593 წელში ღონდონის სიდიდემ ისე შეაშინა ელისაბედი, რომ გამოსცა კანონი, რომელიც უკრძალავდა ასალი სახლების გაშენებას 3 მილზე ღონდონის ასლო-მასლო. აი ეს «უზარ მასარი» ქალაქი, რომელმაც ასე შეაშინა გულ-ჩვილი ელისაბედი შესდებოდა სულ 150 ათასი მცხოვრებისაგან. საკვირველია, მკითხველო, მაშინ 150 ათასი მცხოვრება აშინებდათ და დღეს კი ღონდონის მცხოვრებთა რიცხვი ბევრით გადასცილდა 5 მილიონს და არავის არ უკვირს. დიაღ, სსკა გვარად დატრიალდა საქმე. გლესსაც შეეცვალა გარემოება, შეიცვალა მისი ცნობრებაც, და რაკი არ აკმაყოფილებს მის სოფელი, გამორბის ქალაქში, სადაც ის ელის იმის ნასკას, რაც სოფელში ვერ უნახავს, სადაც ის ელის თავის ცნობრების გაუმჯობესებას. ინგლისის სოფელი, გრემის სიტყვით, საცოდავი სანასკავია, კარ-ჩახურული სახლები მიტოვებულია უმატრონოდ, თითქო მტრის შემოსევისა გახიზვინა ხალხია. მე-

\*) გადაწყვეტილს ვერ იმობს სტატისტიკა, თუ რამდენი მცხოვრები იყო პარიზში ფრანცისკ I დროს.

თვალ-ფურცს გულის უკვდება რა ხედავს, რომ ეს ქალაქის მოტროვი-  
 ლენი აქაც იმავე გაცნობიერებაში კარდებიან და, სოფელსაც მოშორე-  
 ბულნი რჩებიან შირში ჩაღა გამოკლებულნი. ამ ქალაქებს სასოფლო  
 მეურნეობაზე დიდი გავლენა აქვს, ის იწვევს და აუცილებლად ხდის  
 სამეურნეო მრეწველობის კავშირადიზაციას. შრუსიის აღმოსავლეთ  
 ნაწილებში, როგორც ამას წინადა სწორდა ერთი რუსი ჰუმბოლცი-  
 ტი\*), მემამულეები მოსთქვამენ იმის გამო, რომ სოფელში მუშა  
 აღარ იშოვებოდა და სასკემწიფოს სთხოვენ, რომ მან შემოდოს  
 РЕНТОВЫЕ НАДѢЛЫ და ამით თქვამენ სოფელელების ადგილზე მი-  
 მაგრებს. მდინარის შეჩერება-შეკრება დროებით შესაძლებელია, მა-  
 გრამ სამუდამოდ მდინარის გზაერება შეუძლებელია: მაშინ ის მდი-  
 ნარე აღარ იქნება. შეკრებულად მდინარე იზრდება, იზრდება და  
 ბოლოს გადმოხეთქს, უბრალო საგუბავი ვერ დააკავებს, ასეა აქაც:  
 დრომდე შეიძლება ამ გადასასვლელს შეუშლავს ხელი ამ გვარმა  
 კანონებმა, რადგან ისინი დაცულნი არიან ძალით, მაგრამ ბოლოს  
 ის მაინც თავისას გაიტანს, გადმოხეთქს, ეს საცოდავი РЕНТОВЫЕ  
 НАДѢЛЫ ველარ შეჩერებს მას. ერთად-ერთი მისი მიმდინარეო-  
 ბის, მოძრაობის შემჩერებელი სინცხსლის შეწვევტა, — ეს კი არ  
 მოსალოდნელია. რა არის ამ გადასასვლელის მიზეზი? ამ კითხვის  
 შესახებ ესლა ცხადია, მიზეზი მრეწველობის (კავშირადისტური)  
 განვითარებაა — ამ უკანასკნელმა გამოიწვია სურვილი ეკონომიური  
 და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ესენი ისეთი  
 ცვლილებანი არიან, რომელნიც ადამიანზე ყოველ-ნაირად მოქმედო-  
 ბენ, როგორც ზნობრივად, ისე გონებრივად და ფიზიკურადაც.  
 ეს განვითარება ფიზიკურადიურ განვითარებასაც კი იწვევს; ზ-  
 რიშელის კუჭი იმას ვერ მოინებებს, რასაც აფორიველ კაფრის  
 კუჭი ადვილად შეითვისებს ხოლმე. ესლა ისევე მიკვებრუნდებით მეურ-  
 ნეობას. ჩვენ ვთქვით, რომ მეურნეობამ დიდი პროგრესი ქქმანა.  
 ჩვენ ერთს კიდევ გავიმეორებთ, რომ სასოფლო მეურნეობამ დი-  
 დი ნაბიჯები წასდგან წინ, მომაკალიც კარგი უჩანს, მაგრამ მა-  
 გარი ის არის, რომ მისი იდეალი ვერ კიდევ შორს არის, იქმდე

\*) Л. Крживицкий. Капитализация земельной промышлености.  
 „Миръ Божій“ № 2.

ბეკრი გზას და მეურნეობის სკლას შეფერხებულა, ის დაბორკილია და ვი არ მიდის — მიცოცნავს თავის ედეალისაკენ. ამ მხრით სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა გულ-საკლავია. ასე არის ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში და ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, ქართველებს; მეორე საუუუნეში გადავდივართ და იმ მამა-მამურ ხატრიაჩქაღურ სისტემას ვერ ვაკომარებიათ. მაზეში ამ ნაკლებუნებათაო? ივითხავთ თქვენ. სულ უბრალოა. მეურნეობა ვადრეულია, ვაკლებული და სულ-ამოხდილი ხატონებისაკენ, ნადელებით, ბორკილით, რომელიც მას აქვს, ამბობენ ევროპაში. ნუ ვყავთ შებორკილი და ნახავთ, რაც ვახდება ჩვენი დეკვანდელი მეურნეობა, ამბობენ მეორენი. რამდენად მართლნი არიან შირველებიც და მეორენიც, ამას ავიღად დანახავს თუნდ ისიც, ვისაც ვი ცოტადენი უურადლება მიუქტეკავა ჩვენი ნახეკრად ვაკვრობივლებულ მეურნეობისთვის, რომ იმაზე არავერი ვთქვათ, ვისაც ევროპის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა შეუსწავლია. ჩვენ ვესურს ესღა ორიოდე სიტუვა ვთქვათ იმაზე, თუ რას იძლევა მეურნეობა დღეს, მიუხედავად იმ უხარ-მარად დაბრკოლებათა, რომელნიც მას სულს უხუთავენ დღეს. შემდეგ აქედან თავის-თავად ავიღი ვახდება დასკვნა იმისა, თუ რა უნდა ქქმნას მეურნეობამ, რომ ეს ნაკლებუნება მოშორდეს მას. მე მინდა დავემიარო მსოფლოდ მავალითებს. ჩემი წერილი ამ მავალითების ჩამოთვლია.

ამერიკის ვაკე-მანდვრებზე, სდაც მინიც და მინიც ვარვი მოსავალი არ იცის (სულ 7—12 ჰექტოლიტრამდე\*) ერთს ჰექტარზე\*\*) 500 კაცის მუშაობით რვა თვის განმავლობაში მოდის 50000 კაცის წლიური საზრდო. აქ, როგორც ვახსეთ, მოსავალი დიდი არ იცის (7—12 ჰექტოლ.) და არც კულტურის სისტემა არის ხეიარანი; აქ კულტურას ექსტანსიარონი: იღებს მიწას ისეთი, როგორც ის გამოდის: შირდაშიარ ბუნებას ხელიდან, სარკებლობს მით, სანამ რამის მოცემა შეუძლია და როცა მიწა გამოიფიოტება, სტოკებს მას და სხვას იღებს, ასე რომ ერთი ნაწილი მიწისა რომ შირებაშია, მეორე უსარკებლოდ რჩება. მეორე მხრით არის კუ-

\*) ჰექტოლიტრი უდრის თითქმის ორ ჩინახს.

\*\*) ჰექტარი უდრის თითქმის ორს დლიურს.

ლტურა ინტესიური, რომელიც სარგებლობს ყოველი მეცნიერებისა-  
 გან მოცემული საშუალებით, უმთავრესი მიზანი ამ კულტურისა მი-  
 წის გაუწყნარებელი სარგებლადანი მოხმარებაა. მიწა აქ არაოდეს არ  
 უძღურდება. მიწის განაკვლებას აქ უზირველესი ყურადღება აქვს  
 მიცემული. რასაც მცენარე ართმევს მიწას, იმას ისევე ნაკელი უბრუ-  
 ნებს; ამას გარდა საფუძვლიან ყურადღებას აქცევს აგრეთვე სის-  
 ტემატიურ თესვას. ითვისება მცენარე, რომელიც ბევრ სასრდლს  
 თხროფლობს მიწისაგან, შემდეგ ამისა სთესვენ ისეთ მცენარეს, რომ-  
 ელიც ძლიერ ცოტა სასრდლს თხროფლობს, ან ისეთს, რომე-  
 ლიც სულ არაკითარ სასრდლს არ თხროფლობს მისგან, ე. ი. არ  
 აუძღურებს მას, არამედ შირ-იქით აძლევეს, აძლევირებს. ამ გვა-  
 რად მიწა არაოდეს არ ცვდება და მეტ მოსავალსაც იძლევა, რასაც  
 ცხადად განახვით შემდეგში. ამ გვარი სისტემით საფრანკეთის აღ-  
 მოსავლეთ ნაწილში მოჭყავით 36—50 ჰექტალიტრი და ხან და ხან  
 56-იც ერთ ჰექტარზე. ერთი კაცის წლიური სასრდლ მოდის  
 მასხადამე  $\frac{1}{12}$  ჰექტარ. რამდენად კულტურა ინტენსიურია, იმდენად  
 მისი მდგომარეობა უკეთესია და შრომაც შემცირებულა, მოსავალიც  
 უფრო კარგი და წესიერია. მაგალითად, შურის მოსაყვანად ადამიანს  
 შეუძლია უმეტესი ნაწილი შრომისა მასინებს აასრულებინოს, მაგ.  
 ხენა, თესვა, მკა, ძნის შეკვრა, გაღებვა, დათქვა და სხვ.—ამას გარ-  
 და არის კიდევ საშუალება, რომელიც ძლიერ შეკლის მიწის გან-  
 კეთილებას, ეს არის მისი მიღებით გაშრობა (სადაც საჭიროა)  
 (дренаж-Drainag) ეს უგანსხვანელი საკმარისია აასრულოს ადამიანმა  
 ერთხელ; მოსავლის გამრავლებისათვის ხან და ხან საკმარისია მი-  
 წის მოხვნა ღრმად 1—1 $\frac{1}{2}$  მეტრზედ (მეტრი 1,4 არშ.) ბევრია  
 ისეთი მიწები ჩვენში, რომ მართლ ამ უგანსხვანელ საშუალებას შეუ-  
 ძლია მოსავლის გარკვევება; ჩვენ ამ უგანსხვანელისათვის მაგალი-  
 თად აღვნიშნავთ Pothamstead ლონდონის ახლო, სადაც მიწის ღრმად  
 მოხვნამ ფრიად უხვის ნაყოფით დააჯილდოვა შატრინება.

სიადვილისათვის მე დავასახელებ ერთ მაგალითს, რომელზედაც  
 სხვასთან ერთად ბოლომდის გვექნება საუბარი. ავიღოთ საფრანკე-  
 თის ორი პროვინცია Seine და Seine et Oise. ეს პროვინციები შე-  
 იცავენ 3.600,000 მცხოვრებს, წლიურად ხარჯავენ 8 მილიონ ჰექ-



ტოლიტრამდე სორბალს. კულტურას რომ ინტენსიური იყოს\*) და, ვინც სჭამს, ის კიდევ მუშაობდეს, მაშინ ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (8 მ. სორბ.) საკმარისი იქნებოდა 200,000 ჰექტარი იმ 610,000 ჰექტარიდან, რომელსაც ეს ორი პროვინცია შეიცავს. მაგრამ, თქმა არ უნდა, რომ მეურნეობამ ასეთი გოლოსალური ნაყოფი მოგერეს, სისტემა მეურნეობისა საუკეთესო უნდა იყოს. ხალხი თუ ვინმე მოჭეკება და მარტო მამა-პაპური ბარით მინდომებს მიწის შემუშავებას, თქვენ მტერს... ეს შორს წავა (მოუნდება 240 სუთ-საათიანი დღე ჰექტარს). არა, ეს ხელს არ მოგერებს. სერიანის შედეგის მისაღებად სისტემა კულტურისა საუკეთესო უნდა იყოს და სარგებლობდეს ყველა საშუალებით, რომელთაც დღეს მეცნიერება იძლევა. თუ მეურნეობა შეიძლება ისარგებლოს მეცნიერებით, თუ მას მუქთა ჭამიები გასერზე არ ასხედან და სისხლს არ უშრობენ, მაშინ მხოლოდ 25 სუთ-საათიანი დღე საკმარისი იქნება ერთი ჰექტარი მიწის შესამუშავებლად. მაგრამ ჩვენი აუხსნელი კითხვა აი რა არის, როდის იქნება ეს? როდის მოვა ის დრო, როცა გლეხი, რომელიც მთელ სინტრისლეს გამწარებით ატარებს პირუტყვულ მუშაობაში, უნუგეშო, უიმედო, მშვიდი, როგორ შესძლებს ის მთელი სისტემის ისე გამოცვლას, რომ 5 საათს მუშაობდეს დღეში და ტბილი მუშაობით ის 25 დღის განმავლობაში იმედებს მთელი წლის სარჩოს—ზურს, ეს რომ დღევანდელი უბედურებიდან ბედნიერებაში გადასვლა იქნება; ეს ჯოჯოსეთიდან სამოთხეში შესვლა იქნება. როგორ შესცვლის თავის უბედურ მდგომარეობას ის გლეხი, რომელსაც არც ცოდნა აქვს, არც ფული, არც პოლიტიკური უფლება\*\*) და არც დრო მოთმობისა და თავის ცნობისათვის? შემამულებ-ბურჟუას, რომელსაც კუჭი

\*) დღეს არის ალაგ-ალაგ, რაზედაც ჩვენ გვეჩვენა საუბარი, მაგრამ საზოგადო კანონს არ შეადგენს.

\*\*) როგორ თუ გლეხს ვეროზაში პოლიტიკური უფლება არა აქვს, — მეტყვის მკითხველი. ესევე კითხვა მისცეს წრეულს ალბერტს 1 მაისს; ამან მიუგო: თქვენ პოლიტიკური უფლება სიტყვით მოგვეცით, საქმით კი ისევ თქვენ კალთაზე ვართ მიბმული. ყველაზედ უფრო ძლიერი ბატონი ადამიანისა კუჭია, შიშშილია და ეს თქვენს ხელშია, გინდათ მოგვაშვივებთ, გინდათ გავაძღობთ, თქვენს გარდა გზა არა გვაქვს. ძნელია კუჭის სიცარიელეო.

საგსე აქვს, შეუძლიან განა ამაზე ფაქრი? (როტშაილდმა სთქვა, რომ ვერ წარმოძიადგენია, თუ ქვეყანასეუდ არის ისეთი კაცი, რომელსაც შიშლია აწესებდეს) შეუძლიანთ განა მათ იფაქრონ თავიანთ მოძმის შეგლა-დახსნაზე? თუძცა სიმიდიდრით საგსეა ქვეყანა, მაგრამ მათ შუგელს მორჩება რამე, თუ ვინძემ ძალად არ გვამოსტინენა რამე ხელიდან? დიალ, დიდ სიმიდიდრეს ჭქმნის მეშა, მთელ ქვეყანას ასასრდოკებს მეურნეობა და ამასთანავე ის მეურნე, რომელიც ერთ Bourgeois repu-ს არჩენს, თითონ მშიერია, რჯასი ვერ ურჩენია. მაგრამ ესეც დროებითია, ესეც მდინარის შეგუბება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ეს მდინარე უფრო სწრაფი და ხსრიალას. მით უკეთესი, უფრო ადრე გადმოხეთქს. ასე არის მეურნეობის საქმე, მაგრამ ეს მის იდეალს ვერა ჭკლავს, ის კლის იმ დროს, როცა ის მეცნიერებასთან საზოგადოდ და ტენსიკასთან კერძოდ დამძობილებული შეიქნება სასიამოვნო დროს გატარებად. მან არ იცის, თუ რამდენად ახლოა ეს დრო, მხოლოდ იმაში კი დაწმუნებულია, რომ მოძავალი მოუტანს მას სასურველ კეთილ ცხოვრებას. თუ შევიტარებებს იმოდენად უშველა სამთო კეონომიის (economie alpestre) განვითარებამ დესპოტობისაგან განთავისუფლებაში, დღევანდელმა კერძულმა ინტენსიურმა კულტურამ უფრო უკეთესი გზა უნდა უჩვენოს კერძებს. ამას დრო დაგვანახებს, ის დრო, რომელიც, კერძობის აზრით, შორს აღარ არის. ესლა გადავიდეთ სასოფლო მეურნეობის სხვა ნაწილზე—საქონლის მოშენებაზე. შემხნეულია, რომ საშუალო რიცხვით ინგლისელები სჭამენ ბევრ ხორცს, თითო კვამზე მოდის წლიურად 100 კილოგრამამდე ხორცი, ეს შეადგენს ერთი ხარის შესამედს. ერთი საკლავი (ხარი) 5 სოფლისათვის არის საკმარი, თუ ამ რიცხვში ბავშვიც ურევია. მაშ იმ 3 1/2 მილ. (იმავე ორ შროკინციაზედ არის ლანარავი) მცხოვრებთათვის მოდის წლიურად 700,000 თავი საქონელი. ამ ციფრის შესამენად კი დღევანდელი სისტემით (pacage—выгонъ) საქმე მხელდება. 660,000 თავი საქონლად გამოსაკვებად საჭიროა ორი მილიონი ჭქტარი საძოვარი. თუ საძოვარი ალაგები ცოტა მანინტ მოკლილია, თუ ცოტათი მანინტ იწვეება (როგორც საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში შერბობის) 500,000 ჭქტარი ჭეოფნის და თუ საქამე კადეკ უკეთესად

არის დაყენებული, თუ ჭარხალა ითესება, მაშინ ვი ამ რიცხვის (500,000) მაგიერ სულ მოთხედი, ესე იგი, 125,000 ჰექტარი იქნება საკმარისი; თუ ამისთანავე სიმიწიფი ითესება, კიდევ უკეთესია. მთელი ამ უზარმაზარი სივრცის მაგიერ, რომელსაც ეს ორი პრაკინცია შეიცავს, სულ 610,000 ჰექტ. ამნაირად საკმარისი იქნება 80,000 ჰექტ., მაგ., კიტქათ, გულტურა ინტენსიური არის, რა დასჭირდება ამ ორ პრაკინციას თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად? 5 მილიონი 5 სავთიანი დღე ხომ თავზე სავსრად ეყოფა. ამ შრომით ჩვენ შევიძენთ ხორცსა და პურს და ეს ხომ თავი და თავია. ენახათ ესლა, რა მოდის თვითუფი გავმზად. ჩვენს დასახლებულს ორ პრაკინციაში  $3\frac{1}{2}$  მილიონი მცხოვრებია, აქედან 1.200.000 სული ხომ იქნება ისეთი, რომ კარგად შექმლეთ მუშაობა. ამგვარად ეს 5 მილიონი დღე (5 ს.) რომ გავანაწილოთ, თითოეულ მოდის 17 დღე წლიურად მარტო მამობრივი სქესისთვის. ესლა მიუმატეთ ამას ქალის შრომაც (ისინი ტყუილად ხომ არა სჭამენ) და გვექნება სულ 25 დღე, რაც მხოლოდ ერთი დროს გატარება იქნება და მეტი არაფერი. ამ შრომით ჩვენ შევიძენთ უმთავრეს ფაქტორებს ჩვენის ცხოვრებისას ფიზიკალურიად (entretien de la vie animale), რისთვისაც დღეკანდელი კაცობრიობის  $\frac{1}{10}$  ნაწილი წავლობს.

უკვლავ აქ მოყვანილი ფაქტები დამტკიცებულა ცდით. ამ ფაქტების მოყვანას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: შირუთხედი განვიცნავ ჩვენი შეუგნებლობისა და მეორე მხრით, თუ რა შეუძლიან მეურნეობას. ვინც მოისურვებს ჩვენი ციფრების შემოწმებას, ჩვენგან თავში დანიშნულ გამოცემებიდან საკმაო ცნობას მიიღებს, იქ, შეიძლება, ბევრი რამე ისეთიც იყოს, რის თქმაც მე ვერ მოვასწავს.

ესლა გადავიდეთ სალულობაზე და მწვანელობაზე. შარხლის ხლდა ბ. შონსს აქვს პლანტაციის ბოსტნეულობისა. თვით ბ. შონსმა გამოსცა წიგნი, რომელშიც ის დაწვრილებით გვამდევს ანგარიშს, თუ რა მოაქვს მის მიწას წლიურად. ბ. შონსის სიტყვებს უსათუოდ უნდა დაუფუკროთ, მაგრამ ჩვენ არ ვუთანხმებით იმ დასკვნას, რომელიც მან გამოიყვანა თავის მეურნეობის წარმატებისაგან. ეს წიგნი მშვენიერია იმისათვის, ვისაც უნდა წარმოადგენა იქნინოს ბოს-

ტნეულ კულტურის მომავალზე, მის ძალაზე. მისი მიწა სულ სი-  
 გრძით 110 და სიგანით 100 მეტრია (მეტრი ერთი არშინია) ეს  
 მიწა აღებული აქვს და წლიურად იხდის 2500 ფრანკს. ეს ხარ-  
 ჯი რომ მოვიდეს, ბ. ჰონსი იმუშავებს თავის მუშებს 12 — 15 საა-  
 თამდე, ესე იგი სამჯერ მეტს, რაც საჭიროა. წლიურად მარტონაკე-  
 ლისათვის ესარჩება 2500 ფრანკი. ესლა ვნახოთ, რა მოაქვს მის  
 მიწას.....

10,000 კილო სტაფილო, 10,000 კილო ხახვი, ბოლოკი  
 და სხვა ამგვარი მცენარეები, 6,000 თანა კომბოსტოა, 3,000 თავი  
 კიდევ მეორე გვარი კომბოსტო (цветная капуста), 5,000 კალათი  
 რეკალი ბადრიჯანი (tomate) 6,000 თანა სხვილი ხილი, 154,000  
 ძირი სალათა—სულ 125,000 კილო მწვანაღუეფობა თუ ხაღუეფო-  
 ბა—გამოდის 100 ტონი ჭექტარზე. ერთი კაცი, რაც უნდა ენა-  
 დოს წლის განმავლობაში, 350 კილოზე მეტს ვერ შესჭამს. რაც  
 შეესება შრომის გამოდის, რომ 24 კაცმა რომ იმუშავოს წლის  
 განმავლობაში დღეში 5 საათი, დააკმაყოფილებს 350 კაცის მოთ-  
 ხონილებას.

ამსთანავე შევნიშნოთ ისიც, რომ საფრანგეთში, თუმცა მეუ-  
 რნება გვარიანად მიდის, სამეურნეო შრომა ისე გადავილებული  
 არ არის, როგორც ინგლისში. ამას ჩვენ დაკამტვიცნებთ ჭკვიით მა-  
 გალითით. ესლა ვიტყვით გაკვირით იმას, რომ მარტო უერსეის გუნ-  
 ძულის ინტენსიური კულტურა და მისი წარმატებაც საკმარისია  
 ამისათვის. ამ გუნძულზე, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ბევ-  
 რად ნაკლები შრომით მოჭეავთ იგივე მოსავალი, რაც ბ. ჰონსს  
 მოჭეავს. ამის მიზეზი ის არის, რომ ინგლისელების ბოსტნეული  
 კულტურა, ტენიკური მხრით გაცილებით სჯობია ფრანგებისას.  
 მართლაც მთელი ბოსტნეული კულტურა დაფუძნებულია ორ მნიშ-  
 ნულაგან პრინციპზე:

1) თესვა მცენარეთა დახურულ ადგილზე, რომ ბუნებრივი  
 ძალა ცუდად ვერ მოქმედობდეს მასზე, აღზრდა ჰატარა მცენარეთა  
 მდიდარ და ნოყიერ ადგილზე, რომელიც შემოფარგლულია, და მა-  
 შისადაბე მოსავლელადან ადვილია; გადარკვა ჰატარა მცენარებისა  
 მხოლოდ მაშინ, როცა ძირი მათ კარგად განვითარებული და გამა-

გრებულა აქვთ. ერთა სიტყვით, საფუძვლიანი მოკლა სანამ მცენარე ვატარა.

2) რომ მცენარეულობის ნაყოფი ადრე დამწიფდეს, საჭიროა გათბობა, როგორც მიწისა, რომელშიაც მას ძირი აქვს და მეტ საზრდოს იღებს, ისე ჭაერისა, რომელშიც მას ზედა ტანი აქვს და ნაკლებს, მაგრამ აუცილებელ საზრდოს იღებს; ეს მოსასურსებელია მაშინ, როცა მცენარეობა გადასურულია, მაგრამ ისე რომ მას სინათლე არ აკლდეს, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებლად საჭიროა. მიწის გათბობა მასზე ნაკლებს გასაწინითაც შეადგება (fermentation). როცა მიწა სელოკნურად არის გაკეთებული, მაშინ ჩვენი მენადინობა მსოფლიდ შემდეგი იქნება: გადარგვა მცენარეთა დროზე, და საჭირო სითბო. შირველი ამთვანი უკვე პრაქტიკულად განხორციელებულია კერძაში, რუსეთშიც ალაგ-ალაგ, სადაც მეურნეობა კარგად არის დაეწებული, დღეს ის მსოფლიდ რამოდენსამე გაუმჯობესობას თხოულობს. რაც შეეხება სითბოს, ამისათვის საჭიროა მიწაში ჩამარხული მილები, რომელშიც თბილი წყალი უნდა ბრუნავდეს სულმე. ესე იგი არსები თბილი წყლისა. მაგრამ ეს ისე უნდა სწარმოებდეს, რომ მიწა მეტად არ უნდა გასურდეს, ეს ადვილი მოსასურსებელია ტერმომეტრთა საშუალებით. ეს უკანასკნელი საშუალება (მიწის თბილი მილებით თბობა), რომელსაც thermo-siphon ეძახიან კერძაში ალაგ-ალაგ მიღებულია, სადაც მეურნეობა მართლაც აუკავებელია, როგორც საფრანკეთში, ისე ინგლისში, მაგრამ დღეს ის სშირი მოკლებს არ არის. უბრალო მეურნეებს საუბედუროდ არ შეუძლიათ ამით სარგებლობა. შვეიცარიაში ის სულ არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობა კარგად მიდის. რასაკვირველია, thermo-siphon-ის სმარება დღეს უფრო სშირია, ვინემ ამ 30 წლის წინად იყო და განსაკუთრებით ყურსების კუნძულზე ლონდონის ახლო; აქ ჩვენ ცხადად ვხედავთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს thermo-siphon-ეს მეურნეობისათვის კერძაში. აქ მთელი უზარმაზარი სივრცე არის დასურული და დედამიწა დაქსელილია არსებით, სადაც თბილი წყალი ტრიალებს. ამ ნაირად ხდება მეურნეობის ემისიზაცია ჭაერისაგან, ბუნებრივ ძალთა აკად გაკლებინისაგან და საზოგადოდ თან და თან კლებულობს შრომა; აღარ არის

საჭირო მიწის გაუწინარებელი სენა და გადაბრუნება. 7—8 კაცი საკმარისია ამ გვარ მოწყობილ ადგილზე, რომ სოფელს მეურნემ აიღოს იმდენივე მოსავალი, რამდენსაც ბ. ზონსი 24 კაცი იღებს თავის მიწაზე, და აგრეთ არის. ურსეის გუნძულზე 7—8 კაცი მეშაობს 60 საათს კვირაში და იღებენ სულ ჰაწაწინს სიკრცეზე იმას, რაც უმაღ უზარ-მზარ სიკრცეზე მოსდიოდათ. ურსეიში 34 მეშისა და 1 მეხალის (ანუ 70 მეშა და დღე 5 საათიანი) შემდეგი მოსავალი მოდის 4 ჰექტარზე, რომელიც სულ მინიმუმ არის გადახურული და საჭირო thermo siphon-იც არ აკლია: 25,000 კილოგრამი ყურძენი, 80,000 ბადრიჯანი, 30,000 კილოგრამი კარტოფილი და კიდევ სხვა რამეები სულ 8,000. გამოდის 143,000 კილოგრამი; ეს მინიმუმია, რადგან აქ არ არის ჩათვლილი ის, რაც ღია ჰაერზე მოდის. ამას გარდა ყურძენი შემოდის მისში, კარტოფილი აზრილში.

ერთი საიტყვით, ზემო მოყვანილი ციფრები აღნიშნავს პირველ მოსავალს, მეორე მოსავალი კიდევ უფრო ძლიერია. ამასვედ ისარწება 1000 ტონი ნახშირი, რომელიც ამ 4 ჰექტარის გათბობას უნდება. ამხარად წაყვანა კულტურისა ყველასათვის ადვილი არ არის, მაგრამ იქაც კი, სადაც ცოტადენ უურადღებს აქცევენ მიწას და ჰაერის გათბობას, ბერს იგებენ. მაგ., უბრალო გადასურვა სახმარი ადგილისა და მისი გათბობა მხოლოდ 3 თვის განმავლობაში იძლევა კოლოსალურ ნაყოფს. მაგ. 450 ჰექტოლიტრი კარტოფილი ჰექტარზე მოდის, რომელიც იკრიბება აზრილის დამლეკს, ხოლო ამას შემდეგ ოქტომბრის დამლეკამდე მიწა, შეიძლება, კიდევ სხვა რამეს მოხმარდეს. მაშინ, როდესაც ჩვენში და კერძაშიან აღაგ-აღაგ 450 ჰექტოლიტრი კარტოფილის მოსაყვანად 20 ჰექტარი მიწა საჭირო და შრომა ერთი-ორად მეტი.

ჩვენ ამ წერილში მხოლოდ იმაზე გვაქვს ლაპარაკი, რაც განსორციელებულია, რაც დამტკიცებულია ცდით. ზოგიერთმა შორსმხედველმა (მაგ. ლავერნიამ) უკვე შენიშნა, რომ მეურნეობის გამოცანა მხოლოდ იმაშია, თუ როგორ გახადოს საყოველთაოდ მისი საუკეთესო სისტემა, სისტემა ინტენსიური. ეს სისტემა თავის დროზედ ეცდება, თუ როგორ შეამციროს შრომა და თან სიკრცე



მიწისა, მაგრამ არ შეამციროს მისი მოსავალი, შექქმნას კარგებუ-  
ლი, მუდამ ნოყიერი მიწა, გაანაზოს ჭაკრა, რომელიც აცოცხლებს  
მცენარეობას. ეს მიმართულება მეურნეობის ბუნებრივია, ადვილი  
მისახვედრია, ყველას სურს ცოტა იშრომოს, ბევრი მოძვას, ცოტა  
ეწვავდეს, ბევრი ისაროს და, მართლაც, მეურნეობა უახლოვდება თა-  
ვის მიზანს, ეს არის შედეგი იმავე ინტენსიური სისტემისა, რომელიც  
ცოტა შრომითა და ხარჯით იძლევა მეტს. «მართლაც,—ამ-  
ბობს ერთი მეცნიერი, რომელმაც სულ სსკა მიზნისათვის შეისწავ-  
ლა მეურნეობის მდგომარეობა,—მას მეტე, რაც მე თანამედროვე  
მეურნეობის მდგომარეობა შეეისწავლე და ცოტად თუ ბევრად და-  
ვინასე მისი მომავალი, დარწმუნებით შემადიან ვთქვა, რომ ამ-  
ნაირად (როგორც მაგალითად ჟერსეის გუნძულსკა) ისარჯება ბევ-  
რად ნაკლები შრომა და მოსავალი ვი ორგენდება.»

მწკანაღეულობის შესასებ ვი ნაკლები ციფრები გვაქვს სელში,  
სტატისტიკა აქა-იქ იძლევა თითო-ორილაც ციფრს მასზე. სამაგიე-  
როდ სსკა რამეებისათვის სტატისტიკა მდიდანია. ერთ მაგალითს  
კიდეე მოკიყვან. ავიღოთ ინგლისი, სადაც ჭკვა სელს არ უწეობს,  
მაგ., უურძნის მოშენებს. მიუხედავად ამისა, საფუძვლიან შრომას,  
საქმის ცოდნას მანინ თაკისი გააქვს. ინგლისის ჩრდილო ნაწილ-  
ში, ეკოსის ახლო, სადაც ნახშირი იაფა არის (4 ანუ 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფრან-  
კი 1 ტონნი) და ამისათვის მიწის თობა იაფად ჯდება thermo-  
siphon-ის საშუალებით, უურძენი მშენიერად მოდის. 30 წლის წი-  
ნად ამ საშუალებით მოყვანილი უურძენი, მოკრეფილი იანკარში,  
ღირდა 1 ლიკრი 25 ფრანკი ადგილზე, ხოლო საფრანგეთში იგი-  
ვე უურძენი იყიდებოდა 50 ფრანკად ლიკრი, ნაზოლენ მე-III-ის  
სუფრის დასამშენებლად. დღეს ვი იმეკარევე უურძენი, იგივე წო-  
ნა, იმავე სეონში ღირს მხოლოდ 3 ფრანკი. ასე რომ თქვენმა  
უმორჩილესმა მონამაც ვი შესძლო მითი ჰირის ჩაგებრილება, როცა  
ლაზარაკი იმასე ჩამოკარდა, თუ გემო მისი როგორიაო. ახლა იან-  
კარში მოკრეფილ უურძნის გაყიდვას რომ თვალ-უურა ადვენოს კაც-  
მა, თუნდ მარტო ღონდონსა და ჰარიზში, ის ნახავს თუ რა უზარ-  
მანარ ციფრებმდე ადის ისა. ყველა ეს არის შედეგი საქმის ცოდ-  
ნისა. ინგლისში ამას სელს უწეობს ნახშირის სიააფეც. დღეს 1

ლიკრი ყურძენი ივლისში იყიდება 2 ფრანკად, ეს ძვირი არის, მაგრამ ამის მიწეში ის არის, რომ წარმოება ძლიერ სუსტია. ლექტომბერში კი ამგვარადვე მოყვანილი ყურძენი იყიდება ისე, როგორც შვეიცარიაში, ესე იგი, სულ რამდენსაჲ სუთ. ეს კიდევ ძვირია, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მიწას გარდასასადა ამკვს და ნახშირი ძვირია; წარმოიდგინეთ, რომ მიწას გარდასასადა არ ამკვს და ნახშირი შედარებით იაფია, და მაშინ ყურძნის ფასი ერთი-ორად დაიწვეს. ეს ხდება ინგლისში, მუდამ ღრუბლებით დაბურულ ინგლისში, სადაც ჰავა ძლიერ მკვებელია ყურძნისთვის. და თუ ინგლისში ასე ხდება, რა უნდა იქნას ჩვენში, რომ ინგლისელების ნახევარი ჭკუა მინდა გეჭონდეს საქმეში. ხომ ავაკსუბდით და გაკადლოებდით ქვეყანას!... რაც შეეხება ჭაურ გენასს, ის ცოტა ორიგინალურია: ეჭვსი წლის განმავლობაში ირჩევას ისეთი გენასები, რომელთაც ეჭვს წელსკად გადაუცდილებათ და თან სიცოცხეს შესხვევიან (Variété de Hambourg) და თუ ამგვარად გენასი კარგი არჩეულია, მას თობა არც კი უნდა, შირ იქით მისთვის უინვა საჭიროა ზამთრობით; რომ გენასი კარგად დაიწიოდეს, აქ საჭიროა მოთმინება და ჭკვიანური შრომა, ერთხელ გაკეთებული, კმარა მერმისისთვისაც და შრომისაც ნაკლებს მოითხოვს. შვეიცარიაში ჯემანის ტობის კიდებზე გენასის ნახვამ გამაჩვიოფრა. რა შრომა და ჯათვა არის წასული ზედ!.. თითო სამუშაო მიწა გაკეთებულია, როგორც კიბე ანუ ტერასი, უამისოთ ნაკელს წვიმა სულ ჩამორეცხს სოლმე. ესლა კი მიწა განწორებულია ქვითკირის კედლების მეოხებით. ერთ კედელს მეორე მისდევს, მეორეს მესამე, და სს. სულ ასე კიბესავით არის გაკეთებული, სოლო კედელ შუა და კედელ შუა მიწა სწორი რჩება, როგორც კიბის საფეხურია სოლმე. მე თითონ არა ერთხელ ვიყავი ამ ადგილების სახასაკად. სამინელი სიტანჯველი რამ არის აქ ნაკელის მიტანა, რადგან ურემი ვერ უდგება. ამას გარდა ამ გვარად გაკეთება მიწისა ხარჯსაც მეტს თხოულობს, შრომისაც და მიწაც იკარგება ნაწილი, რადგან კედლები ბევრია და სივრცეს იჭერს. შედარებადან სჩანს, რომ ლონდონის ახლო გაშენებული ვასები, რომელნიც სულ მინათ არიან დახურულნი, რაც შვეიცარელებს ვერ



მოუხერხებიათ, ხარკსაც და შრომასაც ნაკლებს თხოულობს. თუ ინგლისელებმა ფრანგებს კერ აჯობეს თავისი ღვინით, ეს მათი ბრალი არ არის, ამას მთელი ბუნება ეწინააღმდეგება. რაც შეეხება ბელის და ბოსტნის კულტურას, ინგლისი გაცილებით წინ არის. შვეიცარიაში კი დასურული ადგილების კულტურა ჩვეულებად არ არის. ალგა-ალგა სამაგალითოდ თუ ნახავს კაცი, თორემ ისე საზოგადოდ ის აქ არ არსებობს. მაისშიც კი სახლი კართოფილი აქ საფრანკეთიდან მოდის. რადა? რა მიზეზია? ამის შესახებ მე იმათ გან ვერა მივიღწერა. შედეგი იმისა, რომ შვეიცარიაში არ არის მიღებული დასურული ადგილების კულტურა, ის არის, რომ ვინ იცის, რამდენი წარადი მოსდით მათ. ამას დასამტკიცებლად მე ავიღებ კანტონ ვოს (vaud) სადაც დღეს გრსოვრობ და რომელსაც სხვა-სე უფრო ვიცი. ავიღოთ ვენახები. 1896 წელს მარტო ამ კანტონის ვენახებს შემდეგი წარადი მოსკლიათ:

სეტეისაგან . . . . .	402,530	ფრ.
ვენახის მატლებისაგან . . . . .	354,011	»
ვენახისაგან . . . . .	1.358,889	»
სულ წარადი 1896 წელს	2.295,430	»
1895 წარადი აღმატებოდა . . . . .	3.717,102	»
1894 წელში . . . . .	1.035,617	»
1893 წელში . . . . .	1.770,970	»
1892 წელში . . . . .	1.714,614	*)

აქ ვნახეთ, თუ რას წარადობს მარტო ვენახისაგან წლიურად ერთი კანტონი, გაამრავლოთ ეს 22 (შვეიცარიაში 22 კანტონია) და მიუმატეთ სხვა წარადიც და ნახეთ, რა უზარ-მზარა ციფრი გამოვიდეს ზეწა შვეიცარიისათვის. მართალია, ზოგიერთ კანტონში წლიური წარადი მეტ-ნაკლებია, მაგრამ ზოგ კანტონში მეტიც არის. ეს ხდება შვეიცარიაში, სადაც უბრალო მუშა-მებაღე ფრად დასელობებულია პრაქტიკულად.

ამას გარდა აქვე, სამეურნეო მმართველობა ყოველ ღონის მიუხედავად, რომ წარადი ააცილოს და დაეხმაროს მეურნეებს:

\*) Statistique agricole, publication de l'entitut agricole et de departement de l'agriculture et du commerce. p 108.

გზავნის პროფესორებს აქეთ-იქით, რომელნიც არიგებენ და სწავლას სწავს. მეტეოროლოგიური სადგურებით სავსეა შვეიცარია. თვით ლონდონის უნივერსიტეტში ერთი აქაური საუკეთესო პროფესორი ანრი დიფუური (დირექტორი მეტეოროლოგიური სადგურისა ლონდონში) კითხულობს ლექციებს სამეურნეო ინსტიტუტისათვის; ამ ლექციებზე უბრალოდ სწავს: შეუძლია დაესწროს. აგრეთვე იქნება ქიმიის პროფესორი, რომელიც კითხულობს მშენებელ ლექციებს სამეურნეო ქიმიასზე. თვით სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დირექტორად ს. ბიგლერი (ესევე არის რედაქტორი *chronique agricole*-ისა, შვეიცარიის სწავლულ მეურნეთა წარმომადგენელი მეურნეთა ინტერნაციონალურ კონგრესზე, რომელიც პარიზში დაარსდა მედინის თავმჯდომარეობით, წლებადედი მისი კრება ლონდონში იქნება). ყველა მსურველს შეუძლია შეიძინოს საჭირო ცნობები, მეურნეობის ყველა დარგზე. ამას გარდა სოფელქალაქში იმართება ლექციები უფასოთ. ლექტორთა შორის ისეთი პროფესორები არიან, როგორც, მაგალითად, ს. ბიგლერი და დიფუური. წერილ-ლექტორთა რამ თავი დავანებოთ, ამ ყველასაგან ცნობილ პროფესორებისაგან გამართულა 1895—96 წლებში 120 სხალხო კითხვა, რომელზედაც უოფილა 8414 მსმენელი, და რომელზედაც დახარჯულა 3.156,70 \*) ფრანკი.

მიუხედავად ამ შრომისა წარალი მაინც მოხდათ შვეიცარიელებს, და ყველა ის ხარჯი, რასაც ისინი ამ წარალის ასაშორებლად ხარჯვენ და თითონ წარალი, რაც იმათ მოხდათ, რომ შეკუროთ, მივიღებთ ჯამს, რომლის საშუალებით მთელ შვეიცარიას გადავხარავდით. და მაშინ კვლარც უნება და კვლარც სეტივა დააკლებდა მათ რასმი.

მახსოვს, ერთ ინსტიტუტში ვიყავი, პირველი ლექციები გავათავუთ და ესოში დაკვირვებდით. გავიხდე, მეტეოროლოგიური სადგურიდან ჩამოცნადა ერთი პატარა გოჭლი კაცი (თურმე დიფუური იყო, მაშინ არ ვიცნობდი, რადგან ეს პირველი თვე იყო), რაღაც უთხრა მუშებს, იმათ იმ წამსვე გამოავარეს ორი დიდი

\*) იგივე წიგნი გვ. 193.



ზარბაზნები, მე ცნობის მოყვარეობით გატარებული პირ-დაღებული შეეუბრებდეთ მათ, გასწორეს, ამოიღეს რაღაცა ნიშანი და შემდეგ ისეთი ებომბადიროკვა ასტუდა თქვენმა მხემ, რომ აღმოჩნდა სამსონისას არაფრით, ჩამოურჩებოდა, ერთი საათი ისმოდა დაუწყინებელი ვაი-უბედურობა. შევიცანრის თუ მტერი შემოესია, აი ჩანჩურა ფრანკოსანი ვინ დანიშნა მსედარი-მთავრად-მეთქი, ვიფიქრებდი მე. რა იყო, რა ამბავი? ვიკითხე მე. სეტყვის ნიშანი გამოჩნდა და ჩვენც მის გასანადგურებლად ტყვია-წამალი არ დავიშურეთო. შემდეგ ახლო-მახლო გააფრთხილეს მეურნეები დეპუტით და სულმოწყ მართლად მოვიდა სეტყვა, მაგრამ მოშორებით ლოცხანში ვი ისეთი კოკის-პირული წვიმა დაუშვა, რომ ზარალი მანც სავსე იყო. ამას შემდეგ მე ვიდეკ ვიკითხე, რა ჰქენით, ვერ გაანადგურეთ მგონი თქვენი მტერა-მეთქი. — ვერა, მაგრამ ხომ გაკანერეთ ცოტა, ვაბთხილება მოკასწართო. რა ვაბთხილება, ყანას, ბაღს ხელს ხომ ვერ გადააფარებენ და სხვა რა უნდა უშეკლონ-მეთქი, გაკიფიქრე ვიდეკ და ისე გადაკხედე, რომ ჩემს მოსაუბრეს ვაგრძობინე ჩემი ურწმუნო თომლობა მისი ებომბადიროკვის შესასებ. რა, მკითხა მან, განა თქვენში არ იქცევან ასე... არა, არა, მიუბრუნე, ჩვენი გლეხი თქვენსავით მეცნიერებით აღჭურვილი მეურნე არ გასლავსთ, მაგრამ არც ისე სულელია, რომ ერთ ზარალს მეორეც ზედ დაატანოს... სამართალია?... თან სეტყვა და ტყვია-წამალიც ხარჯსა და ფულს თხელობს. ამას შემდეგ მან დასცინა ჩემს აზიელობას და მერმე მომშორდა, მეც აუდიტორიაში შევედი მასი ლექციის მოსასმენად. ის იყო მართალი, თუ მე, დღესაც არ ვიცი. ეს შემთხვევა მისთვის მოკვივანე, რომ დამენასკებინა, თუ რა გვარ საგებოდა რამეებში ხარჯვენ ფულს. ეველსაფარი სცადეს და რაც უკეთესია, იამს უურადლებას არ აქცევან. ისიც ვი ვიცი, რომ, რასაც შევიცანრია მეურნეობის საკეთილდღეოდ (როგორც ზარბაზნების ბრახა-ბრუხია) ხარჯავს წლიურად, ორი სამი წლის ხარჯი ერთად რომ შეკურთოთ, და ეს ვისმართ ჭკვიანერად, ისე გაძლიერდება ამ ხარჯით დახურული ადგილების კულტურა, რომ სამუდამოდ აიშორებს თავიდან ამ უშედეგო შრომას და ზარალს და მეურნეობაც შესამჩნევად აყვავდება. ზემოდ ნათქვამით მე ის



სრულიად არ მინდოდა მეტქვა, ვითომ შეეიცინათის მეურნეობა არ ვარცა, დაღუპუფია-მეთქი. მე მსოლოდ მინდოდა დამენახეებინა, თუ როგორ ექრევიან მეურნეობას, და მიუსუდაჯად ამისა, რა მოაქვს მას და ან თუ რის მოცრემა შეუძლია. დღეს, როცა მეურნეობას ამო-  
დენი ვაი უბედურობა აწევს თავზე (ჩვენ ამსზე ზეკით ვილახარა-  
კეთ) და მანც თავისის შერება. რა იქნება მაშინ, როდესაც მას სრული ემანსიპანია ეღირსება? განთავისუფლდეს ის მონობისაგან, «ხადელისაგან», მუქთა მჭამელებისაგან და ბუნებრივ ძალთა ზედ გავ-  
ლენისაგან, მაშინ ჩვენ ვნახავთ, თუ რა იქნება ის. ამის მაგა-  
ლითი დღეს ჩვენ თავალ წინ გვაქვს: ეს ყურსეის გუნძელის მეურ-  
ნეობიდან ცხადად სხანს. ჩვენ ზეკით გავკრით ვილახარაკეთ ამსზე და ესლა კიდევ გაბედულად ვიტყვი, რადგან ჩვენგან მოყვანილი ფაქტები საკმარისად მიგვანჩნია, რომ ქალი თუ კაცი, რომელიც შესწირავს წლის განმავლობაში ოც დღეს ყურძნის მოყვანას, მაგ. მომივის იმდენს, რომ თავადც ეყოფა და სხვასაც გაუმსაშინძლდება. იგივე ითქმის ყველა ხილეულობაზე. მაგალითად, ყურსეის გუნძე-  
ლის მაგალითს რომ დავეყაროთ, ავილად ვიტყვი, რომ საჭი-  
როა 7—8 კაცი ჰექტარზე, გამოკვას სულ 24000 საათი მეშაობა წელიწადში, ხოლო 150 ჰექტარს მოუნდება 3.100,000 საათი მე-  
შაობა. 100 მებაღე დღეში 5 საათი მეშაობით საკმარისია ამ ად-  
გილის მოსავლელად, იმის გარდა, რასაც უოკელი გამოურდელი მეშაც კარგად შესრულებს. მსოლოდ ევ შრომა მოგვცემდა საკმაო საზრდოს 15000—100000 სულისათვის. ამ რიცხვში, კოქვათ, 36000 ისეთია, რომელსაც ჰსურს ბაღში მეშაობა, ჰსურს, რომ საჭირო საზრდოს შექნას შესწიროს 100 საათი წელიწადში, რაც, ვიძეორებ, დროს გატარება იქნება და მეტი არაფერი. ბოლოს წე-  
რილის დასასრულებლად მოკიყვან შეძვეც ციფრებს. ორი შროკინ-  
ცია, რომელზედაც სშირად ვლახარაკობდით ჩვენს წერილში, შეიცავს (1886 წლის სტატისტიკით) . . . 3.600,000 მცხოვრებს.

მისი სივრცე . . . . . 610,000 ჰექტარია.

თითო ჰექტარზე ცხოვრობს საშუალო რიცხვით 590 სული.  
ესლა ვნახოთ, თუ რა სივრცე და შრომა დასჭირდება ამ ორ შროკინციას, რომ თავი დაიემაყოფილოს, კოქვათ, საჭმელი მასა-

ლით. ამასე ჩვენ ზეით ხშირად გვჭირდება სარბი და რაც აქამდე ვთქვით, იმიდან გასურს დასკვნას გამოვიყენოთ. ჩვენ ვნახეთ, რას იძლევა მეურნეობა იქ, სადაც ის კარგად არის დაყენებული, შემდეგ ციფრების საშუალებით ადვილად წარმოიდგენს მკითხველი, თუ რას მოგვცემს, რას შეიძლება მეურნეობა, თუ ის ყველგან ისე იქნება დაყენებული, როგორც, მაგალითად, ყერსეის კუნძულზედ არის. შორს არ წაგაღო და დაეყენებოდა მხოლოდ იმ ფაქტებს, რომელნიც ყველასგან აღიარებულნი არიან. ცნობილ ორი პროვინციის სივრცეს ამგვარად დავეთვოთ:

ხორბლეულობა . . . . .	200,000 ჰექტ.
მწვანელი და ხილეულობა სულ . . . . .	10,000 »
თივა, ლუცერნა, ჭარხალი (КОРМОВЫЕ ТРАВЫ)	200,000 »
დანარჩენი სხვა მოთხოვნილებისათვის, შენობებისათვის, როგორც, მაგალითად, სახლები, წისქვილები და სხვა-და-სხვა ამგვარი ხის თუ ქვის შენობისათვის და აგრეთვე ტუისათვის . . . . .	200,000 »
სულ	610,000 »

ესაა ვნახეთ, თუ რა შრომა დასჭირდება ყველა ამის მომუშაებას, მოკლას, გაუმჯობესებას, დღე 5 საათიანი რომ ვინაგარი-შოთ:

ხორბლეულობა (მისი მოყვანა, აღება, შენახვა) მოითხოვდა სულ . . . . .	15,000,000 საათს
რძე, ცხიკელების მოშენება და მათი საზრდო . . . . .	10,000,000 »
ბოსტანი, ბაღი . . . . .	33,000,000 »
სხვა მოულოდნელი რამეები . . . . .	12,000,000 »*)
სულ	70,000,000 »

ჩვენ ვნახეთ, რომ მცხოვრებთა რიცხვი 3.600.000 არის, აქედან მინიმუმი რომ ავიღოთ, 1.200.000 ხომ იქნება ისეთი, რომ

\*) L'agriculture p. P. K. p. 28.

მუშაობა შეეძლოს და ისურვოს, მისინ მთავრებს 70,000,000-მდე 1,200,000 კაციანთაის. შირველი ციფერი რომ მორეზე გაკუოთ, მივიღებთ 50 დღეს 5 საათიანს, როგორც თავში კოქკით, 50 სუთ საათიანი დღე წელიწადში. დაგვრჩება 315 დღე, აქედან, კოქკათ, 50 დღე კიდევ სხვა რამეს მოსმარდეს, რადგან საჭმელს გარდა სხვა უფრო ბეკრი საჭიროება აქვს კიდევ დამიანს. დანარჩენი დრო სომ სულ თავისუფალი იქნებოდა დამიანი, შეეძლება და სწავლა-განვითარება. ეს ცხადი არის, რადგან ამის დამტკიცებელი ფაქტები ყველა მსურველისათვის ბლამად არის. ამას კარგად სედაკენ და სწამთ კერობაში და ამკე დროს გულ-სელ-დაკრეული შეჭყურებენ მოძაკალს. მოყვანილი ფაქტები ყველასგან ცნობილია, დამტკიცებულის მრავალი ცდითა და მაგალითით. ეს ის ფაქტებია, რომელთა სიმართლე ყველას შეუძლიან დანახოს, თუ კი ის საფუძვლიანად გასინჯავს თანამედროვე კერობის კულტურას. განა ეს ფაქტები საკმარისი არ არის, რომ კაცობრიობამ შეიგნოს, თუ რის მოცემს შეუძლიან მუყნებობას, თუ რას მოგვცემს იგი ჩვენ, თუ მას საფუძვლიანად, ჭკუითა და ცოდნით მოგუელოთ.

გიორგი გოგელია

18<sup>26</sup>/<sub>VI</sub> 98 ლოზანა.

# აფხაზები

(ეტიმოლოგიური მასალები)

## VII. ტირილი და აფხაზები (აღმა)\*

აფხაზი სიკვდილის შემდეგ არის ბენიერიო, — ხუმრობით ამბობენ მეგრელნი და ეს შენიშვნა მართალიც არის, თუ რომ სიკვდილის შემდეგ ტირისუფლების სახელი ზრუნვას მისთვის რამე მნიშვნელობა აქვს საჩიოას. ამ წერილში მეც, შემდეგისამებრ, ვცდები, მკითხველს განუმატო, რაში გამოიხატება ეს ზრუნვა.

აფხაზი აკად გახდება თუ არა, მისნი ტირისუფალი მიჰმართავენ სხვა-და-სხვა მკითხველს აკადმეოფობის მიზნის შესატყობად. აფხაზნი დარწმუნებულნი არიან, ადამიანი თუ ხდება აკად, მხოლოდ იმიტომ, რომ, ალბად, შესცოდა რომელსამე თავის სალოცავს, რისთვისაც ეს უკანასკნელი სჯის მას აკადმეოფობა-წკალებით, რათა ამით გონზე მოეყვანოს თვითნება-ურჩი აფხაზი და თავისთვის თაყვანი ატყობინოს; მაგრამ თუ «გამწყრალმა სალოცავმა» სწება-მწუნარებით თვითნება აფხაზი გონზე ველარ მოეყვანა, ზვარაკებითა და ლოცვა-ვედრებით თავისი დანაშაული ველარ შეასუიდეინა, მაშინ, აფხაზთა რწმუნებით, სალოცავი სხვათა შესაშინებლად და სამაგალითოდ სიკვდილითაცა სჯის თავის ურჩს მიწის შვილს<sup>1)</sup>.

გაცი როდია ყოველთვის მომზადებულია გაჭირებულისა და უბედურების დასახვედრად. ამ შემთხვევაში, მკითხველის რჩევით, აკად-

\*) იხ. „მოამბე“ 1897 წ., № XI.

1) შეიძლება, პირადად ავიდმოვს არავითარი დანაშაული მიუძღოდეს სალოცავის წინაშე, მაგრამ მას ეს უკანასკნელი შთამომავლობითის დანაშაულისთვის სჯიდესო.

მეოფის ჭირისუფალი სდებს საწინდარს (აშას, ახმარტკა—თავ-ზე შემოსავლები), ამასთანავე, თავის გამწერალს სალოცავს ადლებს აღთქმას, რომ მკითხავის ნაჩვენები და რჩევა სავსებით ასრულოს, და სთხოვს, თავისი ავადმეოფი მოურჩინოს. მიცემულის აღთქმის შესრულება სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, მორჩა ავადმეოფი, თუ არა.

საწინდრად, ანუ, უკეთ, თავზე შემოსავლებლად ხმარობენ რამე ნივთს: ხმალს, თოფს და სხვ. დროული ადამიანი, მლოცველად ამორჩეული, ავადმეოფს თავზე შემოსავლებს «აშას»-ს და სადმე მიუკარებელ ადგილას შეინახავს, სანამ შეიძლებდნენ აღსრულონ თავისი დანაშაულები და «შეისყიდონ» საწინდარი. საწინდარის დადების შემდეგ ყოველს ღონეს იღონებენ ავადმეოფის ჭირისუფალნი, რაც შეიძლება, მალე შესრულონ მკითხავის რჩევა-დარიგება. სამწუხაროდ, ეს «ზვარაკის» შეწირვა და მით გამწერალ სალოცავის» გულის მოკება ავადმეოფ აფხაზთ უსწრაფვეს მისთა უგანასკნელთა დღეთა, რადგან უფროსკრთი ამ ზვარაკთაგანს კარში, მინდვრად, ან ტყეში სწირავენ, სადაც ავადმეოფის ყოფნა აუცილებელია: ამ უგანასკნელს ერთი ავადმეოფობა მეორეზე ემატება, ცივდება და საუკუნოდ შორდება წუთისოფელს. აფხაზეთის უდაბურ-უღრან ტყეში ამისთანა სურათს ხშირად წააწყდებით: ას-წლოვან ხეების ჩრდილში, მოდუღუნე ლექს ნაშირზე, შეგროვილა საკმაო ბლომა ხალხი, უფროსკრთი მამა-განნი და დიდის სასკობით თავის სალოცავს მსხვერპლსა სწირავენ, რომ ამითი განრისხებული გული მისი მოასყიდონ და შეაბრალონ ლოცინად-ჩავარდნილი, აქავე, ცივს მიწასე მოლარე აფხაზი, რომელიც, მკითხავენისა და მოლებს შთატონებით, ვითომ იმიტომ გასდა ავად, რომ ვურკავანად ზატივი კერა სცა თავის «მეჭრთამე» სალოცავს!»<sup>2)</sup>.

თუ აფხაზს გაჭირვება კარზე ადგა, ხოლო მკითხავი კი სადმე შორს არის, მაშინ სდებს საწინდარს საზოგადოდ ეველა თავის სალოცავთათვის და აღუთქვამს, რომ როცა მკითხავის წყალო-

<sup>2)</sup> როგორც ნიშანი ამისთანა ზვარაკებისა, აფხაზეთის ტყეებში ხშირად შეხვდება კაცი ვეგერთელა ოჩის (ოჩი მეგრულად დაკოდელ ვაცს ჰქვიან) რქებს, რომლებსაც აქავე სტოვებენ და ირაფრისთვის არა ხმარობენ.



ბით შევიტყობ, ვინაა ჩემზე გამწირადი, შეძლებისამებრ, შევისყიდო შენი გუფი და სსვა.

ამისთანა გაჭირვების დროს, აგრეთვე შეძლებს საშუალებას მიჭმარტავენ სოღმე: ავადმყოფი, თავით-ფეხებამდე თეთრად მოწითული, საღამო შირას გამოჭყავთ კარში, დასვამენ სკამზე. მას თეთრადვე (თეთრი რამ ზედ-გადაფარებული) ლამაზ ცხენს (ზოგან სსვა ცხოველსაც) სამჯერ შემოავლებენ კარშემო; მერე ცხენს ოცს ნელთხილის ჰატარა წვეპლებს დააყრიან, ორს მოზრდილ, მოკრძო თხილის წვეპლას დაჭკრავენ და გაუშვებენ. ამ ცერემონიას ასრულებს მლოცველად ამორჩეული დროული დედაგანი და ამბობს: «ამ ოჯახის წმიდა ყველა სალოცაენო, შინ თუ გარეთ შეფენო! მუნღმოდრეკით გეკედრებით, ავადმყოფი მოუჩინოთ: კისაც შესტოდა, კითხვების (ავშკა) რჩევით, თავის შეტოდებას შეისყიდის ლოცვით და ზვარჯითა» და სსვ.

ცხენს შემოავლებენ სნეულს თავზე იმ აზრით, რომ მას გადაეღოს ავადმყოფის სნებანი. ავსაზნი ამტკიცებენ, რომ ამ ჩვეულების შესრულებისთანავე ავადმყოფის ცოდვებით-სნებით ვითომ იქვე მომკვდარიყოს თავზე შემოვლებული ცხენი. რომ თავის მხრივ ცხენი არ მოკვდეს, თავზე შემოავლებენ მამლაჟინწას: ავადმყოფის სნებანი, ცხენზე გადასულნი, მამლაჟინწას გადაეღება და ცხენის ნაცვლად ის მოკვდება.

ამისთანა ცხენის ავადმყოფის თავზე შემოვლების (ავუსშარას-) შეძგეც ის იგუნება. შეიძლება, ამაში ცოტა რამ სიმართლურერიოს: როგორც დამტკიცებულა, რწმენას (სარწმუნობას) ბევრი რამე შეუძლიან კანის ცხოვრებაში, და რადგანაც ავსაზს ღრმად სწამს ამ «ავუსშარას» ძალა—მასაც ემატება ძალა და სშირად სასიკეთოდ შირსაც იბრუნებს. რასაკვირველია, სშირადაც ამის გამოცელება, და სიცოცხლურ ესწრაფება უნდომს (ავადმყოფს).

უფროსერთი ავსაზთა სალოცავია: «ანცვა-ჭკვა» (სადმერთო), «ანცვა-რამშა» (ღმერთთა დღე, ანუ ოჯახის უჭმე დღე)<sup>2</sup> «ხინ-იყოუჭკვა»

<sup>2</sup> ყოველს გვარს აფხაზეთში თავისი „იმშ“—უჭმი დღე აქვს: კვირაში ერთი დღეს (ზოგჯერ ორსაც) აფხაზი არაერთარს საჭმეს არ აკეთებს და არც გასცემს რასმე საზლიდინ. საზოგადოდ, ქრისტიანულს უჭმეებს აქ ჯეროვანს პატრებს არა სტემენ.

(ზენასთვის, ზეით-მოფთისთვის), «ყირა» (სამკედლო, ანუ რკინის თაყვანისცემა) და მრავალი სხვა. ამათლამი მისკერბლის შუწირკა სხვა-და-სხვა გვარში და სოფელში ცოტა განსხვავებით იცინან. მე კერძები სხვა ადგილას შეძლებისდაგვარად განუშარტო მკითხველს «აფხაზის სალოცავნი».

რისაკვირველია, აფხაზნი ავადმოფთობაში წამალსაც ხმარობენ, მაგრამ სოფელურს. ნასწავლ კქიმებისა ჟერ არაიერი სწამთ. მათი სიკედლი-სიცოცხლე უვიც-მატუყარა სოფლის კქიმ დედაკატების და მკითხავების ხელშია. როგორც კქიმი დიდი სახელი და ჰატევის-ცემა აქვთ მოხრკეული აქ ოსმალეთიდან ბედის სამიებლად გადმო-ხვეწილ უვიცთ, კითომდა მოლებს. მათს შემწეობას უარს არ ჰყოფს არც ქრისტიანი აფხაზი. ეს ვინგინდარა «მოლები» ყოველ სენის-თვის უებარ საშუალეზად და წამლად ხმარობენ «შეუდა-ს (წიგნი; ავგაროზი). ამ ქალადების ნაგლეჯებს დიდს ფასებში ასადებენ. აქ ხშირად აფხაზისაგან გაიგონებთ, რომ თექვენი წიგნი, თქვენი ცოდნა» (ქართული, გინდ რუსული წიგნი) გამოუსადეგარიაო მამინ, როდესაც «თათრული წიგნი» სნეულებს ჰეურნებსო.

ამისთანა აშეუდა-ებით საზოგადოდ სნეულთ (ხშირად ჟანსადსაც) გულ-შეკრდი აქვთ დამშკენებული. ასე გასინჟეთ, კარგი ცხენებიც ატარებენ ამ წიგნებს: თვალთ არ ეცემაო.

\*  
\*  
\*

ღამისთეკა აფხაზეთში ავადმოფთისას განთქმულია: ყოველ-ღამ ავადმოფთისას იერება ხსალგანდობა: ქალი, თუ გაყი და სულ სი-ცილ-ხარხარში, თამაშობაში, ზღაპრებისა, თუ ლეკენდებისა, თუ გამოცანას თქმში ათენებენ. აქვე მშენიერი ასული აფხაზეთისა ხან თავისს ტკბილ-ხმოკან ჩონგურს (ანამგურ) აკვენს-ასტირებს, ხან სიხარულის და დამაყოფილებულ, ბედნიერ სიყვარულის ჰანგე-ბზე აყვარუნებს. ხსალგანდა ჭახუკნი ხმა-შეწეობით ხანს ეუბნებიან. ხან კი ჭახუკი აფხაზი თავისს ერთგულ «აფხაიარცას» (ჭიანური-ორსიმიანი) აალაპარაკებინებს თავისს გულ-ნადებებს და თავის ბედნიერებას, თუ უბედობას მყოურებულთაც უზიარებს.

უმეტესი ნაწილი ღამის მთეველთა მთელს ღამეს ციკ დედა-შიწაზე ჰგორავს, რადგანაც უფროსერთი აფხაზი იატაკ-დაუთენელ



ფარღაღაღა ფაცხაში სდგას. ამისთანა ღამის თევსში ბეჭრი ღამა-  
რაკი მეტია იმაზე, თუ რამდენად საზიანოა ამისთანა ღამის-თევს  
თვით ზვადმყოფისათვის.

\*  
\*  
\*

ვთქვათ, ველარაფერმა უშეკელა ზვადმყოფის, და ისინი გარდაი-  
ცვალა. მასთანავე, როგორც ტირილით ცოტა გულს იჭერებს,  
ერთი ვინმე ოჯახის მოკეთე ქალი უკეთებს ნაირ-ნაირ საჭმელებს,  
რომელნიც მკვდარს სიცოცხლეში უყარდა, და უდგამს სისთუმელ-  
თან ასლელს, რათა ახალ ცხოვრებაში გადასვლისთანვე უსასმელ-  
საჭმელობით მას არ მოშეკდეს და არ მოსწყურდეს. თუ სიცო-  
ცხლეში მიცვალებული ეწეოდა თამბაქოს, მასინ ახალელებს უაღიანს,  
ან ზამიროსს დასდებენ იქავე, საჭმელებთან.

ტირილი და ვაგება ავხაზში ძალიან იცის. საზოგადოდ, ავხა-  
ზის ბუნება თანზიარია: სხვისი მწუხარება თავისად მიანია (შეი-  
ძლება შირთერობითაც იყოს), სხვისის ბედნიერობით თვითონაც  
ღვინობს და ხარობს. აქ მკვდარს მთელი სოფელი სტირის ხალხი;  
დაზატიყება და მოწვევა ტირილში არ არის საჭირო: ვინც კი შეი-  
ტყო, ესა-და-ეს მიიცვალა, მოკუშრება უკანასკნელად ტირილით  
მანც ზატივი სცეს. თუ, ამისდა მიუსხდავად, ზატიუობენ, ეს უფრო  
ფორმისათვის ხდება.

ტირილის დროს ახლა ნათესავნი, მოუასლადებიან თუ არა  
ეზოს, დედა-კაცნი ძალიან ხმა-მაღლა ტირილსა და გოდებას მო-  
ჭეუბიან. მამა-კაცი, ნათესავი თუ არა-ნათესავი, შემოვა თუ არა მი-  
ცვალებულის ეზოში, გადიძობს ყაბაღას თუ ქუდს, ნაბადს, ია-  
რადს, თუ კი აქვს, და ყველა ამას სდებს ამისთვის შუაგულ ეზო-  
ში დადგმულ მაგიდაზე და ამ რიგად შედის შიგ სანლში, ორსავ  
ხელს თავში იცემს და ხმა-მაღლა სტირის. შიგ სანლში, მიცვალე-  
ბულის ცხედრის წინ მხადმარე დედა-კაცნი შეიტყობენ თუ არა,  
მომტირალი მოდისო, თვითონაც დაიწყებენ ტირილს, მომტირალი  
კაცინ ამათთან ხმა-შეწყობილად სტირის. თითო მომტირალ მამა-  
კაცს ახლავს ამისთვის წინდაწინ ამორჩეული ყმაწვილი, რომლის  
მოკალებობა—თავის დროზე მომტირალი კარში გაიყვანოს. ყმაწვილს  
მომტირალის წელი ორისავ ხელით უჭირავს და ნაზად და ღამისად

არსებს ტირილის დროს. როგორც ზევითაც შეგნიშნეთ, მამა-კაც-ნი ტირილის დროს ორისავე ხელით თავსე (შუბლსე) იცემენ, დედა-კაცნი კი შირისასეს ისოკ-იკაწრავენ. მამა-კაცმა, თუ ძალიან დახსლო-ვებუელი ნათესავი არ არის მიცვალებულისა, მოთქმა არ იცის; ქა-ლი კი, ვინც უნდა იყოს, მწარედ და გულსაკლავად მოსთქვამს და სშირად თავის ადრე გარდაცვალებულ ნათესავთა სახელებსაც ისე-ნიებს. ზოგიერთი აფხაზის ქალი ძალიან ღამისად და გრძნობიერად მოსთქვამს ხოლმე.

აფხაზმა არ იცის, რას უჭკიან ქირით მომთქმელი დედა-კაცი. ძველად აფხაზი მამა-კაცი ტირილის დროს ხელებს მკეიერ მოქნილ ღვედებს ხმარობდა. ამ ღვედს ირტყავდა კეუასე. ამსთან-ნავე, ვისაც შეეძლო და უნარი და მოხერხება უჭონდა მკეტი ტკაცა-ნი (ხმაურობა) გაედინებინა ღვედისთვის, იმას უფრო მკეტი მოწო-ნება უჭონდა, ვითარცა კარგ მომტირალს. ესლა ღვედებით ტირი-ლის ჩვეულება გადავარდნილია.

ტირილის გათავების შემდეგ დამწუხრებულ ოჯახის უფროს-თან მიდის მომტირალი და სამძიმარს ეუბნება.

არც უბედურებამ იხსნა აფხაზი «სირცხვილისაგან». უბედურე-ბაშიაც აფხაზი ხელ-ფეხ-შეგრულია სხვა-და-სხვა ჩვეულებებით; მა-გალითად, საუგოა ახალგაზდა ცოლმა ქმარი იტიროს, ქმარმა ცოლ-შიელი იტიროს და სხვა.

ახლა ნათესავთ მიცვალებულის საფლავამდის ფეხშიშველებმა უნდა მიაცილონ.

დასაფლავების დროს ზოგან იციან სმა-ჰამა, ზოგან არა. ახ-ლო წარსულში ტირილის დღეს სოფლის დედა-კაცებს; მოჭჭონდათ თითო კეცი ნიკვზით გამოტენილი მჭადი. ამ მჭადებითა და ლო-ბიოთი ისტუმრებდნენ ხალხს. ესლა ეს ჩვეულება გადავარდნილია. მჭადის მკეიერ ნაყიდ ზურით სტირიან მიცვალებულთ.

დასაფლავების დღეს შუა ეზოში შავით მოსილი და აარაღე-ბით მორთულ-მოკაწმული ცხენი აბია მიცვალებულისა. თუ მიცვა-ლებული ცოლ-შვილიანი იყო, მაშინ მის ცხენთან შავადვე მოწო-ბილი ცხენი მისის მეუღლისა (ცოცხალია იგი, თუ მკვდარი, სულ-ერთია) აბია. თუ მიცვალებული ქმრიანი ქალია, მაშინ მის ცხენს



### ავხაზები

მარტო ახამენ; ცოცხალ ქმარის ცხენს მის ცხენთან არ დააბამენ. თუ ქალს აღრეკვე ჭყავდა ქმარი მკვდარი, მაშინ მის ცხენთან მიტვალეულ ქმრის ცხენსაც ახამენ. უცოლ-შვილო კაცისა და უქმარ-შვილო ქალიშვილის ცხენი მარტოდ-მარტო გამოჭყავთ.

როცა კუბოს კარში გამოასვენებენ და კვლავ დაასვენებენ, მშინ შავით მოსილი ცხენი, ანუ ცხენები, ვასმე ახლო ნათესავს გამოჭყავს და კუბოს ახლო დგება. მათს გატყეო წრეს აკეთებენ აქ დამსწრე ქალები. ესენი იყოფებიან ორ შირად და ისე იწეებენ თავის მარტოვს, განა გულის შემსახავს ააოუსა. ქალებს ეველას დამუჭული ხელები ჭკარდინად გულზე აქვთ დაკრეფილი. ერთ შირის მოთავე დაიწეებს «ოკაუა-ს და გაშლილ ხელებს ლოყებზედ მოისვამს დასაკაწრავად, მისი მობანენი მას მიჭყებებიან და მერე ისევე ისე ხელებს გულზე დაიკრეფენ. ესელა მერე შირი იწეებს და ასე დიდ ხანს გაჭკვიანს «ოკაუა-გაოუა-ს. საწარელ და საცოდას სუდათს წარმოადგენს ეს სურათი: მისი გადმოცემა კალმით უოკლად შეუძლებელია.

\* \* \*

აქ საზოგადო სასათულო მანინც და მანინც არ იცინან; თუ აქა-იქ სოფლებში შეხედებით მომადლო და მწკანით შემოსილ გორაკზე მოთენილს სასათულოებს, ამთარ უფრო ოჯახური, კარგონუ-ლი, ანუ უბნური ხასიათი აქვს. ისე კი ავხაზი იქ ჭმარსავს თა-ვისს მიტვალეულს, სადაც მას სიცოცხლის დროს ბეკრი ტბი-ლი, სასამოკნო წამი გაუტარებია: ათსნაირად აღუკავებულ, ამ-წკანებულ, მობიბინე ბაღსით შემოსილ კვლავი, ან გულის გასა-ხარ ბაღნა-ვენახში, ან-და დიდროვან ტოტებიან ხის მაგრილობელ ჩეროში. ერთის სიტყვით, თითქმის უოკლს ავხაზს უსრულდება ნატვრა პოეტისა...

მინდა, რომ ბაღში დამმარხონ, სადაც არ იყოს სხვა მკვდარი! ზაფხულმა მწვანით შემოსოს და თოვლს მაყრიდეს ზამთარი! მზე საფლავს სხივებს სტყორცნიდეს, დაქათქათებდეს ზედ მთვარე და ვარსკვლავები ჭიკჭიკა, მიბნელით მოსხივ-ცისკარე!..

ზოგჯერ ნატურა თითქმის ყოველს აფხაზს სჯავსებით უსრულდება.

ზოგჯერ აფხაზეთში საერთო სასაფლავებში მკვდრები ჭმარნია ერთად, განურჩევლად სარწმუნოებისა. უმნიშვნელოდ არ მიმაჩნია აქვე შევნიშნო, რომ აფხაზეთ ურთერთ დამოკიდებულებაში სარწმუნოებას თითქმის არაფერია მნიშვნელობა არა აქვს-რა.

\* \* \*

როგორც ყოველგან საქართველოში, აფხაზეთშიაც ძალიან საზატიათა ძიძა-გამდღობა. აქ, საქართველოში, «ძიძაობაში» იცვალა თავისი ელფერი, დაჭკარვა თავისი ძალა, და თუ მთლად ჯერ არ დაუგარგავს, საცაა, დღეს, თუ ხვალ დაჭკარგავს. აქ კი «ძიძაობას», სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზთა გამო, ჯერ, მგონი, თავისი მნიშვნელობა იოტის რდენად არ დაუგარგავს: აფხაზეთში ის უზომოდ და თავ-გამოდებული სიყვარული, ის პატრიარქია, რომელიცაა ძიძისა და გაზდილისა და ძიძის რჯახისა და გაზდილის რჯახის შუაა, სხვა პირთა დამოკიდებულებაში კელარ იშოკით. გარკუნად მანინჯ ჯერად ასუა. ამ სიყვარულთან დედაშვილური და ცოლ-ქმრული სიყვარული არაფერია შედარებით.<sup>4)</sup> გაზდილის (ახუფჯა) ტირილიც ცოტა სხვანაირად იცაინ და, ამიტომ, აქ მოკლედ მოვიხსენიებთ.

ახუფჯას საკვდილი ურუსინეფისი უბედურებაა აფხაზისათვის; ეს უმჯავლითა დასჯაა მისთვის. ტყუილად კი არ ამბობს ძიძა ყოველს დაწოლის ხანს (ძიძად მოსვლის ხანს): «დებერთა, «ახუფჯას» საკვდილით ნუ გამაუბედურებო!» საცოდავი სანახაზნი არაან გაზდილის მომტირანდნი გამწრდელნი: ამათი მთელი გვარი შუაში მამამძემუდელამძემუდ-ძიძიშვილებიანათ საშინლად გულ-მკერდ-ლოყებ დახოკილ-დაკაწრულები, ფეს-შიშვლები, მძიმე შაკებში ჩამსხდარნი, თუ ზაფხულაა, მატლებ დასუელნი ჭერაან მიცვალებულის წინაშე ციკს

<sup>4)</sup> ერთს წარჩინებულს აფხაზს თავილიშვილს უფრორე წარჩინებულ კაცის შვილი ჰყავდა აყვანილი გასაზრდელად. ერთხელ ამისმა პატარა ზუთ-ფქვი წლის ვაჟმა დაინახა, როგორ ჰკლავდნენ საკლაეებს, თვითონაც მათ მიჰბაძა და აყვანში მწოლარე „ახუფჯას“ ყელი გამოსჭრა. მაშამ ეს რომ შეიტყო, მიჰვარდა თავისს შვილს, იმავე დანით ყელი გამოსჭრა და სთქვა: „ჩემის ახუფჯას სულისთვის შემოწირიხარო“.

მიწასუ და ხრიწიანის ხმით საშინლად მოსთქვამენ: მათ ხმა-შეწო-  
ბილ ტირილის თავი არა აქვთ.

ეს კია, რომ ძველ დროში, როცა ჩვენი შინაური ცხოვრება  
ბატონ-ყმას შუა მიძობის გრძნობასუ იყო აშენებული, მაშინ ეს  
სიყვარული იმოდენი ძლიერი იყო, რომ ამისთანა მწესარებას შეე-  
ფერებოდა: მაშინ კარგის გაზრდილის დაკარგვა—თავისს ბუნე-  
რების დაკარგვასაც ჰნიშნავს, და ვინ არ სტირის თავისს თავისს  
ბუნეობის დაკარგვას? ესლა კია, ეს გრძნობა იმოდენი ძლიერი  
არ უნდა იყოს, როგორც ეს გარეგნად იხატება.

კისაც გაზრდილი ჰყავს, იმას არ შეუძლიან თავისს გულთ  
საყვარელ არსება მიცვალებულსუ ლოყა გაიკაწროს, შავი ჩაიცვას,  
ფეხ-მიშველი გაჭეკეს მიცვალებულს და სსვა. ზოგიერთი «ძიძიბია»  
გარდაცვალებულ ასუფჰას მოსაგონებლად წლობით არა სტამენ ხორ-  
ცუელს.

\* \* \*

მიცვალებულის დასათვლაკების შემდეგაც «ასაბ-შასუ-ამდე ლო-  
კინსუ შლია მისი ანშან», ესე იგი, მისი ტანისამოსი, და თუ  
კინძე დაგვიანებული მომტირალი მოვიდა, ამ ანშანსა მიადგება და  
ისე სტირის ჩვეულებისამებრ.

«ასაბ-შასუ» გარდაცვალების შემდეგ მუორე თუ მესამე კვირა-  
ში—შაბათ დღეს შერებიან. ამ დღეს დაჭკლავენ გრავებს, აკეთებენ  
ნაირ-ნაირ საჭმელებს, ასლო მყოფ ნათესაკებს და მეზობლებს  
მოიწვევენ, მღვდელს საჭმელ-სასმელს აუერთხებიებენ და ლოცვებს  
წააკითხებიებენ: ამას ჰქვია ასაბშასუ.<sup>\*)</sup> ამ დღესუე მიცვალებულის  
ოჯახისს წევრებიც «პირს» ისინილებენ: ამ დღემდე სსხნილოს არ  
სტამენ, მარსულობენ. ამ დღესუე მისს ანშას აჭკვევენ და სადმე  
ასლოს, ხელ-ჭეშ ინახავენ, რომ საჭირობის დროს ისეუე გაშა-  
ლონ. ხან-და-ხან დედაკაცნი ამ ანშანს გაშლიან, მოუსხდებიან და  
სტირინან.

«ასაბშასუ-მდე ყოველ სადილ-ვასშამსუე მიცვალებულს «სუფრასს»  
უდგამენ (ვიშა დდრკილოტი): საუკეთესო საჭმელებს, მარხვასი—

\*) ასაბში—შაბათი; ახუ—წილი, ირჩიი.

სამარხოს, ხსნილში — სასხნილოს მიცვალებულის «ანშინის» წინ ცალკე სუფრასზე დასდებენ — კითხვად სულეირად გაძლებაო. ეს საჭმელები ასე ათ-თერთმეტ წუთას სდგას და მერე თვითონვე მიირთმევენ.

საზოგადოდ, სუფრა მიცვალებულ ნათესავთა არაოდეს არ არიან დაიწყებულნი აფხაზის მიერ; მათი თაყვანისცემა აფხაზს ესლად ღრმად აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი: ჭირსა თუ ღვინში შირკელი, საუგუთესო სასმელ-საჭმელები მათია. ჯერ ერთი, რომ მიცვალების შემდეგ ერთ წლამდე ყოველ შაბათ საღამოს მას, მიცვალებულს, უდგამენ «სუფრას» ხსნილში სასხნილო საჭმელებით და მარხვაში სამარხო საჭმელებით. ამის გარდა, ყოველის აფხაზის ოჯახი დიდს დღესასწაულებში, როგორც არის ადგომბა, შობა ქრისტესი, მიძინება (ანანჭკა) დვთის მშობლისა, სადილს რომ გააკეთებენ, საუგუთესო საჭმელ-სასმელებს სუფრასზე დააწებებენ და უდგამენ. სუფრასა შლიან სახლის უმთავრეს შესავალ კარებთან, არ იკაფებენ — აბლბუდი ყაღიონიც სუფრასზე დასდენ: ვისაც (მკვდარს) უნდა, მისწიოსო. წმინდა სახთლებს აანთებენ, და უფროსი ოჯახისა მიჭმართავს წინაშართ სულებს და ამბობს: «დიდებულხო წინაშარხო, შემლებისა დაგვარად დღეს დაგიდგით თქვენ «აიშკა», გთხოვთ ეს მიიღოთ და მოგვრეთ შემლებს კვლავ უკეთეს «სუფრას» დადგმისა. თქვენ იყავით ჩვენი მფარველი შინ, თუ გარეთ, სადაც და რა ადგილას ვიყვნეთ» და სხვა. ამის შემდეგ ყოველი წევრი ოჯახისა თითო კბილ საემეველს დასწავს. «სუფრა» ერთ თხუთმეტ წუთას სდგას, და მერე თვითონ მიირთმევენ. აქ ამასაც შენიშნავ, რომ ამ დროს შესავალ კარებიდან შემოსულა აკრძალულია: მკვდრებს შეშინდებათო.

ამის გარდა ყოველ ზვარავის შეწირვაში და ღონცვაში წინაშართ სულებს მოიხსენებენ და სთხოვენ მათ შემწიობას.

აფხაზნი, როგორც მეგრენი, თავიანთ მიცვალებულზე თმას იშვებენ აფხსუჩამდე.\*)

\*) მე აქა-იქ გამიგონია, ვითომც აქ მიცვალებულისთვის გაშვებული თმა საიქიოს მას სიცხეში მზეს უნრდილებდეს.



ვისაც ცოტა რამ შეძლება და ღონისძიება აქვს, იმან უეჭველად თავის მიცვალებულის საფლავზე რამე უნდა გადადგას: უფროსერთ შემთხვევაში სდგამენ ფანხატურისებურს უკედლო შენობას. ამისთვის, ვისაც შეძლება აქვს, ძალიან ბევრსაც ჭხარჭავს ხოლმე.

აქ აგრეთვე ძალიან სასასხლოდ მიანნათ მიცვალებულის სახელისათვის ახაყას გაშენება. ეს იმაში მდგომარეობს, რომ სადმე გზაზე ორ სოფელშია, ან და სოფლის განაპირა ადგილას (აქ სოფლები ხშირად ერთმანეთზე ძალიან დაშორებულია, ხანდახან 15—18 კერსით) აკეთებენ ფანხატურის მსგავსად პატარა ხის შენობას: ზეგით დასურულია ყაერით, ქვეშ გრძლად ფართო ფიცრებას სკამ-ლოგინად გაკეთებული, ასე გასინჯეთ, თავის მისადობა ჭირკვებიცა აქვს მიჭედლი. სკამ-ლოგინებს რიგულები არტყია. ესაა ახაყა, მის წინ ტოტებიანი დიდი სარია დასმული მგზავრთა ცხუნების მისაბძელად. ახაყას მნიშვნელობაა—სიცხეში, თუ ავადრამი თავ-შესაფარი მისცეს გაჭირვებულ მგზავრს, შემოღამებულს ღამის გასათევი ბინა მისცეს. ამობენ, ვითომც ახაყა ცოდვებით დამძიმებულ სულს მიცვალებულისას შეებას აძლევს. მე მეონია, წინაპირკვლად ახაყას ეს მნიშვნელობა ჭქონდა. ესლა გი უფრო სახელისთვის შერბიან. ახაყას იმ კაცის სახელს არქმევენ, ვისიც მოსაგონებლადაცაა აშენებული. დიდ ხანსაც ატარებს მისს სახელს. აქ შესვდებით ჩხან ახაყა-ს, იქ ჩხაყურის ახაყა-ს და სხვა. ეს ჩხან-საგურები (სახელებია) არც გი ასსოვს ხალხს, როდის მოკვდნენ.

ამისთანა ახაყებით აფხაზეთი მოაუენილია.\*)

აგრეთვე გზის პირებათ მიცვალებულთა სახსოვრად ჭებს სთხრან იმავე აზრით.

სანამ მკვდარი ჯერ ახალია, არ დავიწყებულაია, ხშირად ამ ახაყებში, თუ სასაფლაოზე დამწუხრებულ დედას, ანუ დას გამოაქვს ხაირ-ხაირი საჭმელ-სასმელები და აწყობს მშვიერ მგზავრთათვის. ვინც შესვდება და ვისაც ჭმთან, სჭამს. ეს გი შესანიშნავია, რაც

\*) აქ მოვიყვან ერთს ანგლოტს. ერთი წარჩინებული პირი აფხაზეთის სარევიზიოდ ყოფილა წამოსული. როცა დაბრუნებულა, ნამესტნიკს უკითხავს მისთვის: „რა ნახე შესანიშნავიო?“ მას უხუმრია და უთქვამს: «აფხაზეთში მკვდრები ნეტარებაში ირიან და ცოცხლები კი ტყეებში გაფანტულნიო».

შესჯამს, იმას მეტს ხელს არ ახლებს: ოქროს ჭურჭელიც რომ იყოს, მოსამარჯვად ხელსაც არ წააკარებს.

\*  
\* \*

აფსხურა, ანუ აფსნაქვარა<sup>8)</sup> (აღაპი) უფროსურთ შემთხვევაში წლის თავზედ იცინან,—ზოგჯერ კი უფრო ადრე, ზოგჯერ გვიან; ეს მიცვალებულის ჭირისუფლების შეძლებისა და გლოვის ჩომასზეა დამოკიდებული: ზოგს ადრე უნდა მოხადოს აფსხურა, მაგრამ შეძლება ნებას არ აძლევს; ზოგს შეძლებაც აქვს აფსხურასთვის, მაგრამ არ უნდა თავისი მიცვალებული ადრე მისცეს დაკვიყვებას, რისთვისაც აფსნაქვარის გადახდას არ ეშურება.

აფსხითა ცხოვრებაში არც ერთი იმისთანა დიადი, საზოგადო მნიშვნელოვანი მოკლეა ან არის, როგორც აფსხურა. ყოველი აფსხისი, თავადი იქნება თუ აზნაური, გლეხი თუ შინაყმა, ღარიბი თუ მდიდარი, იმასა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტის ბრწყინვალეობით გადაიხადოს თავის მიცვალებულზე აღაპი. ამისათვის არაფერს არა უსოგავს: არც ფულს, არც საქონელს, არც მტერ-მოყვარეს და, მართლაც, როგორ არ უნდა იღონოს ყოველი თავისი ღონე და არ შეაწუხოს მოყვარე, რომ, რაც შეიძლება, გარკვე აფსხურა გამართოს, რაცა აფსხის ერთი წამომასება მტრისა—«შენს მიცვალებულს აღაპი კერ გადაუხადეო»—საკვდილად მიანნა, სიკვდილად სიცოცხლეში. ვის უნდა სიცოცხლეში ძველად ყოფნა? უფრო ამისთვის, კიდრე საწმინდოების მნიშვნელობისთვის, სიცოცხლე ღარიბ-ღატაკი

<sup>8)</sup> აფსხ—სული; ახუ—წილი, კერძი; აურა—ქმა. აფსურა—სულის წილის, კერძის გადახდა. აფსნაქვარა—სულის ლოცვა.

აქ უმნიშვნელოდ არ მიმართა შემდეგის ლეგენდის ნაწყვეტი მოვიყვანო: ერთი აფსხი შეცდომით საიქიოს გაჩენილა. აქ იმას სხვა ნაცნობთ შორის გამოჩენილი ნართ სესრიყვაც (სახელი და გვარი) უნახავს, სადილობის დრო იყო. უცებ ყველა მიცვალებულის წინ გაშლილა თითო სუფრა, საუცხოვო სასმელ-საჭმელებით დატვირთული. მხოლოდ სესრიყვას წინ ცარიელი სუფრა გაჩენილა. მაშინ მეზობლებმა—მკვდრებმა—სესრიყვას გაუნაწილეს თავისი სასმელ-საჭმელი. აფსხისი კითხვაზე: „რა ამბავია, რომ შენ სასმელ-საჭმელი არ მოგერთვაო?“ სესრიყვამ უპასუხა: „სიკვდილის შემდეგ მე იქ იმისთანა კაცი არაივინ დამჩვენია, რომ ჩემთვის აღაპი გადაეხადაო, და ვისთვისაც იქ აფსურა არ გადაუხდიოთ, იმას აქ სუფრა არ გაეშლებაო“.



უკანასკნელ თავის ქონებას, უკანასკნელ თავის ლუგმას აფსხურას ახდომებს.

რამდენისაჲ კვირით ადრე მიტყალებულის ჭირისუფალი ატყობინებს ყველა თავის ნათესაჲებს, რა დროსაც აქვს დანიშნული აფსხურა და სთხოვს, დაესწონ. სოფელს კი ასე ატყობინებს: გამოდის საზოგადო ყრილობაში და მოციქულის პირით აუწყებს ყრილობას, რომ მას ამა-და-ამ დროს თავის მიტყალებულისთვის აფსხურა აქვს და სთხოვს; ყველას, მობრძანდნენ იმ დღეს მისას და მიტყალებულის შესაძლოებად თითო ჭიჭა ღვინო მიართვან. ამის მეტი დაპატიჟება არ არის საჭირო. როგორც ქორწილში დაუპატიჟებლად წვევა არ არის სასიძვრეობა, ისე აფსხურაშიც. ვინც კი გაიგო, რომ სადმე აფსხურა არის, მიდის, თუ მოცალება აქვს. მაგრამ როდის არ არის აფხაზი მოცალები? ის თითქმის მუდამ მოცალებია... აგრეთვე, არ არის აფხაზისთვის სასიძვრეობა, თუ რომ მთელის რჯანობით წავიდა აფსხურაში. ამიტომაცაა, რომ აფხაზებში ბავშვები თითქმის მეტია, ვიდრე ხნეურები.

თუ აფხაზი დიდს, გამორჩენილს აფსხურას შერება, მაშინ ის რამდენისაჲ თვით წინ აფსხურამდე გამოდის სადმე დიდს ყრილობაში და მოციქულის პირითვე საზოგადოებას მოახსენებს, რომ მას ამა-და-ამ დროს თავის მიტყალებულზედ აფხაზებთან აქვს და სთხოვს ყველას, პატივი სცენ და დაესწონ. ბარათებით დაპატიჟება საზოგადოებისა ახალი ხელია აქ. აგრეთვე, თუ აფსხურაზედ მარულასა მართავს, ესეც ადრევე უნდა აუწყოს საზოგადოებას. ასევე იქნება, თუ მას თხოვით ნიშანში სრულა აქვს.

ეს პატარა ცნობა სრულიად სავსეა, რომ ვისაც ანაგა-მარულა ჰყავს, მოამზადოს იმ დღისთვის. აგრეთვე, ვისაც კარგი თხოვო აქვს და ვინც კარგი ნიშანში სრულა იცის, ისიც წინდაწინ ემზადება აფსხურაში წასასვლელად და თავის ბედის გამოსადეგლად.

აფსხურაში არავითარი წაბურვა არ არის საჭირო არანათესავ-მოყვარეთაგან; აღნიშნულია დამსწრეთათვის არის; ამაში არაფრის გადაება არ არის საჭირო. მხოლოდ, დამწერებულ რჯანის ნათესავ-

მოყვარეს ვა ან შეუძლიან რამე ან წაჭბუროს. ამ შესაწევს, წასა-  
 ბურავს, ორნაირი სახელი ჰქვია: «აფსათატა»<sup>9)</sup> და «აქუწატა». აფ-  
 სათატად მოჭყვავთ — ვის ხარი, ვის ბერწი ძროხა, ვის ცხვარი<sup>10)</sup>.  
 აქუწატად მოჭყვავთ ცხენი და მოაქვთ ზოგს ფული, ზოგს ჩითი.  
 რადენობა შესაწირავისა დამოკიდებულია ნათესავეურსა და მეგობ-  
 რულ კავშირზე. საზოგადოდ, საღაზო დღეების შაბათი, კვირა,  
 ხუთშაბათი და სამშაბათი. ოთხშაბათობითა და შაბათობითა ან  
 იტან.

წეს-რიგი აფსხურასი თითქმის ერთი და იგივეა, როგორც  
 ქრისტიანისათვის, ისე მსჯიდანისათვის, გარდა მღვდელ-მოქმედ-  
 ბისა.

ახლო ნათესავობა და ახლო-მანლო მეზობლები აფსხურას წინ-  
 დამითვე იყრიან თავს, რომ ხელი შეუწყონ მსხინძელს. მისაღებ  
 სახლში გაშლილია მიტვალელების ტანისამოსები — «ანშან» — და ნა-  
 თესავნი მიდიან ამ ანშანთან და უკანასკნელად სტირიან. ტირილი  
 იმავე წეს-რიგითაა, როგორც ზევითა გვაქვს აღწერილი. მხოლოდ  
 ეს ვა, რომ ყველა დამწირეთათვის არ არის საკალდებულო ტი-  
 რილი, როგორც დასაფლავების დღეს. ესლას სტირის მხოლოდ ახ-  
 ლო ნათესავობა და დაახლოებულა მეგობრობა.

დიდად შესანიშნავია ეს აღაზის წინ-ღამე აფსაზის ცხვარება-  
 ში. როგორც ზევით შეგნიშნეთ, აფსხურას წინ-ღამით მოჭყვავთ ნა-  
 თესავთ თავისი «აფსათატა», და აი რა რიგად: როცა ახლო ნათე-  
 სავი (ძმა, და და სხვა) მოუხალავდება თავის მსლებლებით მიტვა-  
 ლეების ეზოს, წინდაწინ შეატყობინებს — «მოკდივარა». შინაურე-  
 ბი მოემზადებიან თუ არა, მისცემენ ცნობას — «მობრძანდითო». ნა-  
 თესავი თავის მსლებლებით ანთებულ სანთლებით ხელში ზარის  
 თქმით შედის ეზოში. აკრთვე, დამხედურები ზარითა და სანთლე-  
 ბითვე ეგებებიან.

«აფსათატა» ნათესავისა უნდა იყოს ან ხარი, ან ბერწი ძრო-  
 ხა. «აფსათატა» ხარს რქები აქვს კერცხლით მოჭედული (რასაკვირ-

<sup>9)</sup> აფსათატა — სულის შესაწირავი.

<sup>10)</sup> ოთხი შეწირვა არ შეიძლება.

ველია, ვისაც შეძლება ნებას აძლევს), თვითონ არის ღამაზად მორ-  
თული და მოკაზმული. ზვეთ ზურგზეა დადებული ნაირ-ნაირად აც-  
მული ვაშლ-მსხალ-წაბლის «ახაანთა»<sup>11)</sup>, რომელიც სსკა-და-სსკა ფე-  
რად არის აჭრელებული. ამისთანა მორთული «ავსათატე» შემო-  
ჭყავთ ხალხის წრეში და სამჯერ მარცხნივ შემოატარებენ ხალ-  
მე. რომ ხარი არ დაფეთდეს, უკან მიჭყებთან ემაწვილება და წი-  
ნაც. ამისთანავე, მხოლოდ ამ შემთხვევისათვის შეთსუფეს სკაღო-  
ბელს—ზარს—ამბობენ. ამას ჭჭეიან «ოუჭკა». ამ ზარს «ოუჭკასაც»  
სამჯერ ამბობენ და ამის შემდეგ მომტირალნიც შედიან სახლში სა-  
ტირლად.

უნდა თვითონ კაცმა ნახოს ეს «ოუჭკით» ხარის წრეში შემო-  
ყვანა, რომ იგრძნოს საკლებით, ავხაზი რა მოწიწებითა და სარწმუ-  
ნებით აღსაკეც ასრულებს ამას. ასე და ამ რიგად ყველა «ავსა-  
თატე» შემოჭყავთ ეზოში.

\*  
\* \*

როცა მოსასკელნი მოკლენ და სტუმრებს დააბინებენ, მათ  
ახალგაზდობა შეუდგება თავდარიგს ღამისთევისას. ახალგაზდობა ორი-  
საკე სქესისა ღამეს «ათევეს» იმ სახლში, სადაც მიტყალებულის ნაშ-  
ნია გაშლილია. არა-ავხაზი, მხოლოდ ღამისთევაში დამსწრე, უსა-  
თუოდ იფიქრებს, რომ «ღსინია» უღვინოდ, ვიდრე კლოკა-გოდ-  
ბაო. ახალგაზდობა მთელ ღამეს მოსწრებულ სიტყვების თქმა-  
ში, ამიტანსა გამოცნობაში და «ამერთას» თქმაში ათენებს. ეს «ამერ-  
თას» ერთნაირი ზარია, რომელსაც მხოლოდ ამ შემთხვევაში ამ-  
ბობენ. მისი მოტივი უბრალო და სადაა. «ამერთას» მთქმელნი ორ-  
პირად განიყოფებიან. დამწყები იწყებს ასე: «ვო მერთო ნერთო»<sup>12)</sup>  
სიზღირამ ახა» და მერე მიაყოლებს თავის სასკელდასკლო შარს,  
«ახიმირტკასას», რომელიც ვისიმე იქ მყოფთაგანის სასათის სისუს-  
ტეს, ცუდ მსარეს ჭკილავს, ან-და კარგს აქებს. სსკები აძლევენ ბანს.

11) ახა—წაბლი, ახაანთ—წაბლის ახმული.

12) «ვო მერთო-ნერთო»—მე ვგონებ, „დმერთო ჩენო“—დან უნდა იყოს ნაწირ-  
მოვები. თავისთავად ამ სიტყვებს ავხაზურად მნიშვნელობა არ აქვს. «ვო მერთო-  
ნერთო სიზღირი ახა»—მერთო-ნერთო არ ვიცი, მარა.



ამის საზსუსხოდ მეორე შირი იწეებს ესლს და შირსსაც საზსუსხს  
 ამბობს (მე უკვე მოვიხსენიე ერთ ადგილას, რომ აფხაზმა დართი-  
 მუელი ლექსი არ იცის). მეორე რომ გაათავებს, ისეკ შირველი ში-  
 რი იწეებს და თითქმის მთელ დამეს «ამერთას» თქმაში არიან. ამ  
 «ამერთაში», ვისაც რამე მოსწრებული სიტუვის თქმა შეუძლიან,  
 სრული ნება აქვს, თავისი ნიჭი გამოიჩინოს. საზოგადოდ, შესა-  
 ნიშნავია ის გარემოება, რომ ამ «ამერთაში» ჩართული კილვა-ძაგე-  
 ბა მოზირდაშირე აფხაზს საწეუნად არ მიანნია, მაშინ როდესაც  
 აფხაზი მზადა თავისი თავიერ გასწიროს ერთ უბრალო სალანძღავ  
 სიტუვის გულისთვის. ეს დამისთევაც ამისთანა საზარეზია აფხაზის  
 ცხოვრებაში, სადაც შეგიძლიან ბევრი მწარე ჭეშმარიტება გაუმნი-  
 ლოთ თქვენს მოზირდაშირეს და არ გეშინიანთ, რომ ამისთვის მ-  
 სუსს მოგთხოვენ.

გათენდება თუ არა, დამის-მთეველები გაიყრებიან ცოტა შესა-  
 სვენებლად.

\* \* \*

აი გათენდა კიდევაც დილა და ხალხმაც ყოველ-მხრიდან იწეო  
 ბუნსავით დენა: მოდის დიდი, თუ შატრა, ღარიბი, თუ მდიდარი,  
 თავადი, თუ აზნაური, ქალი, თუ კაცი. ბავშვებს რიცხვი არა აქვს,  
 იმდენი მოიყრის თავს. ზოგი მომსკლეული კეკლეუცად და ნარნარად  
 მოანქარებს თავისს «ერთგულს» ამხანაგს—ცხენს, ზოგიც—ახლ-  
 ბელი—ფეხით, მხარზე ჯოს-გადადებული მიეშურება.

მიცვალებულის ნიშანი ისეკ ისეკ გაშლილი. ნათესავობა,  
 საზოგადოდ, კინც რასმე წაზბურავს, — სტირის, ჩვეულებრივ.  
 დანარჩენი ხალხი კი ისეკ შემოდის ეზოში, არ სტირის.

აქ ესლს ერთ ფაცა-ფეუნსა და საქმიანობაში არის ყველა:  
 იქ საკლავსა ჭკლაკენ, აქ კი ხორცს დიდს სვილენძის ქვაბუში  
 ხარშავენ მინდვრად; იქ კიდევ სიმიანდის ფქვილის დომს აკეთებენ;  
 სადმე ფაცხაში ქალებს მოუყრიათ თავი და თავისი ნიჭსა და ცოდნას  
 ტობილეულობის კეთებაში იჩენენ: აფხაზის ქალმა თუ რამე საჭმე-  
 ლების კეთება იცის, ესლს, აფხსურაში, უნდა გამოიჩინოს ცოდნა.



საჭმელების სსკა-და-სსკა ნაირობით ისევე აფხსურაა შესანიშნავი აფხაზის ცხოვრებაში.

თუ დიდს, შესანიშნავს, აფხსურას შერებიან, მაშინ ერთ-ორ დღით წინ იწეებენ სომინდის ფეჭელის ღომის დამზადებას: დაამზადებენ ბლამად და სადმე შეინახავენ იმ დღისთვის. ხორცს იმ დღესვე ჰხარშავენ. ნაირ-ნაირ საჭმელების და ნაწიონალურ ტებილეულობის სუნი უნდას უტებობს აქ დამსწრეს. აი თვით საჭმელებიც: ასა-ტლან (რძით მოხარშული ბრინჯის მოსქელო ფაფა), რომელსაც მაწონთან ერთად მიირთმევენ, «ცხარშუა» (თაფლით გაკეთებული ტებილეული), «ჩაჟა», მაკარონი, კერძიშელი, თაფლით და შაქრით შემზადებული და მრავალი სსკა.

როგორც ზევით შევნიშნე, საჭირო რძეს და მაწონს სოფელი ეწება მასპინძელს, აგრეთვე ვეფლს.

მდაბიოთა აფხსურაში შემოდებულია წესად შემდეგი: წახურულ «აფხსათატიკა»-ს მარტო ნახევარი ხორცი რჩება მასპინძელს, მეორე ნახევარს და ტყავს წამბურველი თავისთვის ინახავს და აფხსურასს შემდეგ შინ მიაქვს.

\*\*\*

თვით სხლის წინ, სადაც ასკენია მიტკალებულის «ანშანი», მშენიერი ძალა-ტოტებიან სესავით გაკეთებული «აკაღანტარა» სდგას, რომელსაც აკეთებენ ასე: აიღებენ სამ-ათს მხარის სიგძე მოწვრილო ხეს, გულს ამოუღებენ ისე, რომ ლუფასავით რჩება. ამ ჯოხის ლულაში ჩაჭყრიან თოფის წამალს, გოგირდს, ზოგან ჩაასხავენ ნაკოსაც. ერთ ბოლოდან (ძირიდან) მეორე ბოლომდე ასეა ეს წამალი და გოგირდი ჩაყრილი, რომ ერთმანერთს დაშორებულია: ერთგან წამალი რომაა, იმას ზევით გოგირდია, მეორე ცოტა ნაკთია ჩასმული, და ასე რიგ-რიგად თავმდი ადის, ისე, რომ ერთურას ეტეს. გარედ ამ ხეს დამდნარ წმინდა სანთელში ამოკლებული მიტკალი, სსკა-და-სსკა ნაირად დაფურადებული, ასკუ-გია. ზევით—მომადლოდ, ამ რიგადვე გაკეთებული ტოტები აქვს. ამ ხის თავზე ხელაგნურად გაკეთებული ჩიტია წამოხკუპებული.

ტოტებზე კომწიალობენ ლამაზი ქისები და მოქარგული ცხვირსა-  
 ხოცები. ამ აკაჟანტარს მეტად ლამაზად აკეთებენ.

ძველ დროში დამწესებულ დიძას მიცვალებულ გაყდილზე  
 უნდა მოეტანა, და მარტო მალაწოდებაში სმარობდნენ; ესლა კი  
 ეველა სმარობს.

სადამო უამს, როცა აღაში თავდება, მამინ ხსაღგანდობა თოფით  
 ჩამოაგდებს იმ ნიეთებს, რომელიც ჰქიდა აკაჟანტარზე და აგრე-  
 თვე ჩიტსა. თვითონ მას მოუკიდებენ ცეცხლს. შესანიშნავი სანა-  
 ხავია, როცა ეს იწკის: ხან თოფის წამალი ჰქუეთქს, ხან ნავთის  
 აღი ავარდება, ხან გოგირდი იწკის. ეს აქვე უნდა დაიწკას.

ამ აფსხურაშივე არა-ჩვეულებრივ სანთელსაც ჰხმარობენ: ამას  
 აკეთებენ წმინდა სანთლისაგან და სიგძეს აძლევენ ოცდაათ-ოცმოც  
 აღაბამდე; ფერად-ფერადად ჰქუებავენ და ჰქეცავენ. ამას ჰქვიან «შა-  
 მყა».

\*  
\*  
\*

როგორც უკვე შევნიშნე, აღაში აგრეთვე შესანიშნავია თავისის  
 მარულათი და ნიშანში სროლით. უფრო ზატოვი აქეს აქ მარულას.  
 აფსხურაში თავის ცხენის ბედის საცდელად ხშირად აფსაზი აფს-  
 ზეთის ერთის გუთნიდან მეორე გუთსეში მიდის დიდის აძბით და  
 აძლით. აქ იმდენ უურადლებას არ აქცევენ ცხენის საჩუქარს: სახე-  
 ლისთვის უფრო მიდის ცხენის ზატონი 150—200 კერსზე  
 და არა საჩუქრისთვის, თუმცა საჩუქარი შედარებით გვარინი  
 იცინ, მაგალითად: ზირველ ცხენს აძლევენ ოთხ-ხუთ ცხენს, ანუ  
 კამეხს და სხვა. საზოგადოდ, რადენობა საჩუქრისა შედლებსზე  
 ჰქიდა.

არა აფსაზი—უცნო კაცი, აღარ იფიქრებს, რომ ის აღაშია,  
 ტირილია, როცა დაინახავს—რად დიდის დიდებით, თოფ-დამაჩის  
 სროლით და სიმღერით, თუმცა სამკლავიარათი—ზარით შემოჭყავთ  
 ეზოში «მარულა»-ცხენი. ცხენზე ზის ზატარა, ასე თორმეტ-ცამეტის  
 წლის ბაღანა, ფერადად მორთული, მუცელი მაგრად შეკრული აქეს  
 და, რაც ძალი და ღონე აქეს, დროის-დროისად გაჰქვიის თავისის





წკრიალას ხმით. მსლებლები ხანს აძლევენ. ამ სურათის შემეურე უცხო კაცი უსათუოდ გაიფიქრებს თავის გუნებაში, რომ შეცდომით აღაზის მაგიერ საერობო დღესასწაულში მოკეპტირო. და, მართლაც, ავხაზთა ცხოვრებაში ავხაზურა საერობო დღესასწაულია, ვიდრე აღაზი, როგორც ეს უკანასკნელი ქართველს ესმის.

ცხენებს აქ ატენებენ ან წრეში, ან და გაშლილად: წაიყვანენ შორს და იქიდან გამოუშვებენ.

გამარჯვებულის ცხენის პატრონი და თვით ცხენი ნამდვილი საზოგადო გმირია ამ დროს: დიდ-ხანს და დიდ-ხანს არა ერთი ტურფა ავხაზის ქალიშვილი დაჭლიდინებს გამარჯვებულ ცხენის და მის პატრონის სახელ-დიდებას თავისს სასიამოვნო «მწუნხარების უკუმეურელს» ჩონგურზე და ამით არა ერთ ხალგაზდა ავხაზს აღუძრავს სურვილს ამისთანა ცხენის შეძენისას. არა ერთი ავხაზი-მოგზაური გამარჯვებულ ცხენის და მის პატრონის სახელს ავრცელებენ ავხაზეთის სხვა-და-სხვა კუთხეში. დიდ-ხანს ამ ცხენზე და მის პატრონზე ღაზარაგობენ, და ამიტომაც, საკვირველი არ არის, რომ ყოველი თავმომწონე ავხაზი სცდილობს, რაცუნდა დაუჭადეს, ერთი «ახუგ» (კარგი მუხლის ცხენი, მარულა) შეიძინოს.

\*  
\*  
\*

მეორე, ავხაზურაში გასართობი, საგანია—ნიშანში სროლა. სადმე შორს ჩამოკიდებულია «ახანას» (საინი) და ეს არის ნიშანი. ვინც პირველად მას ესურის და ჩამოატდებს, მისია პირველი საჩუქარი. ამ პირველ საინს მოჭყუება მეორე საინი, მას მესამე და სსჯ..

კარგი, ნიშანში მარჯვე მსროლელი აქ ხელში «საგოგმანუბელია», ძალიან პატიაშია, და მარჯვედ მსროლელ ავხაზს თავისს თოფს არაფერი ურჩევნია. თოფი მისი პატრონია, თუ ასე შეიძლება

ითქვას: დღეში სამ-ოთხჯერ მანც გადანდავს თავის მასხელებელ თოფს, სწმენდს, აკრიალებს და ისე ჭკიდებს კედელზე.

\*  
\* \*

ცხენების მოსკლის და თოფებით ნიძანში სროლის შემდეგ შეუდგებიან სმა-ჭამის თავდარიგს. სასმელ-საჭმელს გამოუტანენ, დააწობენ აკმაღანტართან ანდლს, აქვე მოჭყავს მიცვალებულის ცხენი (ან და ცხენები) ვინმე ნათესავს, აქვე დგებიან ჭირის-უფლებიან და მღვდელი (თუ მუს-ულმანია — მოლა) აკურთხებს მასმელ-საჭმელს, რის შემდეგაც დასხდებიან სადილად.

აფსხურის დღეს სამჯერ-ოთხჯერ გამოჭყავთ მიცვალებულის ცხენი და იმ რიგადვე, რა რიგადაც იციან ტირილში, ამბობენ «აოუს».

საზატოო კაცებს წინ-და-წინ ამისთვის მომზადებულ აშაფაში (სუფაში) მიიწვიებენ. დანარჩენი ხალხი კი სუების ჩერობში მოიკაღას-თებს მწვანე მღელაზე და ხის ფოთლებზე დაწობილ საჭმელს შექმნიან.

საზოგადოდ, ჯერ მამაკაცთ მართმევენ საჭმელს. ისინი რომ გაათავებენ ჭამას, მერე აჭმევენ დედაცაც.

ლიმთვრალე აფსაზმა საზოგადოდ არ იცის, აფსხურაში მით უფრო. ხალხი სჭამს და სვამს ზომიერად და მერე წამოიშლება წყზე.

\*  
\* \*

ჯერ დანარჩენთ არა აქვთ ჭამა-სმა გათავებულად, რომ ახალგაზ-დობა იწუებს ცხენების თამაშს; ცოტა-ხანს ისე გაათამაშ-გამოათამა-შებენ ცხენებს და მერე დაიწუებენ «თარჩეია»-სა. ეს «თარჩეია» იმში მდგომარეობს, რომ ერთ ახალგაზდათაგანი მასპინძლისაგან დაეწე-ბულ კაცს გამოართმევს რამე ნივთს «თარჩეიას». გაჭენებულს ცხენს, დანარჩენი ამხანაგები უკან გამოუდგებიან და ვინც ვერკლად დაეწეოს და დაიჭერს მას, მისია ეს ნივთიც. «სათარჩეო» ნივთებათ წინდა-წინ ამზადებენ: ქისებს, ცხვირსახოცებს, ჩუსტებს, საცვეთებს და

ავსაზები



სსკ. აკერ, ეს ახალგაზდა დაიჭირეს და წაართვეს «ათარხეი». ესლა  
მეორეს მიაჭეს «ათარხეი». ასე გავრძელებს დღისა და ღამის გა-  
ყრამდე.

რაც განსაცდელში აგდებს ახალგაზდა ავსაზი თავის სიცო-  
ცხლეს: იმის არც კვლე, არც ღრე, არც ხე და ღობე არაფრად  
მიანხია, ის მარდად და გობტად მიაჭენებს თავის ერთგულს ცხენს!  
აქ ერთს თავისს მდევარს შურდულივით გამოუსვლტება ხელიდან,  
აქ მეორეს, და აქამდის ასე აჭენებს თავის ცხენს, სანამ არ დაი-  
ჭერენ. ოჰ, რა ბედნიერად და სავსებით უძგერს მამინ ახალგაზდა  
ავსაზს გამარჯვებით გაამაყებელი გული! და თუ «მეათარხეი»  
მძვლვრ ავსაზეთის ტურფა ასულთ შორის ვინმე ჭეკას თავისს  
გულის მეფად, მამინ ის უფრო და უფრო იორკმძრებს თავისს ძლ-  
ღონეს, თავისს ერთგულ ცხენს ამხეკებს, რომ თავისს რხეულს  
თავი მოაწონოს. ამ უგანასენელსაც თავის მიჯნურის გამარჯვებით  
გამაყებულს, დედამიწაზე ფეხი აღარ უდგას: გულით და სულით  
მიჭფრინავს შორს, შორს საოცნებო ნეტარებას სამეფოში..  
საოცადღობს ამ «მეათარხეი» ახალგაზდობას შეჭფურებს დღისა  
და ღამის გაყრამდე: მისის მარცხით და შეცდომით გული ეღონება,  
მისის გამარჯვებით მხიარულობს.

\*  
\*\*

ავსაზთა ცხოვრებაში ეს ავსაზურა საუკეთესო თეატრი და  
თავ-შესაჭრეკია. ამის გარდა თითქმის დღეებდელ მის ცხოვრებაში  
ერთად-ერთი შემაერთებელი გზა და ხილია. ავსაზურა აგრეთვე ავსა-  
ზისთვის ერთგვარი სკოლაა. ყოველი თავმოქონე ავსაზი ყოველ  
საშუალებას ხმარობს, რომ თავისი ახალგაზდა ვაჟი გამოჩენილ  
ავსაზურას არ დააკლოს: ხაღხს გაინცნობს, სატყუარ-ზასუნს და ზრდი-  
ლობას შეითვისებს, ჯვას და კარვს ისწავლის.

ესლანდელ ავსაზის ცხოვრებაში ავსაზურა ცხენოსნობის თი-  
თქმის ერთად-ერთი ასმარეზია: აქ სწავლობს ჭაბუკი ავსაზი ცხე-  
ნოსნობას, აქვე თავისს სიმარდე-სიკეკლურეს ცხენოსნობაში იხენს.  
ავსაზურა ჰირველ-მნაშენელვანო მოკლენას ავსაზის ცხოვ-  
რებაში. არცერთ სხვა მოკლენას ავსაზთა ცხოვრებაში იმითონას

მნიშვნელობა არა აქვს, როგორც აფსხურას. ამიტომაც, აფსახს სიკვდილად მიაჩნია — აფსხურა კვლავ გადაუხადოს თავისი მიტკვალებულს: ერთი წამოდანება — შენს მიტკვალებულს აღაშა კვლავ გადაუხადე — სიკვდილია აფსახისთვის, სიკვდილი სიტყვებშია. ამის გამოც, რომ არ უნდადეს, მაინც უნდა ჰქნას აფსხურა, თუნდაც განდგურდეს მისი ოჯახი ამ აფსხურას შემდეგ.

აი, საზოგადო სურათი აქაურ ტირილისა და აფსხურასი და ზოგიერთთა მათს მიერ გამოწვეულ ჩვეულებათა.

ნიკო ჯანაშია